გიორგი ყაზბეგი

# სამი თვე თურქეთის საქართველოში

გამომცემლობა
„აჭარა"
ბათუმი
1995

84 Гр
ყ - 553

გიორგი ყაზბეგმა, პროფესიით სამხედრო სპეციალისტმა, თავისი შრომებით მნიშვნელოვნად შეავსო მანამდე არსებული ხარვეზი და დიდი კვალი დატოვა ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. მის ნაშრომებში განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამი თვე თურქეთის საქართველოში", რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და **მამია ხარაზმა**

© გამომცემლობა „აჭარა" — 1995

4702170200-006
ყ ———————— 1995



გიორგი ყაზბეგი

# გიორგი ყაზბეგი

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის გიორგი ყაზბეგს ღირსეული ადგილი უკავია. პროფესიით სამხედრო სპეციალისტმა თავისი შრომებით მნიშვნელოვნად შეავსო მანამდე არსებული ხარვეზები და დიდი კვალი დატოვა ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამი თვე თურქეთის საქართველოში", რომელიც წარმოდგენილია ამ წიგნში.

გიორგი ყაზბეგი დაიბადა 1839 წელს, სოფელ სტეფანწმინდაში, ხევის განთქმული ფეოდალების ოჯახში. მისი ბაბუა გაბრიელ ჩოფიკაშვილი-ყაზბეგი საქართველოს ისტორიისათვის ცნობილი პიროვნებაა. საქართველოში ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი კარის მფლობელი იმთავითვე მოექცა რუსეთის გენერალიტეტის ყურადღების ქვეშ. მას დიდ პატივს სცემდნენ, ჯილდოებით ასაჩუქრებდნენ, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. გაბრიელ ყაზბეგმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში.

გიორგი ყაზბეგის მამა ნიკოლოზი, მთიელი ფეოდალი, წესჩვეულებების მტკიცე დამცველი იყო. მას განათლება თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში მიუღია. ადრე დაოჯახებულა, მეუღლეც მალე გარდაცვლია, მაგრამ ექვსი შვილი დარჩენია.ისინი ძიძების ხელში გაზრდილან. თავად ნიკოლოზი სამხედრო მოსამსახურე იყო,კავალერიის პორუჩიკის ჩინამდე მიაღწია, შემდეგ თავი დაანება სამხედრო სამსახურს და საოჯახო მეურნეობას და შვილების აღზრდას მიჰყო ხელი.

1851 წელს სტეფანწმინდაში სტუმრად მყოფ კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვს უნახავს მცირეწლოვანი გიორგი, მოსწონებია და ნიკოლოზისათვის შეუთავაზებია კადეტთა კორპუ-

სში ბავშვის მოწყობა. ვორონეჟის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ გიორგი ყაზბეგმა მიიღო პორუჩიკის ჩინი და ქართველ გრენადერთა პოლკში დანიშნეს. აქ იგი ჯერ ადიუტანტის, მოგვიანებით მსროლელთა ასეულის მეთაურად მუშაობდა. აქედანვე ჩარიცხეს გენერალური შტაბის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1870 წელს კავკასიის გრენადერთა დივიზიის შტაბში გადაიყვანეს და უფროს ადიუტანტად დანიშნეს.

ამ დროისათვის რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა. თურქეთის ტერიტორიაზე ყოველგვარი მოგზაურობა ძალზე სახიფათო გახდა. მაგრამ კავკასიის, განსაკუთრებით ე.წ. თურქეთის საქართველოსადმი ინტერესი რუსეთის მხრიდან ძალზე დიდი იყო. რუსეთის სარდლობა თანმიმდევრულად ემზადებოდა ამ მხარეების შემოსაერთებლად, რისთვისაც აუცილებლად თვლიდა სამხედრო-სტრატეგიულ დაზვერვას. ამ საქმის ჯაშუშურად მოგვარება შეუძლებელი იყო, რის გამოც მოიფიქრეს ორიგინალური ხერხი: თუქეთის საქართველოში შემოეგზავნათ ამ კუთხის მმართველთა ნათესავები. არჩევანი გენერალ გრიგოლ გურიელზე შეაჩერეს, რომელიც ენათესავებოდა აჭარელ და შავშელ ხიმშიაშვილებს, მაგრამ გრიგოლს სადაზვერვო გამოცდილება არ ჰქონდა. ამიტომ მის ამალაში შეიყვანეს



გენერალი გრიგოლ გურიელი
(1812-1891)

გიორგი ყაზბეგი, როგორც გრიგოლ გურიელის მსახური. მისი ნამდვილი ვინაობა არ იცოდნენ ამალის სხვა წევრებმაც კი.

ასეთი მკაცრი კონსპირაციის მიუხედავად შერიფ ხიმშიაშვილმა ეჭვი მიიტანა გიორგიზე, რომელიც ღამით ყველასაგან ფარულად რაღაცას იწერდა და გურიელს მიმართა: „ძია გრიგოლ! ოსმალებმა რომ შეიტყონ ეს ამბავი, რაც ჩემს მამას – ახმედ ფაშას და პაპას – სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს უყვეს, იმაზე უარესს მიზამენ, თავს მომჭრიან და სახლ-კარსაც ამიოხრებენ. ეს რომ არ მოხდეს, მე დღეს თქვენ ყველაფერს გაგიმზადებთ და ხვალ დილით ადრევე წაბრძანდით აქედან, რათა თქვენს აქ ყოფნას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს. თუმცა, ბატონო გრიგოლ, ეს გარემოება ჩემთვის ერთობ მძიმე და არა მოსაწონია". (ზ.ჭიჭინაძე. ყაზბეგის მოგზაურობა აჭარაში. გაზ. „ტრიბუნა". 1921. №99-100).

ასეთ მძიმე ვითარებაში მოგზაურობდა გიორგი ყაზბეგი. მოგვიანებით იგი იტყვის: „ერთადერთი გამოსავალია ნახულის და გაგონილის დამახსოვრება, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, შთაბეჭდილების სიტყვადაუმთავრებელი ჩაწერა".

ასეთი „სიტყვადაუმთავრებელი" ჩანაწერებით შეიქმნა მეცნიერულად სრულყოფილი და უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, რომელიც არათუ დღეს (როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე), არამედ არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

გიორგი ყაზბეგის ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ისიცაა, რომ მან ტბეთის ტაძარში მოიძია და ჩამოიტანა „ტბეთის სულთა მატიანე" მე-12–17 საუკუნის შესანიშნავი ხელნაწერი ძეგლი, რომელიც ამჟამად სანკტ-პეტერბურგის აზიის ხალხთა ინსტიტუტში ინახება (იგი ქართულად 1978 წელს გამოქვეყნდა თინათინ ენუქიძის გამოკვლევებით და კომენტარებით).

რუსეთ-თურქეთის ომისათვის მზადების პერიოდში, 1876 წელს გიორგი ყაზბეგი ოზურგეთში ჩამოვიდა და დაიწყო ადგილობრივ მცხოვრებთა ათასეულის შედგენა, ომის პერიოდში კი ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა. ბრწყინვალე სამხედრო სპეციალისტმა და უშიშარმა მებრძოლმა მაღალი ჯილდოები დაიმსახურა, მაგრამ ორჯერ დაიჭრა და დროებით რეზერვში ჩარიცხეს.

1878 წელს გიორგი ყაზბეგი ბაქოს 153-ე ქვეითი პოლკის მეთაურად დანიშნეს. ეს პოლკი ერზრუმში იყო განლაგებული, ამიტომ მეთაური ამ ქალაქის კომენდანტის მოვალეობასაც ასრულებდა. მომდევნო წლებში გიორგი ყაზბეგი გენერალური შტაბის თადარიგშია, შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქში, უფრო გვიან ლატვიაში.

1891 წელს გიორგი ყაზბეგს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და ვარშავის ციხესიმაგრის შტაბის უფროსად დაინიშნა. აქვე გენერალ-ადიუტანტის წოდება მისცეს და 1905 წელს ვლადივოსტოკის კომენდანტად გადაიყვანეს. ამ პერიოდის არეულობებმა მთელი ქალაქი მოიცვა. დემონსტრანტები არსებული წყობილების დამხობით იმუქრებოდნენ. შეტაკებებმა სახიფათო ხასიათი მიიღო, სისხლისღვრა გარდაუვალი იყო. ბუნებით მშვიდმა და კაცთმოყვარე კომენდანტმა იარაღის გამოყენებაზე უარი თქვა და მოლაპარაკების გზა აირჩია. შედეგსაც არ დაუყოვნებია. დემონსტრანტები მშვიდობიანად დაიშალნენ.

პეტერბურგში მეფეს ვლადივოსტოკის ამბები სანახევროდ მოახსენეს: ყაზბეგმა ამბოხებულთა წინააღმდეგ იარაღი არ გამოიყენაო. მიზანი და შედეგი არ მოუხსენებიათ. იმპერატორმა აუდიენციისათვის გამოიძახა გენერალი და მკაცრად მიმართა: „ხალხს ყოველთვის უნდა ესროლო, გენერალო!"

ეს ეპიზოდი გიორგი ყაზბეგის კარიერისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი სამსახურიდან დაითხოვეს და სამშობლოში დაბრუნდა.

ილიას გარდაცვალების შემდეგ გიორგი ყაზბეგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს; სწორედ აქ კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა მხცოვანი მოღვაწის მამულიშვილობა და სამშობლოს სიყვარული. მისი ინიციატივით მრავალი ეროვნული საქმე განხორციელდა. თანამედროვენი გიორგი ყაზბეგს იხსენიებენ როგორც დიდ პატრიოტსა და ერისკაცს.

1921 წელს საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლისას გიორგი ყაზბეგმაც დატოვა საქართველო. სამწუხაროდ

არავინ უწყის როდის და ვისთან ერთად წავიდა იგი ბათუმიდან, სად და რა მიზეზით გარდაიცვალა. არსებობს რეზონური ცნობა იმის შესახებ, რომ იგი ნოე ჟორდანიას გაჰყვა და გზად თურქეთში გარდაიცვალაო, მაგრამ ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ არსებობს. ჩვენ ისიც კი არ ვიცით სად განისვენებს სამშობლოს ერთგული მამულიშვილი. ამის გარკვევა ჩვენი თაობის ვალია.

ზუსტად სამი საუკუნე, 1578 წლიდან 1878 წლამდე, სამხრეთი საქართველო — აჭარა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ნიგალი, ლაზეთი დამპყრობელთა ხელში იყო. ეს არის საქართველოს წარსულის ის შავბნელი პერიოდი, რომლის შესახებ ჩვენმა ისტორიამ ძალზე ცოტა რამ შემოგვინახა. ეპიზოდურ ცნობებს ვხვდებით უცხო ისტორიკოსების ნაწერებში, მაგრამ ისინი იმდენად ფრაგმენტული და ტენდენციურია, რომ სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს საქართველოს ამ ისტორიული პროვინციების ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაზე, მის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჯერ კიდევ დამპყრობთაგან განთავისუფლებამდე, ეს მხარეები მოინახულეს ქართველმა და უცხოელმა მოგზაურებმა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ დიმიტრი ბაქრაძე და გიორგი ყაზბეგი, რომელთა ნაშრომებმა არა თუ დაკარგეს მეცნიერული ღირებულება, არამედ პირიქით, ხალხებს შორის ურთიერთობათა გაფართოების კვალობაზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინეს.

დიმიტრი ბაქრაძის წიგნი, რომელიც მიტაცებული ტერიტორიიდან მხოლოდ აჭარას მოიცავს, რამდენიმე წლის წინ ქართულ ენაზე თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ და ხარიტონ ახვლედიანის რედაქტორობით გამოიცა. ასევე გ მოცემულია გიორგი ყაზბეგის ნაშრომის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც აჭარას ეხება. იგი თარგმნა ნ. ნაჭყებიამ (რომელიც უცვლელად შევიტანეთ წინამდებარე წიგნში), მასვე, აგრეთვე მ. სვანიძეს ეკუთვნის იმ წიგნის კომენტარებიც, ხოლო რედაქტორია იური სიხარულიძე.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გიორგი ყაზბეგის წიგნის დანარჩენი ნაწილების გამოქვეყნებაც. თარგმანი შეასრულა რამაზ სურმანიძემ, მანვე დაურთო კომენტარებიც.

დარწმუნებული ვართ ეს წიგნი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.

**მამია ხარაზი**

# მთარგმნელისაგან

სამეცნიერო ლიტერატურაში და ბიოგრაფიებში სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციებში გიორგი ყაზბეგის მოგზაურობა დაკავშირებულია სამხედრო-სტრატეგიულ და სადაზვერვო მიზნებთან. ეს აზრი დამაჯერებელია, თუმცა თავის ჩანაწერებში თავად ყაზბეგი ამის ახსნას გვერდს უვლის და იგი ჩვეულებრივ მოგზაურად გვევლინება: „1874 წლის გაზაფხულზე ვისარგებლე ხელსაყრელი შემთხვევით და ვიმოგზაურე თურქეთის საქართველოში.“ — წერს იგი.

როგორი მიზანიც არ უნდა ჰქონოდა ამ მოგზაურობას, გ. ყაზბეგი ყველგან ინარჩუნებდა იმ ქართველი მამულიშვილის და პატრიოტის იმ თვისებებს, რომელსაც აინტერესებს დაკარგული მამულის ბედი.

გიორგი ყაზბეგის თანამგზავრთაგან მხოლოდ ერთს ვიცნობთ. ეს გახლავთ ცნობილი ქართველი მოღვაწე, გურიელთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი გრიგოლ გურიელი. იგი აჭარა-შავშეთის მაშინდელი მმართველების შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ნათესავი იყო და სწორედ მისი მეშვეობით შეიძლებოდა ამ მხარეების მონახულება. სხვანაირად ოსმალეთის ხელისუფლება მოგზაურობის ნებართვას არავის მისცემდა. დანარჩენ თანმხლებ პირებს გიორგი ყაზბეგი ან სულ არ გვაცნობს, ანდა მხოლოდ ინიციალებით მოიხსენიებს ისევე, როგორც იმ პირებს, ვინც მოგზაურობის დროს მას ხვდებოდნენ.

გიორგი ყაზბეგის მოგზაურობის ჩანაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ისტორიული საქართველოს პროვინციებზე, რომელიც მაშინდელ რუკებზე ან სულ არ იყო, ანდა შეცდომით იყო აღნიშნული. ამ ადგილებს მკითხველი თავად გაეცნობა, ამიტომ მათ ჩამოთვლას და შეფასებას აქ არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ გიორგი ყაზბეგის მოგზაურობის შემდეგ ეს რუკები საფუძვლიანად შესწორდა.

გიორგი ყაზბეგი წარმოშობით მთიულია, კარგად იცნობს საქართველოს მთიანეთს, ამას თუ დავუმატებთ მის ღრმა განსწავლულობას და გეოგრაფიული მეცნიერების საოცარ ცოდნას, აღარ გაგვიკვირდება მისი განსაკუთრებული დაკვირვებულობა, ადგილმდებარეობის ცოდნა და დაწვრილებითი აღწერილობა. დაკვირვებები კი ძირითადად ვიზუალური, როგორც იტყვიან, ჩიტის გადასაფრენიდან იყო.ჩვენი გაოცება გამოიწვია ჩანაწერების იმ ნაწილმა,სადაც ნათქვამია,რომ მოგზაურები ერთ ადგილას სუსხსა, წვიმასა და სიცივეში, ღია ცის ქვეშ, რამდენიმე დღეს იცდიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ სიმაღლიდან გადაეხედათ და დაენახათ ლაზეთის ხედი, მთები და მწვერვალები.

გიორგი ყაზბეგი გეოგრაფიის გარდა შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს ეთნოგრაფიაში, დემოგრაფიასა და სახელმწიფო წყობის აღწერაში. ამ მხრივ მარტო სოფელი ღორჯომი რომ გამოვიყენოთ, ესეც საკმარისია მის მიერ მოვლილი დანარჩენი სოფლებისა და დაბების მდგომარეობის გასაცნობად.მოგზაური ზუსტად აღწერს კომლთა და მცხოვრებთა რიცხვს (6—7 სული ერთ კომლზე), გლეხის ქონებას, პირუტყვის რაოდენობას. ნოსტალგია გიპყრობთ, როცა კითხულობთ, რომ თითოეულ ოჯახს 20—30 სული მეწველი ძროხა და ერთი საპალნე ცხენი ჰყავდა (სულ ზემო აჭარაში 2000), შედარებით ნაკლები, 20—25 სული ცხვარი(?!);და რომ ერთი წლის განმავლობაში 100 სული პირუტყვი გაყიდეს და ა. შ.

განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი ყაზბეგის სამედიცინო-გეოგრაფიული ცნობები. ამ საკითხს ჩვენ ფართოდ შევეხეთ სტატიაში — „გიორგი ყაზბეგის სამედიცინო გეოგრაფიული ცნობები აჭარაზე“, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ (№ 4, გვ.88—91).

სამკურნალო მცენარეულისა და სამკურნალო მინერალური რესურსების შეგროვება-აღწერილობის დროსაც გიორგი ყაზბეგი უნივერსალურ ცოდნას ამჟღავნებს. მოგზაურობის დროს მოხეს იაილაში, სოფელ ბაკოსა და ყარაგოლის იაილაში მან შეაგროვა 44 სამკურნალო მცენარე, რომლებიც ქართულ ხალხურ მედიცინაში წარმატებით გამოიყენებოდა. მცენარეთა სია ლათინური სახელებითაა წარმოდგენილი. ჩვენ ყველა მათგანი გავშიფრეთ, შევავსეთ ქართული და რუსული შესატყვისი თარგმანით (გარდა სამი მცენარისა, რომელთა შესატყვისს ლე-

ქსიკონებში ვერ მივაკვლიეთ. ესენია: Phytheuma canescens W.Kit; Umbeliferae Sp., Apum orientale M. bieb.).

შავშეთის მხარეს, აბანოს ხეობაში და სოფელ სხლობანაში გ. ყაზბეგმა აიღო სამი სამკურნალო წყლის სინჯი, რომლებიც თბილისში ჩაიტანა და ანალიზისათვის მედიცინის დოქტორს ი.ი. მალინინს გადასცა. აჭარის ტერიტორიაზე არსებული სამკურნალო მინერალური წყლების დიდი ნაწილის მსგავსად, ეს წყლებიც დაბალი მინერალიზაციისაა,ამიტომ ისინი მხოლოდ დასალევად გამოიყენება.

მოგზაურობისას გ. ყაზბეგმა აღწერა მატერიალური კულტურის ძეგლები, ხიდები, ეკლესიები და ციხე-კოშკები. საყურადღებოა, რომ 120 წლის წინათ მოგზაურის მიერ ნანახ ძეგლს ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი პირველყოფილი სახე. ასე მაგალითად, სხალთის ეკლესია „მთლიანად წმინდანთა ფრესკებითაა შემკული, სალებავები და წარწერები ბევრგანაა შერჩენილი... გადარჩენილ მხატვრობას სილამაზის კვალი აჩნევია. შესასვლელთან (დასავლეთის მხრიდან) კარების ნიშში დახატულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ესაა ეკლესიის საუკეთესო ფრესკები. კარებზე გამოსახულ ხატებს ბერძნული წარწერები აქვს.ჭაღის სიღრმეში, საკურთხევლის ზემოთ, დახატულია იესო ქრისტეს უზარმაზარი ფიგურა, რომელსაც ხელში ხუცურად დაწერილი წიგნი უჭირავს; გარშემო წმინდანთა სახეებია..." სადღაა ეს მშვენიერი მხატვრობა?!

მრავალი ძეგლი მომდევნო პერიოდში იმდენად დაზიანდა, რომ ახლა მხოლოდ ნაშთებიღაა დარჩენილი, ზოგი კი მთლიანად აღიგავა და ნასახიც კი არ დარჩა. ამდენად გ. ყაზბეგის ჩანაწერებს ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარტო ის ფაქტი რად ღირს,რომ სხალთის ეკლესიის, ზემოთქმული აღწერილობით, შეგვიძლია იგი აღვადგინოთ და პირვანდელი სახე დავუბრუნოთ?!

ასევე შეიძლება ვთქვათ ტოპონიმებზე. ადგილთა მრავალი სახელი თურქულით შეიცვალა, ამიტომ იგი დღევანდელი მეცნიერებისათვის უცნობია. ბევრ ტოპონიმს ვეღარ შევხვდით ბოლო ხანებში გამოცემულ ლიტერატურაში. ჩემი აზრით გ. ყაზბეგის ნაშრომი ერთადერთია, რომელშიც საფუძვლიანადაა მოცემული ოსმალთა მფლობელობისდროინდელი სამუსლიმანო საქართველოს ტოპონიმიკა. მართალია,ზოგიერთი სახელი რუსული ტრანსკრიფციის ზეგავლენით შეცდომით იკითხება (ჩვენ ეს საძიებელში შევასწორეთ), მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ამ ნაშრომის მნიშვნელობას.

გიორგი ყაზბეგი ყურადღებას ამახვილებს მის მიერ შემოვლილ მხარეებში წვრილმან ვაჭრობაზე. მაგალითისათვის აღვნიშნავ ხუ-

ლოს. მისი თქმით, აქ მაშინ 7 დუქანი იყო, რომელთაგან 4 არტაანელ სომხებს, ხოლო 3 ტრაპიზონელ ბერძნებს ეკუთვნოდათ. აქ იყიდებოდა დამასკოს საპონი, ფრანგული წერილმანები, ინგლისური ქსოვილები. რუსული საქონელი არ ყოფილა. „ვაჭრობა ქართველების საქმე არააო“, დაასკვნის მოგზაური.

გიორგი ყაზბეგი აღწერს ხულოს მედრესეს და აღნიშნავს, რომ მის გვერდით მარხია შერიფ ხიმშიაშვილის ოჯახის წევრებიო. ვფიქრობ, რომ ჩვენი ვალია მოვნახოთ, აღვადგინოთ და სათანადო წარწერები გავუკეთოთ ამ დიდი მამულიშვილის ოჯახის წევრთა განსასვენებელს.

მოგზაურმა ხულოშივე გაიცნო იქაური მუდირი, შერიფის ვაჟი მურთაზ ხიმშიაშვილი. დიმიტრი ბაქრაძის ჩანაწერებში უფრო ვრცლადაა დახასიათებული ეს ახალგაზრდა ბეგი. მთავარი ისაა, რომ ორივე ქართველი მოღვაწე მას ახასიათებს როგორც ჭკვიან, სტუმართმოყვარე კაცს, ხიმშიაშვილთა დიდი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს. ისტორიკოსები, აგრეთვე ისტორიის შედარებით ზერელე მცოდნენიც ამტკიცებენ, რომ მურთაზი მამამისმა მოაკვლევინა 1876 წელს. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ მურთაზის დიდ გონებამახვილობას, გამჭრიახობას და სიბრძნეს. თითქოს მამამ შვილში მეტოქე დაინახა და ამის გამო ჩაიდინა ასეთი ბოროტებაო. მეორე მიზეზად დასახელებულია მურთაზის თურქული ორიენტაცია — თითქოს ქართული ორიენტაციის მამამ შვილს ასეთი რამ არ აპატიაო. ნათქვამიდან დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მურთაზი მართლაც გონებამახვილი, გამჭრიახი და ბრძენი მამულიშვილი იყო, თუ ამას დავუმატებთ დიმიტრი ბაქრაძესთან და გიორგი ყაზბეგთან მის შეხვედრას, შესაძლოა უარვყოთ მურთაზის თურქული ორიენტაცია და ძალაუნებურად მამის მიერ ჩადენილ საშინელებაზე ნაწილობრივ ეჭვი შეგვეპაროს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შერიფს, რომ იტყვიან, ერთმანეთზე უკეთესი ოცი შვილი ჰყავდა და ასე სასტიკად არცერთ მათგანს არ გასწორებია, ეს ეჭვი კიდევ უფრო ძლიერდება.

ზემოთქმულის მიუხედავად, მურთაზ-ბეგ ხიმშიაშვილის მკვლელობა ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული და მომავალ კვლევას საჭიროებს.

აჭარაში შემორჩენილი ერთადერთი ძეგლის, სხალთის ეკლესიის დეტალური აღწერილობის გარდა, მოგზაური აღნიშნავს, რომ სხალთის მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და თან წაიღეს

წმინდანთა ხატებიო. სხვაგან ასეთი ცნობა არ შემხვედრია ამიტომ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

როგორც ცნობილია, ლეჩხუმსა და იმერეთში, კერძოდ, ცაგერისა და ზესტაფონის რაიონებში არის სოფლები, რომელთაც აჭარა ჰქვია. ჩვენ ამ საკითხს ვრცლად შევეხეთ ნაშრომში: „სამი აჭარა საქართველოში" (იხ. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა", № 1, 1967 წ. გვ. 78—80; გაზეთი „ქუთაისი" № 122, 22 ივნისი 1978 წ. გვ. 3.). იქაური მცხოვრებლები ერთსულოვნად თვლიან, რომ ეს სახელები დაკავშირებულია აჭარის ხეობიდან მოსახლეობის იძულებით მიგრაციასთან. თუ ამის სიმართლეში ეჭვი არ შეგვეპარება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთერთი სოფლის სახელისა და საძირკვლის ჩამყრელნი არიან სწორედ სხალთიდან გადასახლებული მოსახლეობა და იქაური ეპისკოპოსი. არ არის გამორიცხული, რომ ამ სოფლების ეკლესიებში სხალთიდან ჩატანილი ხატებიც აღმოეჩინოთ.

როგორი სურვილი და მიზანიც არ უნდა ჰქონოდა მოგზაურს, მხარეების ასეთი ვრცელი, დეტალური აღწერისა და ვრცელი ნაშრომის მომზადებისა, იგი ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლიდა ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელ ისეთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, როგორიცაა: გზები, მათი კეთილმოწყობა და დანიშნულება, მწვერვალები და მათი სიმაღლე ზღვის დონიდან, მდინარეები და მათი კალაპოტის სიფართე, ხიდების ასაკი, მათი არქიტექტურული აგებულება და დანიშნულება, ე.ი. ყოველივე იმას, რასაც მართლაც აქვს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. ზემოთქმულის აღწერისას იგრძნობა ავტორის დიდი სამხედრო მომზადება, დაკვირვებულობა და ცოდნა. მაგრამ ყოველ სტრიქონში ვხედავთ არა უბრალოდ სამხედრო ჩინოვნიკს და მზვერავს, არამედ მხარის პატრიოტს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და ერისკაცს.

გზების აღწერისას გიორგი ყაზბეგი საკმაო ადგილს უთმობს აჭარის მმართველის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ღვაწლს გზების გაყვანა-მშენებლობაში. ამასთან ერთად გონიერ მოგზაურს არ გამორჩენია ხალხის აზრი: გზების გაყვანას უცხო ტომის შემოსვლა, ახალი ძარცვა-გლეჯა, ვაჭარ-ჩარჩების მიერ ხალხის ყვლეფა, ტყეების გაჩეხვა და სიმდიდრის გაზიდვა რომ მოჰყვებოდა.

აჭარლების გარეგნობას, ადათ-წესებს ავტორი განსაკუთრებულ სტრიქონებს უძღვნის, მოსწონს მათი მამაცობა, გამბედაობა, რაინდობა, ურთიერთგატანა და სტუმართმოყვარეობა. ზნეობრივი თვისებების შეფასებისას გარკვეულ წინააღმდეგ[illegible] კერ-

ძოდ, ავტორს აღნიშნული აქვს, რომ „ხალხი ძალიან გულჩახვეული და სევდიანია; ყველანი ობლებსა ჰგვანან, ცეკვა-თამაში არსად გვინახავს, სიმღერაც არ მოგვისმენია. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა აჭარლებსა და მათ ძმებს ქართველებს შორის; აჭარლებს რაიმე ეროვნული საკრავიც კი არა აქვთ"— ო. ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როცა ახალგაზრდა ქოჩახელა ჭიბონზე გალობდა, აქიფ ქათამაძე ჩონგურს ალაპარაკებდა, რეჯებ მუავანაძე სასიმღერო ლექსებს თხზავდა. ყველასი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სხვა ადგილას მოგზაური აღნიშნავს: ხშირად ვსეირნობდით მახლობელ ადგილებში, ვეცნობოდით ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, სიმღერასა და ცეკვას, თოფის სროლასა და ჯირითს". ასეთი ურთიერთგამომრიცხავი აზრი შეიძლება უბრალო ენობრივ შეცდომას მივაწეროთ, თუნდაც იმას, რომ მოგზაურობის პირველ დღეებში ავტორს არ მიეცა საშუალება დასწრებოდა აჭარულ ქორწილს, ცეკვა-თამაშსა და მოლხენას.

გიორგი ყაზბეგი თავის ნაშრომში ვრცლად აღწერს რუსეთ-თურქეთის 1828—29 წლების ომის ერთერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს, კერძოდ, ზემო აჭარაში ოსტენ-საკენის შემოსვლას. როგორც ცნობილია, რუსეთის გენერალი აქ სარდლობის დაუკითხავად ახალციხიდან შემოიჭრა და მოითხოვა, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი შეხვედროდა. ადრე გენერალ ბებუთოვთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ფაშა, რომელიც რუსეთთან მშვიდობიან მორიგებაზე აწარმოებდა მოლაპარაკებას, ოსტენ-საკენს არც ენდო და არც შეხვდა. მთებში ჩვილი ბავშვით გახიზნულმა მისმა მეუღლემ, სამუსლიმანო საქართველოში სიდარბაისლით სახელგანთქმულმა დუდი-ხანუმმა, ჩაქველი ბეგის ბეჟანიძის ასულმა, თავხედ გენერალს შემოუთვალა: ოჯახის უფროსი სახლში არ იმყოფება, მე თქვენს ღირსეულ მიღებას ვერ შევძლებ, ამიტომ სახლში შებრძანდით და მოისვენეთო. გამჭრიახმა მანდილოსანმა წერილთან ერთად დაუპატიჟებელ სტუმარს სასახლის გასაღებიც გამოუგზავნა.

აღვირახსნილი გენერალი ჭკვიანი ქალბატონის ამ ბრძნულმა ქმედებამაც ვერ შეაჩერა. მან ცეცხლს მისცა ფაშის სახლ-კარი. გადაწვა რამდენიმე სოფელი და შეეცადა მხარის ძალით დამორჩილება. აჭარის მოსახლეობა, რომელიც რუსეთის ჯარს მეგობრული მისიით მოელოდა, წინ აღუდგა თავხედი გენერლის ამ პროვოკაციას. ქედაში მყოფმა ახმედ-ფაშამ შეკრიბა მცირერიცხოვანი ჯარი, სულ 300-მდე კაცი და შეავიწროვა ბათუმისაკენ მოლაშქრე ოსტენ-საკენი, შუახევის ქვემოთ აღარ გამოუშვა და აიძულა გასაქცევი გზა ეძებნა. გენე-

რალმა დაიქირავა მეგზური, რომელმაც მისი განახევრებული ჯარი ქვაბლიანის ხეობით ახალციხეში ჩაიყვანა. მეგზურის ვინაობაზე გიორგი ყაზბეგი და სხვა მკლევარებიც არაფერს ამბობენ. შესაძლოა ჩვენც არაფერი გვეთქვა, მაგრამ ბოლო წლებში გამოცემულ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, თითქოს აჭარაში სამარცხვინოდ დამარცხებულ და უკუქცეულ გენერალს მეგზურობა აჭარელმა, ხულოს მცხოვრებმა გაუწიაო. „რუს გენერალს ისევ აჭარელმა გაუწია დახმარება. ხულოს ერთერთმა მცხოვრებმა გარკვეული თანხისათვის შესთავაზა ოსტენ-საკენს რაზმის გურიაში ფარულად გადაყვანა" (შ. მეგრელიძე, 1964). ეს მოძმეთა ღალატს ნიშნავდა.

სინამდვილეში გზის მაჩვენებელი სულ სხვა ვინმე იყო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (№ 524) დაცულია ახალციხელი ივანე ნებიერიძის 1865 წლით დათარიღებული ჩანაწერები, რომელიც 1948 წელს გამოსცა ხარიტონ ახვლედიანმა. ეს ერთი ის იშვიათი დოკუმენტთაგანია, რომელიც ნათელს ჰფენს მეგზურის ვინაობას. მასში ნათქვამია, რომ 1828–29 წლების ომის დროს გახშირდა ახალციხიდან გოგო-ბიჭების გატაცება. ზოგი მათგანი ოსმალთაგან აჭარლებმა გამოისყიდეს. გატაცებულთა შორის თავად ჩანაწერების ავტორი, 12 წლის იოანე და მისი 7 წლის ძმა პავლე ნებიერიძეებიც ყოფილან. ისინი სოფელ ორცვაში გულა-აღა ჯინოღლის (აბულაძეს) გამოუსყიდია. გატაცებული ბავშვების მამა სტეფანე ნებიერიძე ორცვაში ჩამოვიდა, შვილები დაიბრუნა და გზად ერთხანს ხულოში გაჩერდა. ამ პერიოდს დაემთხვა ოსტენ-საკენის შემოსვლა. ამის შესახებ იოანე ნებიერიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „... და ამ ხანებში ჩავიდა რუსეთის ჯარი ზემო აჭარას და გადასწვა სახლები ფაშისა და მოაოხრა იქაურობა და ცოტახნის მერე რუსი ისევ უკან დაბრუნდა. ხოლო მამაჩემი რუსის ჯართან იყო წასული გზის საჩვენებლად და ერთი ბაჯახლუ ეჩუქებინათ".

ამგვარად ნათელი ხდება, რომ მოძალადე გენერალს მეგზურობა ახალციხეში მიმავალმა ნებიერიძემ გაუწია, რისთვისაც იგი ბაჯაღლო ოქროთი დაუსაჩუქრებიათ. ამ საკითხზე ჩვენი ვრცელი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში" (№ 76, 19 აპრილი, 1966 წელი, გვ. 3).

სხვა ღირსებებთან ერთად გიორგი ყაზბეგის ნაშრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ მისი მოგზაურობის დროს აჭარაში მუჰაჯირობა ჯერ დაწყებული არ იყო, ამიტომ შავშეთ-იმერხევში, არტანუჯ-ლივანასა და ლაზეთში ის შეხვდა ამ მხარეების მკვიდრ ქართველებს, რასაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც მოგზაური შეხვდა და ჩვენთვის ცნობილია, ეს არის იმერხევის ყირ-სარდარი ქიბარ-აღა. იგი მკვიდრი იმერხეველი არაა. ამის შესახებ 1992 წლის აგვისტოში ჩვენ მასალები შევკრიბეთ თავად ქიბარ-აღის უშუალო შთამომავლებისაგან სოფელ ქოქლიეთში, რომელიც ძირითადად ემთხვევა გ. ყაზბეგის ჩანაწერებს. ქიბარ-აღა იმერხევში შემდეგი გარემოებების გამო გადასულა:

გიორგი ყაზბეგის მოგზაურობამდე 10 წლით ადრე ოსმალეთის ხელისუფლებას გამოუცია კანონი, იარაღის აკრძალვის თაობაზე. მშვიდობისმოყვარე და მორჩილ შავშელებსა და იმერხეველებს მაშინვე ჩაუბარებიათ იარაღი, ხოლო აჭარლებმა, ლაზებმა და მაჭახლელებმა უარი თქვეს ამ კანონის შესრულებაზე. იარაღაყრილი მხარე მალე აჭარიდან გადასული ყაჩაღების თარეშის ასპარეზად გადაიქცა. განსაკუთრებით აქტიურობდა მაჭახლელი ყეიდი ბეგი. იგი თავისი ბანდებით გადადიოდა იმერხევში, რამდენიმე ხნით აქ დახანდებოდა, ოჯახებს ძარცვავდა, აუპატიურებდა ქალებს და აიძულებდა გამოეკვებათ მისი თანამზრახველები. ყოველივე ეს ხორციელდებოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და არაადამიანურობით. ხალხმა ვერ შეძლო მოძალადის ალაგმვა, ხელისუფლება კი ყაჩაღების მიმართ ვერავითარ ძალას ვერ იყენებდა. მოსახლეობამ დახმარებისათვის მიმართა მაჭახლის ხეობის სოფელ აკრიის მცხოვრებს, გულადობითა და ვაჟკაცობით განთქმულ ქიბარ-აღა ბაირახტაროღლის (მალაყმაძეს) ჩამოსულიყო იმერხევში და დაეცვა ისინი ყაჩაღებისაგან. მალაყმაძემ ერთხანს შორს დაიჭირა ეს თხოვნა, მხოლოდ წერილი მისწერა ყეიდი-ბეგს, მოშორებოდა იმერხევს, მაგრამ ამან არ გასჭრა, ავაზაკი აგრძელებდა ხალხის ძარცვას.

იმერხეველებმა ქიბარ-აღას შესთავაზეს საუკეთესო მიწები, ერთი მათგანი მის შვილს, ემრულას, ქალიშვილის ცოლად შერთვასაც შეჰპირდა და როგორც იქნა, ქიბარ-აღა დაითანხმეს თავის 4 შვილთან ერთად გადასულიყო ქოქლიეთში. მალე ყეიდი-ბეგი და მისი ბანდა მალაყმაძეებმა გაანადგურეს, ქიბარ-აღა იმერხევის ყირ-სარდარად დანიშნეს, ხოლო მისი შვილი ემრულა სახალხო-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მეთაური გახდა. სხვათა შორის იმერხეველების მიმართ ავაზაკთაგან გამოჩენილ ძალადობაზე ერთი საგულისხმო მაგალითი მოჰყავს გიორგი ყაზბეგსაც. მართალია, იგი მოძალადის სახელს არ აღნიშნავს, მაგრამ ჩვენი აზრით ეს სწორედ ყეიდი-ბეგია, რომლის შესახებ ჩვენ მოგვითხრო ემრულა მალაყმაძის ძმის შვილიშვილმა იბრაიმ ბაირახტაროღლი-მალაყმაძემ: „მე მიამბეს , — წერს გიორგი ყაზბეგი, — მეზობელთა თვითნე-

ბობის გულმოსაკლავ შემთხვევაზე, რომელიც შავშელებს გადახ-დათ: სამი წლის წინ იმერხევის სოფელ სურევანში გამოჩნდა მაჭა-ხლელი, შევიდა ერთ სახლში, გამოაგდო იქედან პატრონი და სამი თვე ცხოვრობდა მის ახალგაზრდა ცოლთან და იკვებებოდა მისარ-თმევით, რომელიც სოფლის სხვა მცხოვრებლებს შეაწერა. სურევ-ნელებმა და მუდირმა ვერ შეძლეს თავხედი სტუმრის ალაგმვა".

აქვე, მოგზაური თავად ქიბარ-აღასაც ახასიათებს როგორც სა-სტიკ პიროვნებას. იგი თვითნებობდა, ოფიციალური თუ არაოფიცი-ალური გადასახადებით ავიწროებდა მოსახლეობას, რის გამო სა-კუთარი შვილიც კი განუდგა მას. გ. ყაზბეგის თქმით, ქიბარ-აღა არავის არ სცნობდა და ეშინოდა მხოლოდ ერთი პიროვნებისა, შავშეთის მცხოვრებთა შორის ყველაზე გავლენიანი პირის, სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

ამ პიროვნებაზე ისტორიამ ცოტა რამ იცის, გიორგი ყაზბეგი კი შემდეგს მოგვითხრობს: 1844 წელს კონსტანტინეპოლში განიზრა-ხეს მოეწყოთ რუსეთის საწინააღმდეგო არეულობა ახალციხეში, რათა რუსეთის ჯარის ყურადღება ჩამოეშორებინათ დაღესტანზე, სადაც შამილს ჩაფიქრებული ჰქონდა ანტირუსული საყოველთაო აჯანყება. შამილს საიდუმლო კავშირი ჰქონდა თურქეთთან. მისი აგენტი პირველ რიგში ბეგებს ეახლა, რადგანაც მათ გარეშე ხალხის დარაზმვა შეუძლებელი იყო. თანზიმათის გატარებისა და ახალცი-ხეზე გალაშქრების საბაბით დაიწყეს ხალხის შეგროვება. ეს საქმე აბდი-ბეგ ხიმშიაშვილის ძმას ქორხუსეინს და უფროს შვილს დედე ბეგს დაევალა. ახალციხის მაზრის სამხედრო შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ სეტკოვის 1845 წლის 8 სექტემბრის წერილით ირკვევა, რომ აჭარაში შეგროვდა 4000 კაცი, სათლელის სანჯაყში 2000 კაცი. მათ დაემატათ ფოცხოვისა და ლივანის რაზმები, სულ 10000 კაცი, რომელთა საერთო ხელმძღვანელობა 15 წლის სელიმ-ბეგმა იკისრა.

ამგვარად, შამილზე ხელშეწყობის მიზნით ოსმალეთის ხელი-სუფლებამ ახალციხის არეულობა მოიფიქრა, ხოლო შავშეთ —იმერხევის მოწინავე ბეგებმა ახალციხეში არეულობის საბაბით ოსმალეთის მერ შემოღებული რეკრუტობისა და გადასახადების (თანზიმათის) წინააღმდეგ გაილაშქრეს.

სამწუხაროდ რაზმებს შორის თავი იჩინა შეუთანხმებლო-ბამ, ცუდი იყო შეიარაღებაც, დახმარებაც არ მოვიდა არზრუმი-სა და ტრაპიზონის საფაშოებიდანაც, რის გამო ეს დიდი აჯან-ყება მარცხით დამთავრდა. სელიმბეგმა 300 ერთგული აჭარე-

ლით წეფთის ციხეს შეაფარა თავი, შემდეგ ბათუმისაკენ წამოვიდა, მოელაპარაკა მის კაიმაკამს და ხელისუფლებაზე შესარიგებლად ტრაპიზონს გაემგზავრა, აქედან იგი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ სტამბოლში წავიდა.

მართალია, ახალგაზრდა სელიმბეგის ფათერაკიანმა განზრახვამ შედეგი არ გამოიღო, მაგრამ როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის ხელისუფლებას დიდი თავსატეხი გაუჩინა; ეს ეპიზოდი სამხრეთ საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი საინტერესო ფურცელი, რომელიც დიდი სელიმ-ფაშას შვილიშვილის, სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

შავშეთელთა წარმომავლობასა და მეტყველებაზე, გიორგი ყაზბეგის ერთმა ჩანაწერმა საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნის დურსუნ სურმანიძის ნათქვამი გამახსენა: ერთერთ დანდალოელ ნათესავზე, რომელმაც რაღაც თხოვნა ვერ შეუსრულა, ბუნებით თავშეკავებულმა კაცმა, ველარ მოითმინა და გაბრაზებით თქვა: მაგ თუშს შეეძლო, მაგრამ საქმე არ მომიგვარაო. იმ დროს არ შეიძლებოდა მეკითხა, ნათესავს თუში რატომ უწოდე-მეთქი. შემდგომში მეც მიმავიწყდა და ამის ახსნა-განმარტება ვერ მივიღე. მართლაც სად თუშეთი და სად დანდალო (ქვემო აჭარა), ჭეშმარიტად საქართველოს ორი პოლუსია. გიორგი ყაზბეგის ნაშრომს როცა ვკითხულობთ, ეს ინტერესი კიდევ უფრო იზრდება. „შავშეთის მთელი მოსახლეობა... საოჯახო ყოფაში სუფთა ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე.ი. კავკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა, აქაურ მეტყველებაში ხევსურულ კილოსათვის დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შეხვდებით".

ამ სტრიქონებით გამოწვეული ცნობისმოყვარეობა ნაწილობრივ შეიძლება დაიკმაყოფილოთ მეორე ქართველი მამულიშვილის ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძის) ჩანაწერებით. იგი 1900 წელს მომრიგებელ შუამავლად დანიშნეს მესხეთ-ჯავახეთში, სადაც 5 წელი მუშაობდა. ბევრს მოგზაურობდა და თავისი ყურით გაგონილი და თვალით ნახული საფუძვლად დაუდო წიგნს, რომელსაც „დიდებული მესხეთი" უწოდა. ამ წიგნში, კერძოდ, ვკითხულობთ: „საბალახოთ ცხვრის ფარები ამოჰყავთ არტაანის მთებზე თუშებს, ქიზიყელებსა და დიდთონელებს. სოფელ დიდთონეთს (მანგლისის ახლოს) საკუთარი საბალახო აქვს არტაანის ოლქში. გენერალ პასკევიჩს უწყალობებია ეს საძოვარი დიდთონელებისათვის. დღევანდელამდე, იგი მაგრად უჭირავთ აქაურებს და არავის ანებებენ.

გადარჯულებულ და გადაგვარებულ არტაანს რომ ეწვევიან ხოლმე ზაფხულობით თუშნი და ფშავნი, ქიზიყელნი და დიდთონეთელები, მარტო მაშინ ედება ამ ქვეყანას ცოტაოდენი ელფერი ქართველობისა" (ალექსანდრე ფრონელი. „დიდებული მესხეთი". 1991, გვ. 192—193). ამის წამკითხველს ეჭვი აღარ უნდა შეეპაროს იმაში, რომ „გადარჯულებულ და გადაგვარებულ" მხარეში, სადაც შემოდგომა-ზამთარსა და გაზაფხულზე აღარსად მოისმის ქართული ხმა, მოსახლეობას ინტერესი გამოეჩინა მშობლიური ენისადმი, თანამოძმეთა საუბრისადმი და თუნდაც წელიწადის ერთერთ მშვენიერ დროში, ზაფხულში თავისი უძველესი შავშური კილოს ნაცვლად ხევსურულ-თუშურ კილოზე ამეტყველებულიყო.

ამის დასადასტურებლად გურიის მიმდებარე ჭვანის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაც გამოდგება. ამ მხარის მცხოვრებლებიც საზაფხულო იალაღებზე ყოფნისას ხვდებიან ერთმანეთს. მათ მეტყველებასა და სხვა გართობა-თამაშობებში ბევრ საერთოს ნახავს დაინტერესებული ადამიანი.

სხვათა შორის შავშეთ-იმერხევის მსგავსება საქართველოს ჩრდილო მთიანეთთან იგრძნობა არა მარტო მეტყველებაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაში, შინა მეურნეობაში, რძის დამუშავებაში, კერძების მომზადებაში და ა. შ. ამბობენ, რომ ზაფხულობით ჩამოსული მრავალი თუშ-ფშავ-ხევსური აქაურ გოგო-ბიჭებზე ქორწინდებოდნენო. უფრო მეტიც, გასულ საუკუნეში რამდენიმე ოჯახიც დარჩენილა სამხრეთ საქართველოში საცხოვრებლად.

შავშელთა მეტყველებას ეხება დიდი ქართველი პედაგოგი და მწერალი იაკობ გოგებაშვილი და ამბობს: „შავშელები ლაპარაკობენ, წმინდა ქართულს ენაზედ და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს" (თხზ. ტ. 6. თბ. 1958. გვ. 643).

საქართველოს ამ ორი დაშორიშორებული მხარის მეცხვარეთა ურთიერთობას ჯერ კიდევ პასკევიჩამდე, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო აჭარელ და არაგვისპირელ ხიმშიაშვილთა ნათესაობამაც. ამ ფაქტს ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძე, რომლის თქმით, აჭარის მებატონეები: აბდულ ხიმშიაშვილი, მისი შვილი სელიმი, შვილიშვილი ახმედი, დიდ მფარველობას უწევდნენ ფშავ-ხევსურ

მეცხვარეებს. „ახმედ-ბეგი ქართველი მთიელი ხალხის დიდი მფარველი იყო. იგი მათ ისე იცავდა, რომ მთიელთ არსიანის და ჩირუხის საძოვარს მთებზედ მთელს ზაფხულშიც ერთი ცხვარი არ ეკარგებოდათ“ (ისტორია ოსმალთა ყოფილი საქართველოსი, თბ. 1927, გვ. 188-189).

საყურადღებოა, რომ მწყემსის სახელით აჭარა-შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში ჩამოდიოდა დიდი ვაჟა-ფშაველაც. ამ საკითხზე ჩვენი ვარაუდები გამოვაქვეყნეთ წიგნში „დაუვიწყარი სახეები“ (ბათუმი, 1969 წ.), ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

გიორგი ყაზბეგი მოგზაურობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქრისტიანულ ოჯახებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყვნენ თურქეთის საქართველოში. მას აღწერილი აქვს ხუთი რუსული, აგრეთვე პარხალელი მღვდელის ღებრაძის ოჯახები, მოხსენიებული აქვს ოქრობაგეთში მცხოვრები გურული ქალები, რომლებიც ქრისტიანული აღმსარებლობის გარდა იცავდნენ ეკლესია-მონასტრებს.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოგზაურის თანმხლები და გზადაგზა შემხვედრი მრავალი პირის ვინაობა ჩვენთვის უცნობი დარჩა, რადგანაც ავტორი მათ ინიციალებით აღნიშნავს.ასე მაგალითად, ვერ დავადგინეთ ვინაა „ი“, „იმერხევის ბეგის შვილი“, „ლივანის ახალგაზრდა ბეგი“, „შერიფ-ბეგი აჭარელის პლემიანნიკი“, „სხალთის უკანასკნელი ეპისკოპოსი“, „ი.ი. ს.“ , „ხოფელი ბ-ძე“ და „გავლენიანი მცხოვრები“, „ე“, ბათუმელი „ო.შ.“და ა.შ.

ამასთან ერთად მოგზაური ზუსტად ასახელებს ზოგიერთი მცხოვრების გვარებს, რითაც საშუალება გვეძლევა გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ თურქეთის საქართველოში მცხოვრები ქართველების ვინაობასა და წარმომავლობაზე. ესენი არიან: ხიმშიაშვილების და ათაბაგების მთელი დინასტიები, ზემოთ დასახელებული ქიბარ-აღა მაჭახლელი, ოსმან-აღა მიქელაძე, არტანუჯელი ავალიშვილები, ვიწელი ემინბეგ ხაჯიშაინოღლი და თოფჩიოღლი, ხოფელი შახბენდერი, არჰაველი ჟორდანოღლი, კაპისტრელი ქიბარ-აღა, ათინელი ბაცაოღლი, პარხალელი მართლმადიდებელი მღვდელი ღებრაძე, კავკასიძეები და სხვ.

ცალკე ყურადღების ღირსია ხოჯაშაინოღლების გვარი: მისი ისტორია გიორგი ყაზბეგსაც ვრცლად აქვს აღწერილი. გარდა ამისა ამ გვარის უშუალო შთამომავალნი ახლაც ცხოვრობენ ტრაპიზონში და ხოჯაშაინიშვილების გვარს ატარებენ.

ვიწეში მოგზაურები სწორედ ემინ-ბეგ ხოჯაშაინოღლის სახლში გაჩერებულან. ემინ-ბეგს ისინი ძალზე გულთბილად მიუღია და შემდეგ პონტოს ქედზე მძიმე მგზავრობაში დახმარებია. ამ სახლში დაწვრილებით მოუყოლიათ მათი გვარის ისტორია, რომელიც 1614 წლიდან იწყება.

გიორგი ყაზბეგი ნიჭიერი პუბლიცისტის ხერხებით აბათილებს იმდროინდელ საისტორიო წყაროებში დამკვიდრებულ ზღაპრებს ლაზების ჩამორჩენილობისა და ნახევრად ველურობის შესახებ: „სანაპიროს ლაზების ტანადობა პირველი ნაბიჯებიდანვე თვალში საცემია. გონებრივმა განვითარებამ და გარეგნულმა ელვარებამ გაგვაოცვიფრა... უნებურად თავს ვეკითხებოდით: სადღა არიან ის კაციჭამიები, რომელსაც ევროპა ლაზების შესახებ მოგვითხრობს?"

მოგზაური განცვიფრებულია ლაზი ქალების გარეგნობით, შრომისმოყვარეობითა და სიმამაცით: „თავზე მოხვეული მსუბუქი საჩრდილობელის ქვეშ, უმეტესი ნაწილის ცნობისმოყვარე თვალები ჩვენსკენ იცქირებოდნენ. ზოგჯერ უნებურად მთელი სახე იხსნებოდა და ადვილად ვამჩნევდით, რომ ქალები აქ ძალზე ლამაზები და მოხდენილები არიან. ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი სახე აქვთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლაზი ქალები გამოირჩევიან არაჩვეულებრივი ენერგიით, სიმამაცითა და ხასიათის სიმტკიცით. აქაური ქალების ეს თვისებები ძველთაგანვე შეამჩნიეს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ თქმულებით შექმნა ევროპამ ლეგენდა კავკასიელ ამაზონკებზე".

როგორც გიორგი ყაზბეგის ჩანაწერებით ვრწმუნდებით, მან ვერ შეძლო მოენახულებინა გონიო და ქალაქი ბათუმი. სადაც მას მაშინდელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები ელოდნენ. ეს მოგზაურობის მართლაც დიდი ხარვეზი იყო, რადგანაც იბრაიმ და ხუსეინ აბაშიძეებთან შეხვედრა ძალზე ბევრს შესძენდა მოგზაურებს და კიდევ უფრო გაამდიდრებდა ჩანაწერებს. აქვე ვიტყვით, რომ ბათუმელ აბაშიძეებთან გიორგი ყაზბეგს და გრიგოლ გურიელს ყოველთვის ჰქონდათ

მჭიდრო ურთიერთობა. ეს კავშირი განსაკუთრებით გაძლიერდა გიორგი ყაზბეგის სამხედრო სამსახურიდან გასვლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ დანიშვნისა და მემედ-ბეგ აბაშიძის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ.

გიორგი ყაზბეგის მრავალწახნაგოვან ნაშრომს სამართლიანად აქვს ფიზიკური, ეკონომიკური და ისტორიული გეოგრაფიის პრეტენზია. დღეს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის გაფართოების არნახული მასშტაბების დროს, ამ ნაშრომის მრავალმხრივი შეფასება შეიძლება, მაგრამ შეგნებულად ვიკავებთ თავს. რაც ითქვა, ამით ვკმაყოფილდებით , დანარჩენი მკითხველზე მიგვინდვია. დარწმუნებული ვართ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, მრავალ საინტერესო მასალას გაეცნობა, თავისებურად შეაფასებს და კმაყოფილი დარჩება.

**რამაზ სურმანიძე**



სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა ოჯახი
მარცხნიდან: იბრაიმი (უმცროსი), ხასანი (მემედის ძმა),
ზია, ხუსეინი, რიზა, მემედი, მამუდი
1921წ.

# სამი თვე თურქეთის საქართველოში

1874 წლის გაზაფხულზე ვისარგებლე ხელსაყრელი შემთხვევით და თურქეთის საქართველოში ვიმოგზაურე. ჩემი მარშრუტი აბასთუმნიდან იწყებოდა და ჩვენს სასაზღვრო სოფელ დერცელზე გავლით ქვაბლიან-ჩაის ხეობაში მიემართებოდა, იქიდან კი — ზემო აჭარაში. თურქეთის ამ პროვინციაში დიდხანს არ გავჩერებულვართ, სხალთის ხეობით გავემართეთ შავშეთში, საიდანაც ართანუჯისა და ართვინის გავლით გადავედით ლაზისტანში. ამ მოკლე ცნობებიდან ჩანს, რომ შევძელით ჩავსულიყავით თურქეთის საქართველოს იმ კუთხეებში, რომლებიც ჩვენს რუკებზე ან სულ არაა აღნიშნული, ანდა მხოლოდ ზოგადადაა მოცემული. ამ მხარეში ჩვენს მიერ ნახული მრავალი კუთხის შესახებ ევროპამ არაფერი იცის, სხვათა შესახებ კი მხოლოდ სტრაბონის და არიანეს მონათხრობს იმეორებს. გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, რომ თურქეთის საქართველოს ზოგიერთი ნაწილის, მაგალითად, შავშეთის, ან მთიანი ლაზისტანის შესახებ უფრო ცოტა იცის, ვიდრე შიდა აფრიკაზე.

აქედან გამომდინარე, რა ღარიბიც არ უნდა იყოს ის მასალა, რომელსაც მკითხველი ამ დღიურებში ნახავს, იგი მაინც თავისი სიახლით არის საინტერესო. ამ ინტერესს აძლიერებს ჭოროხის აუზის ისტორიული მნიშვნელობა წარსულში და, რაც მთავარია, ის როლი, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს მომავალში.

აზიის თურქეთში მოგზაურობა არცთუ ისე უხიფათოა, განსაკუთრებით რუსეთის მოსაზღვრე ადგილებში, და თანაც რუსებისათვის. ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება. ამიტომაც მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი ცდას — ჩაიწეროს ან ჩაიხატოს რამე, წინ ათასგვარი დაბრკოლება ეღობება.

მეცნიერების ინტერესები გაუგებარია არა მარტო ხალხისათვის, არამედ თურქეთის მთავრობისათვისაც. ამიტომ ქვეყნის ასაწერად მასალების აშკარა და სისტემატური შეგროვება ჯერჯერობით შეუძლებელია. ერთადერთი გამოსავალია ნახულის და გაგონილის დამახსოვრება ანდა, უკეთეს შემთხვევაში, შთაბეჭდილების სიტყვადაუმთავრებელი ჩაწერა.

ქვეყნის შესწავლის ამგვარი პირობების გამო, თურქეთის საქართველოს აღწერა მკითხველს შეგვიძლია შევთავაზოთ მხოლოდ დღიურების სახით,რომელშიც თავმოყრილია ფაქტები, შეკრებილი ადგილზე, ბუსოლის, ანეროიდისა და თერმომეტრის საშუალებით. ადგილთა სიმაღლე გამოთვლილია ბ-ნ ოვერინის მიერ ჩემი დაკვირვებების საფუძველზე, მანვე იკისრა მოგზაურობის დროს შეგროვილ მცენარეთა სახეობების გარკვევა. ჩემს მიერ ჩამოტანილი მინერალური წყლების სინჯის თვისობრივი ანალიზი ეკუთვნის მედიცინის დოქტორს ი.ი. მალინინს.

ბიბლიოგრაფიული მითითებანი გაკეთებულია მოგზაურობის დამთავრების შემდეგ თბილისში.

1874 წლის 10 ოქტომბერი
თბილისი

# I

## ზემო აჭარა

... სოფელ დერცელიდან გამოვედით 22 მაისს, დილით. სტუმართმოყვარე მასპინძელმა გზა დაგვილოცა და საგზალიც ბლომად გამოგვატანა. სულ ვიყავით შვიდი ცხენოსანი და ათი ქვეითი, სამი ცხენით ტვირთი მიგვქონდა. ჩვენი ქარავანი გადავიდა მდინარე ქვაბლიან-ჩაიზე და შეუდგა ქვაბისჯვრის ეკლესიის ნანგრევების პირდაპირ მდებარე ტყით დაფარული მთის ციცაბო ფერდობებს.

დერცელიდან თურქეთისაკენ ორი გზა მიდის: ერთი პურიეთის საგუშაგოზე, ხოლო მეორე ქვაბისჯვარზე გაელით. ამათგან პირველი უფრო მოხერხებულია, რადგან ნაკლები დაქანება აქვს; ისე კი, ორივე ცუდი სასაპალნე ბილიკია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნიადაგი ყველგან ქვიშიანია, ქვენიადაგი კი — თიხაქვიშიანი . ჩვენ წავედით დასახელებულ გზებს შუა გამავალი ბილიკით, რომლითაც მდინარე ქვაბლიანში[1] მორები ჩააქვთ. ეს გზა მეტად ციცაბო და ცუდია, თანაც, ჩვენდა საუბედუროდ, ალაგ-ალაგ ჩახერგილი იყო მორებით. დიდი გაჭირვებით მივიწევდით ამ შემთხვევით ხერგილებზე, და შუა გზაზე ორ საათს ველოდებოდით ჩამორჩენილ საპალნეებს. ამ მიდამოებს რომ გადახედავ, უნებურად გაგონდება იჩკერის ტყეებში ორცხობილების ამარად დარჩენილი რაზმის ლაშქრობის ამბები... მაგრამ, იშალა! უკვე ახლო ვართ მთის მწვერვალთან. ტყე, რომელიც მეტწილად წიწვოვანია, თხელდება, ფიჭვი და ნაძვი თან-

1 ჩვეულებრივ, მოჭრილ ხეს მორებად აჭცევენ და წყალს მიანდობენ, მორებს დანიშნულების ადგილას იჭერენ. პატრიარქალური, მაგრამ ადგილობრივი პირობებისათვის საუკეთესო საშუალებით ამარაგებენ შეშით ახალციხეს აბასთუმნის და ქვაბლიანის ხეობებიდან.

დათან ტანმორჩილი ხდება, ჩნდება ალპური ფლორის ნიშნები, და აი, შავი ზღვის დონიდან 6.900 ფუტზე[2] ტყე თავდება. შემდეგ იწყება მდელო. აქ ჩვენი გზა უერთდება პურიეთის საგუშაგოდან მომავალ გზას, შემდეგ მიემართება თხემზე, რომელიც სამხრეთისაკენ მიდის და სხვა თხემებს უერთდება. დავბანაკდით ჩვენს სახელმწიფო საზღვართან,რომელიც დაუდევრად დაყრილი ბოძებით არის აღნიშნული. ჩვენგან ერთ ვერსზე, შესანიშნავ მწვანე მდელოზე, გაშლილი იყო სოფელ მოხეს იაილა[3]. დაუბერა სამხრეთ-დასავლეთის ძლიერმა ქარმა. ქარავანი მყუდრო ალაგას დავტოვეთ და მე და ი... გავემართეთ მახლობელი მწვერვალისაკენ; თვალწინ, ჩრდილოეთისაკენ, გადაგვეშალა კედლად აღმართული აჭარის მთების შესანიშნავი ხედი. მწვერვალები თოვლით იყო დაფარული. ქედი წააგავდა ოდნავ დაკბილულ კედელს. სიმაღლით არც ერთი მწვერვალი არ გამოირჩევა. მთები — შავნაბადა, გომისციხე, ნასაყდრალი და სხვები თითქმის მეზობელი მთების სიმაღლისა ჩანდნენ. ფეხქვეშ ქვაბლიანის ხევია, რომლის მარჯვენა ნაპირი ებჯინება არსიანის ქედს. ერთ-ერთი მწვერვალიდან გადავხედეთ მიდამოს, რათა ნათელი წარმოდგენა გვქონოდა ამ ქედზე, მაგრამ, ვაგლახ! ყველა ცდა ამაოა. ყოველი მხრიდან გვაკრავს მთები, რომლებიც ზოგან შეკრულია, ზოგან კი გარღვეული ღრმა ხევებით. ამ ქაოსურ უწესრიგობაში მხოლოდ ისაა უეჭველი, რომ აქ მთები ყველა ერთგვარია და ერთი ადგილიდან დაკვირვებით შეუძლია მათი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა.

12 საათსა და 30 წუთზე ბანაკი ავშალეთ; გზა სამხრეთისაკენ მიემართებოდა იმ ქედზე, რომელიც აღმოსავლეთიდან ეკვრის ერცლად გაშლილ ტერიტორიას, მცხოვრებთა მიერ მრგვალმინდვრად წოდებულს. ქედი თანდათან მაღლა მიიწევდა და სასაზღვრო სვეტთან 7.450 ფუტს მიაღწია შავი ზღვის დონიდან. აქედან გზა თავქვე ეშვება აჭარის უახლოეს სოფელ ღორჯომისაკენ. ქედის მიმართულება თანდათან ნათელი ხდება. მრგვალმინდორი ახლა ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე, იგი დაახლოებით 3—5 კვადრატული ვერსია და ქვაბლიან-ჩაის კალაპოტისაკენ ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით ეშვება. აქ თითქმის ჩვენს თვალწინ გაშლილია ღორჯომელთა ორი იაილა. შორს კი ქვაბლიან-ჩაის მარცხენა ნაპი-

2 ფუტი - 30,47 სმ. - რედ.

3 იაილას უწოდებენ საზაფხულო სადგომს, სადაც ამზადებენ რძის ნაწარმის მარაგს ზამთრისათვის. ყიშლაღი ჰქვია პირუტყვის ზამთრის სადგომს.

რზე, მოჩანს კიდევ ორი იაილა. ის ადგილი, სადაც ეს იაილები მდებარეობს ჩუდლაურად[4] იწოდება.

მიუხედავად სიცივისა და თოვლისა, რომელიც აქა-იქ, ჩავარდნილ ადგილებში იდო, რგვალმინდორი და ჩუდლაური მწვანედ ბიბინებდა. აქვე აჭარელთა ნახირი ძოვდა. ჩვენს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოჩანდა ვრცელი ხედი ერთმანეთზე აჩონჩხილი ქედებისა, რომელთა მწვერვალების უმრავლესობა თოვლითაა დაფარული. განსაკუთრებით რელიეფურად გამოკვეთილა კარჩხალის მთები. ისინი როგორც ჩანს, სხვებზე მაღალია; ჰორიზონტი ნისლით იყო დაფარული ისე, რომ ვერ დავინახეთ ვერც სონუმლიის მთა, ვერც ხინო, ზღვა კი კარგ ამინდშიც არ ჩანს.

ჩვენი შემდგომი გზა მიდიოდა არსიანის მთების ერთ-ერთი განშტოების თხემზე. ეს განშტოებაც თანდათან ქვევით ეშვება და აღმოსავლეთიდან გარს უვლის ღორჯომის ქვაბულს. პირველად შეგვხდა კავკასიური როდოდენდრონი, შემდეგ 6.500 ფუტის სიმაღლეზე, იწყება მეჩხერი და დაბალტანიანი წიწვიანი ტყე, რომელსაც აქა-იქ ჯუჯა არყებიც გარევია.

ნაშუადღევის 5 საათზე დავინახეთ სოფელ ღორჯომის ცალკეული სახლები. ქარი ჩადგა, მზემ დაგვათბო და უფრო სწრაფად გავწიეთ წინ. შორიდან გვეჩვენებოდა, თითქოს ქვევით სხვა ქვეყანა იყო; სიმწვანე, სახნავ-სათესები და,რაც მთავარია, — ვაკე მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ჩვენი გზის მკაცრ პირობებთან შედარებით. ის ქედი, რომელსაც ჩვენ მივყვებოდით, სოფლიდან 5 ვერსის დაშორებით ერთბაშად მთავრდება და ქვევით ჩასასვლელად საჭიროა სამი გრძელი ზიგზაგის გავლა. ამ ზიგზაგებს შორის გადაშლილია შესანიშნავი ვრცელი მინდორი, სადაც სათიბებიც არის. წყალი ბევრია, ყოველ ნაბიჯზე წყაროები გვხვდება.

7 საათზე მივაღწიეთ ჩვენი ღორჯომელი მასპინძლის — ოსმან-აღა მიქელაძის სახლს.

ღორჯომში ორი დღე დავყავით, მთელი ჩვენი ყურადღება ახალმა ქვეყანამ და ახალმა ხალხმა შთანთქა. აქ საქმეს გამონახავს სწავლული მოგზაურიც და უბრალო ტურისტიც.

სოფელი ღორჯომი მდებარეობს მოედანზე, რომელიც საყველაფერდისა და რგვალმინდვრის ქედების განშტოებათა შორის არის მოქცეული ქვაბულის მსგავსად. ორივე ეს ქედი არსიანის მთების სისტემას ეკუთვნის.

---

4 უნდა იყოს ჩუდურაული — რედ.

სოფლის ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 5 ვერსია; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კი — 3 ვერსი.ეს ვრცელი ტერიტორია უკავია ჯგუფ-ჯგუფად გაშენებულ სახლებს, მათ შორის მანძილი დაახლოებით ნახევარი ვერსი იქნება. სახლების ყოველ ჯგუფს თავისი სახელი აქვს მცხოვრებთა გვარის მიხედვით. ამრიგად, როგორც აღმოჩნდა, აქ არაა სოფელი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ არის მხოლოდ თემი, რომელსაც ღორჯომს უწოდებენ. სახლების ცალკეულ ჯგუფებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ადმინისტრაცია და, რაც მთავარია, — ჯამე (მეჩეთი). სოფლის მმართველობა მეჯლისის ხელშია (სასამართლო, საბჭო), რომელსაც ყადი თავმჯდომარეობს, და შედგება რამდენიმე არჩეული პირისაგან. კვირაში ერთხელ (პარასკეობით) მართლმორწმუნენი მეჩეთში იკრიბებიან, სადაც ლოცვის შემდეგ მეჯლისი არჩევს მცხოვრებთა საჩივარს. სოფლის მეჯლისი აქაური ადგილობრივი ადმინისტრაციის უმდაბლესი ინსტანციაა; შემდეგაა სასამართლო და მუდირის[5] მმართველობა (ხულოში),[6] მას მისდევს — სასამართლო და კაიმაკამის[7] მმართველობა (ქედაში), დაბოლოს, მუთესარიფი[8] (ბათუმში).

ამგვარად, აჭარაში მოსახლეობის აღწერის ძირითადი ერთეულია თემი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჯამე. ღორჯომის თემში 300 კომლია, საშუალოდ 6—7 სული თითოეულში, ე.ი. სულ 1800—2100 სული ორივე სქესისა.

ეკონომიური თვალსაზრისით ღორჯომის მდებარეობა ყოველგვარ პირობებს ქმნის უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. ყოველ ოჯახს ახლოს აქვს სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი და ტყე. აქედან ჩანს, რას საქმიანობენ ღორჯომის მცხოვრებნი: მათი მეურნეობის ძირითადი დარგია მეცხოველეობა. შეძლებულ ოჯახს ოცი-ოცდაათი მეწველი ძროხა ჰყავს, რამდენიმე უღელი ხარი და შედარებით ნაკლები ცხვარი (20—25 სული), მდელოებისა და საძოვრების სიუხვის გამო მთავარი სიმდიდრეა მსხვილი რქოსანი პირუტყვი, წელს ღორჯომის მცხოვრებლებმა ერთ გაყიდვაზე გაყიდეს 100-მდე მსხვილი რქოსანი პირუტყვი. ამით მათ სარძევე მეურნეობას არაფერი

5. თანამსაჯულის ან ბოქაულის მსგავსი.
6. ასე იწოდებოდა ხულო წინათ (ტექსტში ყველგან ხულაა) — რედ.
7. ჩვენი სამაზრო უფროსის მსგავსი.
8. გუბერნატორი.

დაჰკლებია. საქონელს თითქმის მთლიანად ყიდულობენ ოზურგეთში განლაგებული ჯარის მოიჯარადრეები.

სოფლის მეურნეობის მეორე დარგი — მეცხენეობა აქ არ არსებობს, მიუხედავად ამისა, ყოველ კომლს ჰყავს ერთი პაპალნე ცხენი მაინც. მეტწილად ჰყიდულობენ ორი წლის კვიცს არდაგანის მიდამოებში მცხოვრები ქურთებისაგან და შემდეგ სახლში ზრდიან. ცხენს ტვირთის საზიდავად იყენებენ, საჯდომი ცხენი თითქმის არ ჰყავთ.

შედარებით უმნიშვნელოა მიწათმოქმედება, ამიტომაც მარცვლეულით არ ვაჭრობენ. პურეულიდან უმთავრესად თესენ სიმინდს, ცოტა ქერსა და ხორბალსაც. ამჯობინებენ სიმინდს, რადგან იგი უფრო მოსავლიანია. მოსახლეობის ჩვეულებრივი საკვებია მჭადი.

მინდვრები მეტად გულმოდგინედაა დამუშავებული. სათიბები თითქმის ყველგან შემოკავებულია ხის მესერით, ან ტყის სიუხვის წყალობით, ძელური ღობით.

ღორჯომის ღირშესანიშნაობათაგან უნდა მოვიხსენიოთ გოგირდტუტოვანი წყარო, რომელიც გამოდის ფიქალოვანი კლდიდან და ღრმა ხევში მიედინება. წყლის ტემპერატურა ჩვეულებრივ 20°R აღწევს, მაგრამ ამბობენ, რომ ზამთარში იგი უფრო ცხელია, და მაშინ მსუბუქი გოგირდოვანი სუნი და მომწარო გემო უფრო შესამჩნევიაო. იმ მტკნარი ღელის ტემპერატურა, რომელსაც ეს წყარო ერთვის, 8° აღწევს. ამ თბილი წყაროს წყალი პატარა ღარით ჩადის ორმოში, სადაც ჩვეულებრივ, აქაური ქალები ბანაობენ.

წყაროს სამკურნალო თვისებებზე მოსახლეობამ ბევრი არაფერი იცის.

მეორე ღირშესანიშნაობაა ეკლესიის ნანგრევები. მაგრამ მის შესახებ არ ღირს სიტყვის გაგრძელება, რადგან აქ მხოლოდ ქვების გროვა და ორი გვერდითი კედლის უბადრუკი ნაშთი შემორჩენილა. მაღლობს, რომელზედაც ეს ნანგრევია, ნასაყდრალს ეძახიან.

აქ არ შემონახულა არავითარი წარწერა, არც რაიმე თქმულება ამ ეკლესიის წარსულის შესახებ.

ამბობენ მხოლოდ, რომ ეს ქრისტიანული ტაძარია, რაც ახალს არაფერს მატებს ჩვენს ცნობებს ღორჯომის წარსულზე.

ახლა ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ თვით ღორჯომის მცხოვრებთა შესახებ, მაგრამ ამ საკითხს ჯერჯერობით გადავდებ, ვიდრე მთლიანად მიმოვიხილავდე ზემო აჭარას.

სოფელ ღორჯომიდან ხულოსაკენ გავემგზავრეთ 26 მაისს. გზა ძალზე ცუდია; გზაში ხუთ საათს ვიყავით, თუმცა მანძილი სულ

რაღაც 15 ვერსია. დალმართი ჩვენი ლორჯომელი მასპინძლის სახლთან იწყება. ლორჯომის ქვაბულიდან გასვლამდე რბილ გზას მივყვებოდით, სამჯერ გადავედით ნაკადულზე და რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო ვიჭრებოდით ღრმა ხევში, რომელსაც მეტად მჭიდროდ ეკვრიან გარშემო მდებარე მთები.

ლორჯომის ქვაბულის ცალკეული წყაროები სოფლის ცენტრიდან დაახლოებით სამ ვერსზე ერთდებიან ერთ ახმაურებულ მდინარედ და გზას იკაფავენ ლორჯომის ქვაბულის ციცაბო კედლებს შორის. აქედან ეს მდინარე მახლობლად მდებარე 120-კომლიანი სოფლის — დიდაჭარის სახელს ატარებს. მდინარეს დიდი ვარდნა აქვს, ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ გვხვდება ლორჯომიდან ერთი საათის სავალზე ვენახი. მცენარეულობა ყოველ ნაბიჯზე იცვლება. სოფელ დიდაჭარაში მსხალს და ალუბალს უკვე გამოელო ნაყოფი, მაშინ, როცა ლორჯომში მსხალი ჯერ კიდევ ყვაოდა. გზაზე გვხვდებოდა შუა ზონის ტყისთვის დამახასიათებელ მცენარეთა ყველა ჯიში. წყავი, სურო და მაყვალი ზედ ეხვევიან არყს, ტირიფს და კაკლის ხეს, რომელნიც გზად ყველგან გვხვდება. ყანები ისევე, როგორც ლორჯომში, აქაც კარგადაა დამუშავებული. თუ ლორჯომში ყოველ ნაბიჯზე იყო გარეულ ჯიშებზე დამყნობილი მსხლის ხე, აქ უკვე ხშირია მოზრდილი კაკლისტოლა ნაყოფით დახუნძული უზარმაზარი ჩრდილოვანი ხეები.

სოფელი დიდაჭარა ბაღებშია ჩაფლული, ძლივს თუ დაინახავთ აქა-იქ ამოშვერილ სახლებს; სამაგიეროდ გზა უფრო და უფრო უხეირო და ქვიანი ხდება, განსაკუთრებით ცუდია დალმართი სოფლიდან მდინარემდე, რომელიც გზის ქვემოთ 700 ფუტის სიღრმეზე მიედინება. გზა კლდეშია გაჭრილი, სადაც ჩვენ შევამჩნიეთ მეტამორფული ფიქლების უზარმაზარი ფენები. ეს გზა გაიყვანა მცხოვრებთა გამოუცდელმა ხელმა. რა საშინელია იგი! ცხენმა უნდა გადააბიჯოს ფუთიან ქვებს, ახორგილს ორი ნაბიჯის სიფართე გზაზე, რომელიც თან მეტად დაქანებულია და ღრმა უფსკრულის პირას მიემართება. ქვემოთ, სოფელ პაქსაძეების გასწვრივ, მდ. დიდაჭარას შეერთვის მოზრდილი ნაკადი, რომელსაც ბელლეთისწყალს უწოდებენ. ეს მდინარე მიედინება არსიანის ქედის ორ განშტოებას შორის მდებარე ვიწრო კალაპოტში, რომელიც სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება. მდინარის ორივე მხარეს, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, ერთმანეთს უწესრიგოდ მისდევს კარმიდამოები, რომელნიც სამ მრევლს შეადგენენ: დანისპარაულს, ბელლეთსა და პაქსაძეებს. ეს კარმიდამოები ისევე, როგორც ლორჯომში, სახელს მცხოვრებთა გვარის მიხედვით ატარებენ. გამყოლთა თქმით, მდინა-

რის შესართავიდან სოფელ დანისპარაულამდე 3 საათის სავალი თუ იქნება. ხულოდან ხუთიოდე ვერსზე დავბანაკდით ბობოქარ დიდაჭარისწყლის ნაპირზე. ამ ადგილას მდინარის მარჯვენა შენაკადია დიაკონიძისწყალი, რომელზედაც გადებულია ძველათ ნაგები ქვის ხიდი; აქ ღორჯომთან შედარებით 2.300 ფუტით დაბლა ვიყავით. მაშასადამე, ყოველ ვერსზე 30 საჟენით ვეშვებოდით.

ხიდიდან, რომელმაც სახელწოდება სოფელთან ერთად მიიღო ქრისტიანობის დროს აქ მცხოვრებ ვინმე დიაკვნისაგან, იწყება აღმართი; ეს უკვე ხულოს, ზემო აჭარის დედაქალაქის, ტერიტორიაა. მდინარის კალაპოტი ჩაჭედილია პლუტონური წარმოშობის მასივთა შორის, ქაფმოდებული წყალი კასკადებად ხტის საფეხურიდან საფეხურზე. ხიდის მახლობლად, მდინარის მარცხენა ნაპირზე, აღმართულია მაღალი კლდე, რომელსაც თავისი გრანიტული ჩონჩხი გამოუჩენია; კლდის ფერდობზე აქა-იქ გადმოკიდებულა ფიჭვი და რცხილა. გამყოლები გვარწმუნებდნენ, რომ კლდეში გაბურღულია ნახვრეტი, რომელზედაც წინათ გემებს აბამდნენო. ზღაპარი, თითქო ამ ადგილში ზღვა იყო, ახალი არაა. დერცელში მიამბეს სურების მთებში 8.000 ფუტის სიმაღლეზე არსებულ ასეთ გემმისადგომებზე. დაბოლოს, ასეთსავე ბუნებრივ ლუზას იხსენიებს მხითარისტი ვართაპეტ ბრჟიშკიანი[9].

ხულომდე მთელი საათი ვიარეთ აღმართზე, და ბოლოს მივაღწიეთ იქაური ბეგის სამყოფელს. მასპინძელმა და მუდირმა გულღიად მიგვიღეს. ბეგის დიდი ხნის სახლი წააგავს აქაურების სხვა სახლებს, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მეტი ოთახები აქვს. ჩვენ მოგვათავსეს საყონაღოში, მთავარი შენობის ფლიგელში. შენობა, რომელშიც ბეგის ოჯახი ცხოვრობს, საყონაღოდან სულ ორიოდე ნაბიჯზეა, მას უფრო რიგიანი შესახედაობა აქვს და კრამიტითაა გადახურული.

ეს თავისებური სასახლე გარემოცულია მუსლიმანური სამყაროს ბატონთათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით; აქვე ახლოა მეჩეთი — დიდი კვადრატული ნაგებობა, აშენებული ძველი ქრისტიანული ეკლესიის საძირკველზე. მეჩეთის მახლობლად არის მედრესე და დიდი გადახურული აუზი, სადაც მართლმორწმუნე ქართველები იკრიბებიან და დარბაისლურ მასლაათში ატარებენ

9 პონტოს ისტორია, ვენეცია, 1819 წ. (სომხურ ენაზე).

დროს. მედრესესთან არსებულ სკოლას უკავია დიდი, მეტად ჭუჭყიანი და ძველი ხის შენობა, რომელსაც შუაზე ტალანი ჰყოფს. აქეთ-იქით ოთახებია, რომელთა უმრავლესობას ბოქლომი ადევს — ესაა მოლა-მასწავლებლების ოთახები. ყოველ მოლას თავისი საკლასო ოთახი აქვს და თავისი მოწაფეები ჰყავს. ჩვენამდე აღწევდა ყურანიდან წრიპინა ხმებით ამოკითხული „სოტები". კლასებში არ შევსულვართ, მაგრამ ცნობების მიხედვით აღმოჩნდა, რომ გაზაფხულზე და ზაფხულში მოსწავლეთა რიცხვი 20-ს არ აღემატება, ზამთარში კი 50—60 ბიჭი დადის. აუზის მახლობლად, მეჩეთის გვერდით, დგას გრძელი ხის შენობა რამდენიმე განყოფილებით — ეს აქაური მაღაზიებია. ჩვენ ყველა მათგანში შევიარეთ, ვთხოვეთ ეჩვენებინათ საქონელი, ველაპარაკეთ მედუქნეებს, და აი, ჩვენი ძიების შედეგები: სულ 7 დუქანია, ამათგან 4 ეკუთვნის არდაგანელ სომხებს, 3 კი ტრაპეზუნდელ ბერძნებს. აქაც არ ღალატობენ-მეთქი ქართველები თავის თავს, გავიფიქრე მე, ვაჭრობა მათი საქმე არაა! სომხები ვაჭრობენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭირო წვრილმანებით: დამასკოდან შემოტანილი თეთრი და მაგარი საპნით, სტეარინის სანთლით, პატარა დანებით, მაკრატლებით, სარკეებით, ფისტონებით და ფრანგული წარმოების იაფი წვრილმანით. ბერძნები ჰყიდიან სხვადასხვანაირ ფართლეულს აქაური კეკლუცებისათვის. ყველა საუკეთესო ქსოვილი დამზადებულია ინგლისში, რომელიც თურმე შორეულ აჭარასაც კი ამარაგებს იაფი ჩითით და აქაური გემოვნებისათვის შესაფერისი შალეულით. რუსულ საქონელს ამ ბაზარზე ვერ ნახავთ, მხოლოდ ერთ სომხის (თერძის) დუქანში შევხვდით გურული წარმოების მაუდს და ბანქოს გაზინთულ დასტას. თამბაქოს სპეციალური დუქნები არ არის; აქ მას აშკარად არ ჰყიდიან, რადგან რამდენიმე ხნის წინ თურქეთში შემოიღეს აქციზი და სვეკეთილ ხულოელ ვაჭრებს ჯერ არ აქვთ ბანდეროლები, მაგრამ ხულოში მაინც შეიძლება ქვემო აჭარიდან შემოტანილი თამბაქოს ყიდვა, სადაც წლევანდლამდე ამ მცენარეს საკმაოდ ბევრს თესდნენ. ამბობენ ქვემო აჭარის მცხოვრებნი ისე დააშინა აქციზმა, რომ თამბაქო სულ არ დაუთესიათ. საერთოდ, აქაური თამბაქო მეტად მდარეა.

აბრეშუმის ქსოვილები მხოლოდ ბერძნების სავაჭროში ვნახეთ — ეს უმთავრესად ჭრელი ქამრებია; ვაჭარმა ამ ქსოვილს დამასკური უწოდა და ერთი დრამა (ერთ გირვანქაში 133 დრამაა) სამ ყურუშად დაგვიფასა. ქსოვილი არ იყო ღირსებას მოკლებული.

მედრესეს გვერდით ბეგის ოჯახის წევრები მარხია. საფლავებზე თლილი ქვის ძეგლები დგას და ვარდის ხშირი ბუჩქებითაა დაფარული. საფლავს გარშემო არტყია ქვის კედელი, რომელშიც რიკულე-

ბიანი ფანჯრებია დატანებული. სოფლის ქვემოთ, მინდორზე ბეგის ძველი სახლის ნანგრევებია. ეს სახლი გენერალ ოსტენ-საკენს დაუწვავს 1829 წელს; დაბლობზე, ამ შენობათა ირგვლივ მოფენილია სამ უბნად დასახლებული რამდენიმე ათეული სახლი (120 კომლი), რომელიც ხულოს თემს შეადგენს. ხულოში ორ დღეს დავყავით. გავიცანით შერიფ-ბეგ-აჭარლის ვაჟიშვილი და აქაური მუდირი. ჩვენ მათთან ერთად ვცხოვრობდით სახლში, საჭმელს ბეგის სამზარეულოდან ვიღებდით და დღეში ოთხ-ხუთჯერ ყავას a la turca[10] ვსვამდით, თან აჭარის ამბებზე ვსაუბრობდით. ამავე სახლში მოთავსებული იყო მეჯლისი. სასამართლოს ეზოში დილიდან საღამომდე ირეოდა მართლმსაჯულების მაძიებელთა და ცნობისმოყვარეთა ჭრელი ბრბო. მათი ტიპები, ლაპარაკი, მსოფლმხედველობა და ურთიერთდამოკიდებულება კარგ მასალას იძლეოდა დაკვირვებისათვის. აქ პირველად გავეცანით აჭარელის ხასიათს, მის შეხედულებას რუსეთსა და საქართველოზე.

ყველა ამ საკითხს, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანს, ჯერჯერობით არ შევეხებით, რათა ჩვენი ცოდნა გავამდიდროთ შემდგომი დაკვირვებებით; ახლა კი დავუბრუნდეთ შეწყვეტილ საუბარს ჩვენს მიერ გავლილი გზის შესახებ. ზემოაღწერილს გარდა, ხულოდან ორი გზა გადის — ერთი არსიანის მთიანეთის განშტოებაზე, რომელიც ბეღლეთის ხევს აცალკევებს სხალთის ხეობისაგან, გადის სოფელ ჩაოზე, სხალთაზე, ხიხაძირზე[11] და ბაკოზე ფოცხოვსა და არდაგანში; მეორე მიდის მდინარე დიდაჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე ქედის გავლით ბათუმში.

28 მაისს მაძღრისი სადილისა და ერთმანეთისადმი გრძელი ალმოსავლური კომპლიმენტების შემდეგ, დავიძარით სხალთისაკენ.გულღია მასპინძელმა მურთაზ-ბეგმა პირადად გაგვაცილა. გზა მდინარისაკენ ციცაბო დაღმართით დაიწყო. მთელ საათს დაწვალიკებული მივფოფხავდით ამ საშინელ ბილიკზე, რომელიც ალაგ-ალაგ თხრილივით იყო გაჭრილი ქვის ყორეებს შორის.ნაშუადღევის სამ საათზე უკვე ჩვენთვის ცნობილი მდინარის ნაპირზე ვიყავით, ხულოზე 1.520 ფუტით დაბლა. იქიდან კვლავ ციცაბო აღმართს შევყევით ჩაოსაკენ, მდინარეზე გადავედით ერთთაღიანი ქვის ხიდით,

---

10. თურქულად — რედ.
11. ტექსტში ხიხოძირი — რედ.

რომელიც სილამაზით ბევრად ჩამოუვარდება სოფელ დიდაჭარის ახლოს ნახულს. ჩვენ აქ 1.924 ფუტის სიმაღლეზე ვიყავით შავი ზღვის დონიდან.

შუადღის 4 საათზე მივაღწიეთ სოფელ ჩაოს. ეს სოფელი 50 კომლისაგან შედგება, სახლები წარძტაც მცენარეულობაში ჩაფ-ლულ ციცაბო ფერდობზეა შეჯგუფული. აქედან იშლება შესანიშნა-ვი ხედი ერთ მხრივ ხულოსაკენ, მეორე მხრივ ქვემო აჭარისაკენ, მესამე მხრივ – სხალთის ხეობისაკენ. სოფლის მახლობლად ვიდე-ქით უღელტეხილზე, რომელიც ხულოს ხიდთან შედარებით 1.323 ფუტით უფრო მაღლაა; აქედან სხალთამდე ერთი დიდი დაღმართია, დაახლოებით საათნახევარის სავალი.

სიმაღლის მატებასთან ერთად მცენარეულობაც იცვლება; თუ ხულოსთან ვენახები იშვიათად გვხვდებოდა, კაკალი კი-ოდნავ იყო გამონასკვული, სოფელ ჩაოსთან მრავალი ვაზი, კაკლისა და თუთის ჭალები ვნახეთ. კაკლის კუნძები ძირიანად იყო მოთხრილი. გამოკითხვით გავიგეთ, რომ აქაც მოუღწევიათ ამ ხით მოვაჭრეებს; ერთ გორელ სომეხს შარშან ბევრი ხე შეუსყიდია, მოუჭრია და ახლა თანდათანობით გადააქვს ფოც-ხოვიდან ახალციხეში.

ჩაოდან სხალთაში მიმავალი გზა შერიფ-ბეგის მზრუნველობით კარგადაა გაყვანილი. იგი გადის მუხით მდიდარ ტყეზე, სადაც ხა-რობს არყი, მურყანი და მსხალიც. მუხა ხულოშიაც გვხვდება, მაგრამ არც თუ ისე ხშირად. საერთოდ ხულოში ტყე მეჩხერია და ხეები დაბალი, აქ კი, პირიქით, ტყე ხშირი და მაღალია.

სხალთაში ბეგის სახლში გავჩერდით. მასპინძელმა გულდიად მიგვიღო თავის ახალ სახლში, რომელსაც ევროპული იერი აქვს. სახლი ალებასტრით არის შელესილი და მეტად ფაქიზი შესახედა-ობისაა: გაშემო აკრავს ბაღი, იქვეა საკუჭნაო, წისქვილი, საყონაღო და სხვა. შენობა განცალკევებით დგას; ირგვლივ სახნავ-სათესია. ბაღი ახლახან გაუშენებიათ და სამხრეთის საუცხოო მცენარეულო-ბა დაურგავთ. აქ ნახავთ კვიპაროზს, ზეთისხილს და უნაბს, რომ არაფერი ვთქვათ კაკლის ჩრდილოვან ხეებზე, ვაზზე და საშუალო ზონისათვის დამახასიათებელ სხვა ხეხილზე. ბოსტანი არავის აქვს – ეს აღმოსავლეთის საერთო ნაკლია.

ადგილს, რომელიც ჩვენს რუკაზე სხალთის სახელით არის აღ-ნიშნული, მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს; აქ იყო ძველი ეკლესია, და რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ირგვლივ შემონა-ხული ნარგავების მიხედვით, მდინარის ნაპირის გაყოლებით ყოფი-ლა სოფელი, რომელსაც ახლა სხალთის-წყალს ეძახიან. ამჟამად

ძველი სოფლის ადგილას მხოლოდ ტაძრის ნანგრევებია, რომლის მახლობლად დგას შერიფ-ბეგის — ზემო აჭარის ახლანდელი უფროსის ახალი სახლი. სადღაა სოფელი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი ვერავინ გამცა. ერთნი ამბობენ,რომ აქაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და ეკლესიიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები; მეორენი კი ამტკიცებენ, მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო.

ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო დასაჯერებელია. მართლაც, სხალთა ციებიანი ადგილია, და მიუხედავად მისი ტოპოგრაფიული უპირატესობისა იმ არემარესთან შედარებით, სადაც აჭარლების სახლები ნაპრალებს შეჰკედლებიან, აქ მაინც სამუდამოდ დასახლებას ვერავინ ბედავს. თვით შერიფ-ბეგი ყოველ ზაფხულს მთებში მიდის, სახლს კი დარაჯების ამარა ტოვებს; სამაგიეროდ, ზამთარში აქ ცხოვრება უკეთესია, ვიდრე მახლობლად მდებარე სხვა ადგილებში. ყინვა არ იცის. სოფელი სხალთა გაშენებულია შავი ზღვის დონიდან 2.274 ფუტზე, ანუ 1.117 ფუტით დაბლა, ვიდრე ხულო.

ადგილის სიმაღლის გარდა, სხალთის ხეობის ჰავაზე გავლენას ახდენს ის, რომ იგი პარალელის გასწვრივ მდებარეობს. ამის გამო ხეობა დაცულია ჩრდილოეთის და სამხრეთის ქარებისაგან და მთელი დღის განმავლობაში უხვად იღებს მზის სხივებს. სითბო აქ 30 და 31 მაისს 23°R აღწევდა, მაშინ, როდესაც ხულოში 27 და 28 მაისს, მიუხედავად მოწმენდილი ამინდისა,ტემპერატურა 15°R არ იყო. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჰავის განსხვავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხალთის მცენარეულობაზე.

სხალთის ხეობა, რომელიც ხირხათის მთასთან იწყება (ეს უკანასკნელი არსიანის ქედს ეკუთვნის), მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და აღწევს მდინარეების — სხალთისწყლისა და დიდაჭარისწყლის შეერთების ადგილამდე (სოფ. ფურთიოს მახლობლად), აქედან გაერთიანებული წყალი, ვიდრე ჭოროხს შეუერთდეს, მდ. აჭარად იწოდება.

სანამ აღვწერდეთ სხალთის ხეობას, რომელზეც ავედით ხირხათის მახლობელ გადასასვლელამდე, ორიოდე სიტყვას ვიტყვით სხალთის ეკლესიაზე და შერიფ-ბეგის სახლზე.

ზემო აჭარის წარსული ცხოვრების საუკეთესო ძეგლია სხალთის ეკლესია.* შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერი ნანგრევია აჭარაში, რომელიც არქეოლოგიურ შესწავლად ღირს. როგორც ჩანს, შავი ზღვისპირეთის წარსული მჩქეფარე ცხოვრება არ შეხებია ზემო აჭარის ხეობას...

ბ-ნ ბაქრაძის აზრით, რომელიც აჭარაში არქეოლოგიური მიზნით მოგზაურობდა, სხალთის ეკლესიის ნაგებობა მიეკუთვნება საქართველოში საეკლესიო არქიტექტურის განვითარების საუკეთესო პერიოდს – ე.ი. X საუკუნეს[12]



სხალთა

ეკლესია სიგრძით 25 ნაბიჯია, სიგანით –12 და სიმაღლით 4 საჟენი სახურავამდე; გარედან და შიგნიდან მოპირკეთებულია თიხოვანი კირქვის თლილი ქვით. ეკლესიის შიგა ნაწილი შელესილია

* აქ და ყველგან ტაძრების ჩანახატები შესრულებულია გორგი ყაზბეგის მიერ. რომლებიც დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა თავისი წიგნის („არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში") დანართში.

12. დ. ბაქრაძის წინასწარი ანგარიში „გურიის, ჩურუქ-სუსა და აჭარის ნარკვევი". რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბე, ტ. 2, №5, 1874 წელი.

და მთლიანად წმინდანთა ფრესკებითაა შემკული. საღებავები და წარწერები ბევრგანაა შერჩენილი, მაგრამ ისტორიული წარწერა არსად არ ჩანს; გადარჩენილ მხატვრობას სილამაზის კვალი აჩნევია. შესასვლელთან (დასავლეთის მხრიდან) კარების ნიშში დახატულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი-ესაა ეკლესიის საუკეთესო ფრესკები. კარებზე გამოსახულ ხატებს ბერძნული წარწერები აქვს. თაღის სიღრმეში, საკურთხევლის ზემოთ, დახატულია იესო ქრისტეს უზარმაზარი ფიგურა, რომელსაც ხელში ხუცურად დაწერილი წიგნი უჭირავს; გარშემო წმინდანთა სახეებია, ასეთივე ხასიათის წარწერებით. ჭერი გამოყვანილია ლამაზი თაღებით, რომლებიც თლილი ქვის სვეტებს ეყრდნობიან. შესასვლელს სამხრეთის მხრიდან მოხდენილად გამოყვანილი თაღის ფორმა აქვს; აქეთ-იქით ძველ მინაშენთა ნანგრევები ჩანს.

მთელ ეკლესიას ორმაგი გალავანი ჰქონია, გალავნის გარეთ ძველ შენობათა ნანგრევები ჩანს. ერთი ასეთი ნანგრევი ორსართულიანია: დაბლა, მიწისქვეშა სართულში, შემონახულია მიწაში ჩაფლული ოთხი დიდი ქვევრი.

ადვილი მისახვედრია, რომ აქ მარანი ყოფილა, ზემო სართულში კი, ალბათ, ღვინოს სწურავდნენ. ეკლესია ამჟამად ისე დაძველებულია, რომ საკმარისია რამდენიმე ქვა გამოაცალოთ კედელს და მთელი შენობა დაინგრევა.

ხულოსა და სხალთის ნანგრევების სიწმინდეზე აქაურ მკვიდრთ დიდი წარმოდგენა აქვთ, მათ სასწაულმოქმედებაზე ბევრს გვიამბობენ. ახმედ-ფაშა, შერიფ-ბეგის მამა, რომელმაც სახლი ეკლესიის ნანგრევებზეააშენა, თურმე სახლის დანგრევას და სხვა ადგილზე გადატანას აპირებდა, რადგან სამ ღამეს ზედიზედ საშინელ სიზმრებს ნახულობდა. სხალთის ეკლესიის შესახებ ამბობენ, რომ რამდენიმე წლის წინ ორ ხოჯას განუზრახავს ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება, მაგრამ მალე გაგიჟებულან და ტყეში გაჭრილან გარეული მხეცებივით. შერიფ-ბეგის ერთ მწყემსს ზამთარში ცხვარი ეკლესიაში შეურეკია, მაგრამ მალე ორასი ცხვარი გაწყვეტია და თვითონ მას კისერი მოუტეხია. ყველა ამ და ამის მსგავს შემთხვევას მცხოვრებლები ისე ხსნიან, როგორც ქრისტეს შურისგებას წმინდა ადგილთა წაბილწვისათვის.

სხალთაში თითქმის მთელი კვირა დავრჩით აქაური ბეგის სახლში. მასპინძელმა აღმოსავლური სტუმართმოყვარეობისათვის დამახასიათებელი საუცხოო პატივი გვცა; მის სახლს ერთგვარად ევროპული იერი დაჰკრავს. მთავარი შენობა გარედან შებათქაშებულია, შიგნიდან კი ზეთის საღებავითაა შეღებილი; იგი მდინარის

პირას მდებარეობს და მწვანეშია ჩაფლული. მორთულობა სრულიად ევროპულია: არის სკამები და მაგიდები. მასპინძლის თქმით, რომელსაც სახლს დაასრულებს, სასტუმრო ოთახს ევროპულად მოაწყობს. დიდი სახლის გვერდით აშენებულია პატარა სახლი — საყინალი. სახლი ორსართულიანია. ზემო სართული ნახევრად ევროპული ოთახია დიდი ფანჯრებით, ქვემოთ კი წმინდა აზიური გემოვნებით მოწყობილი პატარა ოთახია. აქვე, ეზოში, მშვენიერი წისქვილია გამართული. თუ ამას დავუმატებთ, რომ მთელი ავეჯეულობა და წისქვილიც ბეგის ხელითაა გაკეთებული, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ გაგვაცნო მასპინძელმა ასეთი ხალისით თავისი მეურნეობის ყოველი წვრილმანი.

შერიფ-ბეგი 45 წლისაა, საშუალოზე მაღალი, წარმოსადეგი, მას ტიპიური ქართული სახე აქვს; იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და, რაც მთავარია, ხელიდან ყველაფერი გამოუდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემკულობა აქვს. იარაღის ყოველი წვრილმანი ჩვენი მასპინძლის ხელითაა გაკეთებული. ეს კიდევ ცოტაა — ბეგმა თვითონ ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი, კაკლის ხისგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, შერიფ-ბეგი კარგი მხატვარიცაა, სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატები ამშვენებს. აი, როგორია შერიფ-ბეგი ერთი დაკვირვებით.

შერიფ-ბეგს 13 შვილი და სამი ცოლი ჰყავს, იგი დაინტერესებულია შვილებს მისცეს განათლება, მაგრამ ვაი, რომ მასწავლებლები არსად არის. ახლა პირველ რიგში საფიქრებელია საშუალო ასაკის ბავშვების მომავალი, რადგან ორი უფროსი უკვე თავის გზასადგას: ერთი მუდირად არის არდაგანში, მეორე კი — ჩვენი ნაცნობი მურთაზ-ბეგი — აქამდე მუდირად იყო ხულოში, შემდეგ მამის სურვილით თავი დაანება სამსახურს. შერიფ-ბეგი კარგი მუსლიმანია; იგი ყურანში ეძებს შინაგან აზრს და ამიტომაც ფანატიზმის და სამღვდელოების მტერია, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს შვილები ჭეშმარიტ მუსლიმანებად აღზარდოს, რადგან ემყარება იმ ძირითად შეხედულებას, რომ ყოველ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, უნდა სწამდეს ღმერთი და თავისი რელიგია. ყურანის გარდა შერიფ-ბეგი თავის შვილებს ასწავლიდა სპარსულ ენას, ამჟამად კი ასწავლის რუსულს, ქართულსა და მუსიკას. რუსულ ენაში მეცადინეობა ბავშვებმა ამ ორი თვის წინათ დაიწყეს ერთი მუსლიმანის, ახალციხის სკოლის ყოფილი მოსწავლის ხელმძღვანელობით. ბავშვები უკვე კითხულობენ და ცოტასაც ლაპარაკობდნენ რუსულად; მუსიკას ასწავლის

თურქი მუსიკოსი; ამ დარგში საკმაო წარმატება აქვთ, მაგრამ საკრავების არჩევანი, განსაკუთრებით კი ის ჩვევები, რომელთაც ბავშვებს უვითარებს მაესტრო-რეღიფისტი, მაინცდამაინც მოსაწონი არაა. ორკესტრი შედგება ორი კლარნეტისა და ერთი კორნეტისაგან. ჩვენთვის რომ ესიამოვნებინა, ბეგმა დაიბარა თავისი ორკესტრი



შერიფ ხიმშიაშვილი
(1829-1692)

სოფელ ბაკოდან, სადაც მისი ოჯახი საზაფხულოდ არის წასული. ახალგაზრდა მუსიკოსები მთელ კვირას დღეში ორჯერ გვიმასპინძლდებოდნენ ყურისწამღები კონცერტით. მაგრამ ამაში ცოდვა მათ არ ედებათ — თავად ბავშვები მეტად ნიჭიერნი და განვითარებული არიან.

ბეგის ბიბლიოთეკა შედგება რამდენიმე თურქული და ერთი რუსული წიგნისაგან. ეს რუსული წიგნია უშინსკის „მშობლიური ენა". ქართული წიგნები ბეგს არ აქვს და ბავშვები ცოტას ლაპარაკობენ ქართულად. „ძალზე საოცარია, — გვითხრა ბეგმა, — რომ ბავშვებმა არ იციან თავის წინაპართა ენა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბალღები აქამდე არდაგანში ცხოვრობდნენ — თავისი დედის ოჯახში".

ბეგმა გვიჩვენა უზარმაზარი სკივრი, ფირმანებით და პატენტებით სავსე. ისინი სულთნებს უბოძებიათ მისი მამისა და პაპისათვის; საბუთებს შორის ენახეთ ერთი მეტად ძველი სიგელი, იგი ჯოხზეა დახვეული, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე ქართველ მეფეთა დროს. დოკუმენტი გაყვითლებული და დაფლეთილია, ქორონიკონი არ შემორჩენია, მაგრამ ხელმოწერა ადასტურებს, რომ იგი იოანე ათაბაგის სახელით გაუცია პატრიარქ გერასიმე ჯაყელს სოფელ ხულოსა და ალმეს[13] მცხოვრებთათვის.

სხალთაში 3 ივნისამდე დავყავით ბათუმში წარგზავნილი კაცის მოლოდინში. ამ ხნის განმავლობაში გარშემო გვეხვია ბეგთან სხვადასხვა საქმეებზე მოსულ აჭარელთა დიდი ჯგუფი. ყოველი მათგანი უახლოვდებოდა ბეგს, უკოცნიდა ტანსაცმლის ქობას, ხელს შუბლზე იდებდა, შემდეგ უკან იხევდა და საპატიო მანძილიდან თავის საქმეზე მოახსენებდა. რომელიღაც მწერალს უთქვამს, რომ ხალხის, მისი ხასიათის, მისი ღირსება-ნაკლოვანებათა შესასწავლად საკმარისია სასამართლოში სიარული. ჩვენ კი დავუმატებდით, რომ ზემო აჭარის ზნე-ჩვეულებათა შესასწავლად საკმარისია რამდენიმე კვირა დაჰყოთ შერიფ-ბეგის სახლში. ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა ვილაპარაკოთ ამ შესანიშნავ ადამიანზე, ახლა კი ისევ ორიოდე სიტყვა სხალთაში ჩვენი ყოფნის შესახებ.

მცხოვრებთა გადმოცემით შევიტყვეთ, რომ სხალთის— წყლის პარალელურად, მისგან სამხრეთით, მდებარეობს მირეთისხევი, სადაც სახლობს ზემო აჭარის სამი დიდი თემი. ეს ჩვენთვის მთელი

---

13 ახლანდელი სოფ. ოქტომბერი (ხულოს რაიონი) — რედ.

ალმოჩენა იყო, რადგანაც ჩვენს 5-ვერსიან რუკაზე ეს ხეობა სრულიად გამოტოვებულია, ამ ქედს კი, რომელიც სხალთის წყლის მარცხენა ნაპირს მისდევს, შეცდომით ჰქვია იმერხევი. ჩვენმა ექსკურსიამ გამოარკვია, რომ მერეთისხევის ხეობა სიგრძით არ ჩამორჩება სხალთის ხეობას, იგი მხოლოდ უფრო ვიწროა. მდინარე მერეთისხევისწყალი გამოდის ჩირუხის მთიდან (არსიანის ქედზე), მის ორივე ნაპირზე გაშენებულია 11 სოფელი, იგი ერთვის მდინარე აჭარას სოფელ ფურტიოს ქვემოთ.[14]

3 ივნისს, დილის 8 საათსა და 15 წუთზე, სხალთიდან გამოვედით და ხეობას ზემოთ ავყევით. ჩვენ გამოგვაცილა თვით სტუმართმოყვარე მასპინძელმა მრავალრიცხოვანი ამალით; მშვენიერი დილა იყო, ცხელ ამინდს გვიქადდა.

სხალთისწყლის ხეობა სხალთის ეკლესიასთან საკმაოდ ფართოა; აქ წყალს დიდი სიჩქარე არა აქვს. მასში უხვადაა თევზი (კალმახი), მაგრამ რაც უფრო ალმოსავლეთისაკენ მივიწევდით, მით უფრო ვიწროვდებოდა მდინარის კალაპოტი და უფრო ციცაბოდ ეშვებოდნენ მეზობელი მთების კალთები. სხალთიდან გამოსვლისთანავე გზა მაღლა მიიწევს, მალე ძლივსლა გვესმოდა მდინარის ხმაური, რომელიც სადღაც, ძირს ბობოქრობდა. გარშემო ტყეა, აქა-იქ მხოლოდ სიმინდის პატარა ყანები ჩანს. ტყე მუხნარია, რომელსაც კაკლის, მსხლისა და წაბლის უზარმაზარი ხეებიც ურევია. მთელ გზას გასდევს ხეხილი, რომელსაც შტამბზე სურო, წყალი და სამხრეთის ფლორისათვის დამახასიათებელი სხვა მხვიარები შემოჰკვრია. აქა-იქ ფიჭვიც გვხვდება, მაგრამ მუხა ყველგან შესამჩნევად სჭარბობს. აბასთუმნიდან გამოსვლის შემდეგ პირველად გავედით ხეირიან გზაზე, რომელზეც ურემიც კარგად გაივლიდა. ჩვენმა მასპინძელმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ ეს მისი დიდი გარჯის შედეგია, ამის გამო თურმე მთავრობის საყვედურიც კი დაუმსახურებია და იძულებული გამხდარა თავი დაენებებინა ამ სასარგებლო საქმისათვის. რაც არ უნდა იყოს, ყოველგვარი პოლიტიკური მოსაზრების მიუხედავად, მეტად მადლიერი დავრჩით ჩვენი მასპინძლისა, რომ ეს გზა წესრიგზე მოუყვანია.

14 ქედი, რომელიც სხალთას ჰყოფს მერეთისხევისაგან, სიმაღლით 3724 ფუტია ზღვის დონიდან. მერეთისხევის სოფლები შემდეგია: ციახე (წიახი — რედ.), დაჩიძეები (დარჩიძეები — რედ.), ჯიმიშაური (ჯუმუშაური —რედ.), პაპაშვილები, (პაპოშვილები — რედ.), მახალაკიძეები, მაწყვალთა, კობალთა, კარაპეტი, ტუანი (დღეანი — რედ.) და ქიძინიძეები.

სხალთიდან სამი ვერსის დაშორებით ვნახეთ აგურისფერი თიხის საკმაოდ სქელი შრე. იგი რბილია და გზის პირს უცნაურ ნახატად გასდევს. ამ თიხას ადგილობრივი მოსახლეობა არ იყენებს. ხეობა თანდათან ვიწროვდება და ფლატეები უფრო ფრიალო ხდება. 9ს. 45 წუთზე მივაღწიეთ სოფელ კვატიის გიგანტურ წყაროს და დასასვენებლად შევჩერდით. ეს ადგილი სხალთაზე 970 ფუტით მაღლა მდებარეობს. სანამ სახელდახელო საუზმე მზადდებოდა, წავედი კვატიის სახელგანთქმული წყაროს სანახავად. იგი მართლაც შესანიშნავია. წყარო კლდიდან გამოდის, ნაკადი საკმაოდ დიდია – 5 ვედრო წუთში; ტემპერატურა – 6°R ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, მისი წყალი გაცილებით ცივია წლის ცხელ პერიოდში, ზამთრობით კი ისე თბილია, რომ ორთქლი ასდის. ეს მოვლენა, რომელიც ასე აოცებთ ადგილობრივ მცხოვრებლებს უბრალოდ აიხსნება: წყარო მიწის იმ შრეებიდან გამოდის, რომელნიც ინარჩუნებენ საშუალო წლიურ ტემპერატურას, ამიტომაც ზაფხულში წყალი ცივი გვეჩვენება, ზამთარში კი თბილი. ამ წყაროს წყლის ტემპერატურა საუკეთესო მაჩვენებელია ამ ადგილის საშუალო წლიური ტემპერატურისა.

შესვენების ადგილას ცნობისმოყვარეთა დიდი ჯგუფი დაგვხდა – ყოველი მათგანი რიგრიგობით მიდიოდა შერიფ-ბეგთან და ტანსაცმლის ქობას უკოცნიდა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჩვენმა მასპინძელმა გლეხებთან საუბარი გააბა. გლეხები დიდ პატივს სცემდნენ თავის ბეგს და ბრმად ემორჩილებიან ყველაფერში. რომელიღაც დარბაისელმა კაცმა ბეგს მოახსენა, რომ ერთი ქალიშვილი გაქცეულა თავისი მამის სახლიდან შეყვარებულთან და განუცხადებია, რომ სხვას არავის გაჰყვება ცოლად. აქ ზნეობის ნორმები ძალზე მკაცრია, ქალები უცხო კაცს თვალზეც არ ენახვებიან; ამიტომ ამ ამბავმა რა თქმა უნდა, ყველა გააოცა. ამ ბაასში ვიყავით, რომ ამ ქალის რჩეულის მამა მოვიდა – ხანშიშესული კაცი, და დაადასტურა, რომ ყოველივე ეს სიმართლეა, რომ ქალიშვილი ახლა მის სახლში ცხოვრობს და უჩვენა მოშორებით ბუჩქებში მჯდომ თეთრ ჩადრში გახვეულ არსებაზე. ეს გახლდათ სწორედ ამ რომანის გმირი. საცოდავ ქალს, როგორც ჩანს, შეეტყო ბეგის ამოსვლა და მფარველობის სათხოვნელად მოსულიყო, მაგრამ ახლო მისვლა ვერ გაბედა. გამოირკვა, ქორწინების წინააღმდეგი ყოფილა ამ ქალის ძმა, მისი ოჯახის ერთადერთი უფროსი. შერიფ-ბეგმა მოიხმო მკაცრი ძმა და პირობა დაადებინა, რომ დის ბედნიერებას წინ არ დაუდგებოდა. ახალგაზრდა კაცი ემთხვია ბეგის ტანსაცმლის ქობას და იქვე გადაეხვია თავისი მომავალი სიძის მამას. ასე კეთილად დამთავრდა ეს

ამბავი ბეგის წყალობით, თორემ სხვა დროს საქმე სისხლის დაუღვრელად არ ჩაივლიდა. ამ შემთხვევამ ძალიან დამაინტერესა და ბეგს ვკითხე — ხშირად უხდება-თუ არა ამგვარი საკითხის მოგვარება. „ამ ბოლო დროს საკმაოდ ხშირად, — თქვა ბეგმა, — ხალხი შეიცვალა, ძველ წესებს აღარ მისდევს“... ნიჰილიზმი აჭარაში, გავიფიქრე მე!



ნური ხიმშიაშვილი
ჯემალ ხიმშიაშვილი
ისა ხიმშიაშვილი
1881 წ.

აქვე მოვიხსენიებთ მეორე შემთხვევასაც, რომელიც თითქმის ჩვენს თვალწინ მოხდა. ერთი ახალგაზრდა კაცი გახუმრებია თურმე ყანაში მომუშავე ქალს. ამის პასუხად ქალს თავხედი ყმაწვილი გამოულანძღავს, ვაჟს კი თოფის კონდახი ჩაურტყამს მისთვის. მაშინ ქალს დაუპატიჟებელი სტუმრისათვის ხანჯალი აურთმევია და რამდენიმე საშიში ჭრილობა მიუყენებია. დაჭრილს შერცხვა თურმე გამჟღავნება, რომ, ქალმა დასჭრა და ყოველივე ეს ერთი თავისი მოსისხლესათვის გადაუბრალებია, მით, უმეტეს, რომ სისხლის აღება ამ მხარეში ჩვეულებრივი ამბავია.

სოფელ კვატიიდან გზა ისევ ზემოთ მიემართება. ხეობა თანდათან ვიწროვდება, წყალს ქაფი ედება, ხმაურობს და სადღაც ქვემოთ მიექანება. გარშემო ტყეა, სადაც მუხა აღარ გვხდება, მის ადგილს არყი და ფიჭვი იკავებს. მალე სხალთისწყლის მარცხენა ნაპირზე დავინახეთ სოფელი, რომელიც აქა-იქ გაბნეული 20 სახლისაგან შედგება — ესაა მერლე. იგი სოფელ სხალთაზე 1.100 ფუტით მაღლა მდებარეობს. შემდეგ გზა სოფელ ხიხაძირამდე ერთფეროვანია — მხოლოდ აღმართ-დაღმართები გვხვდება. ნაშუადღევის სრულ პირველ საათზე გადავედით პატარა მდინარეზე გადებულ უხეირო ხიდზე — ეს მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა შენაკადია. ხეობა, რომელსაც ეს პატარა მდინარე რწყავს, და აქვე გაშენებული 10-კომლიანი სოფელიც ფუშრუკაულად იწოდება. 50 წუთის შემდეგ უკვე სხალთისწყალზე გადებულ ხიდთან ვიყავით სოფელ ხიხაძირში — შავი ზღვის დონიდან 3.694 ფუტზე. მანძილი სხალთიდან ხიხაძირამდე 15 ვერსი უნდა იყოს.

სოფელ ხიხაძირში 20-მდე კომლია. აქ სხალთისწყალს დიდი დაქანება აქვს — მდინარე თითქოს არღვევს ქვაბულის კიდეებს და ისე გამოდის მისგან. სოფლიდან ნახევარი ვერსით მაღლა უკვე კარგად ჩანს ბრტყელი ფსკერი იმ ქვაბულისა, რომელიც საფეხურებად ეშვება არსიანის მთავარი ქედიდან.ამ ტერასებზე განლაგებულია სახნავ-სათესი მიწები, აქვე შეკედლებულან სოფლები — სუკუანა[15] , ქვემოთხილვანა, ზემოთხილვანა, მანსუი[16] და ბაკო. ამ სოფლებით დაკავებული ფართობი ყოველი მხრიდან მაღალი მთებით არის შემოზღუდული. სხვებზე მაღლა მდებარეობს სოფელი ბაკო, რომელშიც დაახლოე-

---

15 სკვანა — რედ.
16 უნდა იყოს მუმსუე, ამჟამად მთისუბანი (ხულოს რ-ნი) — რედ.

ბით 12 კომლია; ბაკო სოფელ ხიხაძირზე 1.330 ფუტით მაღლა მდებარეობს, ან თითქმის 300 ფუტით მაღლა, ვიდრე სოფელი სხალთა.

3 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, მივედით სოფელ ბაკოში, რომელიც მდინარე სხალთისწყლის ზემოწელზეა გაშენებული, და შერიფ-ბეგის სააგარაკო სახლში დავდექით. ეს სახლი განცალკევებით დგას შესანიშნავ მინდორზე. ბეგის ამ აგარაკს ქოჩახს ეძახიან. აქ ბეგი რამდენიმე დღით ჩერდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე საძოვრებზე საქონლის გადაყვან-გადმოყვანისას.

სოფელ ბაკოს მიდამოები სოფელ ღორჯომს წააგავს: ისეთივე ტერასისებური ადგილები, დახრამული ღარტაფები, საიდანაც ყოველი მხრიდან მოედინებიან წყლები, რომლებიც მდ. სხალთისწყალს წარმოშობენ. აღმოსავლეთით აღმართულია ფრიალო მთა ხირხათი. სოფელ ბაკოზე გადის ახალციხიდან და არდაგანიდან ბათუმში მიმავალი საქარავნო გზები. ორივე ეს გზა გარს უვლის ხირხათის მთას, პირველი — ჩრდილოეთიდან, მეორე — სამხრეთიდან.

ხირხათის მთა ზღვის დონიდან 8.534 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს და მჭადაქვის შრეთაშორისი რბილი ქვიშაქვებისაგან შედგება. წვიმისა და სხვა ატმოსფერული მოვლენების საუკუნოვანი მოქმედებით მთის სამხრეთი კალთა სულ გაშიშვლებულია და ახლა მის დახრამულ ზედაპირზე შეხვდებით სხვადასხვა ფერებს— ხასხასა წითლიდან დაწყებულს ვიდრე ნაცრისფერამდე. მთის შუა ნაწილიდან სამხრეთისაკენ მოდის მყარი კონტრფორსი; ეს განშტოება მთავარ ქედს ვიწრო ყელით უერთდება და ქმნის დიდ ბუნებრივ სიმაგრეს, რომელზეც ადამიანს გალავნისა და კოშკების აშენება მოუხერხებია. ეს ნაგებობა ხირხათის ციხის სახელითა არის ცნობილი. ციხე-სიმაგრე ტყის ზოლის სიმაღლეზეა აშენებული, რომელიც აქ ზღვის დონიდან 6.500 ფუტს აღწევს. იგი შედგება 4 კოშკისაგან, რომლებიც გადმოკიდებულნი არიან ფლატეებზე, სოფელ ბაკოზე 2.300 ფუტით მაღლა. რაში დაჭირდა ადამიანს ამ კოშკების აშენება — გაუგებარია. ორი კოშკი განცალკევებით დგას ამაღლებულ კონცხებზე, დანარჩენი ორი ერთმანეთთან დაკავშირებულია ორმაგი კედლით, რომელიც სიმაღლით 2 არშინია, სისქით კი 2 ფუტი; კედლებს შორის შემორჩენილია 5 სახლის ნანგრევი და ქვით მოპირკეთებული ღრმა წყალსაცავი. ერთ-ერთ ნანგრევში ვნახეთ ოთხი უზარმაზარი, სრულიად მთელი ქვევრი, სხალთაში ნახული ქვევრების ზომისა. ცხადია, ეს ქვევრები და წყალსაცავი წვიმის წყლის შესაგროვებლად ჰქონიათ, როდესაც ამ მიუდგომელ ციხეს აფარებდნენ თავს.

სიმაგრისკენ მიდის ერთადერთი, თანაც მეტად ცუდი და ციცაბო ბილიკი. მასზე ზოგან ფორთხვით ავდიოდით, რომ ამ სიმაღლიდან ზემო აჭარის პანორამა დაგვენახა.

თქმულების მიხედვით ხირხათის ციხე თამარ მეფეს აუშენებია თემურ-ლენგის შემოსევის წინ. აჭარელმა,რომელმაც ეს თქმულება გადმოგვცა, ისიც გვითხრა, რომ თამარ მეფისათვის ამ ციხე-კოშკში ალყა შემოურტყამთ, მაგრამ იგი დიდხანს გამაგრებულა; მთის ქვეშ ზარზმამდე გზა გაუთხრევინებია და იქ დადიოდა სალოცავად.



ხიხანის მთა
ფოტო ზურაბ სურმანიძისა. 1980 წ.

ამის შესახებ თემურ-ლენგს გაუგია ვიღაც ბერისაგან და დადარაჯებია მეფეს ზარზმაში. როცა ერთ შაბათ დღეს ეს სახელოვანი ქალი მწუხრის ლოცვაზე მისულა, მას თავს დასხმია მტრის ჯარი. სხვა გამოსავალი რომ ვერ უნახავს, თამარ მეფეს საწამლავი დაულევია. ამ უხეში ანაქრონიზმის მიუხედავად, ეს თქმულება მაინც ყურადღების ღირსია, რადგან იგი მოწმობს ხალხის ხსოვნას აჭარის წარსულზე. ხირხათის სახელი სხვა ამბავთანაც არის დაკავშირებული: შერიფ-ბეგის პაპა — სელიმ-ფაშა თურმე აქ ემალებოდა სულთანს და, როგორც ამბობდნენ, ციხეში თავისი საყვარელი ცხენიც კი შეუყვანია.

ციხე-სიმაგრის კედლებიდან ვტკბებოდით ამ მიდამოს დიდებული პანორამით. არსიანის ქედი მერიდიანის მიმართულებითაა გადაჭიმული; ამ ქედზე, ჩვენგან სამხრეთით, აღმართულია არსიანის მთის ბლაგვი მწვერვალი, აქვე, თითქმის გვერდით, აწვეტილა ჩირუხის მთის კონუსი, საიდანაც რადიუსებად მიემართებიან შავშეთისა და კარჩხალის მთები. პირდაპირ დასავლეთისაკენ მიიკლაკნება სხალთის ხეობა და გადაშლილია ის ადგილები, სადაც განლაგებული არიან სოფლები ბაკოდან ხიხაძირამდე. ჩრდილო-დასავლეთისაკენ ამართულია ზემო აჭარის მთები, შორს კი თეთრად მოჩანს ჩვენი გურიის საზღვართან აზიდული მთების თოვლით დაფარული მწვერვალები. თვალი დაახლოებით 150 ვერსს სწვდება გარშემო, და მთელი ეს სივრცე ნაპრალებითა და გიგანტური კონუსებით არის დაფარული. ციხე მცენარეულობით მეტად ღარიბია. ჩამონგრეულ ქვებს შორის, ციხის შუა ნაწილი რომ ამოუვსია, ჩანს ორი-სამი დაგრეხილი ჯუჯა ფიჭვი, გვიმრა და შქერის ბუჩქები. გვითხრეს, რომ აქ შეიძლება შეხვდეთ შავ თხებს და დათვებსო, მაგრამ ჩვენ სულდგმულის ნიშანწყალიც არ გვინახავს, მხოლოდ შორიდან გვესმოდა შურთხის სტვენა, რომელიც სწორედ ისეთ მიუვალ ადგილებში ცხოვრობს, როგორიცაა ხირხათის დასავლეთი ფერდობი.

უკან დაბრუნებისას ვნახეთ ხირხათის მთის ძირთან ახლო მდებარე ალპური ტბა. ეს ერთი იმ სამ ტბათაგანია, რომელიც კვებავს სხალთისწყლის მარჯვენა სათავეს. ტბა, რომლის დიამეტრი დაახლოებით 200 ნაბიჯი იქნება, გამოირჩევა ალპური ტბის ყველა ნიშანთვისებით. წყალი სავსებით გამჭვირვალეა, ცივი და მტკნარი, იგი ციმციმებს მის ქვიან ფსკერზე; წყალმცენარეთა და ლელქაშის არავითარი ნასახი... ბევრია თევზი (კალმახი).

ბაკოს სხვა ღირსშესანიშნაობათაგან უნდა მოვიხსენიოთ ყინულოვანი მღვიმეები. შერიფ-ბეგის სახლის ახლოს ქვიშიანი ფიქლებისაგან ნაგებ კლდეში, რომელიც ქვაღორღითაა დაფარული, არის მღვიმეები, სადაც მუდმივად ყინული დევს. იგი მხოლოდ ზამთარში დნება. ბუნების ეს თამაში, აქ რომ სასწაულად თვლიან, უბრალოდ აიხსნება — მღვიმის ნაპრალებში წყლის ძლიერი აორთქლებით.

ბაკოს მიდამოებში, სასაფლაოზე, ქვის გროვის გვერდით, ვნახეთ ქვის უზარმაზარი ჯვარი, სიგრძით 3 1/2, სიგანით 3 1/4 და სისქით1/2 ფუტი. ადგილმდებარეობის დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ვიდექით რომელიღაც უძველეს ნანგრევებთან. მიწის ზედაპირი და მასში ჩაფლული სწორკუთხოვანი თლილი ქვის ფილები მოგვაგონებენ ბ-ნ ბაიერნის მიერ მცხეთაში წარმოებულ გათხრებს; ერთგან

ვნახეთ ფილაქნით მოპირკეთებული ოთხკუთხედი ორმო, დოლმენის მსგავსი. ეს, ალბათ, თურქეთის საქართველოს ქრისტიანობის წინა პერიოდის ნაშთია.

ზემო აჭარა არცთუ ისე მდიდარია ძველი ძეგლების ნაშთებით, ამიტომ უნდა მოვიხსენიოთ ერთი პატარა ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები, რომელიც სოფელ კალოთასა და ხიხაძირს შორისაა, ვარდის-ციხის კოშკის მახლობლად, პატარა ხევში.

შერიფ-ბეგის აგარაკზე მთელი კვირა დავყავით. ვცხოვრობდით ქურთულ კარავში, რომელიც მასპინძლის სახლის წინ იყო გაშლილი მშვენიერ მინდორზე. აჭარის ბეგი ცდილობდა ყოველნაირად ესიამოვნებინა ჩვენთვის: ხშირად ვსეირნობდით მახლობელ ადგილებში, ვეცნობოდით ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, სიმღერასა და ცეკვას, თოფის სროლასა და ჯირითს; ყოველდღე ვისმენდით კონცერტს მასპინძლის ვაჟების შესრულებით. ამას მიჰქონდა მთელი თავისუფალი დრო. შერიფ-ბეგი და მისი ვაჟი მურთაზ-ბეგი განუყრელად თან გვახლდნენ. ამ ქვეყნის შესახებ აქ შემექმნა საკმაოდ სრული წარმოდგენა, რომელიც მსურს მოკლედ გაგიზიაროთ.

აჭარა იყოფა ზემო და ქვემო აჭარად. ზემო აჭარა ძირითადად ხუთი ხეობისაგან შედგება — ხულოს, ღორჯომის, ბეღლეთის, სხალთის, მერეთისხევის და ჭვანის ხეობებისაგან. ეს ხეობები, უკანასკნელის გამოკლებით, წარმოიქმნებიან არსიანის ქედის განშტოებით და ერთი ხასიათისანი არიან.

აჭარა-გურიის მთავარ ქედს სონუმლიის მთასთან გამოეყოფა განშტოება, რომელიც წყალგამყოფია მდინარე ქვაბლიანსა და აჭარას შორის. ეს განშტოება დაახლოებით 5 ვერსის მანძილზე სამხრეთით მიემართება, მერე ერთბაშად უხვევს აღმოსავლეთისაკენ, გარშემო უვლის მრგვალმინდორს და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება შავშეთის საზღვრამდე, სადაც მას იალანუსჩამს უწოდებენ. ამ ქედს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა სახელით იცნობს, ვახუშტი არსიანად იხსენიებს — შავშეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმართული უმაღლესი მთის მსგავსად. არსიანის ქედი მთელ თავის სიგრძეზე ერთგვაროვანია. მისი ფართო თხემი ბრტყელ ზოლად არის გადაჭიმული და დაფარულია მდიდარი ალპური მდელოებით; ამ ბრტყელი ზეგანის ზოლზე ამოშვერილია ხირხათის, ჩირუხის, კენჭაურის და არსიანის მწვერვალების მკვეთრი კონტურები. ამ მწვერვალებიდან ორ უკანასკნელს აშკარად ემჩნევა ვულკანური წარმოშობა, თვით არსიანის მთას კი ჩამქრალი ვულკანის ყველა ნიშანთვისება აქვს. ამ ალპური მდელოს ზოლის საშუალო სიმაღლე 8.000 ფუტია შავი ზღვის დო-

ნიდან; იგი ერთი მეტად ვრცელი საძოვარი ადგილია, რომელიც გაზაფხულიდან შემოდგომის დამდეგამდე მრავალრიცხოვანი ჯოგებითაა მოფენილი. საქონელი მოჰყავთ არა მარტო აჭარიდან, შავშეთიდან, ფოცხოვიდან და არდაგანიდან, არამედ კახაბრისა და ბათუმის მიდამოებიდანაც (ქურთები). 6.200 ფუტზე იწყება ფიჭნარი. ამ სიმაღლიდან არსიანის ფერდობები დასავლეთისაკენ მიემართებიან, ჰქმნიან მრავალ კონტრფორსსა და ტერასს, რომლებიც რაც უფრო შორდებიან ქედის მწვერვალებს, მით უფრო ციცაბოდ ეშვებიან ზემო აჭარის ხეობაში. ქედის ასეთი ოროგრაფიული აღნაგობა განსაზღვრავს ხეობებისა და მათი მდინარეების ხასიათს.

მდინარეებს აჭარაში, ისევე როგორც მთელი თურქეთის საქართველოში, საკუთარი სახელები არა აქვთ: ყოველი სოფელი ყოველი შესანიშნავი საგანი აძლევს მათ სახელწოდებას. ამიტომაც, ერთიდაიმავე მდინარეს აქ რამდენიმე სახელი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ხეობების შესახებაც. გამონაკლისია მდინარე ჭოროხი, ლაზისტანის მდინარეები და ხეობები, რომელთა შესახებაც თავის ადგილზე ვიტყვით. ჩვენს მიერ მიღებული ნომენკლატურა პირობითია: მდინარეებს და ხეობებს ვუწოდეთ მთავარი პუნქტების სახელები.

ზემო აჭარის ყველა მდინარე და ხეობა ერთი ხასიათისაა — მდინარეები სათავეებთან იკვებებიან წყაროებით და ნაკადულებით, რომლებიც ქედებიდან შედარებით ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე მიედინებიან; ამ ადგილებში ხეობები მხოლოდ იწყება; მათ აქვთ ფართოფსკერიანი ქვაბულის ფორმა, ესენი ნოყიერი მდელოებია, რომლებიც გამოსადეგია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის. ამ მდელოებზე ცალკ-ცალკე კარმიდამოებად გაფანტულია დასახლებული ადგილები, ისევე როგორც ღორჯომსა და ბაკოში. წყალი ბევრია; ათობით წყარო მორბის ყოველი მხრიდან ერთ საერთო კალაპოტში, რომელიც მღელვარე მდინარედ იქცევა და ქვაბულის ერთერთ კიდეს არღვევს. აქ იწყება მდინარის შუაწელი. ეს ადგილი, ჩვეულებრივ, სამხრეთისაკენ ძლიერ დაქანებულია, მთის ქანები გაშიშვლებული და ხეობა მკვეთრად შევიწროებულია. ხეობის ფსკერზე ქვიდან ქვაზე ხტის ქაფმოდებული მდინარე.

მდინარის შუაწელის დასაწყისიდან მკვეთრად იცვლება ქვეყნის ბუნება: არსიანის ბრტყელ ქედზე უკვე აღარ გვხვდება ტყე, აქ არის ალპური მდელოს ზოლი მისთვის დამახასიათებელი მცენარეულობით. 6.200 ფუტის სიმაღლეზე იწყება ფიჭვნარი. ზემო აჭარაში ეს ტყე მხოლოდ მდინარეთა ზემო წელის მიდამოებშია გავრცელებული. მაგრამ არც აქ იღებს წმინდა წიწვოვანი ტყის სახეს; მალე ჩნდება შუა ზოლისათვის დამახასიათებელი ჯიშები: წიფელი, არყი,

თხმელა და მუხა, ხეხილიდან კი — მსხალი და ვაშლი; 5.500 ფუტამდე გვხვდება კაკალი და წაბლი, ცოტა ქვემოთ — ვაზი. ზეთისხილი აქ არ ხარობს. ამ მცენარის ნერგები შერიფ-ბეგის ბაღში, სხალთაში, სულ გადახმა. ამ ორიოდე სიტყვიდანაც ჩანს, რომ აჭარის ბუნება მდიდარია მცენარეულობით, მაგრამ ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული თავისებურებანი არ აძლევს გასაქანს ადამიანს დასასახლებლად. მთის ციცაბო ფერდობებზე შეფენილია ტყე და აქა-იქ თუ რჩება სახნავ-სათესად გამოსადეგი მცირე მინდორი. ასეთი სახნავ-სათესი ადგილების მახლობლად, სადაც ქვეითად მოსიარულესაც კი გაუჭირდება გავლა, აჭარელთა სახლებია შეფენილი.

არსიანის ქედის და ზემო აჭარის ხეობების ხასიათმა განაპირობა სამიმოსვლო საშუალება, ასევე გზების თავისებურებაც: მაშინ, როდესაც ალპური მდელოების ზოლში დაუბრკოლებლად შეიძლება მიმოსვლა ყოველი მიმართულებით უგზოდაც, ხეობებში მხოლოდ მდინარეთა დინების მიმართულებით თუ იმოძრავებ. გზები განსაკუთრებით მოსახერხებელია მხოლოდ ქვეითად მოსიარულისა და სასაპალნე პირუტყვისათვის, ზოგან კი არც ერთისა და არც მეორისათვის არ გამოდგება. მაშასადამე, ბორბლების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. აქ დიდი გამოყენება აქვს მარხილის კავებს, რომლებსაც ხმარობენ როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში; აქვთ ერთგვარი მარხილი, რომელსაც ციგას უწოდებენ; ამ ეკიპაჟით ზამთრობით მთიდან თივა ჩამოაქვთ; ციგაზე ბევრ თივას დებენ და პირუტყვის დაუხმარებლად, მხოლოდ მესაჭის წყალობით ჩააქვთ ყიშლალებამდე.

ზამთრობით არსიანის და გურიის ქედების გადასასვლელები და გზები გაუვალია; ამ შემთხვევაში ადგილობრივი მცხოვრებნი იყენებენ თხილამურებს. ეს პირველყოფილი საშუალება შედგება 1 ფუტი დიამეტრის კაკლის ხის რკალისაგან, რომელშიც თოკია გადახლართული.

ზემო აჭარის მთავარი გზები ბათუმიდან ქედისაკენ მიემართებიან; შემდეგ კი ჭვანის, დიდაჭარის და სხალთის ხეობებისაკენ იტოტებიან.

ყველა ამ გზას რუსეთის საზღვრისაკენ მივყავართ. საუკეთესო გზა მიემართება სხალთის და ბაკოს გავლით ფოცხოვის კარანტინისაკენ. ჩვენს საარქივო მასალებში ეს გზა სამხრეთ აჭარის გზის სახელწოდებით არის მოხსენიებული. მისი საუკეთესო ნაწილი (სხალთიდან ულელტეხილამდე) გაყვანილია შერიფ-ბეგის ბრძანებით. მას კარგად ესმის გზების მნიშვნელობა ქვეყნის მეურნეობისათვის და ამიტომაც განიზრახა ზემო აჭარის გაუმჯობესება; მაგრამ თურქეთის მთავრობამ, ალბათ, სტრატეგიული მოსაზრებებით, აუკრძალა ბეგს მუშაობის გაგრძელება. მთავრობის უკმაყოფილება რომ არ გამოეწვია, გონიერმა ბეგმა სამუშაოები შეწყვიტა, თუმცა ხალხი

უკმაყოფილო დარჩა და ამ ბოლო ხანს გზების მდგომარეობა გაუარესდა. სხალთის ხეობაზე ბათუმის მიმართულებით ყოველწლიურად გაივლის დაახლოებით 2.000 საპალნე. ბათუმიდან კარანტინამდე ბათმანი (18 გირვანქა) ტვირთის გადატანა 30 კაპიკი ღირს. ფოთი-თბილისის რკინიგზამ საგრძნობი გავლენა მოახდინა ტრანსპორტზე; ამბობენ, ამ ორი წლის წინ ქირით მეტი ტვირთი გადაჰქონდათო. ფიქრობენ, რომ მომავალში ბათუმ-ყარსის შარაგზის გაყვანასთან დაკავშირებით ამ გზით მოძრაობა უფრო შემცირდება.

სხალთის გზის შემდეგ საუკეთესო გზები დიდაჭარის და ბეღლეთის ხეობებზე გადის. ამ უკანასკნელ გზაზე 1829 წელს გაიარა გენერალ საკენის რაზმმა. დაბოლოს, დერცელის გზა, რომელიც ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს, და რომლითაც ჩვენ ვიმგზავრეთ, სხვებზე გაცილებით უარესია.

ყველა ეს გზა ახალციხეში მიდის. გურიასთან არ არის რამდენადმე მაინც მოხერხებული სამიმოსვლო კავშირი. აჭარა-გურიის მაღალი ქედის გადასასვლელები შემოდგომის დამდეგიდან გაზაფხულამდე იკეტება. ზაფხულობით მიმოსვლა წარმოებს სონუმლიის და თაგინაურის[17] მთების გავლით.

გურიასთან მიმოსვლას, სიძნელის მიუხედავად, ზემო აჭარისა და გურიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ერთადერთი ძიმართულებაა, რომლითაც ჭვანისა და ღორჯომის ხეობათა მცხოვრებლებს შეუძლიათ გაასაღონ თავიანთი პირუტყვი და რძის ნაწარმი ქალაქ ოზურგეთში, რომელიც თავის მხრივ ზემო აჭარას ამარაგებს სოფლისათვის აუცილებელი წვრილი მანუფაქტურით.

ზემო აჭარის მიწის ნაყოფიერება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: სიმინდი საშუალოდ ერთი ოცად, ერთი ოცდაათად, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდის; ხორბალი კი — ერთი ათად. ამ მიზეზებისა და იმის გამოც, რომ სახნავ-სათესი მიწები ცოტა აქვთ, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის მარტო სიმინდს თესავს, ხორბალი მცირე რაოდენობით ითესება. ამ პროდუქტებით აქ არ ვაჭრობენ.

ხილი უხვად არის, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი; ნაკლებადაა ყურძენი და ქლიავი. კაკლის ხე და განსაკუთრებით წაბლი მრავლად იზრდება მდინარეთა შუაწელის გაყოლებით, ამასთან ტყეში — ველურად. აქაური ხილის ნაყოფიერების შესახებ საოცარი მაგალითი მიამბეს.სოფელ ჯიბაძეებში[18] მცხოვრებ სულეიმან ბაი-

17 უნდა იყოს თაგინური — რედ

18 უნდა იყოს ჯაბნიძეები — რედ.

რახტაროღლის აქვს მსხლის ხე, რომელიც წელიწადში 200 ფუთამდე ნაყოფს ისხამსო. ხილით შედარებით ნაკლებად ვაჭრობენ ოზურგეთთან, ახალციხესთან, არდაგანთან და ალექსანდროპოლთანაც კი. რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მოდიოდნენ ახალციხელი სომხები, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს; მაგრამ ახლა ამ საქმეს აღარ მისდევენ, ალბათ იმიტომ, რომ სარფიანი ვერ გამოდგა.

კულტურული მცენარეებიდან თესენ თამბაქოს და ისიც მხოლოდ ქვემო აჭარაში. აქაური თამბაქო საშუალო ხარისხისაა, უხეირო სამსუნის ჯიშს წააგავს. ბაჟის შემოღების გამო მისი პლანტაციები მცირდება.

მესაქონლეობა ზემო აჭარაში ძლიერაა განვითარებული სოფლებში — ბაკოში, ხიხაძირსა და თხილვანაში, განსაკუთრებით კი ღორჯომსა და ნაღორევში.[19] პირუტყვი ძირითადად მერძეულია, მაგრამ ეს დარგი კარგ შემოსავალს აძლევს მხოლოდ გურიის მოსაზღვრე სოფლებს. ის ადგილები კი, რომლებიც არდაგანს[20] ესაზღვრება, არდაგანის ველზე მომთაბარე ქურთების დიდ კონკურენციას განიცდის, და ამიტომაც სხალთის ხეობაში მეცხოველეობა ნაკლებაა განვითარებული, ვიდრე ჭვანის ან ღორჯომის ხეობებში. პირუტყვის რაოდენობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი გამოსალების მიხედვით. მეცხვარეობა არ არის განვითარებული. მხოლოდ ბეგს ჰყავს 800 ცხვარი, სხვებს კი ათეულობით. ცხენი აქ ერთადერთი სასაპალნე ცხოველია. აჭარაში არ არის ადგილობრივი ჯიშის ცხენი; აქ გავრცელებული ჯიშები ქართული ცხენის ნარევია. ზემო აჭარაში შეიძლება ვიანგარიშოთ კომლზე ერთი ცხენიც — ე.ი.სულ არა უმეტეს 2.000 სულისა.

მეფუტკრეობა ძველთაგანვე შეადგენდა აჭარის სიმდიდრეს, ახლა კი უმნიშვნელოდაა განვითარებული, რაც მეტისმეტად დიდი გადასახადის შემოღებით აიხსნება. საფუტკრე არსად მინახავს, ისე კი ამბობენ, რომ სკები მიმალული აქვთ ხშირ ტყეში, რათა თავი აარიდონ მეათედ გადასახადს. თაფლი თითქმის ყოველ ოჯახში აქვთ, მაგრამ ამით არ ვაჭრობენ.

---

19 უნდა იყოს ნაღვარევი — რედ

20 უნდა იყოს არტაანი — რედ.

ასეთია ის ქვეყანა, რომლის შესახებ არა თუ ევროპამ, არამედ მისმა მეზობელმა რუსეთმაც თითქმის არაფერი იცის.

არანაკლებ საინტერესოა აჭარის მოსახლეობაც[21]

უკანასკნელი ტერასიდან სოფელ დორჯომში ჩასვლისას მსხვილი რქოსანი საქონლის დიდი ჯგუფი დავინახეთ; მწყემსად პატარა ბიჭები ედგათ, ჩვენამდე ამოდიოდა მათი ჟივილ-ხივილი. ძალიან დავინტერესდი... პირველად ვხედავდი აჭარლებს და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუთუ ერთმანეთს თურქულად ელაპარაკებიან-მეთქი! ნუთუ აჭარაში საქართველო გაქრა? ბოლოს ახლოს მივედით და... აღტაცებული დავრჩით — ბიჭები ქართულად ილანძღებოდნენ! როგორც კი ჩვენი ქარავანი დაინახეს, ხმაური შეწყვიტეს და გზასთან მოირბინეს ჩვენს სანახავად. ჩვენ შევჩერდით. გარს შემოგვერტყა 12—15 ბიჭი და რამდენიმე მოზრდილიც. რა სახეებია! ძონძები რომ გახადოთ, გეგონებათ დიდკაცის დარბაზებში გაზრდილანო, ისეთი ლოყაწითელი და ლამაზები არიან. მაშინვე ვიცანი ჩემი მშობლიური ტიპი გურული იერით. ჩვენ გზა განვაგრძეთ. სოფელი თითქმის ცარიელია, ხალხი ცოტაა: სამუშაო დროა. სამაგიეროდ, ვინც შეგვხედა, ყველა ტანადია, კარგი აღნაგობისა და ლამაზი. ხულოში ვნახეთ ჩამოსული სომხები და თურქები, მაგრამ ისინი მკვეთრად გამოირჩეოდნენ აჭარლებისაგან. მაღალი ტანი, სახის სწორი ნაკვთები, არწივისებური ცხვირი, ამაყი გამოხედვა, გრძელი სქელი თმა, რომელიც თავზე ოსტატურად მოხვეული ყაბალახიდან ჩანს — აი, ასეთია აჭარელი მამაკაცის ტიპი. ქალები ახლოს არ მინახავს.

---

21 აჭარაზე ჩვენი შეხედულების მაგალითად შეიძლება მიეუთითოთ სტატია „შენიშვნა ბათუმზე“, რომელიც მოთავსებულია რუსეთის გეოგრაფიული საზოადოების მოამბეში (1875 წ № 3). მასში ნათქვამია რომ ქვემო აჭარაში აკეთებენ ზარბაზნებს (?); რომ მთელი ლაზისტანის სანჯაყის მცხოვრებნი ჩაცმულობით ჰგვანან ჩერქეზებს და ქართველებს (?) და რომ ერთმანეთში (ყველანი) ქართულად ლაპარაკობს!

ეს შენიშვნა არის უხეირო თარგმანი ბროშურისა „Notice sur Batoum“, რომელიც უცნობ ავტორს დაუწერია ამ თხუთმეტი წლის წინათ და იქიდან მოყოლებული პერიოდულად მეორდება თბილისის გამოცემებში სხვადასხვა სახით და სხვადასხვა სათაურით. პირველად ბროშურა „Notice sur Batoium“ რუსულ ენაზე გამოვიდა სათაურით „შენიშვნები ლაზისტანზე“. მას თანდართული ჰქონდა ბ-ნ მორენცის შენიშვნები კავკასიის კალენდარში 1867 წ. სათაურით „შენიშვნა ლაზისტანზე“, ამავე ბროშურას იმოწმებს ბ-ნი ბაქრაძეც თავის ვრცელ ანგარიშში „ჩურუქ-სუ, აჭარა და გურია“ (ხელნაწერი), რომელიც წარუდგენია მეცნიერებათა აკადემიისათვის.



აჭარელის ტიპი

აჭარა მთლიანად დასახლებულია ქართველური ტომის ხალხით; სომხებსა და ბერძნებს თითო-ოროლას თუ შეხვდებით ხულოში, და ისიც ვაჭრებს. აქ გურული ტანსაცმელი აცვიათ. რელიგიის მხრივ აჭარლები საკმაოდ მკაცრი მუსლიმანები არიან. შინ ყველა ქართულად ლაპარაკობს, მაგრამ მოზრდილებმა თურქული ენაც იციან. თურქული ენა ამ ბოლო დროს განსაკუთრებით იკიდებს ფეხს.

ამბობენ, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა – ყველა დროის და ხალხის ამ კონსერვატორებმა – სულ არ იცოდნენ თურქული ენა; ახლა კი იციან ქალებმა, მაგრამ სანახევროდ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თურქეთის ძალაუფლება აჭარაში de facto უკვე 30 წელია , რაც დამკვიდრდა, არ შეიძლება არ გაგვაოცოს თურქული ენის ასეთმა გავრცელებამ. ამის ერთ-ერთი მიზეზი,რა თქმა უნდა, თვით თურქული ენის სიადვილეა... ახლა აჭარაში ქართული წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელია, თვით ბეგების ოჯახების გამოუკლებლივ. მაგრამ არც თურქული წერა-კითხვის მცოდნეა ბევრი: სკოლები – ცოდნის წყარო – თურქეთის საქართველოში არ არის. მედრესეში მხოლოდ ყურანსა და მაჰმადიანურ საეკლესიო დისციპლინას ასწავლიან მექანიკურად. ჩვენ ვნახეთ თურქეთის მუდირები და ოფიცრებიც კი,რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ.

აჭარელის ზნეობრივი თვისებები ამოიწურება მაჰმადიანური რწმენის დოგმატების და ჩვევების პასიური ცოდნით, მამაცობით და ბეგის ძველი გვარისადმი ბრმა ერთგულებით...აჭარლებს ყველაფერი უწყობს ხელს, რომ სამხედრო სამსახურში შევიდნენ: მშვენივრად შეუძლიათ ქვეითად სიარული და მუდამ თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი არიან. მათი საყვარელი გასართობია მიზანში სროლა.ამ თვისებასთან ერთად ხალხი ძალიან გულჩახვეული და სევდიანია; ყველანი ობლებსა ჰგვანან, ცეკვა-თამაში არსად გვინახავს, სიმღერაც არ მოგვისმენია:ამ მხრივ დიდი განსხვავებაა აჭარლებსა და მათ ძმებს ქართველებს შორის; აჭარაში რაიმე ეროვნული საკრავიც კი არ აქვთ. ვაჭრობისა და მრეწველობისადმი აჭარლები ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ, და თუ აქამდე აჭარაში ბერძენი, სომეხი და ებრაელი ვაჭრები მაინც ცოტანი არიან, ეს იმით აიხსნება, რომ გადმოცემით, აქაურები სხვის საკუთრებას მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემენ.

აჭარელის საშინაო ყოფა ისეთივეა, როგორიც კავკასიის მთიელი ხალხებისა: პატრიარქალურობა, მოხუცთა პატივისცემა, დოგმად ქცეული სტუმარ-მასპინძლობა, თავშეკავებულობა, დიდი ცნობისმოყვარეობა და – რაც ამიერკავკასიაში იშვიათად გვხვდება – შრომისმოყვარეობა. ზემო აჭარის მცხოვრები მთელი დღე შრომობს. სახლის გარეთ ყველაფერს მამაკაცი აკეთებს, სამაგიეროდ სახლში დიასახლისი უძღვება ყველა საქმეს. ქალი თითქმის კერაზეა მიჯაჭვული, სამუშაოდ მხოლოდ მცირერიცხოვანი ოჯახების ქალები გადიან. სახლის გარეთ მუშაობა გაზაფხულზე იწყება, როდესაც ჯოგს იაილებზე მიერეკებიან. ამ დროიდან დიასახლისი ერთი ან ორი

მამაკაცის თანხლებით მთაშია. გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე და რძის პროდუქტებს ამზადებს. როგორც კი ბავშვი წამოიზრდება, ის უკვე მწყემსია. ტყე და მარტოობა უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდა მწყემსების სულიერ განვითარებაზე...

ჯანმრთელობის მდგომარეობა ზემო აჭარაში, შეიძლება ითქვას, საუკეთესოა, ავადმყოფობა თითქმის არ არის, სიკვდილიანობა უმნიშვნელოა. დამახასიათებელ ავადმყოფობათაგან შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ჩიყვი. ჩიყვიანები ხშირად გვხვდებიან ამ კუთხის საუკეთესო ოჯახებშიც კი...

კონსტანტინეპოლის მთავრობისათვის თურქეთის საქართველო უმთავრესად შემოსავლის (გადასახადების) წყაროა და მთელი აჭაური ადმინისტრაციული პერსონალი თავის უმთავრეს მოვალეობად თვლის გადასახადების დროულად აკრეფას. უნდა ითქვას, ხალხიც შეურიგდა ამ აზრს და დარწმუნებულია, რომ მუდირები, კაიმაკამები და მთავრობის სხვა მოხელეები მხოლოდ იმისათვის მოდიან, რომ აკრიფონ გადასახადი სულთნისათვის და თვითონაც ისარგებლონ ამ აკრეფილი თანხის ნაწილით. ადმინისტრაციის და ხალხის ამ სავსებით შეთანხმებული შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ არავინ ზრუნავს და არავინ მოითხოვს არც მართლმსაჯულებას, არც გზების გაყვანას, არც სკოლას და არც საზოგადოებრივ უშიშროებას. მთავრობის მიერ ამ პრეროგატივთა უგულებელყოფას არავინ უჩივის, და ხალხის ერთადერთი უცვლელი სურვილი იყო, რომ სულთანს გადასახადები არ გაედიდებინა, მაგრამ ხალხის, ეს ზომიერი მოთხოვნა არ ხორციელდებოდა, და აჭარაზე დაკისრებული გადასახადი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში მხოლოდ სულთანს შეეძლო მოეთხოვა ომის შემთხვევაში, ახლა გადაიქცა სავალდებულო გადასახდელ თანხად; ამასთან, დაწესდა ჯარში სამსახური (ნიზამი). გადასახადები სულ უფრო იზრდება და, ჩემი აზრით, სწორედ ესაა ის მოლიპული გზა, რომელზედაც სულთნის მთავრობას ფეხი უნდა დაუცურდეს.

თურქეთის იმპერიაში თანზიმათის[22] გატარების პერიოდში (1839—44)[23] აჭარა ფაქტიურად თურქეთის ვასალური სამფლობელო იყო და მას ხიმშიაშვილების ბეგური გვარი მართავდა. ამ ბეგური გვარის ყველაზე გავლენიანი წევრი — ახმედ-ფაშა იყო აჭარაში

---

22 ტექსტშია თენზიმათი — რედ.

23 დაწვრილებითი ცნობები თანზიმათის, ე. ი. ოტომანთა სახელმწიფო ორგანიზაციის შესახებ მოცემულია კრებულში: ობრუჩევი, სამხედრო სტატისტიკური კრებული, ტ. 2, გვ. 236.

თურქეთის სახელმწიფოს უფლებათა პირველი გამტარებელი. სულთნის წყალობით გულმოგებულმა ბეგმა, რომელიც თურქეთის საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონი იყო, პირველმა შემოიღო აქ გადასახადები. მისივე მფარველობით მოვიდნენ აჭარაში თურქი მოხელეები.

ყველა შემდგომი გადასახადი ამავე გზით შემოიღეს აჭარაში. ამ სამსახურისათვის აჭარელი ბეგები თურქეთის მთავრობისაგან ათასნაირ შეღავათს და ფირმანებს იღებდნენ, თანაც არ ეკისრებოდათ არავითარი სახელმწიფო ვალდებულება; მაშინ კი, როდესაც თურქულმა წესებმა თურქეთის საქართველოში ღრმა ფესვები გაიდგეს, თურქეთის მთავრობამ, რომელსაც აქამდე ვითომ დავიწყებული ჰქონდა თანზიმათის სიტყვები, ახლა გაიხსენა რომ „თურქეთის ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია იხადოს გადასახადი ერთნაირი წესით“ და რომ სახელმწიფოში მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს, როცა აჭარელი ბეგები ამ მახეში გაებნენ, ოპოზიციაში ჩადგნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამ უკმაყოფილების ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ბეგები და ხალხი ახლა კვლავ ერთ ბანკში აღმოჩნდნენ . თურქეთის საქართველოს ყველა ცალკეული ნაწილებისათვის ეს საერთო მდგომარეობა იმსახურებს იმათ ყურადღებას, ვისთვისაც ძვირფასია ამ ქვეყნის ინტერესები.

ამ ოცდაათი წლის წინათ თურქეთის საქართველოში ჩატარდა აღწერა, რათა ხალხისათვის მეათედი გადასახადი დაეკისრებინათ; იმ დროიდან აღწერა აღარ უწარმოებიათ, და ოფიციალურად აჭარის მოსახლეობას უცვლელად თვლიან, თუმცა ფაქტიურად მცხოვრებთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ადგილებზე სარწმუნო წყაროებიდან შეკრებილი ცნობების მიხედვით ზემო აჭარაში აღმოჩნდა:

| | მთავრობის ანგარიშით | ვარაუდით |
|---|---|---|
| თემთა რიცხვი | 20 | 20 |
| კომლთა რიცხვი | 1900 | 2100 |
| ორივე სქესის მცხოვრებთა რიცხვი | 11.400–13.400[24] | 12.600–14.700 |

მოსახლეობას აკისრია შემდეგი გადასახადები:

1) თაჰშირი (საადგილმამულო გადასახადი). ყოველი კომ-

24 თუ კომლზე 6—7 სულს ჩავთვლით.

ლი მოვალეა ხაზინაში შეიტანოს მთელი თავისი მიწების მოსავლის 1/10. ყოველ თემში ირჩევენ გადასახადის ამკრეფს (მუხტარს), რომელიც თვალყურს ადევნებს მოსავალს და განსაზღვრავს თითოეული კომლის გადასახადს. გადასახადი,ფულის სახით,მიაქვთ ყადის ხაზინადართან.[25] ეს გადასახადი ზემო აჭარაში 8.400 მანეთს აღწევს.

2) სალიანი. ამ გადასახადის დანიშნულებაა შეინახოს გუბერნიის, მაზრის და უბნის ადმინისტრაცია. სალიანის რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის მიერ დადგენილი საერთო ციფრით, რაც შემდეგ თანაბრად ნაწილდება თითოეულ კომლზე. ეს გადასახადი ზემო აჭარაში 2.170 მანეთს შეადგენს.

3) რუსუმათი (გადასახადი) ცხვარზე და თხაზე, სულზე 25 კაპიკი, სულ 1.050 მან.

4) რუსუმათი (გადასახადი) მხოლოდ მეწველ მსხვილ რქოსან საქონელზე, სულზე 1,5 გირვანქა (1—2 ოყა) კარაქი, სულ — 490 მან.

5) სადერბო გამოსაღები ნასყიდობის დოკუმენტისათვის (თაფუ)[26] საშუალოდ — 1.400 მან.

6) გადასახადი თამბაქოზე — 105 მან.

7) ზაფთიების და შიკრიკების საგზაო ხარჯი ( ამ ფულს ხაზინის სასარგებლოდ კრეფენ ) — 700 მან.

სულ 14.315 მან.

მაშასადამე, ზემო აჭარის თითოეულ კომლზე წლიურად მოდის 9 მან. 50 კაპ. გადასახადი. ამ ფულს მუდირები კრეფენ მუხტარების დახმარებით, აკრეფილი თანხიდან იტოვებენ მმართველობის ხარჯებს შტატის მიხედვით, დანარჩენს კი გზავნიან ბათუმში.

ზემო აჭარის ადმინისტრაციაზე მთავრობას ეხარჯება:

| | | |
|---|---|---|
| მუდირის ჯამაგირი | 840 | მან. |
| 7 ზაფთის (ჟანდარმის) ჯამაგირი | 572 | |
| მუდირის მდივნის ჯამაგირი | 168 | |
| საკანცელარიო ხარჯები | 12 | |
| გადასახადის ამკრეფს (ხაზინადარს ) | 52 | „ |
| | სულ 1.644 მან. | |

გადასახადი ზემო აჭარაში, თურქეთის საქართველოს სხვა კუ-

---

25 მუთესარიფი მართავს სანჯაყს (გუბერნიას), კაიმაკამი კაზას (მაზრას), ხოლო მუდირი - ნაჰიეს (უბანს).

26 ტექსტშია თაფა — რედ.

თხეებთან შედარებით, მძიმე არაა, რადგან მთაერობას აქამდე ვერ გაუბედავს შემოიღოს იჯარის ის საერთო წესი, რომელიც ტარდება შავშეთში, არტანუჯში და სხვა ადგილებში. ამას გარდა, აჭარლები წინ აღუდგნენ ტყის მცველების დანიშვნას, რაც სხვა პროვინციებში უკვე შემოღებულია. მთავრობამ აქამდე ვერ მოახერხა აკრიფოს აქ სხვა არაპირდაპირი გადასახადები; ასევე ჯერჯერობით ვერ შეძლო შემოიღოს რეკრუტთა გაწვევა და ნიზამში მხოლოდ ისინი მიჰყავთ, რომელნიც თავისი ნებით მიჰყვებიან.

ამ სტატიის ბოლოში რამდენიმე სიტყვით გადმოგცემთ ზემო აჭარის წარსულს.

აჭარელთა თქმულებანი წარსულ საუკუნეს არ სცილდება, ისე კი ყველგან და ყველასაგან გაიგონებთ თამარ მეფის სახელს, ან მოისმენთ იმ ამბავს, რომ ოდესღაც მთელი აჭარა ქრისტიანული ქვეყანა იყო, რომ მთებს იქით ცხოვრობენ მათი ძმები და ნათესავები — ქართველები. ამ ამბებში მოჩანს აჭარელთა გულისტკივილი წარსული ძლიერების დაკარგვის გამო და რაღაც ბუნდოვანი იმედი მომავლისა. აქ არ მოვიყვანთ მხცოვანთა დაულაგებელ ნაამბობს, ჩვენ შევჩერდებით აჭარის წარსულის ზოგად ნარკვევებზე, განსაკუთრებით კი ბეგის გვარის ისტორიაზე.

... თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აჭარა დაშორებული იყო დიდ გზებს და ამიტომაც არ იხსენიება არც რომაელების ბატონობის და არც ლაზიკისათვის წარმოებული დიდი ბრძოლების დროს. ქართლის მატიანეებში, ვახუშტისა და ინჯიჯიანის გეოგრაფიებში და სხვაგან აჭარა იშვიათად გვხდება... XVII საუკუნის ნახევრიდან აჭარა თურქეთის პროვინციად ითვლება. მაჰმადიანობა აქ მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულიდან ვრცელდება. თურქეთის მთავრობის ფაქტიური გავლენა კი მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება, იმ დროიდან, როდესაც ერთის მხრივ ცეცხლითა და მახვილით, მეორე მხრივ კი აჭარელი ბეგების, განსაკუთრებით ხიმშიაშვილების ოჯახის წყალობით, აჭარაში შემოიღეს თურქული წესები.

აჭარელი ხიმშიაშვილების გვარის წარსულის შესახებ შემდეგია ცნობილი:

ახლანდელი ბეგის პაპის მამა, მხცოვანთა თქმით, ჩვეულებრივი მოკვდავი იყო, მაგრამ ჭკუისა და ერთგვარი სიმდიდრის წყალობით ამ მხარეში გავლენა მოიპოვა და ბეგი უწოდეს, მისი ვაჟი სელიმი მამის კვალს გაჰყვა. განვლილი საუკუნის მიწურულიდან სელიმ-ბეგმა ისარგებლა ახალციხეში მომხდარი არეულობით, სადაც იჯდა

უკანასკნელი ათაბაგი შერიფ-ფაშა, და თავისი გავლენა აჭარაში გააძლიერა, შეიქმნა ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი და უარი განაცხადა ახალციხის ფაშის მორჩილებაზე. ფაშისაგან განდგომა იმ დროს უკვე აღარავის უკვირდა. 1802 წელს სელიმ-ბეგმა შეკრიბა აჭარლები და განდევნა ახალციხიდან შერიფ-ფაშა. ამგვარად, აჭარის ბეგი გახდა ფაშა და რათქმა უნდა, ამ გარემომ გავლენა იქონია ხიმშიაშვილების გვარის შემდგომ ბედზე. მაგრამ ფაშების ბედი მეტად ცვალებადია. მალე სელიმ-ფაშას განურისხდა თავისი მბრძანებელი და 1805 წელს იძულებული იყო ახალციხიდან გაქცეულიყო. თანამდებობის დაკარგვასთან ერთად ხიმშიაშვილს სიკვდილი მიუსაჯეს. შერიფ-ფაშა კვლავ დაბრუნდა ახალციხეში და დაიწყო თავისი მტრის ძებნა. ამიტომაც სელიმ-ფაშა იძულებული გახდა აჭარაში გადასულიყო. სელიმ-ფაშასთან ერთად სიკვდილი მიესაჯა მის ოჯახსაც, მაგრამ ახალციხის ფაშამ, რომელმაც ორჯერ გაგზავნა ჯარი აჭარაში, სელიმთან ვერაფერი გააწყო.ხიფათი თავიდან რომ აეშორებინა, სელიმ-ფაშამ სცადა დამეგობრებოდა რუს მთავარსარდლებს კავკასიაში — რტიშჩევს და მარკიზ პაულიჩს, ხოლო თავისი შვილები — ახმედი და აბდი მამია IV გურიელთან[27] გახიზნა. სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი დიდხანს ვერ დაიმალა. 1815 წელს არზრუმის სერასკირმა ბაბა-ფაშამ (ფეჰლევანმა) აჭარაში ახალი რაზმი გაგზავნა. სელიმ-ფაშამ თავი შეაფარა ხირხათის ციხე-სიმაგრეს სოფელ ბაკოს მახლობლად და მანამ იყო იქ, ვიდრე ღალატით არ შეიპყრეს.სელიმ-ფაშას თავი სტამბოლში გაგზავნეს.

როცა ყველაფერი მიწყნარდა, ახმედ-ბეგი გურიიდან დაუბრუნდა მამის დანგრეულ კერას ნიგოზეულში[28] და საქმეები თავისი წინაპრის მაგალითისამებრ წარმართა. ამავე დროს მისმა ძმამ — აბდი-ბეგმა — ცოლად შეირთო გურიის მფლობელის და ესმა გურიელი.

1828 წლის ომის დასაწყისში ახმედ-ბეგი უკვე შუახნის კაცი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ფოცხოვიდან ზღვამდე. ქონება და მიწა ბევრი ჰქონდა, რომელიც ზოგი შეისყიდა და ზოგიც მამისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ახმედ-ბეგი დასახლდა ხულოში, სადაც ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებზე ააშენა სახლი. ახ-

27 კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები,ტ. 5, გვ. 512, 521, ბუტკოვი, მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის, ტ.3, უნდა იყოს მამია V გურიელი (1809—1826 წ.წ.) — რედ.

28 უნდა იყოს ნიგაზეული — რედ.

მედ-ბეგისთანა გავლენიანი პიროვნების მეგობრობა რუსებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამიტომაც 1828 წელს თავ. ბებუთოვმა, რომელიც ახალციხეში რუსეთის ჯარს მეთაურობდა, დაიწყო მასთან მოლაპარაკება. ახმედ-ბეგი, რომელმაც ფაშობა ახალციხის 1829 წლის ალყის შემორტყმისათვის მიიღო, დათანხმდა რუსეთის ქვეშევრდომობას. იმპერატორმა ნიკოლოზმა ახმედ-ბეგს გენერალ-მაიორის წოდება და სტანისლავის ლენტი უბოძა. ჯილდოს მისაღებად ახმედ-ფაშა ახალციხეში უნდა ჩასულიყო, მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა, ბებუთოვის ადგილას მოვიდა გენერალი ოსტენ-საკენი, და ახმედ-ბეგმა, რომელიც პირადად იცნობდა და ენდობოდა თავად ბებუთოვს, ვეღარ გაბედა დანდობოდა ახალ გენერალს. ამიტომ, შეთანხმების მიუხედავად, ახმედ-ფაშა აღარ გამოცხადდა ახალციხეში,ხოლო ოსტენ-საკენმა ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე დაძრა ჯარი აჭარისაკენ. ამ ლაშქრობის დროს, ე. ი. 1829 წლის აგვისტოში, აჭარაში ჭირი მძვინვარებდა და მოსახლეობა ტყეებს შეეფარა. თვით ბეგი კი ამ დროს ქვემო აჭარაში იყო. უეცრად შევიტყვეთ, – მიამბო ერთმა 100 წლის ღორჯომელმა მოხუცმა, – რომ რუსის ჯარი რიყეთში[29] მოვიდა, ხულოში შეიკრიბნენ მამასახლისები და მიიღეს რუსეთის გენერლისაგან გამოგზავნილი კაცი. ის არწმუნებდა, რომ ჯარი ბათუმში მიდის და აჭარლებს არაფერს დაუშავებს, მაგრამ თუ რომელიმე სოფლიდან გაბედავენ თოფის გასროლას, მაშინ სოფელს მაშინვე გადასწვავენო; გენერალი მოითხოვდა, რომ თვით ახმედ-ფაშა შეგებებოდა მას, მამასახლისებმა სამი დღის ვადა ითხოვეს, მაგრამ ამ დროისათვის გენერალი მოვიდა ხულოში და, რადგან ახმედ-ფაშა არ გამოცხადდა დათქმულ დროზე, მისი სახლი გადასწვა.

ამასობაში ახმედ-ფაშამ შემოიკრიბა სამასი-ოთხასი აჭარელი და გადაწყვიტა რუსები ბათუმში არ გაეშვა. რუსები ხულოში ორ ღამეს დარჩნენ, მერე კი უკან გაბრუნდნენ ღორჯომის გზით. ოსტენ-საკენის 2.000-იანი რაზმი არტილერიით, კავალერიით, სასაპალნე აღალით, მრავალი დაჭრილითა და ავადმყოფით ნელა მიიწევდა წინ: რაზმმა მთელი დღე-ღამის განმავლობაში ძლივს მიაღწია ღორჯომს, სადაც დაბანაკდა ჯამეს (მეჩეთის) მახლობლად და მეორე დღეს აჰყვა სონუმლიის მთას.

ახმედ-ფაშა დაედევნა რუსებს და თავისი ხალხი გაგზავნა მათთვის გზის გადასაჭრელად. აჭარლები მთებიდან დიდ ლოდებს აგო-

29 სოფელია ბეღლეთის ხეობაში, შუა აჭარის გზაზე.

რებდნენ და ამით კიდევ უფრო აძნელებდნენ რაზმის წინსვლას. 1829 წლის 22 აგვისტოს საღამოს რუსები ავიდნენ საყველაფერდის ქედზე და იმ ღამეს იქ დაბანაკდნენ, შემდეგ გურიის საზღვრისაკენ დაიძრნენ, იქიდან კი, შავი ჭირით დავადებულნი,ქვაბლიან-ჩაის გავლით ახალციხეში ჩავიდნენ.

ეს იყო 1829 წლის ომის უკანასკნელი ეპიზოდი. მალე ზავი დაიდო; ახმედ-ფაშამ მიიღო ყარსის გუბერნატორის პოსტი,[30] ხოლო გარდაცვალების წინ არზრუმის სერასკირის თანამდებობა ეკავა.

1829 წლის ომის შემდეგ, ახმედ-ფაშას სამსახურებრივი კარიერის წყალობით ხიმშიაშვილების გვარი დაეპატრონა მთელ თურქეთის საქართველოს. სელიმ-ფაშას შვილებმა შეთანხმებულად გაინაწილეს ქვეყნის მმართველობა: აბდი-ბეგს, რომელსაც ცოლად გურიელის ქალი ჰყავდა, ეკავა შავშეთი და სათლელი; ახმედ-ფაშამ მიისაკუთრა არტანუჯი და აჭარა, მესამე ძმა — ქორ-ჰუსეინ-ბეგი (ქორელამი) დაეუფლა ფანაკს, მეოთხე — დურსუნ-ბეგი — თავასკერს[31] ამ პროვინციების ახლანდელი მფლობელნი ჩამოთვლილი პირების შთამომავალნი არიან.

ახმედ-ფაშის სიცოცხლეში ძმების ყველა სამფლობელო სულთანს ექვემდებარებოდა ნომინალურად.

ერთადერთი ბეგარა, რომელიც იმ დროს თურქეთის საქართველოში არსებობდა, იყო სამხედრო სამსახური. ახმედ-ფაშამ, ალბათ, იმ მიზნით, რომ ნიზამის შემოღებისათვის ესიამოვნებინა, აჭარაში დააწესა რეკრუტობის მსგავსი რამ, მაგრამ პირველ ხანებში გაწვევა არასწორად წარმოებდა და ჯარისკაცად მიჰყავდათ ორიოდე უსახლკარო ღარიბ-ღატაკი აჭარელი.

ახმედ-ფაშის სიკვდილის შემდეგ ძმებში მეტი გავლენა ჰქონდა ქორ-ჰუსეინ-ბეგს. რადგან ახმედ-ფაშის ვაჟი — შერიფ-ბეგი მცირეწლოვანი იყო, ქორ-ჰუსეინი მართავდა მთელ აჭარას და ყოველნაირად უშლიდა ხელს მის გათურქებას. ამ ხიმშიაშვილზე ხალხი ბევრ საარაკო რამეს ამბობს: მას სახავენ უშიშარ რაინდად, მაგრამ ავსაც ამბობენ ხოლმე. ქორ-ჰუსეინ-ბეგის დასაშინებლად აჭარაში გაგზავნეს ჭყონია ფაშა, ქართველი რენეგატი, ცნობილი თავისი ფიზიკური ძალით და სიმკაცრით. ამ ახალმა ჰერკულესმა თავის რეზი-

30 ახმედ-ფაშამ მოაწყო ლაშქრობა ლაზისტანსა და ლივანაში, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით.

31 უნდა იყოს ტაოსკარი — რედ.

დენციად ქალაქი ქედა აირჩია და იქიდან შიშის ზარს სცემდა ახლო-მახლო მიდამოს მოსახლეობას, მაგრამ ჰუსეინ-ბეგი დაესხა თავს ქედას და განდევნა ფაშა. მაშინ ჭყონიას მაგიერ მოვიდა უფრო მკაცრი და ღონიერი — ქეი-ოღლი ტრაპეზუნელი. ეს უკანასკნელი 4-ათასიანი ჯარით შემოვიდა აჭარაში და ქვეყანა ცეცხლს მისცა. ამასთან ერთად ქორ-ჰუსეინის წინააღმდეგ დაიძრა ყარსის ფაშა თავისი ჯარით. ჰუსეინი ხელთ იგდეს და წაიყვანეს ყარსში, საიდანაც მოასწრო გაქცევა, მაგრამ ხელმეორედ დაიჭირეს და გაგზავნეს სტამბოლში, სადაც 40-იანი წლების დასასრულს მიიცვალა.

ქეი-ოღლის მმართველობა განსაკუთრებული პერიოდია აჭარის ისტორიაში; ამ სასტიკმა ადამიანმა მოასწრო თურქეთის ადმინისტრაციის პირველი ნიშნების დანერგვა ამ კუთხეში და მოამზადა ნიადაგი საადგილმამულო გადასახადის შემოღებისათვის.

ხიმშიაშვილების გვარის ამ მოკლე ისტორიიდან ცხადია, თუ როგორ გავრცელდა აჭარაში თურქული წესები. შემდეგ კი, როდესაც ახმედ-ფაშის და ქეი-ოღლის სისასტიკის წყალობით პორტამ[32] ხალხის თავისუფლებას სამარე გაუთხარა, ბეგებსაც მიჰყო ხელი; ორმოციანი წლების დასაწყისში ბეგის საგვარეულოს წევრები გამოითხოვეს სტამბოლში, სადაც მთავრობამ განუცხადა, რომ უნდა გადაისინჯოს მათი საგვარეულო ფირმანები და შეცვალოს ახალი წესების კვალობაზე. ბეგები მთავრობის მოთხოვნებს მაშინვე დაემორჩილნენ და დაპირებებით მოხიბლულებმა გადასცეს მას, როგორც ქართველი მეფეების, ისე თურქი სულთანების მიერ მათი წინაპრებისათვის ნაბოძები საბუთები, რომელთა ხელში ჩაგდების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა თანხიმათის ცნობილი სიტყვები:

„იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს“.

ამ აქტით დასრულდა თავისუფალი აჭარის ისტორია.

---

32. პორტა ან ბრწყინვალე პორტა la paurte sublime — ასე უწოდებენ ფრანგები და შემდეგ ევროპელები ოსმალეთის მთავრობას — რედ.

## II

## შავშეთი

9 ივნისს გამოვეთხოვეთ ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელს შერიფ-ბეგს და შავშეთისაკენ გავემართეთ. ამ მხარეზე ჩვენი წინასწარი ცნობები ძალზე ძუნწი იყო. ევროპის გეოგრაფიულ თხზულებებში შავშეთზე არაფერია ნათქვამი, თითქოსდა ეს მხარე დედამიწაზე არც კი არსებობს. კავკასიის სამხედრო ოლქის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ გამოცემული ხუთვერსიანი რუქა სანდო არაა: ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ იგი შედგენილია გამოკითხვის წესით შეგროვებული ცნობებით 1828—29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

ზემო აჭარიდან შავშეთში ორი გზა მიდის: ერთი ს. ბაკოდან, მდინარე სხალთისწყლის მარცხენა შენაკადის გაყოლებით სამხრეთ-დასავლეთით ჩირუხის მთამდე და აქედან არსიანის მთის თხემზე გავლით თავად მთა არსიანამდე. ეს გზა მდ. ყვირალას ხეობის გავლით შავშეთში ეშვება. მეორე გზა, უფრო სწორედ გზაბაწარი, გადის მერეთის ხევიდან, მაღალ ქედზე, იმერხევის სოფელ ივიეთში. ამ ორი გზიდან, უეჭველია, უკეთესი გადის არსიანის ქედზე; ჩვენც ამ გზით წავედით.

ბაკოდან ჩვენი გასვლის დღეს ტაროსი ძალზე მოიქუფრა; დილიდან ატმოსფეროს მაღალ ფენებში იგრძნობოდა ძლიერი მოძრაობა; ხეობებიდან დაძრულმა სქელმა ჯანღმა არემარე რუხ ჩრდილში მოაქცია. უამინდობის მიუხედავად გასამგზავრებლად მზად ვიყავით, გადავწყვიტეთ ჩვენი მასპინძელი მეტად აღარ შეგვეწუხებინა. მალე ზაფხულის წვრილი წვიმაც წამოვიდა, ამიტომ ბაკოდან ოთხ ვერსზე, უახლოეს იაილა ყარაგოლზე შევჩერდით. აქ სამი დღე უნდა დავრჩენილიყავით, რადგანაც გადაულებლად წვიმდა და მიდამოები სქელი ღრუბლებისაგან არ იწმინდებოდა. გადავწყვიტეთ დაგვეცადა, რაც მთავარია, ჩვენს მიერ შერჩეული პუნქტი საკმაოდ მაღალზე (7158 ფუტი) მდებარეობდა და მხოლოდ აქედან შეგვეძლო ამ ადგილების აგებულებაზე წარმოდგენა გვქონოდა.

იაილა, სადაც ჩვენ გავჩერდით, ხიხაძირის მცხოვრებთა კუთვნილებაა და ახლომდებარე ტაფობის მიხედვით, რომლის ფსკერი შავი ტორფითაა დაფარული, ყარაგოლი (შავი ტბა) ჰქვია. მის უკან კიდევ ორი იაილა მდებარეობს, რომელთაგან ერთი შავშეთის სოფელ ახალდაბის, ხოლო მეორე აჭარის სოფელ კალოთის მცხოვრებლებს ეკუთვნის. აქედან ოდნავ მოშორებით, შავშეთის გზაზე კახაბრელი ქურთების ჩადრებია გაშლილი; კიდევ უფრო შორს, როგორც რომელიღაც აქაურმა გვითხრა, მრავალი იაილაა. ნათელი იყო, რომ ჩვენ მნიშვნელოვან პუნქტამდე მოგვიღწევია. მართლაც ჩვენ ვიდექით ჩირუხის მთების განთქმულ საძოვრებზე.*

ბაკოდან გამომავალი გზა დასაწყისში შერეულ ტყეში შედის, შემდგომში ხირხათის მთის ძირში, მცირე ყორღანების და ნანგრევების გვერდით, რომლებიც ადასტურებენ აქ ქრისტიანული მოსახლეობის არსებობას,** ტყის ზოლს სცილდება და ქედის გაყოლებაზეა. მთის თხემი საერთოდ ინარჩუნებს იგივე ხასიათს, რომელიც ჩვენ აღვწერეთ თავში „ზემო აჭარა", მაგრამ მთის სიბრტყე გაცილებით ფართოა; აქ არსიანის ქედს ტალღოვანი ვაკის სახე აქვს, რომელიც დიდ რკალივით დასავლეთით არის გადაზნექილი. ამ ნახევარწრის ცენტრის იქეთ ჩირუხის ბლაგვი კონუსი და რადიუსით — არანაკლებ სამ ვერსამდე ხაზი იქმნება. ამას თუ დავუმატებთ, რომ მთელი ფართობი წარმოადგენს ერთ გაშლილ მწვანე ხალიჩას, რომელიც თვალწარმტაცი ალპური ფლორითაა დაფარული, გასაგები იქნება ახლომდებარე მხარეების მეურნეობისათვის ჩირუხის მდელოებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზაფხულის დადგომისთანავე სხალთის, მერეთის — ხევის, შავშეთის ხეობებიდან და კახაბრის ქურთების ვაკეებიდან აქ საქონელს მოერეკებიან. ამ დროს უმრავლეს იაილებში, რომლებიც ჩირუხის მიდამოებშია გადაჭიმული, მწყემსთა ცხოვრება გამოცოცხლდება ხოლმე. გაზაფხულობით ეს დიდებული მინდორი აქაურობის საუკეთესო ადგილად გადაიქცევა; სამაგიეროდ შემოდგომაზე, განსაკუთრებით ზამთრობით, მცენარეულთან ერთად სიცოცხლეც კვდება, რადგანაც მთელი ჩირუხის მდელოები თოვლის სქელი ფენით იფარება და დასავლეთის გაბატონებული ქარები ადამიანის ნაკვალევს აღარ ტოვებენ. ამ არასტუმართმოყვარე დროს შავშეთსა და აჭარას შორის ყოველგვარი კავშირი წყდება.

---

* ყარაგოლის იაილაში შევაგროვეთ მცენარეთა სახეობები, რომლებიც შეტანილია № 2 დანართში.

** იხ. თ. „ზემო აჭარა", გვ.31.

ყარაგოლის იაილაში ჩვენ სტუმრად ვიყავით გამოქცეული რუსი ჯარისკაცის შთამომავალთან, რომლის მამა აქ 20-იან წლებში ჩამოსულა. მარტო ზემო აჭარაში ჩვენ ოთხ რუსულ ოჯახს შევხდით; ყველა ისინი ჩვენი ძველი სალდატჩინის მსხვერპლნი არიან. ისინი თურქეთში გაექცნენ 25-წლიან სამხედრო სამსახურს. ჩვენმა ახლანდელმა მასპინძელმა თავისი ოჯახის შემდეგი ისტორია მოგვიყვა: აქ ჩამოსულმა მისმა მამამ ისლამი მიიღო, ახმედ-ფაშის ყმა გახდა, ცოლად აქაური ქალი შეირთო, თავის ბეგს დაკანონებულ შვიდ წელიწადს ემსახურა და გახდა სოფელ ხიხაძირის თავისუფალი მცხოვრები. ამ დროს აჭარაში შემოიღეს სამხედრო ბეგარა,რომელსაც დასაწყისში მხოლოდ საწყალი ხალხი იხდიდა. ყმა რუსის ოჯახიც ვერ ასცდა ნიზამს და მისი ორი შვილი გაიყოლეს სამხედრო სამსახურში. სალდატჩინისაგან თავის გამოსახსნელად ძმებს თავიანთი და ბეგისათვის უნდა მიეცათ. მალე გოგონა არტაანის ბეგთან მოხვდა, რომელმაც იგი ყარსის ფაშას გადასცა და გოგომ მის ჰარამხანაში დაიდო ბინა. შემდგომში ეს ფაშა ბაღდადის მუთესარიფი გახდა და ახლა, სამსახურიდან გადამდგარი ალეპოში ცხოვრობს. არტაანში ქალიშვილის ჩაყვანის შემდეგ ძმებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ, იგი ცოცხლებში აღარ ეგულებოდათ. მაგრამ სამი წლის წინ, მოულოდნელად ჩვენი მასპინძლისათვის ცნობილი გახდა დის ბედი; იგი ალეპოში ჩავიდა, მაგრამ სიძე-ფაშამ იგი არ მიიღო. ამას სულეიმანი სულაც არ გაუკვირვებია. იგი სრულიად მშვიდად მოგვიყვა, რომ მისი და ახლა კარგად ცხოვრობს. სულეიმანი ძალზე შემოგვეჩვია და სულ თავის სიღატაკეზე წუწუნებდა.

ყარაგოლის იაილიდან ჩვენ სწრაფად გავემართეთ ზევით და 20 წუთში სოფელ კალოთის თავზე მდებარე ცივ წყაროსთან ვიყავით. გამცილებელმა ყურადღება მიაქცია ამ წყაროს და მითხრა, რომ ეს ისეთი ცივია, ერთი ყლუპით მთელი პირი იყინებაო. წყაროს ტემპერატურა 4°R, ხოლო ჰაერისა 10°R იყო. უნდა ვივარაუდოთ, აქაურის წყაროს ტემპერატურა ამ ადგილების საშუალო წლიურ სითბოს შეეფარდება. კალოთის თავზე მდებარე ეს წყარო ყარაგოლის იაილაზე 400 ფუტით ზემოთ მდებარეობს. წყაროდან გზა, უფრო სწორედ ჩვენი სავალი, რადგანაც აქ ყველგან ერთნაირად გაუვალია, გადის მთავარი ქედის დასავლეთ ფერდობზე, რომელიც ჩირუხსა და არსიანს აერთიანებს. ყარაგოლიდან არსიანის მთისძირამდე, ე.ი. იმ ადგილამდე, სადაც ძევს სოფ. ჯინალის იაილა, გზა 7000 ფუტის სიმაღლეზე სამხრეთით მიემართება. გზის სიგრძე 10 ვერსია. ამ სივრცეში მთავარი ქედიდან გამოიყოფა რამდენიმე განშტოება, რომლებიც

ქმნიან წყალგამყოფს. ერთ მხარეს წყალი აჭარისაკენ მიედინება, მეორე მხარეს შავშეთის მთიანი მხარის, იმერხევისაკენ. ზემოთ ნახსენები განშტოებებიდან ერთს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება აქვს და კალოთისა და სხალთის სამხრეთ კედელს ქმნის.; მეორე, პირველზე გაცილებით დიდი, მიდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ და შავშეთისაგან გამოყოფს მერეთის ხევს, ბუნებრივია მთელ ზემო აჭარასაც. ამ თხემს შავშეთის მთაგრეხილი ჰქვია.

ამ განშტოების გარდა კენჭაურის მთასთან, არსიანის მთიდან სამ ვერსზე ჩრდილოეთით, გამოიყოფა დემირ-ყაფის თხემი. იგი გამოდის სოფელ ჯინალის მოპირდაპირე მხარეს კლდოვანი ქიმის სახით და დასაბამს აძლევს მდინარეს, რომელიც სოფელ ჩიხთაზე გადის. ბოლოს, საკუთრივ არსიანის მთისაგან დასავლეთით გამოიყოფა რამდენიმე მცირე განშტოება, რომლებიც მდებარეობენ მდინარე სათლელის წყლის შენაკადებს შორის. სხვანაირად მას შავშეთის წყალსაც ეძახიან.

არსიანის მთების შემოგარენს, კენჭაურის მწვერვალისა და თავად არსიანის გარდა, აქვს მსუბუქი კონტურები და სავალად ყველა მიმართულებით მისადგომია. არსიანის კონუსთან ახლოს გადის ორი გზა, რომელიც მწვერვალს ჩრდილოეთით და სამხრეთი მხრიდან ვიწრო სარტყელსავით გარს შემოერტყმის. სამაგიეროდ ქვემოდან სამხრეთისაკენ ყოველ ნაბიჯზე მიდამოს უფრო მეტად კლდოვანი ხასიათი აქვს. და ბოლოს, შავშეთის წყლის სათავეები სრულიად მიუვალია.

მკაცრი კლიმატის გამო, დიდი რკალი, რომელსაც ზემოთ ჩვენ ჩირუხის ველი ვუწოდეთ, მკვიდრი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია. დასახლებული ადგილები ამ ველის გარეთაა და ეს ველი რაც უფრო შორსაა ამ ქედიდან, მით უფრო მეტად იხრება დასავლეთისაკენ. მთავარი ქედის განშტოებები, რომლებიც შავშეთში ეშვებიან, მცირე ნაყოფიერი თიხნარით, იგი წარმოდგენილია ნიადაგქვეშა ქვიშით და მაგარი ფიქალით. ალაგ-ალაგ ეს ფიქალი სრულიად გაშიშვლებულია და მდინარეთა ნაპირებზე მკვეთრ ფლატეს ქმნის. ნიადაგის თხელი ფენა გავლენას ახდენს მცენარეულ საფარზეც. იგი ძალზე ღარიბია. ხეები დაბალი და დაგრეხილია. ნაცვლად აჭარის მშვენიერი ტყეებისა, აქ, მთიან შავშეთში ხშირად გვხვდება ეკლიანი ბუჩქნარი, სადაც აქა-იქ თუ გამოჩნდება ნაძვისა და ტირიფის მიმოგრეხილი ღეროები. ხეხილი ცოტა, ან სულაც არაა. 6000 ფუტის სიმაღლეზე, ე.ი. სოფლების ბაკოსა და ყვირალას დონეზე, გვხვდება მსხლის ხეები და მოცხარის ბუჩქები. სახნავი მიწები ცოტაა, თესა-

ვენ მხოლოდ სიმინდს, ხორბალსა და ქერს, მაგრამ ეს პურეულიც არ იძლევა კარგ მოსავალს. ასეთია მთიანი შავშეთი სოფელ მიქელეთამდე.

არსიანის მთასთან ახლოს ჩვენ სწრაფად დავეშვით ქვემოთ მდინარე ყვირალას ხეობაში და დაახლოებით შუადღისას ჩამოვედით ამავე დასახელების სოფელში. სოფელ ყვირალადან იაილა ჯინალამდე სულ 5 ვერსია. შესაბამისად ბაკოდან შავშეთის პირველ სოფელ ყვირალამდე 20 ვერსია.

სანამ შავშეთის პირველ სოფლამდე ჩავიდოდით ცხადი გახდა, რომ ჩვენი რუქა არავითარ ცნობას არ იძლევა ამ მხარეზე.აღარაფერს ვლაპარაკობთ არარსებულ ქედებზე, რომლებიც ამ რუქაზე თამამად და თვითდაჯერებითაა შეტანილი; ყველა სოფლის, მდინარისა და მთის სახელი ერთმანეთში არეული და გაფანტულია რუკაზე რაღაც გაურკვეველი წესით. ყველა გაუგებრობის გასარკვევად და მხარის ტოპოგრაფიულ ხასიათზე გარკვეული წარმოდგენის მისაღებად ჩვენ ავედით სარიჩაის (ჯინალთან ახლოს) მთის მწვერვალზე და 8000 ფუტი სიმაღლიდან გადავხედეთ შავშეთს. მთელი მხარე ხელისგულივით მოსჩანდა. ამ სურათმა, რომელიც შემდგომში შევავსეთ ექსკურსიებით, მოგვცა მისი ზედაპირის ხასიათის შემდეგი სურათი.

შავშეთის სახელით იგულისხმება სივრცე, რომელიც მოთავსებულია არსიანის, კარჩხალისა და იალანუსჩამის მთის ქედებს შორის. ყველა ეს მთა მნიშვნელოვნად მაღალია ზღვის დონიდან. ამ მთებს შორის ჩაკეტილი სივრცე, თუ ზოგადად ვიტყვით, წარმოადგენს ერთ დიდ ქვაბულს და შესაძლოა გავყოთ ორ ნაწილად: მთიანი და დაბლობისა. პირველი შედგება იმერხევის ხეობისაგან, ხოლო მეორე სათლელის წყლის აუზის, ან საკუთრივ შავშეთისაგან. მთიანი ნაწილი ზემო აჭარისას წააგავს, მაგრამ მისგან განსხვავდება უფრო მკვეთრი კონტურებით. გარდა ამისა ტყის მცენარეული აქ ღარიბია და თიხნარი ნიადაგი პირდაპირ კირქვოვანში გადადის. იმერხევის მდინარეები მკვეთრ დაღმართებზე მიედინება და დასახლებული ადგილები დაჯგუფებულია იმ ხეობებში, სადაც გზები გადის. შავშეთის ბარის, ანუ სამხრეთის ნაწილი, რომელიც ზოგჯერ შავშეთად იწოდება, სხვა ხასიათისაა. აქ მთის განშტოებები დიდ ფართობებად იშლება და დასახლებებიც მეტნაკლებად ხეობებიდან გამოდის. აქ ადამიანი მდინარეთა ნაპირებთან არაა მიჯაჭვული, სოფლები იშლება დიდ ველებზე, სადაც აქვთ სახნავი და სათიბი ადგილები.

შავშეთზე ზოგადი წარმოდგენის მიღების შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ შეწყვეტილ თხრობას. 11 ივნისს, დაახლოებით შუადღისას,

ჩვენი ქარავანი ყვირალას ხეობაში, არსიანის მთის ჩრდილო-დასავლეთ განშტოების მოპირდაპირე მხარეს დაეშვა. მდინარე ყვირალამაც სახელწოდება მიიღო ქართული სიტყვიდან „ყვირილი", რაც მყვირალას ზუსტი სინონიმია. ეს სახელი მთლიანად შეესატყვისება მდინარის ხასიათს: ზემო წელში იგი ხმაურით მოექანება ქვიან ფსკერზე, თანაც რეცხავს თიხოვანი ქანების მოყვითალო ფენებს და წყალს ჭუჭყიან იერს აძლევს. მდინარის მარჯვენა ნაპირი ძალზე ციცაბო და მაღალია. მეზობელი მთების მსუბუქი თიხოვანი მასა ყვირალას წყლებით გადარეცხილა და ზემოდან რაღაცნაირ სასწაულებრივ სვეტებსავით ჰკიდია. ხრეშთან და ქვიშაქვასთან ნაჭერ-ნაჭერ შერეული მერგელის ლოდები ნაპირს მოყვება მდინარის სათავიდან სოფელ მიქელეთამდე, ე.ი. თითქმის 10 ვერსის მანძილზე. აქ მიწის ფენა თანდათანობით კირქვიანში გადადის. მდინარე ყვირალას მარცხენა მხარე სულ სხვა ხასიათისაა. იგი დაფარულია ვულკანური ქანებით, რომლებიც წყლის ზემოქმედებით გახეხილა და დამრგვალებულა. ეს ქვები სწორ რიგად არსიანის მთამდე აღწევს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი სხეულისაგან მოწყვეტილია და არსიანის მთიდან ჩამოცვენილი ქვების ნაკადის რაღაც ნარჩენებსა ჰგავს. შეუძლებელია ვივარაუდოთ, როგორც ადრე გვეჩვენებოდა, რომ ეს იყოს ძველი, ან გამქრალი მყინვარების გადაადგილებისაგან წარმოქმნილი ქანების გროვა. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ვულკანური ნაკადის ნარჩენები, რაც იმითაც დასტურდება, რომ არსიანის მთის მწვერვალი, როგორც ჩანს, წარმოდგენილია ნახევრადწრიული, კედლებიანი კრატერის მსგავსი მიწაყრილის სახით, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან გაწყვეტილია. მთის ყველაზე მაღალი ნაწილი ზღვის დონიდან დაახლოებით 10 ათასი ფუტია. ნაპირებისათვის დამახასიათებელია მცენარეულიც. მაშინ, როდესაც მდინარის მარჯვენა ნაპირზე ხარობს მხოლოდ დაბალი წიწვოვანი ხეები, მარცხენა მხარე მდიდარია საკმაოდ ხშირი ფოთლოვანებით. ყვირალას ხეობას დასავლეთი მიმართულება აქვს და მიეკუთვნება იმერხევს. იქვე ხეობის სამხრეთით იწყება საკუთრივ შავშეთი.

არსიანის მთისძირას, 7000 ფუტის სიმაღლეზე დევს იაილა ჯინალი. მის ქვემოთ, მდინარე ყვირალას ხეობაში, იაილიდან ხუთი ვერსის მოშორებით, 6200 ფუტის სიმაღლეზე შეყუჟულან ყარიბი სოფლის ყვირალას სახლები, სულ 18 კომლი, რომელიც სოფელ ჯინალის საზოგადოებას მიეკუთვნება. ეს უკანასკნელი, მეზობელ სოფელ ჩიხთასთან ერთად 60 კომლს აერთიანებს.

სოფელ ჯინალიდან გზა მდ. ყვირალას გასწვრივ გრძელდება. მდინარის კალაპოტი არსიანის ტყიანი კონტრფორსებით (გოდლედით) ვიწროვდება. ისინი ქვემოთ, ექვსი ვერსის დაშორებით, სოფელ მიქელეთთან, მდინარეს კეტავენ ორი დიდი დაკიდული კლდით. აქედან, მდინარე ყვირალა იმერხევისწყალთან შეერთებამდე, მიედინება დასავლეთით, საკმაოდ ღრმა, თითქმის მიუწვდომელ ხეობაში. სოფელ მიქელეთთან გზა, რომლითაც ჩვენ ვმოგზაურობთ არსიანის ერთერთ კონტრფორსზე ალმართდება და შედის სოფელ გარყლობაში, შავშეთის ვაკე ნაწილში.

ეს რამდენიმე სიტყვაც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ყვირალას ხეობის პირქუში ხასიათი, ღარიბი მცენარეული და მოსახლეობის სიმცირე. მოსახლეობის ხასიათი ბუნებასთანაა შეხამებული. თუმცა იმერხევის მოსახლეობაზე ჩვენ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ, — ახლა კი, ყვირალას ხეობას რომ არ დავუბრუნდეთ, რამდენიმე სიტყვას ვიტყვით არსიანის გოდლედებს შორის, ჯინალიდან მიქელეთისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ, აბანოსხევად წოდებულ ხეობაში მდებარე მინერალურ წყლებზე.

აბანოსხევმა სახელწოდება მიიღო მინერალური წყლისაგან - აბანო. მასთან გზა სამხრეთისაკენ უხვევს, შემდეგ მიდის ნაკადულის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, ძალზე ვიწრო ხეობაში. აქ ხალხი არ ცხოვრობს. აბანოს გზაზე მოწყობილია წისქვილი, რომელიც ახლომდებარე ხეების ტოტებისაგან გაკეთებულ საჩრდილობელით ადამიანის საცხოვრებელს მოგვაგონებს.

მინერალური წყალი ზღვის დონიდან 5334 ფუტზე მდებარეობს და წარმოადგენს ტუტე წყალს, რომელიც ქვიშნარის ფსკერიდან ამოდის. წყლის ირგვლივ ქვებისაგან აუგიათ საააბაზანო, ეს არის მოსული ავადმყოფების აბანო. წყლის ტემპერატურა 25°R, ჰაერისა კი საღამოს 7 საათზე 12°R იყო. ამ წყლის სამკურნალო თვისებებზე მოსახლეობას დიდი წარმოდგენა აქვს. ამბობენ, რომ აქ ყოველგვარი ავადმყოფები მოდიან და ძალზე კარგ შედეგსაც ღებულობენო. ჩემი ვარაუდით ამ წყლის ქება უსაფუძვლოა, რადგანაც ვერცერთი მინერალური წყალი ადამიანს ვერ მოარჩენს ერთი ბანაობით. აქ მოსულნი კი რჩებიან რამდენიმე საათს, რადგანაც ახლომახლო ღამის გასათევი არ არის. ტუტე წყაროდან 20 ნაბიჯზე მდებარეობს ნახშირმჟავა რკინიანი წყალი, რომელიც წვეთწვეთობით გამოდის ქვი-

შაქვის რამდენიმე ნაპრალიდან. ერთ-ერთი გუბეში მყავე წყლის ტემპერატურა 22 °R იყო. მე ავიღე ამ წყლების ნიმუშები გამოსაკვლევად*

მიქელეთიდან ჩვენ გავედით 13 ივნისს, დღის 9 საათზე. აქედან ჩვენი გზა პირველად ასცდა მდინარის კალაპოტს და მალე ჩვენ შავშეთის ვაკეზე ავედით. მიქელეთიდან 3 ვერსზე , სოფელ გარყლობაში შევისვენეთ, რომლის დროსაც მე ჩემს ალბომში თურქეთის საქართველოს ყველაზე მაღალი ქედის კარჩხალის ხედი შევიტანე. გარდა ამისა დავათვალიერე სოფელ შავშეთის მახლობლად მდებარე ძველი ეკლესიის ნანგრევები. დარჩენილია მხოლოდ სამი კედელი, რომელთაგან დასავლეთისა სრულიად დანგრეულია. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ თლილი ქვები, რომლითაც ყოველი მხრიდან იყო შემოსილი ეკლესია,გამოანგრია გაუფრთხილებელმა ხელმა. აღმოსავლეთ კედელზე შემონახულია მაცხოვრის გამოსახულების მარცხენა ნაწილი წარწერით იესო ქრისტე. ყველა დანარჩენი წაშლილია, სხვა წარწერები არ არის.

სოფელ გარყლობიდან იწყება შავშეთის ვაკე ნაწილი. იგი ტერასებად მიემართება სამხრეთ-დასავლეთით და სოფლების უწყვეტ რიგებადაა განფენილი. სოფლები ძალზე გაფანტულია, ამიტომ ისინი რამდენიმე სახლის ერთიანი რიგებითაა წარმოდგენილი. პირველ ტერასზე მდებარეობს სოფლები: გარყლობა, უხედი, წეთილეთი, ჩვარები (ზემო და ქვემო) და კარავათი; მეორეზე: ციხისძირი თავისი 50 კომლით; მესამეზე ტბეთი და დაბაკეთილი და, ბოლოს, ქვემოთ, მდინარის პირას სოფლები — ველი და სათლელი შეყუჟულან. ეს ყველაფერი მიქელეთიდან ველამდე, არაუმეტეს 20 ვერსის მანძილზეა.

ამ ადგილების ხასიათი ყოველ ნაბიჯზე უმჯობესდება. მაშინ, როცა პირველ ტერასზე ჩვენ წყლის დიდი უკმარისობა და თიხნარის უპირატესობა შევნიშნეთ, მომდევნო ტერასებზე წყალი საკმარისია და ნიადაგიც უკეთესი. ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენს მცენარეულზე. მაშინ, როცა გარყლობაში თესვა მხოლოდ იწყება, ტბეთში ყანები უკვე აჯეჯლებულია; მაშინ, როცა პირველში გამოჩნდა მსხლის კუკული, მეორეში უკვე სახეზეა ნიგვზის მოზრდილი ნაყოფი, რომელიც ზემო ტერასზე საერთოდ არ ხარობს. თავად ნათე-

---

* დანართი № 3

სებიც სხვადასხვანაირია. ზემოთ მხოლოდ ქერს, ჭვავსა და ხორბალს თესავენ,აქ სიმინდიც კი მოდის. ვაზის ლერწი არც იქ და არც აქ არ არის. ზღვის დონიდან განსხვავება უმნიშვნელოა. გარყლობაში ანეროიდმა შავი ზღვის დონიდან 5240 ფუტი აჩვენა, ტბეთში კი მხოლოდ 4352.

ციხისძირში ცხოვრობს შავშეთის მუდირი. იმერხევთან ერთად იგი ერთ ნაჰიეს შეადგენს. მუდირის იქ ყოფნამ ციხისძირი მთელი შავშეთის ცენტრად გაადაქცია. სოფელში არის ხუროს მსგავსი დუქნები, მაგრამ აქ ვაჭრობენ მხოლოდ ართვინელი სომხები.

ციხისძირიდან ნახევარი საათის სავალზეა განთქმული სოფელი ტბეთი. იგი პატარა მდინარის ნაპირზე მდებარეობს. სა-



ტბეთი

ქართველოს ისტორიის საუკეთესო პერიოდში ტბეთი იმ ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო, რომელიც მართავდა ქრისტიანულ სამყაროს გურიიდან და ზარზმიდან არტანუჯამდე. ახლანდელი სოფელი დიდ სივრცეზეა გადაჭიმული და გარშემორტყმულია ხეხილის

ბაღებითა და ნოყიერი ველ-მინდვრებით. სოფლის შუაგულს ამშვენებს მეჩეთი, რომელიც ძველი საკათედრო მონასტრის შენობაშია მოთავსებული.*

ტბეთის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული მოგონება აქაურ ტაძარზე, ანდა, უკეთესად რომ ვთქვათ, სწორედ ამ ტაძრის დამსახურებაა ტბეთის ასეთი განთქმული სახელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიაში ტბეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ამიტომ უადგილო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აშოტ კურაპალატმა 918 წელს ჩაუყარა საფუძველი ეკლესიას, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა საბას ეპისკოპოსობის და ბაგრატ IV მეფობისას XI საუკუნეში. ეკლესიას გეგმაში ბერძნული ჯვრის სახე აქვს. იგი გარედან და შიგნიდან მთლიანად შემოსილია ერთი ფერის თლილი ქვით (მოწითალო მკვრივი ქვიშაქვით). სოფლის გარეუბნებში ამ ჯიშის ქვა არ მოიპოვება, ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მთელი სამშენებლო მასალა დაამზადეს ამ სოფლიდან ოცი ვერსის დაშორებით. ქვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ აუარებელი მშენებლები, რომლებიც ერთ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ქვის სამტეხლოდან სამშენებლო მოედნამდე. მსგავსი იგავები თურქეთის საქართველოს სხვა დიდი ტაძრების შესახებაც გავიგონეთ. დანარჩენი, განსაკუთრებით ჩრდილოეთი მხარე, მნიშვნელოვნად დაზიანებულია. გარე კედლები დამშვენებული იყო თაღიანი შვერილებით, რომლებიც ლამაზ ბოძებს ეყრდნობოდა. ხელოვანს სხვადასხვაგვარი ჩუქურთმები შეურჩევია, ამიტომ არქიტექტორის თვალი აქ მრუდე ხაზების მოხდენილ შეთანაწყობას ნახავს. აღმოსავლეთის გარე კედელზე შემორჩენილია ქვა, კოხტა ხვეულითა და წარწერით.

ტაძრის მთავარი შესასვლელი ჩამოქცეულია, ამიტომ მის შესახებ ძნელია გქონდეს ნათელი წარმოდგენა; გვეჩვენება, რომ მას არ ჰქონდა მიმზიდველობა. ეკლესიის შიდა ნაწილს სულ სხვა სახე აქვს. საკურთხევლის მაგივრად წარმოდგენილია დიდი ნახევარკოშკი, რომელიც შენობის მთავარ ნაწილთან დაკავშირებულია მაღალი თაღით. იგი ორ გიგანტურ ნახევარბოძს ეყრდნობა. ამ ნახევარბოძე-

---

* ბ. ბაქრაძე თავის არქეოლოგიურ ნაშრომებში ხშირად იხსენებს ტბეთს, მაგრამ მის ადგილმდებარეობაში ცდება. ჩვენს ხუთვერსიან რუკაზეც არეულია სახელწოდება.აქ იმერხევის სოფელ ივიეთის ადგილას აღნიშნულია ტბეთი.

ბის კვარცხლბეკი მთლიანი, რელიეფურად კოხტად გამოთლილი გრანიტის მასისაგან შედგება. ლავგარდანი, ზეძირკველი და ჩუქურთმები ასეთივე მომხიბვლელობით გამოირჩევა. ეკლესიის შუა ნაწილი წარმოადგენს კვადრატს, რომლის სიგრძე-სიგანე 12 ნაბიჯია. ამ კვადრატის კუთხეებში ეშვება ნახევარბოძები, რომლებიც მაღალი, მკვეთრად დახრილი თაღებით ერთმანეთს უერთდებიან. ამ თაღებში გაკეთებულია გუმბათი რვა გრძელი ისრისებური ნიშით, რომლებიც ერთმანეთთან პატარა თაღებითაა შეერთებული. საკურთხევლის პირდაპირ დასავლეთის მხარეს განლაგებულია მგალობელთა ფართო ჩარდახი, რომლებიც ოთკუთხა სვეტებზეა შედგმული. ეკლესიის ჩრდილო და სამხრეთი მხრიდან ჯვრის მკლავებსა და ცალკე მდგომ შენობაში განლაგებულია ორი მცირე განყოფილება, რომლებშიც ეტყობა, ინახებოდა მწყემსმთავარის შესამოსელი. ერთერთ განყოფილებას ორი სართული ჰქონდა: ზედა უერთდებოდა მთავარ დერეფანს ქვემო თაღებზე. ეს დერეფანი დღემდე შემორჩენილია და შენობის ყველაზე ლამაზ ნაწილად წარმოგვიდგა. შენობის შიგნითა ნაწილს მთლიანობაში აქვს გრანდიოზული შესახედაობა და უფრო დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე მცხეთის, ზარზმისა და საფარას ტაძრები. ტბეთის ტაძრის შიგნითა ნაწილი, სვეტების გამოკლებით, მობათქაშებული და ფრესკებით მოხატულია. ნახატები მხოლოდ რამდენიმე ადგილს შემორჩა, მაგრამ ეს ნაშთებიც მოწმობენ ტაძრის მშენებლობის პერიოდში მხატვრობის მაღალ კულტურაზე. აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია ტახტზე მჯდომი მაცხოვრის გამოსახულება. ირგვლივ მოციქულები, ანგელოზები, მთავარანგელოზები; წმინდანთა სახეები ჩინებულადაა შესრულებული; სალებავები მკვეთრი და სუფთაა.

ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს,— ისე კარგია მისი საერთო ხედი და საუცხოოა მისი დეტალები. მაგრამ ასე ვერ ვიტყვით სამრეკლოზე: იგი წარმოადგენს რაღაც განცალკევებულს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ეკლესიის ზომებთან და არქიტექტურასთან. ეს არის რაღაც მიწისზედა შენობა, ტლანქი მთლიანობაშიც და ნაწილნაწილადაც. თვით სამშენებლო მასალა, რომლითაც აგებულია სამრეკლო, ტაძრისას არ ჰგავს. ყველაფრით მტკიცდება, რომ ეს შენობა ეკლესიასთან ერთად აშენებული არაა, ხელოსნებიც არ არიან იგივენი, ვინც მთავარი ნაგებობა ააშენა. სამრეკლოს ზემოთ სახურავის ლავგარდანზე, შევამჩნიეთ წარწერიანი ქვა. ტბეთის მონასტრის წარსულის გარკვევის სურვილმა მაიძულა, სიცოცხლისათვის არც თუ უხიფათო ნაბიჯი გადამედგა, კიბით ავსულიყავი

ზემოთ და ჩამეხატა წარწერა, რომელიც, სამწუხაროდ ჩვენი მეცნიერების მიერ ამოკითხული არ არის.

ეკლესიის მახლობლად შემორჩენილია ნანგრევები და დიდი მიწისქვეშა ნაგებობები. ტბეთის მოპირდაპირე მხარეს, მისგან ჩრდილოეთით დაყუდებულია დიდი სვეტისებური მთა, რომელზეც, გადმოცემის მიხედვით, ქალაქი იყო გაშენებული. შესაძლოა ეს არის სოფელი თუხარისი (ვახუშტის მიხედვით), ანდა ეპისკოპოს საბას მიერ აშენებული ციხე-სიმაგრე სვეტი. ასეთ აზრამდე პირველ რიგში მიგვიყვანა ვახუშტის აღწერილობამ, ხალხში შემონახულმა გადმოცემამ და ბოლოს იმან, რომ აქვე არსებულ სოფელს ამჟამადაც ციხისძირი ჰქვია. ამ საკითხს გასარკვევად არქეოლოგებს ვუტოვებთ.

ტბეთში ჩვენთან მოვიდა იმერხევის ბეგის შვილი და მიგვიპატიჟა თავის სახლში სოფელ ველში. ამის შემდეგ დაიწყო გადაპატიჟებები ერთი ბეგიდან მეორესთან, რის გამო ჩვენი ქარავანი შავშეთში მთელი ორი კვირა დარჩა. ვისარგებლე ამ დროით და დავათვალიერე ქვეყნის ის მხარეები, რომლებიც ჩვენს გზაზე არ შეგვხვდებოდა. პირველი მგზავრობა მიეძღვნა შავშეთის ზეგანის მთავარი სამდინარო არტერიის, სათლელის წყლის ხეობის გაცნობას.

მდინარე სათლელის წყალი შედგება ოთხი მთავარი შენაკადისაგან, რომლებიც სოფლების სახელებითაც იწოდებიან: სხლობანი, დაბაწვრილი, შავქეთი (შავშაქი?) და კუჩენი. ყველა ეს წყალი სოფელ ოქრობაგეთის ქვემოთ წარმოქმნის მთის მნიშვნელოვან მდინარეს. სხლობანის წყალი სათავეს არსიანის მთის სამხრეთ განშტოებიდან, სოფელ სხლობანთან, ზღვის დონიდან 9000 ფუტზე იღებს. ეს შენაკადი მიედინება სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და ოქრობაგეთის ქვემოთ სამ ვერსზე მთავარ მდინარეს ერთვის. სხლობანის წყალი, რომელიც სულ 7 ვერსის სიგრძისაა, რწყავს სოფლების: სხლობანის, ციხიას და მერიას მიწებს. ამ მდინარის სათავე ძალზე ახლოს მდებარეობს მდინარე ყვირალას სათავესთან და მისგან იყოფა გოდლედით, რომლის ნაპრალებში დევს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი წყაროაბანო. წყალგამყოფი ქვიშაქვიანი და თიხნარი ფიქალისაგან შესდგება, რომლის მკვრივი წრეები გარეთ დიდ კუთხეებად ან თავებად გამოდის. სათლელის წყლის ნაპირებზე, ნიადაგის ფენებს შორის ჩვენ შევნიშნეთ სხვადასხვა ფერის მიწისქვეშა ძარღვები და მომწვანო ვულკანური ქანების მთელი შრეები. საერთოდ, მდი-

ნარეების — ყვირალას და სხლობანის წყალგამყოფი განტოტება ხასიათდება მინერალური სიმდიდრის ნიშნებით, რომლის დასტურია მის ზედაპირზე, აბანოში, ველში და სხლობანში ამომდინარე მინერალური წყაროები. ამ ადგილის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ტოპოგრაფიული თვისებები მკვეთრად განსხვავდება მისი შემოგარენისაგან: კონტრფორსის ტოტები ნაკლებ დამრეცი და ნაკლებ ქეიანია. ისინი საკმაოდ ხშირი ტყით, ალაგ-ალაგ სახნავი ადგილებითაა დაფარული. მკვეთრი აღმართ-დაღმართები ნაკლებია, რაც არის, ისიც მხოლოდ მდინარე სათლელის წყლის ნაპირებთანაა. სოფლების ველისა და სხლობანის არემარის ყველა ამ თვისებამ მიგვითითეს სოფელთან მისასვლელ უკეთეს გზაზე, არსიანის მთის გადავლით. აქ გადის ყველაზე მოკლე და მოხერხებული გზა-არტანუჯიდან, ე.ი. ახალციხისაკენ მიმავალ ბათუმ-ყარსის მშენებარე გზატკეცილიდან.

ზემოთ აღწერილ რაიონს რომ არ დავუბრუნდეთ, რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ველიდან არსიანის მთის გადასასვლელამდე არსებულ გზაზე. სოფელი ველი ამაღლებულ მინდორზე, სათლელის წყლის მარჯვენა ნაპირზე, ტბეთიდან სამ ვერსზე მდებარეობს. სოფელში 12-მდე კომლი ცხოვრობს. აქვეა ორი დიდი ქვის სახლი, რომელთაგან ერთი იმერხევის ბეგს, ხოლო მეორე ძველი თავადური გვარის — ათაბაგების შთამომავლებს ეკუთვნის.ველის ფართობი 4000 ფუტ სიმაღლეზე დევს. აქედან ზემოთ სათლელისწყლის დინების გაყოლებით მიდის ორი გზა: ერთი გაჭიმულია მდინარის მარჯვენა ნაპირის ფლატეზე და სხლობანის წყლის მდინარე სათლელთან შეერთების ადგილას გაკეთებული ხიდის გავლის შემდეგ სოფ. ოქრობაგეთამდე აღწევს.ეს გზა მსუბუქი ოთხთვალასათვის საკმაოდ მოხერხებულია: ოქრობაგეთიდან არსიანის უღელტეხილზე გადადის მხოლოდ ერთი საცალფეხო გზა და თავად უღელტეხილიც ძნელად მისადგომია. მეორე, ზემო გზა სოფელ ველიდან დაწყებული პირველი გზიდან თანდათანობით მარცხნივ იხრება და მდინარე სხლობანთან, საკმაოდ გრძელი და მკვეთრი დაღმართით, სოფელ მერიასთან ეშვება.ეს სოფელი მდინარეების — სხლობანისა და სათლელის შეერთების ადგილიდან ოთხი ვერსის ზემოთ მდებარეობს.სოფელ მერიადან გზა მდინარე სხლობანის მარჯვენა ნაპირს მიყვება, ამავე სახელწოდების სოფელზე გავლით, არსიანის ქედის გადასასვლელის მიმართულებით. მთელი გზა,უღელტეხილის ჩათვლით, მოხერხებულია მძიმე საპალნე ოთხთვალასათვის, ამიტომ მას საქარავნო გზასაც ეძახიან.

სათლელისწყლის დანარჩენი შენაკადებია: დაბაწვრილი, შავქეთი (შავშაქი?),კუჩენი. პირველი — სხლობანის თითქმის პარალელურად მიედინება, ძნელად მისადგომ ხეობაში, სადაც მდებარეობს სოფლები — დაბაწვრილი და აგარა,* ხოლო დანარჩენები ძალზე ვიწრო, ტყიან და მოკლე ხეობებით,რომლებიც, არსიანის ქედიდან ეშვება,შავქეთის (შავშაქი?)შენაკადის მაგივრად ღებულობს იალანუს-ჩამის** სახელწოდებას.

ყველა ეს შენაკადი, გარდა სხლობანისა, ოქრობაგეთის მიდამოებთან, იალანუს-ჩამის ტყიან და ციცაბო დასავლეთ განშტოების ძირთან ერთ მდინარედ იქცევა. აქ თავად შავშეთს მეზობელი ჩილდირის სანჯაყისაგან აშორებს. კავშირები წყდება მეზობელ არტაანთანაც. შესაძლოა ასეთი კარჩაკეტილობის მიზეზია აქ წარმოქმნილი რაბათები.***

70-კომლიანი სოფელი მთლიანად სომეხ-გრიგორიანებითაა დასახლებული. სოფელში შესვლისას ჩვენ დაწვრილებით გავიგეთ შავშეთელ სომხებზე. ოქრობაგეთის რაბათი ცოტა ხნის წინ პატარა სოფელი იყო; აქ ბოლო დროს სომეხთა ოჯახებმა მოიყარა თავი. ისინი შავშეთში იყვნენ მიმოფანტული. ახლანდელი სოფელი სავაჭრო ადგილს წარმოადგენს. ყოფა-ცხოვრებით აქაური სომხები დანარჩენებისაგან რამდენადმე განსხვავდებიან. ამ განსხვავებაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

მდინარე კუჩენის სათავესთან, ოქრობაგეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთით იალანუს-ჩამისაგან გამოიყოფა განშტოება, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართება და შავშეთს ყოფს არტანუჯის კაზისაგან. ამ განშტოების ჩრდილო ფერდობი წარმოადგენს ვაკე ზოლს, რომელიც მდიდარია სახნავი მიწებითა და მდელოებით. იგი შავშეთის მაცოცხლებელია. მასზე, მის ზემო ნაწილში, ვრცელ მდელოებზე განლაგებულია იაილები. ქვემოთ გაშლილია მრავალი სოფელი, ხოლო კიდევ უფრო ქვემოთ ადგილები მკვეთრად გადადის სათლელის წყლის მარცხენა ნაპირზე.

---

* ძველი საქართველოს წერილობით ძეგლებში აგარის სახელით იხსენიება ნასოფლარები. ამით აიხსნება, ის, რომ აგარის სახელწოდებით აჭარაში, შავშეთსა და იმერხევში რამდენიმე სოფელია ცნობილი.

** იალანუს-ჩამი, ცალკე ფიჭვს ნიშნავს. ეს სახელი ძირითადად ეწოდება არტანუჯიდან არტაანში გადასასვლელ ორ უღელტეხილს.

*** შავშეთის ყველა ქრისტიანული დასახლება რაბათად იწოდება. იგი წარმოსდგება სიტყვისაგან სამოთხე.

ოქრობაგეთის გზა ვაკე ზოლიდან გადადის მდინარე კუჩენზე გადებული ხის ხიდით. აქ გზა მკვეთრად ზემოთ იწევს მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფელ კუჩენთან, შემდეგ კი მიემართება იალანუს-ჩამის პარალელურად. დიდ სოფელ მამანელისთან გზა ორად იტოტება, რომელთაგან ერთი მკვეთრი დაღმართით სათლელ-რაბათის გავლით ეშვება სოფელ სათლელში, ხოლო მეორე გრძელდება იალანუს-ჩამის განშტოების გაყოლებით და სოფელ მოქთას მახლობლად უერთდება დიდ საქარავნო გზას, რომელიც ველიდან სათლელის გავლით არტანუჯისაკენ მიემართება.

სათლელში 60 კომლი ცხოვრობს. სოფელი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთ ნაწილში სომეხ-გრიგორიანთა 10 ოჯახი და სომეხ-კათოლიკეთა 40 ოჯახი ცხოვრობს, ხოლო მეორეში გათურქებული ქართველები. ამ უკანასკნელში მდებარეობს განსვენებული აბდიბეგ ხიმშიაშვილის უზარმაზარი სახლი. სომხები აქაურობას შემოეხიზნენ ახლანდელ შავშეთის ბეგებს შორის ყველაზე ძლიერი სელიმ ბეგის მფარველობით. ისინი ბეგს კარგ ფულს უხდიან მისი მამულების სარგებლობის საფასურად. ბეგის მფარველობას კარგად ეგუება სომეხის წინდახედული ხასიათი. ამიტომაც სათლელის რაბათმა მთელი შავშეთის ვაჭრობა თავის ხელში აიღო. ვაჭრებთან ბეგის კავშირმა სათლელი შავშეთის ცენტრად აქცია, მიუხედავად იმისა, რომ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი ციხისძირშია.

სათლელიდან ჩვენი მეორე მგზავრობა იმერხევის შემოვლას მიეძღვნა. ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება მდინარე იმერხევის აუზი, რომელიც სათავეს ხულოს მერიდიანზე, შავშეთის, კარჩხალის და მაჭახლის მთების კვანძიდან იღებს. ამ მდინარეს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება აქვს და შავშეთს ეკუთვნის მხოლოდ სათლელის წყალთან შესართავამდე. იმერხევის შენაკადებიდან ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ მდინარე ყვირალა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. იმერხევში მარჯვენა მხრიდან ჩაედინება რამდენიმე ნაკადული, რომლებიც სათავეს თოვლიანი ქედიდან, კარჩხალიდან იღებენ. ამ ღელეებიდან ყველაზე წყალუხვია ბაძგირეთისწყალი. იგი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ხეობის მიწებს რწყავს.

იმერხევის მთავარი ხეობა ყველაზე მკაცრი ტოპოგრაფიული პირობების ურთიერთშეხამების ნიმუშად ითვლება. ეს არის გიგანტური მთის მასებს შორის არსებული ნაპრალი, რომლის თავზე დაკიდულია ძალზე მკაფიო კონტურების მქონე შიშველი კირქვოვანი კლდეები. ქვემოთ მონოტონური ყრუ ხმაურით მიედინება თეთრი მასა — ესაა აქაფებული მდინარე. ჰორიზონტი ვიწროა. საითაც გაიხედავ, თქვენს თვალწინ ამოიზიდება კლდე, რომლის იქით წამოწვდილია ათეულობით

სხვა ქარაფი, უფრო მაღალი და დამრეცი. ირგვლივ ერთი სტიქიური ძალაა, რომელიც თრგუნავს სიცოცხლეს. მცენარეული ცოტაა. მხოლოდ ზოგან, ვითარცა ოაზისი, ბიბინებს საცხოვრებლად გამოსადეგი პატარა მინდვრები და სადღაც ქვემოთ, მიწისქვეშეთში, ან მის ზემოთ, ღრუბლებს ქვეშ მიკრულან ორი-სამი სახლი — ესაა იმერხევის სოფელი. სახლების მახლობლად, ლოდებს შორის იზრდება ორი-სამი ხე, მის იქით კი შეყუყულა პაწაწინა ყანა. მაგრამ კარგად დააკვირდით ამ ხეებს და თქვენ მათ შორის დაინახავთ თბილი ჰავის მცენარეულს: თუთას, კაკალს, წყავს, იქეთ კი ბროწეულზე შემოხვეულ, ან უბრალოდ ქვაზე გართხმულ ყურძენს. რაზე მაგრდება ყოველივე ეს, ფიქრობთ და უნებურად გიკვირთ, როგორ უძლებს აქაური მცენარეული ამ ადგილების ხასიათსა და კლიმატის მკვეთრ ცვლილებებს.

სოფელ სათლელიდან იმერხევის მთავარ ხეობაში შეიძლება შეხვიდე მდინარე სათლელისწყალის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით. ამ მდინარის შესართავთან მისვლამდე, სამი ვერსის დაშორებით, უნდა ახვიდე სოფელ სინგოთის გვერდით ვაკე შემაღლებაზე, რომელიც ტბეთის ზეგანის გაგრძელებაა. ამის შემდეგ გზა კვლავ ქვემოთ კლდოვან დაღმართზე ეშვება სოფელ ფხიკიურთან, რომელიც მდინარე იმერხევის ნაპირზეა განლაგებული. მეორე გზა მიდის სათლელიდან სოფელ ახალდაბის და იმავე ტბეთის ზეგანის გაყლით და სოფელ ჭალეთთან ეშვება ძალზე დამრეც მთის ფერდობზე მდინარე ყვირალას შესართავთან. ჩვენ ორივე ამ გზაზე გავიარეთ. სოფელ სათლელთან სოფელ ველისაკენ მიმავალი დიდი საქარავნო გზა მდინარეზე გადადის ძალზე მტკიცე და ძველი არქიტექტურის ქვის ხიდით. სათლელის ხიდი ძველი საქართველოს ხიდების ერთერთი საუკეთესო ნიმუშია. იგი ერთი სწორი ნახევარწრიული თაღითაა გადადგმული მდინარეზე. ზემოდან ოთხკუთხოვანი ფილების ნაჭრებია დაფენილი. ხიდის აშენების თარიღი უცნობია, მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ წარსულის სხვა მსგავსი ძეგლების აღწერილობით, უნდა ვიფიქროთ, რომ სათლელის ხიდი ძალზე ძველი დროისაა.* მისი სიმაღლე შავი ზღვის დონიდან 3376 ფუტია. ხიდის იქეთ იმერხევის გზა საქარავნოს გამოეყოფა, ადის ტბეთის ზეგანზე და გაივლის სოფელ ახალდაბას

* ქურთისტანში მოგზაურობის დროს ბ-ნ-მა ტეილორმა ნახა მსგავსი არქიტექტურის რამდენიმე ძველი ხიდი, ერთერთ მათგანზე არსებული წარწერა მოწმობს, რომ ხიდი აშენებულია ჩვ. წ. ა. 643 წელს. (Изв. Кав. отд. Русс. геогр. общ. матер. для геогр. Азиат. Турц. 1873 г. стр. 41.) საჭიროა აღინიშნოს, რომ თურქეთის საქართველოს ყველა ძველ ხიდს აქვს ნახევარწრიული თაღი, მაშინ, როდესაც ტეილორის მიერ დასახელებულს ისრისებური, კუთხოვანი თაღი აქვს).

(90 კომლი), რომელიც სოფლების ჩვარებისა და კარავათის სიმაღლეზე მდებარეობს. სწორი იქნება აქ ერთჯერ კიდევ თუ ვიტყვით, რომ მდინარე ყვირალას მარცხენა ნაპირსა და სათლელისწყლის მარჯვენა ნაპირს შორის არსებული სიერცე წარმოქმნის სწორ შემაღლებას, რომელიც ძალზე დამრეცად ეშვება მდინარე ყვირალას ჩრდილოეთით, მდინარე სათლელის სამხრეთით და მდინარე იმერხევის ჩრდილოეთით. განსაკუთრებით მკვეთრია დაღმართი იმერხევისაკენ. ახალდაბიდან ორ ვერსზე ჩვენს ქვემოთ გამოჩნდა სოფელი სურევანი, რომელიც მდინარე იმერხევზე, ახალდაბიდან 1330 ფუტით დაბლა მდებარეობს. დაღმართი ძალზე დამრეცია. ჩვენ ვჩქარობდით და ერთი საათის განმავლობაში ფრთხილად, ბატებივით ვფორთხავდით ბილიკზე. სოფელ ჭალეთთან (10 კომლამდე) ახლოს ორ საათზე, შუადღისას გადავედით მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ისეთივე აგებულების ქვის ხიდზე, როგორც სათლელში ვნახეთ. ორ ხიდს შორის მანძილი 4 საათში გავიარეთ. სოფელი სურევანი იმერხევის გადასასვლელთან დევს და 20 კომლს ითვლის.

შუადღის 3 საათზე ჩვენ სურევანიდან გავემართეთ ზემოთ, ძალზე ვიწრო ბილიკით, ზედ უფსკრულზე. საზიზღარი გზაა. ირგვლივ შიშველი კირქვაა, რომლის ფილებზე, როგორც კიბეზე ავდიოდით სოფელ ინხოეთამდე. აქ საღამოს 6 საათზე ჩვენ მიგვიღო აქაურმა ყირ-სარდარმა ქიბარ ალამ. ჩვენი ღამის გასათევი პუნქტი შავი ზღვის დონიდან 4744 ფუტზე მდებარეობს. აქედან იმერხევის უკანასკნელ სოფელ ივიეთამდე დარჩა სულ ერთი საათი, ხოლო აჭარის გადასასვლელამდე ორსაათნახევრის გზაა. გადასასვლელი, როგორც აჭარისა და მაჭახლის ქვაბულისაკენ მიმავალი გზების გასაყარი პუნქტი, საინტერესოა; მიუხედავად ამისა ჩვენ იქ ვერ მოვხვდით და მეორე დღეს უკან გამოვბრუნდით მდინარე იმერხევის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ დიობანის და სურევანის გავლით, სომხურ სოფელ ფხიკიურში (რაბათი).

კარჩხალის ქედის მხრიდან მდინარე იმერხევისაკენ გამომავალი ყველა ხეობა ვიწრო, მოკლე და საცხოვრებლად ნაკლებ ვარგისია. მისი ასეთი ხასიათი უცვლელი რჩება ყველა განშტოებაზე, თვით ჭოროხამდე. ნიადაგი კირიანია. მიწის საფარეელი იმდენად თხელია, რომ ტყეს ვერ აწვდის სიცოცხლისა და ზრდისათვის საჭირო საკვებს, ამიტომ კარჩხალის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე ტყეები არაა და დაფარულია სპორადული ბუჩქნარებით. ზოგი ჭირი მარგებელიაო. კარჩხალის განშტოებების კირიანი ნიადაგი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არის ლიმონის საუკეთესო ხილის ნაყოფის მთავარი წყარო.

კარჩხალის ხეობათაგან ყველაზე დიდია ბაძგირეთი. იგი ირწყვება ამავე დასახელების მდინარით, რომელიც სოფელ ფხიკიურის ქვემოთ მდინარე იმერხევში ეშვება. ეს ხეობა ჩვენი მარშრუტის გარეთ დარჩა, რადგანაც თავისი მიუდგომლობითა და სიღარიბით მოწყვეტილია სხვა სამყაროს. იქ მხოლოდ ფეხით თუ ახვალ, ასეთი მოგზაურობისათვის კი ჩვენ დრო არ გვყოფნიდა. გარდა ამისა, მონათხრობის მიხედვით, იქ ისეთი არაფერი გველოდა, რასაც სხვა ადგილებში ვერ ვნახავდით. მოსახლეობა დაჯგუფებულია ხეობის ზემო ნაწილში, ზედ ქედთან, რომელიც აქ ფართოვდება.x

ფხიკიურის ქვემოთ იმერხევის ხეობა კარებსავით ვიწროვდება და მდინარის გაყოლებით შემდგომი მოგზაურობა შეუძლებელია. განსაკუთრებით მიუდგომელია სივრცე, დაწყებული სათლელისწყლის სათავიდან იმერხევის და არტანუჯ-ჩაის შესართავამდე. სწორედ აქ მდებარეობს საქართველოს ისტორიაში განთქმული ციხე წეფთა და არანაკლებ ცნობილი მონასტრები — ოპიზა და ბერთა. მაგრამ რადგანაც ეს ადგილები შავშეთის საზღვრებს გარეთ, ლივანის პროვინციაშია, ჩვენ მის შესახებ თავის ადგილას ვიტყვით. ახლა კი გავყვეთ ჩვენს გზას ფხიკიურიდან სათლელამდე.

თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით სოფელ ფხიკიურში 18 კომლს ითვლიან, სინამდვილეში აქ 25-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. ყველა მცხოვრები სომეხი კათოლიკეა. ღამის გასათევად ჩვენ დიდ ხის სახლში დავრჩით, რომელიც ნაყოფით გადაყვითლებულ თუთის ხეებს შორის იდგა. თუთის ნაყოფს აქაური სომხები არაყის დასამზადებლად იყენებენ. იგი რახის სახელითაა ცნობილი. ფხიკიურში თვალისათვის საცქერი ბევრი არაფერი იყო. ბუნება ღარიბი და ერთფეროვანია, სამაგიეროდ აქაური სომხების ყოფა და მათი მონათხრობი ცხოვრების პირობებზე ყურადღების ღირსია.

დავათვალიერე აქაური ეკლესია, რომელიც აშენებულია ძველი ქართული ტაძრის ნანგრევებზე,შემდეგ გავემგზავრეთ ქვემოთ, მდინარის გაყოლებით. გზა თანდათანობით ვიწროვდებოდა და ნახევარი

---

x ამ ხეობაში, კერძოდ,ზემო ნაწილში ათამდე სოფელია: ზიოსი, ბაძგირეთი, აგარა, ანდრიაწმინდა და ჩიხორი. ხუთი სოფელი განლაგებულია შუა ნაწილში; ამას მიეკუთვნება: დაბა, უბე, ზაქიეთი, დევაძე და ხევწვრილი. სხვებზე დიდია სოფლები: ბაძგირეთი, ზიოსი, უბე და ზაქიეთი. ხეობის სიგრძე თორმეტ ვერსს აღწევს.

საათის შემდეგ ჩვენ კედელს მივადექით. მდინარის პირას ცხენით შემდგომი მგზავრობა შეუძლებელი იყო. გზა მორყეული ხის ხიდით მარცხენა ნაპირზე გადადის. აქედან იწყება ციცაბო და უწყვეტი აღმართი, რომელსაც შავშეთის ვაკეზე, სოფელ სინგოთისაკენ მივყავართ.ფხიკიურის ხიდთან მდინარის წყალი შავი ზღვის დონიდან 2900 ფუტ სიმაღლეზეა, ხოლო სოფელ სინგოთის სიმაღლე 3504 ფუტს უდრის. ჩვენ უნდა ავსულიყავით 1600 ფუტზე, ჰორიზონტალურად არაუმეტეს სამ ვერსზე. წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე ბუნება უკეთესობისაკენ იცვლებოდა. ჩაკეტილი, სულისშემკვრელი ხეობიდან ავდიოდით სინგოთის მიდამოებში და ვაკეზე, რომელიც გამოკვეთილია მაღალი ბორცვებით და ერთ მთლიან სიბრტყედ გეჩვენება. სინგოთის მწვანე ფერდობებზე თვალმა დაისვენა და ჩვენს ხსოვნაში კიდევ უფრო მტკიცედ ჩაიჭედა იმერხევის მკაცრი, არასტუმართმოყვარე ბუნება.

სინგოთი ყურადღებას იქცევს მრავალრიცხოვანი ნანგრევებით, რომლებიც იმაზე მოწმობს, რომ სახნავ ველებს, წაბლნარს, თუთის ბაღებსა და ნიგვზნარს შორის გადაჭიმულ, ერთ დროს პატარა, მშვიდობიან სოფელში უფრო დიდი შემოქმედებითი ცხოვრება დუღდა, ვიდრე დღესაა. ნანგრევები ძველი ბალავარის შიგნითაა დახოხოლებული. მას ზემოდან გადმოჰყურებს კოშკის ნაშთებიანი დაკიდული ქარაფი. ამ ნანგრევების ქვემოთ, მინდორზე ძველი ეკლესიის ნაშთებია. ისინი თავისი ზომებითა და აგებულებით იქცევენ ყურადღებას. ეკლესიის სიგრძე 10 საჟენია, სიგანე 7 საჟენი, სიმაღლე 15 ფუტი. სიგრძეზე სამ ნაწილად იყოფა, რომელთაგან ბოლო ორსართულიანია, თაღები 12 განყოფილებადაა დანაწილებული. ეს განყოფილებები ზოგან დაკეტილია კედლებში ჩატანებული პატარა კარებით, ზოგან კი მხოლოდ თაღებით; განყოფილებებს აქვს სენაკის შესახედაობა. შენობის შუა ნაწილმა ქრისტიანული საკურთხევლიანი ტაძრის ნიშნები შემოინახა; იგი შავშეთში ნანახ ტაძრებს წააგავს. სინგოთის ნანგრევს გუმბათი არა აქვს და გარეგნულად ჩვეულებრივ სახლს წააგავს. ალაგ-ალაგ თაღები ამოყვანილია წითელი აგურით,რამაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. არავითარი წარწერა არაა, ისევე როგორც არაა მხატვრობის ნასახი.

საქართველოს ისტორიაში და ვახუშტის გეოგრაფიაში სინგოთის ტაძარზე არავითარი მითითება არ არის, ამიტომ დასაწყისში ჩვენ იგი ნათლისმცემლის მონასტრად მივიჩნიეთ, რომელიც ვახუშტის გეოგრაფიაზე დართულ რუქაზე არაზუსტად იყო აღნიშნული. ჩვენი შეცდომა გაირკვა მას შემდეგ, როცა ვნახეთ ოპიზის მონასტერი, თუმცა სინგოთის ტაძარი ჩვენთვის დარჩა საქართველოს ისტო-

რიის მკვდარ წერტილად. ერთი რამ უეჭველია: სინგოთი იმერხევის კარების დაცვის გამაგრებული პუნქტი იყო.

20 ივნისს დამღლელი მოგზაურობიდან ჩვენ დავბრუნდით სოფელ სათლელში. აქ ჩვენ დავისვენეთ სტუმართმოყვარე სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის სახლში. აღწერილი მოგზაურობის შემდეგ ჩვენ შავშეთში დიდხანს აღარ დაერჩენილვართ. ჩვენი შემდგომი მარშრუტი არტანუჯისაკენ მიდიოდა.შავშეთის სამუდირო (ნაჰიე) სათლელიდან 15 ვერსზე თავდება. ამიტომ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით სოფელ სათლელზე და არტანუჯის საზღვრამდე არსებულ გზაზე

სოფელი სათლელი ამჟამად ღირსშესანიშნავია იმით, რომ აქ ცხოვრობს ბეგ ხიმშიაშვილების გვარეულობა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ამ მიდამოებში. წარსულში ეს სოფელი შავშეთის მთავარ ადგილად ითვლებოდა და ათაბაგებს ეკუთვნოდა. ისინი დიდ და ძლიერ ციხესიმაგრეში ცხოვრობდნენ, რომელიც აშენებულია შემაღლებულ ადგილზე და მბრძანებლობს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ სათლელის ქვის ხიდს. ამ ციხის დახმარებით აქაური ბეგები ფლობდნენ ლივანიდან ახალციხისაკენ მიმავალ დიდ საქარავნო გზას, ხელთ ეპყრათ დიდი სტრატეგიული ადგილი; ამ გზით კუროპალატების დროს საქართველოში ბიზანტიელთა ჯარები შემოდიოდნენ. ამჟამად ამ ციხისაგან დარჩა ნახევრად დანგრეული კედლები და სამი კოშკი. ამ კოშკებს, რომელსაც ვახუშტი „სავაჭროს„უწოდებს, იყენებს დიდი სოფელი. აქ იყო საშუალო სიდიდის ეკლესია, რომელიც ახლა მეჩეთად გადაუკეთებიათ. ქრისტიანობის დროინდელი ძეგლებიდან აქ დარჩა ორი-სამი აკლდამა წარწერების გარეშე და ერთიც ორი არშინის დიამეტრის მქონე მრგვალი ქვა, რომელზეც გამოსახულია დიდი ჯვარი. მასზე ამოკვეთილია ოცდაოთხი პატარა ჯვარი. სათლელის ეკლესია თავისი არქიტექტურით სინგოთისას მოგვაგონებს.

სათლელიდან არტანუჯისაკენ მიმავალ გზას სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება აქვს და გადის ვაკე ადგილებში, იალანუს-ჩამის ქედზე. ჩვენ ამ ქედის შესახებ ვთქვით, რომ იგი იწყება კუჩენის წყლის სათავესთან. აქ იმას-ღა ვიტყვით, რომ მას აქვს საერთო მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დამრეცი კონცხით ეშვება მდინარეების — სათლელისწყლის, იმერხევის წყლის და არტანუჯ-ჩაის შეერთების ადგილას. კუჩენის შესართავიდან გობიხვეწიას მთამდე, რომელიც სინგოთის მერიდიანზე მდებარეობს, ეს ქედი ძნელად მისადგომია. სამაგიეროდ გობიხვეწიას ძირში იხრება და სოფელ გვარაშენთან, 5905 ფუტზე შავი ზღვის დონიდან, ქმნის გადასასვლელს.

სათლელიდან არტანუჯისაკენ მიმავალი გზა საპალნე ტრანსპორტისათვის ვარგისია, შეიძლება მისი გადაკეთება ბორბლებზე მოგზაურობისათვისაც. გზა გაჭიმულია კარგად დასახლებულ სივრცეზე და 25—30 ვერსის მანძილზე გვხვდება სოფლები: შინდობანი, ანაკლია, ჩივთლუღი, მოქთა, კარსინი, კონტრომი, სამწყალი, გვარაშენი და ბაცა. ოდნავ გვერდით რჩება სოფლები: ანაკერტი და ანჩა. სოფელი მოქთა შავშეთის უკანასკნელი პუნქტია. აქედან იწყება არტანუჯის კაზა.

შავშეთის მოსახლეობა ორი ეროვნებისაგან შედგება: ქართველებისა და სომხებისაგან. იმერხევის ჩათვლით აქ 58 სოფელია, რომელთაგან საკუთრივ შავშეთისაა 36. ხელისუფლების აღწერით კომლთა რიცხვი 1740-მდე აღწევს, სინამდვილეში 2000-ზე მეტია. თითოეულ კომლზე 6—7 სულს თუ ჩავთვლით, შავშეთის მთელი მოსახლეობის რიცხვი 12-დან 14 ათასი სული იქნება. ეს მოსახლეობა, 145 კომლი სომეხის (900-მდე სულის) გამოკლებით სუფთა ქართველურ რასას მიეკუთვნება. საოჯახო ყოფაში ისინი სუფთა ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე.ი. კავკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა აქაურ მეტყველებაში ხევსურული კილოსათვის დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შეხვდებით. საკუთრივ შავშეთში ქართულად ყველა არ ლაპარაკობს.მრავალ სოფელში ეს ენა სრულიად გაქრა და მის ადგილას პროპორციულად განვითარდა თურქული ენა, რომელმაც სხვათა ენისაგან მიიღო მრავალი სიტყვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა მთლიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი დაუფარავად ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ. რაც უფრო კუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა ქართული ენის მცოდნე, თუმცა გობიხვეწიას მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფელს ხალხი გურჯისტანს უწოდებს.

წარსულში აქაური მოსახლეობისაგან იქმნებოდა დიდი მონასტრის — ანჩის* სამწყსო.ახლაც აქ შემორჩენილია ცნობილი ქართული გვარი ავალიშვილი.შავშეთში ოსმალების გავლენა ძალზე ძლიერია და, რა თქმა უნდა, ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ეს მხარე ადვილად უკავშირდება ოლთისს, ერზრუმს და ახალციხეს. ამ

---

* ვახუშტი შეცდომით ასახელებს სოფელ ანჩას ჭოროხის მარცხენა ნაპირზე.

გარემოებით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ შავშელები აჭარლებზე ადრე მოიქცნენ მაჰმადიანობისაკენ. თურქებთან ხშირ შეტაკებებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა შავშეთელების* ზნეობრიობაზე. ბაგრატ III და IV დროს ეს ხალხი გამოირჩეოდა თავისი სიმამაცითა და გამბედაობით; მათ არაერთჯერ იხსნეს საქართველო უბედურებისაგან. ახლა კი იმდენად მშიშარები გამხდარან, რომ აჭარლებს სალაპარაკოდ ექცათ. შავშეთელის ხასიათი ზემო აჭარიდან მოსულ მოგზაურს თვალში სცემს. აქ მოვიტანთ რამდენიმე სიტყვას ჩვენი დღიურიდან, რომელშიც ჩაგვიწერია შავშეთელებისაგან მიღებული შთაბეჭდილება:

„შევედით თუ არა სოფელ ყვირალაში, ჩვენ შეგვზარა აქაურთა განსაკუთრებულმა გამომეტყველებამ. მათ საცოდავი სახე აქვთ და გონებრივად განუვითარებელნი არიან. აქ ერთ ყოჩაღსაც ვერ ნახავ — ყველა ძონძებშია, მჭმუნვარე და დაბალი ტანისანი არიან. სიბეჩავე ყველა მათგანის სახეზე იკითხება, ამის გვერდით კი შეინიშნება სიღარიბე. ყველა სახლი ერთად შეგროვილ უსახურ მთლიანობას წარმოადგენს. არავითარი სამეურნეო მინაშენი არა აქვს. არ არის საჯინიბო, ფარდული. სხვა ადგილებში მესაქონლეობის დამადასტურებელი ნეხვიც კი არ არის აქ. თუმცა,საბედნიეროდ შავშეთის მთელი მოსახლეობა არ ჰგავს ყვირალას მცხოვრებლებს. შეიძლება ითქვას, რომ ყვირალა აქაურთა კეთილდღეობის n u -ს წარმოადგენს. ყვირალასა და სათლელს შორის არსებული სოფლები ერთმანეთისაგან უკეთესი ნიშნებით განსხვავდებიან და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თუმცა ხალხის ხასიათი იგივეა: საცოდავი სახე და ზნეობრივი დაძაბუნება ყველგან შეინიშნება. განსაკუთრებით საწყლები სომხები არიან — მათ წინააღმდეგაა ღმერთიც და ხალხიც. ოჯახურ ყოფაში იმერხევის ხეობის მცხოვრებლები უფრო ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ, ვიდრე საკუთრივ შავშეთისა: ისინი პირქუში, მაგრამ შავშელებზე უფრო მამაცნი და ლამაზები არიან. იმერხევში ქართული ტიპი სუფთაა. აქ ძალზე ლამაზ სახეებსაც შეხვდები. შავშელების ტანსაცმელი ისეთივეა,როგორიც აჭარლებისა. მშიშარა შავშელების მშვიდობიანი ხასიათი მკაფიოდ გამოვლინდა 10 წლის წინ, ხალხის განიარაღებისას, როცა გამოვიდა სულ-

---

* შავშელებს ასე ეძახიან მათი მეზობელი აჭარლები.

თანის ბრძანებულება იარაღის ტარების აკრძალვის შესახებ. სულთანის ეს ნება მხოლოდ შავშელებმა აღასრულეს. აჭარლებმა, ლაზებმა და მაჭახლელებმა უარი თქვეს იარაღის აყრაზე და საქმეც ამით მოთავდა. ახლა თურქეთის საქართველოში განიარაღებაზე აღარავინ ლაპარაკობს და მხოლოდ შავშელები, რომლებმაც დაყარეს თავიანთი ყამა და დამბაჩა, გახდნენ მეზობელი აჭარლების და მაჭახლელების მსხვერპლი. მე მიამბეს მეზობელთა თვითნებობის გულმოსაკლავ შემთხვევაზე, რომელიც შავშელებს გადახდათ: სამი წლის წინ იმერხევის სოფელ სურევანში გამოჩნდა მაჭახლელი, შევიდა ერთ სახლში, გამოაგდო იქედან პატრონი და სამი თვე ცხოვრობდა მის ახალგაზრდა ცოლთან და იკვებებოდა მისართმევით, რომელიც სოფლის სხვა მცხოვრებლებს შეაწერა. სურევნელებმა და მუდირმა ვერ შეძლეს თავხედი სტუმრის ალაგმვა.

სომხები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან — მათ შავშელებიც კი ძარცვავენ. განსაკუთრებით საცოდავი არიან ფხიკიურის მცხოვრებლები. „ყველა გამვლელი თავში გვირტყამს„ — მითხრა ერთი ოჯახის უფროსმა. „ჩვენ კი არ შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ. ჩვენგან მოითხოვენ ფულს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, დაუმატა მან, მოდიან ბოროტი ადამიანები, რომლებსაც ჩვენი სახლებიდან მიაქვთ რაც მოეწონებათ; ზოგჯერ ქალებსაც კი მოითხოვენ", — ტირილით დაასრულა სომეხმა. მართლაც აქაური სომხების მოთმინება უსაზღვროა. ოქრობაგეთში, ჩვენს თვალწინ არტაანში სამუშაოდ მიმავალმა მაჭახლელთა ჯგუფმა სახლიდან გამოყარა სომეხთა მთელი ოჯახობა მხოლოდ იმისათვის, რომ სახლის პატრონის დიდ ოთახში ცეკვა-თამაშის გამართვა მოისურვეს. ასეთ ვითარებაში აქაური სომეხი დიდ უბედურებას არ ხედავს. იგი ითმენს და, თუ შემთხვევა იქნება, გულს გადაუშლის გამვლელ ქრისტიანს. ამის შემდეგ გასაგებია უკანასკნელ ხანებში აქაურ სომეხ-კათოლიკებს რატომ მოუვიდათ აზრად გადასახლდნენ ბათუმში ან ახალციხეში. უმეტესობას ახალციხისაკენ უჭირავს თვალი და მსჯელობენ დეპუტაციის გაგზავნაზე რუსეთის ვიცეკონსულთან ბათუმში.

შავშეთში გადასახადები საკმაოდ მაღალია: მთელი საოჯახო მეურნეობა მეტნაკლებად დიდი თანხითაა დაბეგრილი. ეს გადასახადები, გარდა სალიანისა, გამოსასყიდად ეძლევათ აქაურ ვაჭრებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი შრომისათვის გასამრჯელო მიიღონ. მიმდინარე 1874 წელს თახშირის გამოსყიდვა ხაზინას 434 ქესას, ე.ი. 10850 მანეთს მისცემს*. ამის გარდა სალიანი თითო ოჯახზე იძლევა 34 ყურუშსა და 28 ფარას, ე.ი. 1 მან. და 75 კაპიკს,რაც 3045 მანეთს შეადგენს, ხოლო საერთო გადასახადი ხაზი-

ნას 14895 მანეთს აძლევს. როგორც ჩანს ეს გადასახადი მძიმე არ არის, მაგრამ შავშელები გაცილებით მეტს იხდიან, ვაჭრები საშინლად ავიწროებენ ხალხს. ისინი იმ დროს მოდიან, როცა მოსახლეობას გადახდის საშუალება არა აქვს, ამიტომ გამომსყიდველი-ჩარჩები იტოვებენ ბეს — ფულს ან პროდუქტს, იმის მიხედვით, რა უფრო აწყობთ მათ. აჭარის აღწერის დროს დასახელებული გადასახადების მუხლების გარდა, შავშეთში მოქმედებს საათისთაო გადასახადი მოჭრილი ხის ღირებულებიდან და 2 ყურუში ყოველ ხილის მომცემ ხეზე. აქაური სომხების გადასახადი იგივეა, როგორც მუსულმანებისა, გარდა ბედელისა,** რომლის რაოდენობა განსაზღვრულია 2 ვერცხლის მეჯიდიე თითოეულ სულზე.

ასეთი გადასახადების მიუხედავად თურქეთის საქართველოს მოსახლეობა არ არის დაცული თვით აშკარა ყაჩაღობისაგან. კანონის მიხედვით ყოველ სამუდიროს ეკუთვნის 8 ჟანდარმი, რომლებიც თავის უფროსთან, ყირ სარდართან ერთად ვალდებული არიან შემოიარონ მხარე, ეძებონ ყაჩაღები. ეს ჟანდარმები, ჩვეულებრივ, სოფლებში მოდიან, რათა მცხოვრებლებს რაღაც შეუჭამონ და მიდიან სხვაგან, რათა იქაც ასევე მოიქცნენ. შავშეთში ეს წესიც არ მოქმედებს. აქ ყირ-სარდარი კერძო პირია, რომელიც სახელმწიფო სამსახურში არ ითვლება და ცხადია ხაზინიდან ხელფასს არ ღებულობს. ამჟამად ამ თანამდებობაზეა სოფელ დიობანის (იმერხევშია) მცხოვრები ქიბარ-აღა,*** რომელსაც შემოკრებილი ჰყავს თავზეხელაღებული აჭარელი, მაჭახლელი და ქობულეთელი ავაზაკების ჯგუფი. შავშელებიდან მასთან მსახურებენ მისი ორი შვილი. ქიბარ-აღამ სოფელს თვითნებურად დაადო გადასახადი, თითო კომლზე 3 ყურუში, თითქოსდა თავისი გარჯის ჯილდოს სახით. ყველასათვის გასაგებია, რომ ხალხის უშიშროების დაცვის ეს წესი მშვიდობიან მოსახლეობას ცრემლად უჯდება. ქიბარ-აღის ბანდას არ ყოფნის ნახევრად ოფიციალური გადასახადი და თავად ძარცვავს ქვეყანას. შავშეთში არ არის ძალა, რომელიც ყირ-სარდარს ალაგმავდა. მუდირის უფლებები წაშლილია და ქიბარ-აღას ეშინია მხოლოდ ერთისა, შავშეთის ოფიციალურ და არაოფიციალურ მცხოვრებთა შორის ყველაზე გავლენიანი პირის სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

---

* ერთი ქესა 25 მანეთს უდრიდა (მთარგმნ.)

** ფულადი გადასახადი, რომელიც ცვლის ჯარში გაწვევას.

*** ქიბარ-აღა ცხოვრობს დიობანის ერთ გარეუბანში, რომელსაც ინხოეთი ჰქვია.

ყირსარდრობა, ისევე როგორც სხვა თანამდებობები აშკარად იყიდება. ვაჭრობა იწყება ახალი მუთერსარიფის გამოჩენისთანავე და მაშინ, ჩვეულებრივ იცვლება ყველა ადგილობრივი ხელისუფლება. სხვათა შორის, ასე მოხდა შავშეთში ჩვენი ყოფნის დროს. ოლთისის ახალი მუთერსარიფის ნება-სურვილის თანახმად შეიცვალა ყველა მუდირი, კაიმაკამი და სხვა თანამდებობის პირები.

ისტორიული გადმოცემები შავშეთში ძალზე ღარიბია. ყველა მონათხრობი იმეორებს ბეგების გვარის ისტორიას.* შავშეთში ასეთი სამია: ძველი სამცხის ათაბაგები, იმერხევის ბეგები და ბეგები ხიმშიაშვილთა გვარიდან.

ათაბაგის გვარის ერთადერთი შთამომავალი ცხოვრობს ოქრობაგეთში. ეს არის 40 წლის გაბედოველათებული, გალოთებული და გაღატაკებული კაცი. ხელისუფლებისაგან ღებულობს მცირე პენსიას. ბეგის თქმით ყველა მისი საბუთი კონსტანტინეპოლშია და რომ გადმოცემით იგი ახალციხის როსტომ ათაბაგის, თურქეთის საქართველოში პორტას პირველი ვასალის, ყველაზე უწინ მუსულმანობის მაღიარებლის (ჰიჯრის 1016, ე.ი. ჩვ. წ. ა. 1600 წელს) მეშვიდე თაობაა. ამ ბეგის მამას მიუყიდია თავისი მამული აჭარის აბდი-ბეგ ხიმშიაშვილზე, რომელიც შავშეთის გულში სათლელში გადმოსახლდა და დააფუძნა გავლენიანი ბეგების მოდგმა, რომელთაც თურქები ხიმში-ოღლებს უწოდებენ.

იმერხეველი ბეგების გვარეულობა ველში ცხოვრობს. ამბობენ, ეს გვარი უნდა უმადლოდეს სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილს, რომელმაც იმერხევის უკანასკნელი ბეგის მკვლელობის შემდეგ თურქეთის მმართველობას ბეგის ღირსებები გამოსტაცა და თავის ერთერთ მეჯინიბეს მიაკუთვნა. ეს არის ახლანდელი იმერხევის ბეგების გვარის

* შავშეთში ყველამ იცის, რომ მათი მხარე ძალით მოწყვეტილია საქართველოზე და რომ მათი წინაპრების რელიგია ქრისტიანული იყო. ოქრობაგეთის ეკლესია, ორი-სამი გურული ქალის მეცადინეობით, ბოლო წლებამდე მოქმედებდა.ეს ქალები ცოლად ჰყავდათ შავშეთის ბეგებს.აქაური ქართული ტაძრის ტრადიციული პატივისცემა ხალხში ახლაც ცოცხლობს. ოქრობაგეთის ძველი ეკლესიის ნანგრევებთან არის სასაფლაო. ქვის ფილებზე ჩვენ ენახეთ სანთლებიც, რომლებიც ვიღაცას მიცვალებულთა სულის საოხად აენთო. ეს არის ძველი კეთილმოსაგონარი დროის და გვარის პატივისცემა.

სირათ მთავარი. ისინი საკმაოდ ღარიბად ცხოვრობენ და ხალხზე არავითარი გავლენა არა აქვთ. სამაგიეროდ ამ გვარის პატრონი ხიმშიაშვილები თანდათანობით ძლიერდებოდნენ ხან ათაბაგების, ხან იმერხევის ბეგების ხარჯზე. ახლა შავშეთში ძლიერი გავლენით სარგებლობენ მხოლოდ აჭარის ბეგები, ხიმშიაშვილები, რომელთა ახლანდელი წარმომადგენლები არიან აბდი-ბეგის შვილები: სელიმ-ბეგი და მისი უმცროსი ძმა ნური-ბეგი.

ბეგების გარდა შავშეთში სხვა პრივილეგირებული ფენა არ არის. თანზიმათმა ყველა გაათანაბრა. ახალი ორგანიზაციის შემოღებამდე აქ აზნაურები, ძველი ქართველი წარჩინებულების ნაშთები იყვნენ. გადმოცემით. შავშეთში 90-მდე აზნაურის გვარი იყო. მათი პრივილეგია იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ფლობდნენ გლეხებს და მხოლოდ არმიაში სამსახურის ვალდებულება ჰქონდათ. ბეგები თავის მხრივ სარგებლობდნენ მფლობელობის უფლებით. თანზიმათის შემოღების შემდეგ შავშეთის საზოგადოებრივი წყობა შეიცვალა: ბეგებმა, როგორც ზემოთ პირველ თავშია ნათქვამი, მიიღეს პენსია, აზნაურები გლეხებს გაუთანაბრდნენ და ახლა, მართალია, არსებობს ეს წოდება, მაგრამ მას მხოლოდ მხარის ისტორიული მასალის მნიშვნელობა აქვს. ყველა არააზნაური თანზიმათამდე მიწის შემოსავლიდან 1/5 იხდიდა ბეგის სასარგებლოდ. ამაში შედიოდა უბრალო ხალხის მთელი ფულადი გადასახადი.

თანზიმათის შემოღება შავშეთში ისე იოლად არ ჩატარებულა, როგორც აჭარაში.1844 წელს ამას მოჰყვა აშკარა აჯანყება, რომლის სათავეში სელიმ-ბეგი იდგა.

აი რას მოგვითხრობენ ამ მოვლენის შესახებ:

1844 წელს კონსტანტინეპოლში, რუსეთის მტრების მოქმედებით წარმოიშვა მოსაზრება, მოეწყოთ არეულობა ახალციხეში, რათა რუსეთის ჯარის ყურადღება ჩამოეშორებინათ დაღესტანზე, სადაც შამილს ჩაფიქრებული ჰქონდა ანტირუსული საყოველთაო აჯანყება. შამილს საიდუმლო კავშირი ჰქონდა თურქეთთან; ერთერთი თავისი აგენტი გაგზავნა თურქეთის საქართველოში, რათა შეემზადებინა მოსახლეობა ახალციხეში ლაშქრობის მოსაწყობად. ეს მქადაგებელი აღჭურვილი იყო სულთანის ფირმანებით. იგი პირველ რიგში ბეგებს ეახლა, რადგანაც მათს გარეშე ხალხის დარაზმვა შეუძლებელი იყო. ბეგებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ შემთხვევით და ახალციხეზე გალაშქრების საბაბით შეკრიბეს 10 ათასი კაცი. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა აბდი-ბეგის უფროსი შვილი სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი, იმ დროისათვის თურქეთის საქართველოს ყველაზე ძლიერი ბეგი. მაშინ სელიმი 15 წლისა იყო. მიუხედავად ამისა,

იგი მთელი ლაშქრის სერასკირად დაინიშნა. ახალგაზრდა კაცის დაძახილზე წამოვიდნენ აჭარა-ქობულეთის, ფოცხოვის და ლივანის მცხოვრებლები. ხალხმა არ იცოდა საქმის ვითარება: მათ განუცხადეს, რომ იწყებოდა მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. სინამდვილეში ბეგებს მიზნად სხვა რამ ჰქონდათ დასახული. ხალხის ამ ჯგუფების მეშვეობით ისინი ამზადებდნენ რევოლუციას, რასაც თანზიმათის გაუქმება უნდა მოჰყოლოდა. სელიმ-ბეგმა მოქმედება იმით დაიწყო, რომ შავშეთიდან გადავიდა ფოცხოვში და იქაური ფაშა დააპატიმრა. საერთო გეგმით ფოცხოვიდან მობრუნებული სელიმ-ბეგის არმია ერზრუმში და ტრაპიზონში უნდა გადასულიყო. მაგრამ შავშეთის რევოლუციონერების შეგროვებისთანავე გაირკვა, რომ მათ არა აქვთ არც დენთი და არც იარაღი. „ჩვენ ეს ვიცოდით, — გვიამბო ამ საქმის ერთმა მთავარმა მონაწილემ, — მაგრამ ჩვენი წარმატება გაანგარიშებული იყო ერზრუმისა და ტრაპიზონის საფაშალიკოების მცხოვრებთა მხარდაჭერაზე. ისინი ჩვენსავით ხელისუფლების უკმაყოფილო იყვნენ. ჩვენ გვინდოდა მოგვეწყო საერთო აჯანყება, რის შემდეგ სუსტ ხელისუფლებას წარვუდგენდით ჩვენს პირობებს".

ბეგების ჩანაფიქრს არ ჰქონდა არც მტკიცე საფუძველი და არც ნათელი მიზანი. ამიტომ მალე თავად ბეგებს შორის წამოიჭრა უთანხმოება, რის შედეგადაც ყარსის ფაშამ შეძლო ზოგიერთ მათგანთან მოლაპარაკება. ისინი ჩაბარდნენ დასაწყნარებლად გამოგზავნილ რაზმებს. სელიმ-ბეგი დარწმუნდა, რომ დაწყებული საქმე წაგებული იყო და 300 აჭარელის თანხლებით წეფთის ციხეს შეაფარა თავი. თავგადასავლების ახალგაზრდა მაძიებელს აქაც არ დაედგომებოდა და თავისი რაზმით ბათუმისაკენ დაიძრა. ამ დროს ბათუმი პატარა სოფელი იყო, სადაც კაიმაკამი იჯდა. მოლაპარაკების შემდეგ სელიმ-ბეგი დათანხმდა, წასულიყო ტრაპიზონში, საიდანაც საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ სტამბოლში გაგზავნეს. სინდისის გაწმენდისა და რუსეთის ელჩის დამშვიდების მიზნით თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გავლენიანი ბეგები გაეგზავნა სალონიკში, სადაც სელიმ-ბეგმა ნახევარი წელი დაჰყო.

30 წლის წინ მომხდარი მთელი ეს ეპიზოდი მეტყველებს ხიმშიაშვილთა გვარის უძლეველობაზე. ეს გავლენა დღესაც შენარჩუნებულია და მოგზაურთა ყურადღებას იქცევს.

რას აკეთებენ ახლა შავშელები? რით განსხვავდება მათი საოჯახო მეურნეობა? ერთმა საპატიო მამაკაცმა, რომელსაც მე ეს კითხვები დავუსვი, მიპასუხა, რომ იმერხეველები კარგი მექისეები (sic.) არიან და ბევრი მათგანი საშოვარზე კონსტანტინეპოლში მიდის. საკუთრივ შავშელები სოფლის მეურნეობასაც მისდევენ. შავშეთში მწარმოებლო-

ბის იგივე სახეებია, რაც ზემო აჭარაში, მაგრამ მეზობელ მხარეებთან შედარებით შავშეთის ბუნება გაცილებით მდიდარია. მესაქონლეობა და მეხორბლეობა აქ შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს. შავშეთი აწარმოებს ხორბალს, რომელიც ბათუმის ბაზარზე ყარსისას სჯობნის. მიწის ზღაპრული ნაყოფიერების პირობებში შავშეთი შესაძლოა გახდეს ხორბლის წარმოების ცენტრი და ალბათ, არტანუჯიდან ბათუმამდე გზატკეცილის გაყვანით ტბეთის ეაკე შესაძლოა ამ პორტის ბეღელად გადაიქცეს. 1873 წელს ინგლისის პურით ვაჭრობის კომპანიამ საცდელად შეისყიდა შავშეთის პური. ამ კომპანიის ერთერთი აგენტის თქმით აქაური პურით ვაჭრობას კარგი მომავალი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას მესაქონლეობაზე. კულტურული მცენარეულობიდან აქ კარგად ხარობს თუთის ხე, მაგრამ აბრეშუმის ჭია ჩვენ მხოლოდ ნური-ბეგის მამულში — შინდობანში * ვნახეთ.

* ნური-ბეგი, სელიმ-ბეგის უმცროსი ძმა, ახალგაზრდა და ახალი წყობის კაცია. მის მამულში (შინდობანში) დასაბამი მიეცა აბრეშუმის ჭიის სწორ მოშენებას კონსტანტინეპოლში თურქულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების მიხედვით. ამ ოჯახს გაშენებული აქვს კარგად დაგეგმილი თუთის ბაღი და ბოსტანი, რომელშიც ფერადი კომბოსტოც კი ხარობს.მაგრამ არ არის კარტოფილი. გარდა ამისა აქ არის რამდენიმე ძირი ლივანური ვაზი. საერთოდ ნური-ბეგის ნაფუზარი, მის პატრონთან ერთად წარმოადგენს სასიამოვნო გამონაკლისს ქვეყანაში, სადაც შრომა და ცოდნა ადამიანის მოთხოვნილებად არ ითვლება.

## III

# არტანუჯი და ლივანა

### არტანუჯი. გამგზავრება ოპიზის მონასტრისაკენ. ბათუმის გზატკეცილი. ართვინი. ნაოსნობა ჭოროხზე. ბორჩხა.

ჩვენ საშუალება არ გვქონდა არტანუჯისა და ლივანის პროვინციებს ისევე დაწვრილებით გავცნობოდით, როგორც შავშეთს. ამიტომ ჩვენი თხრობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ გზების აღწერით, რომელზეც გაიარა ჩვენმა ქარავანმა, აგრეთვე იმ შთაბეჭდილებებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ სოფელ ოპიზაში ცნობილი მონასტრის ნახვით.

პროვინცია არტანუჯი იწყება იალანუს-ჩამის ქედის გადასასვლელიდან, გობიხვეწიას მთასთან. შავშეთზე მიძღვნილ სტატიაში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ ადგილის ხასიათზე და ჩვენი თხრობა დავიყვანეთ სოფელ ბაცამდე, სადაც შავშეთის დიდი გზა უერთდება ლივანისას და ართვინიდან არტანუჯში მიდის. ეს გზა თურქეთის საქართველოს აღწერებში ბათუმ-ყარსის გზატკეცილის სახელითაა ცნობილი. იგი ჯერ დასრულებული არაა, მაგრამ ამ ქვეყნის ისტორიაში უკვე ქმნის ეპოქას. ამიტომაც ამ გზის მშენებლობის მდგომარეობის დაწვრილებით გაცნობა უნდა იყოს ყოველდღიური საკითხი როგორც გეოგრაფიული მეცნიერების, ასევე ვაჭრებისათვის, რომელთაც აინტერესებთ თურქეთისა და მისი მეზობელი კავკასიის ბედი.

შავშეთის საქარავნო გზის და მშენებარე გზატკეცილის შეერთების ადგილს სოფელ ბაცასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის შესაფასებლად საკმარისია ვნახოთ ადგილები ართვინიდან არტანუჯამდე. ეს სივრცე წარმოადგენს ერთ მთიან მასას, რომელიც იხრება ყველა მიმართულებით დიდი და პატარა ნაპრალების სახით. ამ ნაპრალების ფსკერზე, დაკიდულ კლდეებს შორის მიედინება ჭოროხი, არტანუჯ-ჩაი და იმერხევისწყალი, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობის ერთადერთ საშუალებაზე მიუთითებენ. ამ მოჯადო-

ებულ მხარეში ჩრდილოეთიდან შეიძლება მოხვდე მხოლოდ შავშეთის საქარავნო გზით, სოფელ ბაცას გავლით, რომელიც მდებარეობს ქალაქ არტანუჯიდან 3—4 საათის სავალ გზაზე და მბრძანებლობს ამ გზას სულ ცოტა 2000 ფუტ მანძილზე. არტანუჯიდან ართვინში ჩამოსასვლელად, ფეხით მოსიარულე მოგზაურიც კი, ჯერ უნდა ავიდეს სოფელ ბაცაში, რადგანაც უშუალოდ ქალაქთან არსებული ქარაფები არტანუჯ-ჩაის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით გზას გაუვალს ხდიან.

სოფელ ბაცაში 25 კომლი ცხოვრობს, სახლები გაფანტულია ხრამის ორივე მხარეს, შავშეთის გზის გაყოლებით. სოფლის შუაგული შავი ზღვის დონიდან 3575 ფუტზე მდებარეობს. აქედან იწყება ერთი უწყვეტი დაღმართი არტანუჯისაკენ, რომელიც ხელის გულივით მოსჩანს. ქალაქის ტოპოგრაფიული მდებარეობა ძალზე ორიგინალურია. იგი განლაგებულია მცირე სამკუთხოვან ფართობზე, არტანუჯ-ჩაის მარცხენა ნაპირზე, ღრმა ტაფობში, რომლის თავზე ყოველი მხრიდან დაკიდულია მაღალი კლდეები. განსაკუთრებით მიუდგომელია ამ ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი მხარე, რომელზეც, სურათის დასრულების მიზნით აუშენებიათ სრულიად უსარგებლო ძველებური კოშკები. ქალაქის დასავლეთი მხარე ჩაკეტილია კლდოვანი კონცხით, რომელიც მდინარეში ეშვება. მდინარის წყალი კლდეთა კარებს გააღწევს და დასავლეთისაკენ მდინარე ჭოროხს უერთდება.

ქალაქი არტანუჯი უპირატესად სომხებითაა დასახლებული და 500 კომლს ითვლის. იგი ჩვენი მოგზაურობის გარეშე დარჩა, მაგრამ თუ მონაყოლით ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამჟამად მას ამ მიდამოებისათვის არა აქვს რაიმე მნიშვნელობა და ყურადღებას იქცევს მხოლოდ როგორც არტანუჯის კაიმაკამის ადგილსამყოფელი. ბაცადან ართვინისაკენ ჩვენ ახალი გზით გავემართეთ, მაგრამ სანამ ამ გზაზე რაიმეს ვიტყოდით, აღვწერთ ჩვენს მოგზაურობას ოპიზის მონასტერში.

ქალაქ არტანუჯიდან 10 ვერსის ქვემოთ ამავე სახელწოდების მდინარე უერთდება ჩვენთვის ნაცნობ მდინარე იმერხევისწყალს. ოპიზის მონასტერი მდებარეობს იმერხევისწყალის ერთ მარჯვენა გვერდით ხეობაში, ლივანის ტერიტორიაზე.

---

* ქრისტიანული წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში არტანუჯი საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელი ბაგრატიდების რეზიდენცია იყო.

ჩვენ გადავედით იმერხევისწყალზე გადებულ დროებით ხიდზე, თითქმის ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ეს მდინარე უერთდება არტანუჯ-ჩაის და წავედით ზემოთ იმერხევის ხეობაში. გზა ინარჩუნებს ისეთივე ხასიათს, რაც ჩვენ ფხიკიურის შემოგარენში ვნახეთ. მაგრამ მდინარის ნაპირები უფრო დამრეცია, ტყეები მცირე. თითქმის ყველგან მოგზაური გარშემორტყმულია შიშველი კირქვებით. მცენარეული ცოტაა, მაგრამ სამაგიეროდ იმ ადგილას, სადაც ქვებს შორის ხელისგულისოდენა მიწაა, ნახავთ ყურძენს, ბროწეულს, ნუშს, ხურმას, ზეთისხილს, ლეღვს და სხვა ჯიშის ხეებს. ნაყოფიერება გასაცვიფრებელია. ჩვენ აქ პირველად დავრწმუნდით, რომ ლივანის გახმაურებული დიდება დამსახურებულია. ჭვავისა და ხორბლის მოსავალი უკვე აღებულია და მინდვრებში ახლა სიმინდი ითესება. სამ თვეში ახალი სამკალი იქნება. სოფელ ოპიზამდე ჩვენი გზა 3 1/2 საათს გრძელდება, აქედან პირველი საათი ცხენით, დანარჩენი 2 1/2 საათი ფეხით უნდა ვიაროთ. მხოლოდ ამითაც შეიძლება იმსჯელო, თუ რა საზიზღარი გზაა. ამ მიდამოების მცხოვრებთათვის ცხენი არ არსებობს. სამაგიეროდ მათს ერთგულ მსახურად მორჩილი სახედარი რჩება. ცხენებით ჩვენ ავედით სოფელ კაპარიამდე, რომელიც მდებარეობს იმერხევისწყლის მარჯვენა ნაპირზე, შავი ზღვის დონიდან 1217 ფუტზე. ცხენები აქ დავტოვეთ, ჩვენ კი ვიწრო ბილიკით სოფელ ოპიზაში ავედით. გზა კარჩხალის ქედის განშტოებაზე, იმერხევისწყლის მოშიშვლებული და კლდოვანი ხრამის გაყოლებით მიდის. მდინარე ჩვენს ფეხებს ქვემოთ, სადღაც შორს ჩაიკარგა. ოპიზის მონასტერი გზატკეცილიდან 1500 ფუტზე ზემოთ მდებარეობს, კარჩხალის ერთერთ განივ გასაყარზე და ჩვენს ცნობისმოყვარე თვალწინ გადაიშალა მაშინ, როცა სოფელში შევედით. მე მწყუროდა ნახვა ძველი საქართველოს ამ უწმინდესი ადგილისა, რომელსაც უმღერა ვახუშტიმ და რომელიც ჯერჯერობით არცერთ ევროპელს არ უნახავს. ჩვენი ჯაფა სათანადოდ დაფასდა.

სოფელი ოპიზა 12 კომლისაგან შედგება. ისინი გაფანტულია მთის დამრეც ფერდობებზე, კლდეებსა და იმ ხაზს შორის, რომელიც აერთებს ხეობის ფსკერის ყველაზე ღრმა ადგილებს. სოფლის ყველაზე ქვემოთ სახლებთან წარმოქმნილია პატარა მოედანი 150 ნაბიჯის სიგრძისა და 80 ნაბიჯი სიგანისა. ამ მოედანზე დარჩა რომელიღაც შენობების, აგრეთვე სამი დიდი სახლის კედლები, რომლებიც მთლიანი დანგრევისაგან გადარჩა. გემოვნებით დაგეგმარებული მოედნის შუაგულში დიდი ეკლესია დგას. ეს ქალაქი, რომელსაც ქვის გალავანი აქვს შემოვლებული და შეუძლია რამდენიმე ასეული ადამიანი დაიტიოს, არის იოანე ნათლისმცემლის ძველი ქართული მონასტერი.



ოპიზა

ოპიზის მონასტრის მდგომარეობა სხვებზე უფრო ზუსტად აღწერილი აქვს ვახუშტის.* მომდევნო პერიოდის, აგრეთვე თანამედროვე მწერლები ოპიზის მონასტრის ადგილმდებარეობას აჭარაში მიიჩნევდნენ.** ეს გეოგრაფიული შეცდომები გვერდზე გადავდოთ და მოვიტანოთ ცნობები ოპიზის მონასტრის ისტორიიდან, რომლებიც ამოწერილია ბ-ნ ბაქრაძის სტატიიდან: „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში“.*** ჩვენი პატივცემული არქეოლოგი ამბობს:

* გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი. თარგმანი აკად. ბროსესი.
** Акты Кав Арх. Ком. т .V, cmp. 1069.
*** იქვე.

„მე-9 საუკუნეში აშოტ კურაპალატის შვილის გურგენის მიერ დაფუძნებული ტაძარი, რომელმაც მისივე ცხედარიც შეიფარა, იგი (ოპიზის სავანე) ფლობდა ძვირფას განძეულს, საკმაო რაოდენობის მიწას და წმინდა საგნებს. ტაძრის ჩუქურთმები შესანიშნავია. ოპიზის მონასტერი სავსე იყო ბერებით. ვახუშტის დროს, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ვრცელი შენობა ჯერ კიდევ მთელი იყო, მაგრამ მოკლებული ბერებსა და მსახურებას. ამ ეკლესიის სიმდიდრეზე ხმა ისე გავრცელდა, რომ მეფე დავით ნარინის დროს, მე-13 საუკუნეში, მონღოლების შემოსევის დროს ერთ რაზმს სურდა გაეძარცვა ტაძარი, მაგრამ ქართული მატიანეების თქმით, ღადოს მხრიდან ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ოპიზის საზღვართან მოსვლამდე ეს რაზმი გაიფანტა და განადგურდა. 1860 წელს ლაფეკალის ეკლესიაში, სვანეთის სათავადოში მე ვნახე ერთი ძალზე საინტერესო სახარება, რომლის მინაწერში იხსენიება რომელიღაც ბერი ილარიონ საფრონიძე, რუსუდანის ვაჟის დავითის სულიერი მამა; იგი დავითმა წაიყვანა ოპიზის მონასტრიდან და იმერეთში, გელათის მონასტერში ჩაასახლა. „უეჭველია, დასძენს ბ-ნი ბაქრაძე, რომ ოპიზის მონასტერში შემორჩენილი უნდა იყოს წარწერები, რომლებიც სამწუხაროდ ჯერჯერობით არავის გადაუწერია და ამიტომ ჩვენთვის უცნობია".

ბ-ნ ბაქრაძის ცნობები ჩვენ შეგვიძლია შევავსოთ თავად მონასტრის დაწვრილებითი აღწერილობით.

მთავარ ეკლესიას ბერძნული ჯვარის შეხედულება აქვს. შენობის სიგრძე 15—20 ნაბიჯია. დასავლეთის მხრიდან აქვს რამდენიმე მინაშენი, რომლებშიც, როგორც ჩანს, იყო ცალკე პატარა ეკლესიები. მათ შორის ყველაზე დიდი 25 კაცს იტევდა. შუა ეკლესიის თავზე მოსჩანს გუმბათი დაკბილული სახურავით და რვა ნიშით, რომლებიც ორმაგ ხვეულ ჩარჩოშია ჩასმული. მთავარი კორპუსის შიგნითა ნაწილი ძალზე მაღალი თაღებითაა გამოყვანილი, რომლებიც როგორც მხატვრობით, ისე მოპირკეთებით ჩამორჩება ტბეთის ეკლესიას. ბათქაში პატარა ნატეხებადაა შემორჩენილი. ნახატები ალაგალაგ შემორჩენილია პატარა ეკლესიებში. ნახატებზე წარწერები არაა. მთლიანობაში დრომ და მეზობლის ხელმა ეკლესია ძალზე დიდად დააზიანა. გრძელ მკლავზე სახურავი მთლიანად ჩამოქცეულია, მოკლეზე — ძლივსღა მაგრდება. ორნამენტის ელემენტთა ერთობლიობა ძალზე უბრალოა: იგი სრულიად მარტივი ფორმის ზეძირკველზე მდგარ ოთხკუთხა ნახევარსვეტებს წარმოადგენს. ეკლესიის მთელი შიგნითა ნაწილი და გარე კედლები შემერწილია კირქვის გათლილი ფიქალით, ხოლო კამარები სინგოთის ნანგრევების მსგავსად ალაგ-ალაგ აგურითაა ამოყვანილი. სამხრეთის გარე კედელზე,

ძალზე გამოსაჩენ ადგილას, ქვაზე გამოკვეთილია იესო ქრისტეს ფიგურა. იგი ტახტზე ზის და ლოცავს შენობას, რომელსაც მას მიართმევს მეფის ტანსაცმლით შემოსილი ადამიანი. ტახტის ძირას ამოკვეთილია სხვა ადამიანის ფიგურა. იგი მუხლებზეა დაჩოქილი. ფიგურების მხარეს შემორჩენილია წარწერები, რომლებიც მე ალბომში გადავიღე. ერთერთ მათგანზე ბ-ნმა ბაქრაძემ ამოიკითხა აშოტის სახელი.

დანარჩენ ორ მინაშენს საცხოვრებელი სახლის შესახედაობა აქვს. ისინი განლაგებულია ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეზე. თითოეული მათგანი 38 ნაბიჯის სიგრძის და 33 ნაბიჯის სიგანისაა. დასავლეთი შენობა სიგრძეზე თორმეტი თაღით სამ ნაწილადაა გაყოფილი. თაღები ათ სვეტს ეყრდნობა. მთელი შენობა გათლილი ქვითაა შემოსილი. აღმოსავლეთი ფლიგელი ყრუ კედლებით ოთხ დიდ ოთახადაა გაყოფილი. ულმობელ დროს ისინი ძალზე დაუზიანებია: ცალკეულმა ქვებმა და საუკუნოვანმა ლეღვის ხეებმა ისე გადახერგეს შესასვლელები, რომ ორ ოთახში შეღწევაც შეუძლებელია. ამ მთავარი შენობის ირგვლივ მიმოყრილია ნანგრევები. მთელ ქალაქს შემოვლებული აქვს გალავანი, რომელსაც ქვედა სართულში გასასვლელი აქვს. იგი ციხის გამაგრებულ კარებს მოგვაგონებს.

ოპიზის მონასტრის ვრცელი შენობები მოუთითებს, რომ ერთ დროს აქ ხალხმრავლობა იყო და სიცოცხლე დუღდა. ფართო ფლიგელები, ალბათ ახლო სოფლებიდან მოსიარულე ღვთისმოსავთა თავშესაფრად იყო გამოყენებული. მაგრამ სადღაა ეს სოფლები? ნუთუ დროს შეეძლო ასე უმოწყალოდ აღეგავა ისინი მიწის პირისაგან? მაგრამ ეს უნდა დავიჯეროთ, რადგან ოპიზის შემოგარენში ერთი საათის სავალ გზაზე არის სოფლები ფორა და ბერთა. როგორც ამბობენ აქ შემონახულია დიდი ეკლესიის ნაშთები. ფორის იქეთ, ფხიკურის გზაზე, არის დიდი, მაგრამ მიუდგომელი ციხის — წეფთის ნანგრევები. ჩვენ ვერ შევძელით დაგვეთვალიერებინა საქართველოს ძველი დიდების ეს მოწმეები., მაგრამ მათი არსებობაც და, რაც მთავარია, ტაძრებისა და ციხეების საოცარი შეთანაწყობა ამართლებს* იმათ, ვინც ამ ერს აზიაში ქრისტიანობის ავანგარდს უწოდებს.

დამღლელი მოგზაურობის შემდეგ ოპიზაში დავისვენეთ და ახალი გზით გავემგზავრეთ.ართვინისაკენ, რომლის აღწერას მომდევნო სტრიქონებს მივუძღვნით.

---

* Abel-Remustan. Memoires surles relations politiques des princes chertiens et principalement des rois de France avec les empreurs Mongols. Memoires de l,academie royale des inscriptions et des belleslettres. Paris t. vi. 1822.

ბათუმსა და ანატოლიის ცენტრალურ პუნქტებს შორის სწორი და უზრუნველყოფილი გზების გაყვანის აუცილებლობა თვალნათელია. უამისოდ შავი ზღვის საუკეთესო პორტი ბათუმი თურქეთისათვის მკვდარ კაპიტალად დარჩება, ხოლო თურქეთის საქართველოს და სომხეთის ცენტრალური პუნქტები „ჩაიხრჩობიან თავიანთ ქონში". საზოგადოების შეგნებაში ამ აზრმა დიდი ხანია დაიკავა თავისი ადგილი და ევროპის ჟურნალისტიკის განსჯის საგანი გახდა. მაგრამ ამ საქმის განხორციელება ისეთ პირობებს მოითხოვდა, რომლებიც თურქეთს არ გააჩნია. გარდა ამისა, როგორც წინა ორი თავიდან ნაწილობრივ დავინახეთ, ბათუმსა და მტკვრისა და არაქსის სათავეებს შორის ძნელადმისადგომი მთების კავშირი ისეა გაწყვეტილი, რომ ძალზე ძნელია ბორბლიანი ტრანსპორტის მოძრაობის მოგვარება. მხოლოდ ამ მდგომარეობით აიხსნება, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი თითქმის ტრაპიზონიდან მდინარე ჩოლოქის შესართავამდე, ბათუმის არსებობის მიუხედავად, აზიის ისტორიაში არასოდეს არავითარ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა. ქვეყნის ეს პირველყოფილი მდგომარეობა შემდგომში არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და მეზობელი ქვეყნების ცხოვრების ბუნებრივი განვითარებით თურქეთი იძულებულია გაიკაფოს ის გზა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ ყარსისა და ყაგიზმანის გავლით ბათუმის სატრანზიტო გზით სპარსეთთან დაკავშირებაზე, ეკონომიკური თვალსაზრისით არის შუა აზიის ვაჭართა ძველი სიმღერის ახალი ვარიაცია. ამის გამო საყურადღებოა, რომ ლივანაზე გავლით დიდი გზატკეცილის გაყვანის საკითხი ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის სამუშაოების დაწყებასთან ერთად გადაწყდა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევითი დამთხვევის უკან იმალება იმ იდეის ჭეშმარიტი და ცოცხალი კავშირი, რომელმაც გამოიწვია ორივე ამ გზის გამოჩენა.

ბათუმის გზატკეცილის მიმართულების შესარჩევად შეიქმნა კომისია, რომელმაც დიდხანს ვერ გადაწყვიტა, რომელი მიმართულებით წაეყვანა ტრასა. კომისიის ერთერთი წევრი ურჩევდა, წასულიყვნენ აჭარის ხეობის საქარავნო გზით სხალთისა და ბაკოს გავლით. მაგრამ ეს მიმართულება დაიწუნეს ძირითადად იმის გამო, რომ იგი რუსეთის საზღვართან ახლოს იყო. რჩებოდა ერთადერთი ხაზი მდინარე ჭოროხზე არტანუჯისაკენ, შემდეგ ყარსისაკენ, ანდა არტაანის გავლით, არტანუჯ-ჩაის გაყოლებით, ან კიდევ თავსკერისა და გიოლის გავლით. დასაწყისში ასე გადაწყვიტა, რის გამო მას ბათუმ-არტაანის გზატკეცილი დაარქვეს. მაგრამ შემდეგ, როცა სამუშაოები უკვე დაწყებული იყო, გადაწყდა, რომ პირვანდელ მოსაზრებაზე უარი ეთქვათ და გზა გაეყვანათ არტანუჯიდან თავსკერის გავლით

ყარსამდე. როგორც ჩანს ეს ვარიანტი აღარ შეიცვლება, რის გამო ახალ გზას ყველა ბათუმ-ყარსის ან ლივანის გზატკეცილს უწოდებს.

სამუშაო დაიწყო ერთდროულად ბათუმსა და არტანუჯში, ორ პუნქტში, რომლებსაც როგორი ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს მომავალში, გზა არ ასცდებათ. 1872 წლამდე სამუშაოებს დიდი წარმატებები არ მოჰყოლია. მაგრამ გასული 1873 წლიდან ხელისუფლებამ მიიღო ენერგიული ზომები იმისათვის, რათა არტანუჯი და ბათუმი 1874 და 1875 წლების განმავლობაში ერთმანეთთან შეეერთებინათ. თუ ახლანდელი წარმატებებით და, რაც მთავარია, დენთის აფეთქების დიდი სამუშაოების აუცილებლობით ვიმსჯელებთ, ძნელია იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ წელს მზად იქნება თუნდაც ამ გზის ვაკისი. მუშახელის ნაკლებობა არ არის: თურქეთის საქართველოში არის ბეგარა ემელიე, რომლის მიხედვით ყველა მამაკაცი 14-დან 60 წლამდე ვალდებულია გამოცხადდეს გზის სამუშაოზე, წელიწადში 20 დღე. ამ სამუშაოების დროს ხაზინისაგან მუშები დღეში მხოლოდ 3 ფუნტ პურს ღებულობენ. გასაგებია, რომ მუშახელის სიჭარბის დროს მისი შენახვა ხელისუფლებას ძალზე იაფი უჯდება. მაგრამ სამუშაოს დიდი ნაწილი აფეთქებას მოითხოვს, რის გამო მუშახელის უმრავლესობა უმუშევარი რჩება. მშენებელი ინჟინრები მხოლოდ თურქები არიან. უცხოელები ჩვენ არსად არ გვინახავს.

ბათუმიდან გზა ჭოროხის მარცხენა ნაპირზე გადის. მდ. აჭარისწყლის შესართავთან ხიდზე გადადის და კარჩხალის მთის ქედის კლდოვან ქარაფებზე გარს უვლის ჭოროხისა და არტანუჯის ნაპირებს. ართვინში ჩვენი ყოფნის დროს მოარული ხმების მიხედვით, ბათუმის მხრიდან გზა მოყვანილი იყო სოფელ მარადიდამდე, ე.ი. ართვინიდან 35 ვერსის დაშორებით. ბათუმის გზატკეცილის ეს ნაწილი ჩვენ არ გვინახავს, რის გამოც ვილაპარაკებთ მხოლოდ არტანუჯსა და ართვინს შორის მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

არტანუჯ-ჩაის ნაპირები უშუალოდ ქალაქ არტანუჯთან მკვეთრად ამაღლებულია. ამ დაბრკოლებებს რომ ასცდეს, ბათუმის გზატკეცილის ვაკისი უნდა ავიდეს სოფელ ბაცასთან, შემდეგ კი კვლავ დაეშვას მდინარესთან. ამგვარად სოფელი ბაცა გახდება პუნქტი, რომელიც დადებითად იმოქმედებს გზაზე. ამჟამად დაღმართზე, ლივანის მხრიდან, შავი ზღვის დონიდან 3500 ფუტზე სამუშაოები შეჩერდა. აქედან ვაკისი ცხრა ზიგზაგით ეშვება ღამის გასათევ გორგოთახანთან, რომელიც ქალაქიდან შვიდი ვერსის დაშორებით, არტანუჯ-ჩაის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. გორგოთახანიდან გზა მდინარის გაყოლებით გადის იმერხევისწყლის შესართავამდე.

იმერხევის წყალზე იგი სახელდახელო ხიდზე გადადის და პროვინცია ლივანში შედის. გორგოთახანიდან ხიდამდე მანძილი 2 ვერსამდეა. თვით სოფელ ბაცადან ნიადაგი უპირატესად კირიანია, მაგრამ პირველ ოთხ ვერსზე თიხა სჭარბობს. იგი სულ სხვადასხვა ფერით გვევლინება — ყვითელიდან დაწყებული იისფერამდე. გზის სიფართე 2-დან 2 1/2 საჟენია. აღმართ-დაღმართები, განსაკუთრებით ზოგიერთი ზიგზაგის შენაწევრება ძალზე დამრეცი და ვიწრო მოგვეჩვენა. თუმცა ახლანდელი გზა მხოლოდ ვაკისია მომავალი გზატკეცილისა, რომელიც დასრულებული სახით ალბათ თვით ევროპის გზების ერთერთ საუკეთესო მშენებლობად წარმოგვიდგება.

გორგოთახანში ჩვენ რამდენიმე საათს გავჩერდით, ვხედავდით, ახალმა გზამ როგორ გამოაცოცხლა ეს მხარე. საპალნე ცხენები და განსაკუთრებით ჯორები ათეულობით და უწყვეტად მიემართებოდნენ ართვინისაკენ, — მათ ყარსის პური გადაჰქონდათ. პური აქ ცხენებით გადმოაქვთ ართვინის ნავმისადგომთან, აქედან კი ჭოროხით ბათუმში ჩააქვთ.

26 ივნისს, დილის 6 საათზე ჩვენ გამოვედით გორგოთახანიდან, ართვინისაკენ მიმავალი გზით გადავედით იმერხევისწყალზე დროებითი ხიდით და ხარხანის სახელით ცნობილი კარჩხალის კლდოვანი ქედით შევუყევით სოფელ დოლიყანისაკენ. ახალი გზა მთის მასას სამხრეთი მხრიდან შემოუვლის და ყოველ ნაბიჯზე სულ ზევით მიიწევს. უწინდებურად ჰორიზონტი კვლავ ვიწროა. არტანუჯ-ჩაის ნაპირები თვალწინ კედლებადაა აღმართული. მათ პირქუში და მიუკარებელი შეხედულება აქვთ. გზა ვიწრო კლდოვან კლდეებს შორის გადის, სადაც ძლივსღა ხარობს მუხის ბუჩქები. ძველი გზა, უკეთ რომ ვთქვათ, გზაბაწარი, ხან გზის ვაკისს ზემოთ, ხან მის ქვემოთ მიიკლაკნება. იგი, როგორც ჩანს, საძაგელი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახალი გზა კლდეთა ნაცრისფერ მასივში იჭრება და ხიდიდან თვით ართვინამდე თხრილის სახით მიდის, რომლის ერთი მხარე უფსკრულისაკენაა მიმართული, ხოლო მეორე — კედლის სახით ცას წვდება. ასაქცევები არაა, გზიდან გვერდზე გადახვევა შეუძლებელია, და ბოლოს, ღამის გასათევი ადგილების მეპატრონეთათვის დიდად სასიამოვნოა, რომ ახლო-მახლო საძოვარი საერთოდ არაა, ხოლო გასათბობად ღარიბ ბუჩქნარს თუ გამოიყენებს კაცი. გორგოთახანიდან გამოსვლის შემდეგ, 2 საათში, ჩვენ ხარხანის სამხრეთი ქედი გადავიარეთ და მოულოდნელად ჩვენს ქვემოთ დავინახეთ წყლის შავი მასა — ეს იყო მდინარე ჭოროხი. აქ გზა შავი ზღვის დონიდან 2614 ფუტ სიმაღლეზე, ანუ მდინარე იმერხევისწყლის ხიდთან შედარებით 1674 ფუტით მაღლა გადის.

თუ ჩავთვლით, რომ ხიდიდან გზის მოსახვევამდე ათი ვერსია, გამოდის, რომ გზის საერთო დახრილობა ყველაზე დამრეც ადგილას 0,07 შეადგენს, რაც ამ შემთხვევაში სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ჭოროხისა და არტანუჯ-ჩაის შეერთების წერტილში გზა მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისაკენ და ჭოროხის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მიდის. ჩვენს ფეხებს ქვემოთ არტანუჯი მოსჩანს. ჭოროხი აქ მუხლს ქმნის, რომელიც აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. იგი წყდება მაღალი შიშველი კლდეებით, რომლებიც პირდაპირ მგზავრის თვალწინაა წამოწვდილი. შორს მდინარის მარცხენა ნაპირზე, მიდამოების ნაცრისფერ ფონზე მედიდურად მოსჩანს მწვანე მინდორი — ესაა სოფლების — ცრიასა და ორჯოხის ბაღები. გამცილებელმა აგვიხსნა, რომ ამ სოფლებში ლივანის საუკეთესო ყურძენი ხარობსო. ჩრდილოეთით, ერთი საათის სავალზე ჩვენ შევჩერდით ოქროსწყალის სადგომში. აქედან ჩვენს წინ გადაიშალა ართვინის მოქათქათე სახლები. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო ხშირად ეხვდებოდით ურმებს. მალე მივაღწიეთ მუშათა ქალაქს, რომელიც წარმოდგენილია თურქეთის არმიისათვის ჩვეულ კონუსისებრ კარვებით. ამას იქეთ ახალი გზით გასასვლელი აღარაა. ჩვენ ძველ გზაზე გადავუხვიეთ და მკვეთრი დაღმართით ართვინისაკენ გავწიეთ. ახალი გზის ვაკისს სულ უფრო მარცხნივ ვშორდებით. ჩვენს წინ გადაიშალა მწვანეში ჩაფლული ართვინი. ჩვენსა და ქალაქს შორის მდორედ მიედინებოდა მღვრიე ჭოროხი. ნაპრალი, რომელშიც მიედინება ეს კლასიკური მდინარე, სულ უფრო ვიწროვდება და ზედ ხიდთან მისი სიფართე ხუთმეტიოდე ნაბიჯს თუ აღწევს. ართვინის ხიდი თავის ერთი ბოლოთი ეყრდნობა დაკიდული კლდის ძირს, რომელზეც ძველი კოშკი დგას. თვით ხიდი სამი ნაბიჯის სიფართისაა და მკვრივი ფიქალის ფილებითაა დაფენილი. ხიდს იქეთ ზეთის ხილის ხეებს შორის იწყება ძალზე მკვეთრი აღმართი, რომელიც ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩებით ქალაქში შედის. ჩვენ ართვინის ცენტრში ყავახანაში, ჭოროხის ხიდიდან 1500 ფუტით მაღლა გაჩერდით.[x]

ბათუმის გზატკეცილზე საუბრის დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, თურქეთის საქართველოს ისტორიაში ეს გზა ეპოქას შექმნის. საუკუნის დასაწყისიდან ლივანში არ იყო ბორბლიანი ტრანსპორტის გზა და ადგილმდებარეობის ასეთმა ხასიათმა თავის მხრივ აღწერილი ქვეყნის საუკუნოვანი უძრაობა განაპირობა.

* ხიდის ქვეშ წყლის სიმაღლე შავი ზღვის დონიდან სულ რაღაც 279 ფუტი იყო.

როგორც ცნობილია, ბორბლებს მიჰყვება ცივილიზაცია და ვაჭრობა, ხოლო მის გარეშე არც ერთი იქნება და არც მეორე. ლივანის, შავშეთისა და ართვინის სიმდიდრე, ბათუმის გზის გარეშე ვაჭრობისათვის მკვდარ კაპიტალად იქცევა და ევროპის გავლენა, რომელმაც აზიის მრავალი კუთხე გაანათლა, დარჩება თურქეთის საქართველოზე შემოვლებულ ქვის კედლებს მიღმა. ამ კედლების გარღვევის და ვაჭრობისათვის ქვეყნის კარების გაღების აუცილებლობაზე დიდხანს ლაპარაკობდნენ. მაშინ, როდესაც ლივანას სჭირდებოდა პური, ყარსი, ახალციხე და ახალქალაქი პურით მუქთად ამარაგებდა რუს, ინგლისელ და ფრანგ სოვდაგრებს. კავშირის უქონლობის გამო ართვინში ვერ განვითარდა ბაღები და თუთის ხეივნები. ახალი გზა ერთსაც და მეორესაც გაუხსნის სარბიელს და ათასობით საჭაპანე პირუტყვი, რომელსაც დღეს ძლივსძლიობით გადააქვს ათასი ბათმანი ტვირთი, მომავალში ასიათასობით ფუთს გადაიტანს. კეთილმოწყობილი ბათუმის გზა ბოლოს მოუღებს დაუსჯელ ძარცვას და ბოროტებას, რომლებიც აგრერიგად მძვინვარებს ლივანის მთებში. შესაძლოა, ეს გზა სპარსეთსა და ევროპას შორის სატრანზიტო მაგისტრალადაც გადაიქცეს.

იმისათვის, რომ ბათუმის გზამ მოსალოდნელი სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა დროულად დასრულდეს და, რაც მთავარია, ტექნიკური მდგომარეობით იგი მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს. მალე იქნება თუ არა გზა არავინ იცის, მისი ახლანდელი მდგომარეობა კი ასეთია: არტანუჯის ქვემოთ მდებარე სოფელ ბაცადან ართვინამდე, თითქმის 30 ვერსის მანძილზე და ბათუმიდან სოფელ მარადიდამდე, თითქმის 40 ვერსის მანძილზე გზატკეცილი ნაწილობრივ მზადაა. ყველაზე ძნელი მონაკვეთია მარადიდიდან ართვინამდე, თითქმის 30 ვერსის მანძილი, სადაც მხოლოდ ტრასირება შესრულდა. სოფელ ბაცადან ყარსამდე ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა და ბევრი ფიქრობს, რომ გზა არტანუჯთან შეწყდება. თურქეთის ხელისუფლების ასეთი არათანმიმდევრობისა ჩვენ არ გვჯერა. ყოველ შემთხვევაში, სამუშაოს წარმოების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გზა 5 წელიწადს არ დამთავრდება, თუმცა ხელისუფლება ბევრს ცდილობს, რათა დაჩქარდეს მისი გახსნა. ართვინში მითხრეს, რომ ჩვენი იქ ყოფნის დროს ბათუმის მუთესარიფისაგან მიიღეს ტელეგრამა, რომელიც კაიმაკამს წერდა, მიეღო ყველა ზომა, რათა 1874 წელს არტანუჯი ბათუმს დაუკავშირდეს და ამისათვის გამოიყენოს მუშახელი განუსაზღვრელი რაოდენობით. მუთესარიფს დაავიწყდა, რომ სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებაა. მას ისიც დაავიწყდა, რომ საჭიროა ბათუმიდან არტანუჯამდე აშენდეს 300 ქვის ხიდი და გვირაბი.

არტანუჯი დაართვინი ჯერჯერობით გზის გარეშე რჩებიან და თუ არტანუჯის მცხოვრებლებს შეუძლიათ ინჟინრების მოწყალების იმედი იქონიონ, ართვინს არა აქვს ასეთი დამშვიდების საბაბი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქის მცხოვრებლებმა თავისი მიწები გზისათვის დათმეს. თუმცა ახლა ბევრი ნაწობს, მაგრამ საქმის გამოსწორება ძნელია. გზა ართვინიდან ოთხი ვერსის დაშორებით გაიყვანეს და აქაურ სომხებს კომერციულმა ინსტინქტმა ამჯერად ძალზე უმტყუნა.

ქალაქი ართვინი მდებარეობს პონტოს ქედთან კარჩხალის შემაერთებელ ნაპრალში, რომლის შესახებ ქვემოთ ვიტყვით. სულ ქალაქში 2000 სახლია. რომელთაგან 100-მდე სომეხ გრიგორიანელებს, ხოლო 600 სომეხ კათოლიკებს, დანარჩენი მაჰმადიანებს ეკუთვნის.



ქ. ართვინი
90-იანი წლები

ასეთი განაწილების მიხედვით მცხოვრებლებს აქვს 5 მეჩეთი, 4 კათოლიკური და 1 გრიგორიანული ეკლესია. ქალაქში არის 8 ყავახანა და 250 დუქანი. სახლები მკვეთრად დამრეც ფერდობზე, ერთიმეორეზე მიჯრითაა განლაგებული. ქალაქის განაპირა ნაწილებში,

ზეთისხილისა და ლეღვის ბაღებში გაფანტულია ადგილები, რომლებიც სოფლებად იწოდებიან. ქალაქის ქუჩები ძალზე ვიწრო, დაკლაკნილი და დამრეცია. სახლების დიდი ნაწილი ხისაა, მაგრამ აქ რამდენიმე ქვის სახლსაც ნახავთ. ერთი, ძალზე დიდი, მდიდარ ვაჭარს პილოიანს ეკუთვნის. გარედან გათლილი ქვებითაა შემოსილი. მცხოვრებლები ძირითადად ვაჭრობენ ართვინის გარეთ. ისინი სახლებიდან მიდიან 10–20 წლისა და სიბერის ჟამს კაპიტალისტებად ბრუნდებიან, რათა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები სახლში გაატარონ. მოსახლეობის ხასიათით ართვინი ამიერკავკასიის ქალაქ შუშას მოგვაგონებს. ისეთივე სიმჭიდროვე, ისეთივე ჭუჭყი და ისეთივე წვრილი ვაჭრობა სახლში და მსხვილი ქალაქგარეთ. ართვინში განლაგებულია რედიფთა ბატალიონის შტაბ-ბინა, რომელზეც მიწერილია შავშეთი, ზემო აჭარა და ლივანა. ყაზარმები ქალაქის ქვემო ნაწილშია მოთავსებული და ოთხი ცალკე შენობისაგან შესდგება. ჩვენ ქალაქში ენახეთ კადრის ოფიცერი და თვით ბატალიონის მეთაური. ეს უკანასკნელი ლამაზი მამაკაცია, შესახედავად ახალგაზრდა, სახის ენერგიული გამომეტყველებით. სამაგიეროდ დანარჩენი ოფიცრები პირქუში და შეუხედავები არიან. ერთ ოფიცერს ქალაქშიც ცხვრის ბარკალი დაჰქონდა და სულაც არ ერიდებოდა, რომ მუნდირი ეცვა და იარაღს ატარებდა.

ართვინში პირველი ღამე ქალაქის ცენტრში, ყავახანაში გავატარეთ. ცნობისმოყვარე ხალხი შეიკრიბა ჩვენს სანახავად. აქვე ჩვენთან მოვიდა გაზინთულ ქურთუკში გამოწყობილი ერთი ბატონი და დამტვრეული რუსულით მოგვესალმა. იგი ფოთში ნამყოფი სომეხი იყო. შემდეგ მოვიდა სხვა ქართულად მოლაპარაკე და კიდევ ერთი, შუშელი მოქალაქე, რომელიც უკვე ხუთი წელია აქ ცხოვრობს. ჩვენი ყველა ახალი ნაცნობი სომეხია. ქართული ლაპარაკი ართვინში იშვიათია, სამაგიეროდ გარეუბნებში თითქმის ყველა ქართულად ლაპარაკობს. ჩვენი ყავახანა მდებარეობს მთავარი მეჩეთის ახლო, რომლის მაღალი მინარეთიდან დღეში ხუთჯერ ვისმენდით ლოცვის მოწოდებას. მეჩეთის წინ პატარა მოედანია, ირგვლივ დუქნები, რომლებიც სავსეა მატყლის, ქაღალდის და აბრეშუმის ნაწარმით. ყველა საქონელი ჩამოტანილია ბათუმიდან და მარსელს, ლონდონსა და კონსტანტინეპოლს ეკუთვნის. ართვინელთა ზნეობრიობაზე ჩვენ ძალზე საძრახისი გამოხმაურება მოვისმინეთ: ჩარჩ-ვაჭრობა, ყველა თავისი საყვარელი ნიშნებით აქ ძალზე განვითარებულია. სიძველეებზე ჩამოვაგდეთ საუბარი და მალე ჩვენი ოთახი გამყიდველთა ჯგუფით გაივსო. მათ სურდათ ჩვენთვის მოეყიდათ, როგორც ამბობენ, ანთიკა – ძველი მონეტები.

ჩვენ 10-მდე მონეტა ვიყიდეთ, რომელთა შორის ზოგი ძალზე საინტერესოა. ჩვენი ნუმიზმანტიკური ნადავლის დიდი ნაწილი ტრაპიზონის იმპერატორთა პერიოდს განეკუთვნება.

ქალაქის დათვალიერება ეკლესიით დავიწყეთ. ჩვენთან ყველაზე ახლოს იყო გრიგორიანული. იგი 60 წლის წინ ძველის ნანგრევებზე აუშენებიათ. ეკლესიაში ჩვენ მნიშვნელოვანი ვერაფერი ვნახეთ, გარდა ერთი ქართული სახარების ხელნაწერისა. ეს ძალზე ძველი წიგნი მოიცავს ფსალმუნებსა და ძველ ქართულ ქორონიკონს. წიგნს გვერდებზე აქვს მოგვიანო პერიოდის მინაწერები. საერთოდ ეს ეგზემპლარი ისტორიკოსისა და არქეოლოგისათვის ძალზე საინტერესოა. სახარებაზე ვერცხლის ძეწკვით მიმაგრებულია ვერცხლისავე ჯვარი, რომელზეც არის ნახევრადწაშლილი ქართული წარწერა... „დ მარია". ჩვენ ვერ შევძელით დაწვრილებით გავცნობოდით ამ წიგნს, რადგანაც გადაწყვეტილი გვქონდა მისი შეძენა. ვერ ვიყიდეთ. მღვდელმა გვითხრა, მართალია ეს წიგნი მას არ სჭირდება, მაგრამ ეკლესიიდან მისი გაცემის უფლება არა აქვს, თუ სტამბოლიდან არ მისცემენ ნებართვას.

ეკლესიიდან მღვდელმა სკოლაში მიგვიწვია. აქ ჩვენ, მგონი დღეში მეათეჯერ მივუჯექით ყავას a la turca. მალე მოვიდნენ ოთხი მოსწავლე, მათ ჯერ სომხურად იმღერეს რომელიღაც აბდულ აზიზის ლოცვა, შემდეგ ორი-სამი მონოტონური სიმღერა შეასრულეს. მომღერლებს მუსიკას უწყობდა მღვდელის შვილი, რომელიც უკრავდა გარმონფლიუტზე. ამ სკოლას ეკლესია ინახავს, ჰყავს სამი მასწავლებელი, რომლებიც თვეში 5–6 მანეთს ღებულობენ. ბიჭები თურქულ და სომხურ ენებს სწავლობენ.

კათოლიკური ეკლესიებიდან ყველაზე ძველი გარეუბან კორსუმში, ჭოროხის ნაპირზე მდებარეობს. ეკლესია განახლებულია ძველის ადგილას. მას ახლომდებარე ბაღები შესწირა ვინმე ხანოვმა. მღვდელმა საჩუქრის სიგელი გვიჩვენა. იგი ქართული, ე.წ. საერო ასოებითაა დაწერილი და შემდეგი შინაარსისაა: „1501 წლის 1 იანვარს მე ნიკოლოზ ხანოვმა ყოვლად წმინდა კათოლიკურ ეკლესიას პაპა სიკსტის სადიდებლად შევწირე მიწა" და ა. შ. შემომწირველის გვარის რუსულმა დაბოლოებამ ჩემში გაუგებრობა გამოიწვია. მზად ვიყავი იგი ორთოგრაფიულ შეცდომად მიმეჩნია, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ეკლესიაში ვნახე ყაზანის ღვთისმშობლის ხატი. ეს ძალზე ძველი ხატია, აქვს ერთარშინიანი კვადრატის ფორმა და დღემდე შენარჩუნებული აქვს სლავური წარწერა. ამ აღმოჩენამ ყველა ჩვენთაგანის სასიამოვნო გაოცება

გამოიწვია. ეს ხატი, გვითხრა მღვდელმა, 60 წლის წინ ნახეს ეკლესიის გადაკეთების დროს ერთერთ კედელში. მან არ იცოდა, რომ ხატი რუსეთიდანაა ჩამოტანილი. მასპინძლებისათვის ესეც აღმოჩენა იყო, ამაზე მათ ჩვენ ვუამბეთ. მე ახლა მჯერა, რომ შემომწირველი შესაძლოა იყო ხანოვი, გარუსებული სომეხი, რომელმაც თან ჩამოიტანა ღვთისმშობლის ხატი.*

ეკლესიიდან ჩვენ ხანოვის ბაღში გავედით: ისევ ყავა, არაყი, თუთა, კიტრი, ალუბალი და ახალი ღელვი. დავიმახსოვროთ, რომ ყოველივე ეს ხდება ივნისის ბოლოს.

სხვა საინტერესო ამბების გარდა, სომეხ-გრიგორიანი ხუცესისაგან ჩვენ გავიგეთ, რომ ზოგჯერ ართვინში ძველი სახარების წასაკითხად მოდის ერთი ქართველი მღვდელი, რომელიც პარხალის მახლობლად, ქალაქიდან 20 საათის სავალზე ცხოვრობს. იქ ჯერ კიდევ არის რამდენიმე ქართული ოჯახი, რომლებიც მართლმადიდებლურ აღმსარებლობას მისდევენ. შემდგომში ჩვენ გავიცანით ეს ფენომენალური მღვდელი, რომელიც ართვინში მოდის მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი სახარება წაიკითხოს.**

ართვინში ჩვენი ჩამოსვლის დღეს გავიცანით ლივანის ახალგაზრდა ბეგი, შერიფ-ბეგ აჭარელის ძმის (თუ დის, რ.ს.) შვილი. ახალგაზრდა კაცი ძალზე კარგად ლაპარაკობს ქართულად. ბავშვობაში ერთერთ თავად გურიელთან ცხოვრობდა და ძალზე გახარებული იყო ჩვენთან შეხვედრით. ჩვენ მის სახლში გადავედით და მთელი დღე იქ დავრჩით.

ლივანის ბეგები ახალციხელი ათაბაგების შთამომავლები არიან. აქაური ბეგები ამბობენ, რომ მხოლოდ ისინი მიეკუთვნებიან ცნობილ გვარს, რომ ოქრობაგეთის ბეგი, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, ათაბაგი არაა. იგი თავის მხრივ, როგორც ვთქვით, თავისთავს იმავე გვარის უფროსი თაობის შთამომავლად თვლის. ართვინის ბეგების გვარში ძველი საბუთები არ შემორჩათ. ისინი დაიწვა ახმედ-ფაშის თანამედროვის ალი-ბეგის სახლში; ახმედ-ფაშამ ლივანზე ლაშქ-

---

* ჩემს მიერ მოტანილ დოკუმენტში, როგორც აღმოჩნდა, არის ანაქრონიზმი: 1501 წელს პაპის ტახტზე იჯდა არა სიქსტი, არამედ ალექსანდრე VI ბორჯია (1492-1504). სიქსტ IV ტახტზე იჯდა 1471 წლიდან 1484 წლამდე, ხოლო სიქსტ V 1585 წლიდან 1590 წლამდე. თუ ამას დავუმატებთ, რომ ყაზანის ღვთისმშობლის ხატი გამოჩნდა მხოლოდ მე-16 საუკუნის ბოლოს, ნათელი გახდება, რომ ართვინის კათოლიკურ ეკლესიაში შეგროვებული ფაქტები გადამოწმებას საჭიროებენ.

** ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ მე-4 თავი „ლაზისტანი“.

რობის დროს ათაბაგთა უხუცესის სახლი ფერფლად აქცია. ართვინის ახლანდელი ბეგების წარმომავლობაზე მხოლოდ უკანასკნელი 130 წლით შეიძლება იმსჯელო. სტუმართმოყვარე მასპინძელმა გაგვაცნო თავისი გვარის ტაბულა, რომლიდანაც ჩანს, რომ ამჟამად ართვინში ათაბაგთა გვარის ათამდე ოჯახი ცხოვრობს. მაგრამ ყველა მათგანმა დაკარგა მნიშვნელობა და აღებისაგან დიდად არ განსხვავდებიან. ამგვარად, აჭარისა და შავშეთის ხიმშიაშვილთა გვარი მთელს თურქეთის საქართველოში ყველაზე გავლენიან გვარად რჩება.

გადავწყვიტეთ ართვინიდან ცნობილი პარხალის ეკლესიის ნანგრევებისაკენ წავსულიყავით. თავისი გრანდიოზული ზომების მიუხედავად პარხალის ეკლესია არ იხსენიება ვახუშტის თხზულებაში, ჩვენ სოფელ პარხალის გეოგრაფიული მდებარეობაც კი არ ვიცოდით. მხოლოდ ართვინში, აქაური კაიმაკამის დახმარებით, გავიგეთ, რომ პარხალისაკენ საუკეთესო გზა შავი ზღვიდან აბუს ხეობის გავლით მიდის. ამ ადგილამდე მისასვლელად საჭირო იყო დავშვებულიყავით ჭოროხზე, სოფელ ბორჩხამდე და აქედან გადავსულიყავით ლაზეთში. ამ შემთხვევითობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გამოვცადეთ საშიში ნაოსნობა ჭოროხზე, რომლის შესახებ მოწოდებული ცნობებით დავასრულებთ თხრობას ლივანაზე.

ართვინის ხიდის ქვეშ აქაური ნავების მისადგომია. ეს ნავები ვენეციურ გონდოლებს წააგავს და წაბლის ხისაგან მზადდება. მათ ბრტყელი ფსკერი აქვთ, სიგრძე 25 ნაბიჯი, სიგანე სამი ნაბიჯია. ნავების ეს ფორმა გამოცდილებით გამომუშავდა და ძველი კოლხეთის დროიდან მოდის. ძველ მწერლებს აღწერილი აქვთ ეს ნავები, ახალი მეცნიერებიც ამას ეყრდნობიან და ასკვნიან, რომ ფაზისი რიონი კი არა, ჭოროხიაო. როგორადაც არ უნდა იყოს, ამ ძველმა მონაპოვარმა კარგი სამსახური გაგვიწია. 2 1/2 საათში ჩვენ გავიარეთ თითქმის 30 ვერსი ართვინიდან ბორჩხამდე მაშინ, როცა ძველი გზით გაგზავნილმა ჩვენმა საპალნეებმა 9 საათი დაჰყვეს.

ართვინის ხიდთან წყლის სიჩქარე ერთ წუთში 200 ნაბიჯს უდრის,* რაც ერთ ვერსზე 7 1/2 წუთს შეადგენს. ამიტომ წყლის დინების ნებაზე მიშვებული ნავი საათში 8 ვერსს გაივლის, მაგრამ სამი ხოფის ძალით ეს სიჩქარე მნიშვნელოვნად იზრდება და ჩვენ ვთვლით, რომ ართვინიდან ბორჩხამდე დაახლოებით 30 ვერსია. ჭოროხზე მოგზაურობა სახიფათოა. ნაოსნობის დროს გვხდება

* სიჩქარე გავზომეთ ტიეტივას დახმარებით, რომელიც ხიდთან ჩავაგდეთ.

წყალქვეშა ქვები, კალაპოტთან კი მკვეთრი, თითქმის 90° -იანი მოსახვევები. წყლის მნიშვნელოვანი სიჩქარის დროს საჭიროა დიდი მოხერხებულობა და გამოცდილება, რათა მდინარის ქვეშ გაფანტულ ქვებსა და ნაპირებს შორის ნავი იკანკლურად ატარო. ჭოროხის ლოცმანები იმდენად დახელოვნებული არიან, რომ მათ სრულიად შეიძლება ენდო. ისინი ნავში 200 ფუთამდე ტვირთს ათავსებენ და თითქოს ცარიელიაო, ისე დაკლაკნილი გზებით მიჰყავთ ფარვატერის ზიგზაგებში. გამოუცდელი თვალისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლება მძიმედ დატვირთული ნავი ასეთ წინაღობებში, კლდეებს შორის გაატარო, მაგრამ დახელოვნებული ლოცმანის საჭე სათამაშოდ მოგვეჩვენა იმ ელვისებური მოძრაობის დროსაც, როცა თითქოს ეს-ესაა ნავი კლდეს უნდა დაეჯახოს, თქვენ კი ნიჩაბის ერთი მოქნევით ამ დროს უშიშარ ადგილას აღმოჩნდებით. უბედური შემთხვევები თითქმის არ გვხდება და ეს არის ართვინელი მენავეების საუკეთესო რეკომენდაცია.

ბათუმამდე ზღაპული სიჩქარის (სულ 5–6 საათი) გვერდით ართვინამდე უკან დაბრუნება 4 და ზოგჯერ 5 დღე გრძელდება. ამ შემთხვე-



სამგზავრო ნავი სოფელ ბორჩხასთან

ვაში ბათუმში დატვირთული ნავები დინების საპირისპირო საჭაპანო ლვედებით მიაქვთ.

ართვინის ვაჭრობის გამოცოცხლების ერთადერთი საშუალება სამდინარო გზაა. მიმდინარე წელს ამ გზამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მეორე წელია, რაც ინგლისელი ვაჭრების კომპანიამ დაიწყო ყარსისა და შავშეთის პურის შესყიდვა და ბათუმში ტვირთის ჭოროხის გზით გაგზავნა. ართვინამდე პურის დიდი ნაწილი ქურთებს გადმოაქვთ საპალნე ჯორებითა და ცხენებით, შემდეგ კი ნავებით მიაცურებენ. მიმდინარე 1874 წელს ერთი კამპანიის აგენტმა ართვინიდან 44 ათასი ფუთი ხორბალი გაგზავნა. ყარსიდან



ნავთმშენებლები ჭოროხის
ხეობიდან

ბათუმამდე ერთი ფუთი ხორბლის ჩატანა მის ფასთან ერთად ერთი მანეთი ჯდება. ართვინიდან ბათუმამდე მენავე ერთ ბათმანში, ე.ი. 18 ფუნტში 5 კაპიკს ღებულობს. წელს პურით ვაჭრებმა ახალი საშუალება გამონახეს, რომელიც ბათუმ-ყარსის გზის მშენებლობით ახალ მნიშვნელობას შეიძენს. ართვინის საქონლის გასაღების სხვა წამოწყებებიდან, რომლებსაც პურით ვაჭრობაში რუსეთის რიბინსკის მნიშვნელობა აქვს, ყურადღების ღირსია ხილით, განსაკუთრებით

ზეთისხილით ვაჭრობა. მაგრამ აქაური ხილი არც ისე გემრიელია, როგორც მე გამიგონია აქ ჩამოსვლამდე და წამიკითხავს ინჯიჯიანის გეოგრაფიაში. ლივანის ბუნება მართლაც მდიდარია, მაგრამ კარგი მებაღეობა აქ არ არის.

ართვინიდან ბორჩხამდე ჭოროხი მიედინება კლდოვან კედლებს შორის, რომელთა გვერდით მოჩანს კარგი ტყეები და მრავალი სოფელი. მდინარის ნაპირზე ჩვეენ დავთვალეთ 6 სახერხი, 6 აგურ-კრამიტის და ერთი კირის ქარხანა. ამ მასალების მთელ მარაგს ბათუმი ლივანიდან ღებულობს.

გარეგნულად ბორჩხა სოფელს არ ჰგავს. აქ 80-მდე კოხტად აშენებული სახლია, რომელთაც არავითარი ხის სამეურნეო მინაშენი არა აქვს. რქიანი პირუტყვი და ცხენი აქ სულ არ არის. ყველა მცხოვრები ნავთმშენებლობას, მენავეობას და თიხის ჭურჭლის დამზადებას მისდევს. მცხოვრებთაგან არავინ თესავს და მკის, რის გამო პურის მთელ მარაგს ფულით ყიდულობენ. ყველა ოჯახს აქვს თავისი ნავი, რომელიც სასაპალნე და შესაბმელ პირუტყვს ცვლის. ჩვენ ვნახეთ რამდენიმე სახელოსნო, სადაც თიხის ჭურჭელს ამზადებენ. ერთ სახლში მუშაობდნენ მამა, შვილი და შვილიშვილი, რომლებმაც ჩვენს თვალწინ ხელით, დაზგის დახმარების გარეშე გამოძერწეს რამდენიმე ჭურჭელი.

ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლა, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსებები.

## IV

# ლაზეთი

„ლაზეთში“ სამი ძირითადი მცნება იგულისხმება: 1. ლაზებით დასახლებული ქვეყანა; 2 (თურქული პროვინცია (სანჯაყი), რომელშიც შედის: აჭარა, ქობულეთი (ჩურუქ-სუ), მაჭახელი, ლივანა, ბათუმი და საკუთრივ ლაზეთი და, ბოლოს, 3. უძველესი ლაზიკა.

ამ სტატიაში ჩვენ ვლაპარაკობთ საკუთრივ ლაზეთზე, ე.ი. ლაზებით დასახლებულ ქვეყანაზე, ქართველური რასის ხალხზე, რომლებიც მეგრულისაგან ოდნავ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და ცხოვრობენ ყოფილი ქართული სამეფოს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. გეოგრაფიულად ამ მხარეს უკავია შავი ზღვის ნაპირის ვიწრო ზოლი პონტოს ანუ ლაზეთის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ქემერის (რკინის პალო) კონცხიდან ზღვისპირა სოფელ მაკრიალამდე.*

ქვეყნის ასეთი დაწვრილებით, შეიძლება ითქვას ანბანური განსაზღვრება ჩვენ მოგვაქვს ლაზეთის შესახებ გეოგრაფიულ ლიტერატურაში არსებულ აზრთა არეულობის გამო. შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის საუკეთესო რუქებზე ლაზეთის შესახებ

---

* ამ სტატიის ბეჭდვის დროს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების უწყებებში (1874, № 8) გამოჩნდა ოსმან-ბეის შენიშვნა, სათაურით „ლაზისტანი“. ამ შენიშვნის მრავალი ღირსების მიუხედავად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ იგი არასწორად განსაზღვრავს ლაზეთის საზღვრებს: ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მდ. ჭოროხი, სამხრეთიდან მდ. სამან-სუ (ტრაპიზონის დასავლეთით 20 ვერსზე), დასავლეთით შავი ზღვა. ოსმან-ბეის აზრით ამ საზღვრებში ლაზეთს სხვათა შორის მიეკუთვნება: ბათუმი, ართვინი, პეტეგრეკი, ტრაპიზონი და პლატანა; მაგრამ არცერთ ამ ადგილს არც ადმინისტრაციულად და არც ეთნოგრაფიულად ლაზეთთან საერთო არაფერი აქვთ.

ჩვენს მიერ ჩაწერილი ცნობების ჯამს იძლევიან მხოლოდ ზღვისპირა პუნქტები და მხარის შიგნითა ორი-სამი ადგილი, რომლებიც 1843 წელს მოიარა ბოტანიკოსმა კოხმა.* მაგრამ თავისი სპეციალობის ერთგული ეს მოგზაური არ იძლევა საკმაო გეოგრაფიულ მასალას იმ პუნქტებზეც კი, რომლებიც თავად ინახულა. ლაზეთის ეთნოგრაფიას არ გაუმართლა: ევროპა ლაზებს კვლავ თვლის ყველაზე ველურ და განუვითარებელ ხალხად, ხოლო ზოგიერთი ახალი მწერალი თვლის, რომ ლაზები „იმერეთის ენაზე ლაპარაკობენ" (?), ხასიათითა და ჩაცმულობით კი მოსახლეობა ძალზე წააგავს ჩერქეზებსა და ქართველებს". ასეთი მცდარი ცნობები ლაზეთზე ევროპელთა გონებაში ურყევად იარსებებენ, რადგანაც ლაზეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ტოპოგრაფიულმა თვისებებმა ვერ მიიზიდა მოგზაურები. მაგრამ ახლა გზებისა და სატელეგრაფო ხაზების მშენებლობამ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლაზეთის ნაპირებთან მოეწყო სწრაფი თბომავლების ნავმისადგომები, ამ მხარეზე ჩვენი ცოდნა მთლიანად უნდა შეცვალოს.

ლაზეთის, უფრო სწორად ლაზიკის სახელი ძალზე ხშირად გვხვდება ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში და სომეხ მწერლებთან,** მაგრამ საქართველოს ისტორიისათვის ცნობილი არ არის· ვახტანგ მეფის მატიანეში ლაზისტანი ზოგჯერ სამეგრელოდაა*** მოხსენიებული, ზოგჯერ კი ოდიშია, რაც იგივეს ნიშნავს; უფრო ხშირად მას ჭანეთს, ე.ი. ჭანების ქვეყანას უწოდებენ. ამ უკანასკნელი სახელითაა ნახსენები ლაზეთი ვახუშტის გეოგრაფიაში.**** ამ მხარის მცხოვრებლები თავისთავს ლაზებს, უფრო ხშირად ჭანებს უწოდებენ. მეზობელთაგან თურქები მათ ლაზებს, ხოლო აჭარლები და შავშები ჭანებს ეძახიან. ჩვენთვის ცნობილი წყა-

---

* WanderungeimOrientwahrendlejahrd 843und 844MA].IReisdmpontische Peblrge.Weimar.1846

** მინას ბჟიშკიანი. პონტოს ისტორია. ვენეცია 1819 წ. სტატია „ტრაპიზონი და ლაზიკა", გვ. 61—106 (სომხურ ენაზე).

ინჯიჯიანი. ძველი სომხეთის გეოგრაფია. ვენეცია. 1822 წ. გვ. 368 და შემდეგ (სომხურ ენაზე).

*** Histode la Georgie. ტ.1. გვ. 56

****Description geographiqula Georgie .

როებიდან შეიძლება ერთი დასკვნა გავაკეთოთ. სახელი ლაზიკა ბერძნებმა უწოდეს საკუთრივ რიონის ბასეინს და ჭოროხის დაბლობს, თანაც მხოლოდ V და VI საუკუნეების * ომიანობის დროს. მანამდე ბერძნებიც ახლანდელ ლაზებს ჭანებს** უწოდებდნენ. საზოგადოდ ლაზიკის სახელით იგულისხმება ქართული პროვინცია ეგრისი, რომელიც მოიცავს ახლანდელ იმერეთს, გურიას და ენგურიდან ჭოროხამდე მთელს სანაპიროს. ამ ფარგლებში V საუკუნეში შეიქმნა ლაზეთის სამეფო, რომელიც სპარსელებსა და ბიზანტიელებს შორის შფოთის საგანი იყო. ლაზიკისათვის ომები ორი საუკუნე გრძელდებოდა. იგი აღწერილია ველიზარის *** მდივნის პროკოფის მიერ. VII საუკუნეში რიონის სანაპიროებთან წარმოიქმნა აფხაზეთის სამეფო, რის შემდეგ ლაზიკის სახელწოდება ქრება და ჩვენი დროისათვის იგი შერჩა მხოლოდ ახლანდელ ლაზეთს.

ძველი ლაზიკის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა რიონის ნაპირებზე მოხდა. ახლანდელი ლაზისტანი მაშინდელი დროის პოლიტიკური მოძრაობის გარეთ დარჩა. ეს გარემოება შეიძლება ლაზეთის ტოპოგრაფიული პირობებით აიხსნას, რადგანაც ეს არის ბუნებრივი რესურსებით ღარიბი და ზღვიდან და ხმელეთიდან სამხედრო მოქმედებისათვის მიუვალი ქვეყანა. ამანვე განაპირობა ის, რომ მომდევნო პერიოდშიც ლაზეთი შავი ზღვის სანაპიროზე მომხდარი ისტორიული მოვლენების მიღმა დარჩა. არც ვენეციელებს, არც გენუელებს, რომლებიც ჯვაროსნული ომის შემდეგ პონტოზე ბატონობდნენ, აქ კოლონიები არ შეუქმნიათ. იმ პერიოდის მწერლები ამ ქვეყანას არ იხსენიებენ.**** ტრაპიზონის იმპერიის დროს ლაზეთი თავისუფალ მხარედ დარჩა და თურქებმა, რომელთაც XIV და XVII საუკუნეში ყველა მეზობელი მიწები დაიპყრეს, ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე აქ შესვლა ვერ შეძლეს. ამ პერიოდის ლაზეთისა და თურქეთის ურთიერთობა შეიძლება 1850 წლამდე სვანეთისა და რუსეთის ურთიერთობას შევადაროთ.

---

* Lebeau. Historie de Bas—Empire. ტ. IV. გვ. 385.

** სტრაბონი

*** DEbello persico. ვსარგებლობდით ამ წიგნის მრავალი დამოწმებით თხზულებიდან — Lebeau. Historie de Bas—Empire.

**** ყაზბეგი. იტალიელები კავკასიის შესახებ. გაზ. „კავკაზი" 1865—67 წწ. (რუს. ენაზე).

ჩვენი ასწლეულის დასაწყისში ლაზეთი 11 სამფლობელოდ იყოფოდა, რომლებსაც ეგრეთწოდებული დერებეგები მართავდნენ. (დერე — ხეობა, ბეი — ბეგი, თავადი). ეს სამფლობელოები თურქეთის სულთანისაგან სრულიად თავისუფალი იყო, თუმცა იგი მას თავის საკუთრებათ თვლიდა. დერებეგების თავისუფლება დაიმსხვრა 20-იან წლებში აჭარის ბეგის ახმედ ხიმშიაშვილის მიზეზით, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემო აჭარაზე მიძღვნილ სტატიაში და კვლავ ვისაუბრებთ ქვემოთ. გადმოცემით, ლაზეთში ქრისტიანული სარწმუნოება შემოიტანეს ანდრია მოციქულმა და სიმონ ქანანელმა * ხოლო გაავრცელეს ბერძნებმა IV საუკუნის ბოლოს.** უძველესი ეკლესიების ნაშთებით, აგრეთვე ხალხში დარჩენილი თქმულებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაზები და ჭანები არასოდეს ყოფილან ნამდვილი ქრისტიანები და ადვილად შეცვალეს თავისი სარწმუნოება ისლამით. არის მოსაზრებაც, რომ თურქეთის საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით ყველაზე ადრე მაჰმადიანობა ლაზებმა მიიღეს.

ამ ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ terra incognita (ჩუმი ქვეყანა, რ. ს.), ჩვენ შევედით პირველ ივლისს. ბორჩხაში მთელი დღე ცხენების დაქირავებას მოვუნდით. ამ სოფელში 80 კომლი ცხოვრობს, მაგრამ ერთი ცხენიც ვერ ვიპოვეთ. საჭირო გახდა ხალხის გაგზავნა მდინარე ჩაირსუს (ჩხალა) ხეობაში,რომელზეც გადის ლაზისტანის ყველაზე საუკეთესო გზა.

ზღვასა და მდინარე ჭოროხს შორის არსებული სივრცე შევსებულია მთების მასით, რომლებიც კარჩხალთან არის გამთლიანებული. ართვინთან ეს ქედი 2 ნაწილადაა გადატეხილი, რომელთაგან ჩრდილო ატარებს კარჩხალის, ხოლო სამხრეთი ლაზისტანის ანუ პონტოს მთის სახელს. ლაზეთის მთების ქედი ჯერ ზღვის სანაპიროს პარალელურად მიემართება, შემდეგ, ხოფას მერიდიანის დასაწყისიდან ზღვას სულ უფრო შორდება და ბოლოს, სურმენეს პარალელზე მისგან 30 ვერსითაა დაშორებული. ამ ქედს მოსახლეობაში არა აქვს ერთი საერთო სახელი, კოხი და როზენი კი მას პონტოს ქედს უწოდებენ და ეს სახელი შენარჩუნებულია როგორც ახალი მწერ-

---

* Hist. de la Georgie. ტ.1, გვ. 56 და ამ გვერდის შენიშვნა.

** Lebeau. Hist. de Bas—emp

ლების ნაწარმოებებში, ასევე ანატოლიის* საუკეთესო რუკებზეც; ქართველი** მწერლები პონტოს ქედს ჭანეთისას, ხოლო სომეხი*** მწერლები ლაზეთისას უწოდებენ.

გავაკეთებ მოკლე აუცილებელ გადახვევას და განვაახლებ მოგზაურობაზე შეწყვეტილ თხრობას.

სოფელ ბორჩხასთან ჭოროხს მარცხნიდან ერთვის მდინარე ჩაირ-სუ, რომელიც ლივანასა და ლაზეთს შორის საზღვარს ქმნის. ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე გადის გზა, რომელსაც უახლოეს ზღვისპირა სოფელ ხოფამდე მივყავართ. გზა თანდათანობით მაგრამ,გამუდმებით იწევს ზემოთ. დაფერდება მცირეა, მწვერვალები კონუსისებურია და ტყითაა დაფარული. ამ ხეობას ჩხალა ჰქვია და იგი საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული. ორი საათის სავალ გზაზე ჩვენ ოთხი სოფელი ვნახეთ. დასახლებული ადგილები მთების ფერდობების ძირას, ზედ წყალთანაა განლაგებული. წამოსვლიდან 4 საათის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ სოფელ ჩათს, რომელიც ბორჩხიდან 16 ვერსითაა დაშორებული. საშინელი გზით დაღლილებმა გადავწყვიტეთ ამ სოფელში გაჩერებულიყავით. უკვე გვიანი იყო და ღამე კინაღამ ღია ცის ქვეშ დავრჩით. სოფელ ჩათში 12 კომლი ცხოვრობს. იგი ნახევრად ტყეშია გადაჭიმული. აქ ჩვენ შებინდებამდის მოვედით. მივაკითხეთ ერთ ოჯახს, შემდეგ მეორეს, ჩვენ არ მიგვიღეს. მესამე ოჯახის პატრონმა, რომელიც სხვებზე უკეთესი აღმოჩნდა, სურდა მეზობლებისათვის მიებაძა, მაგრამ, ბოლოს მოტყდა და დიდი დავის შემდეგ მიგვიღო. როგორც გამოირკვა, გამცილებელმა მოხუც მასპინძელს უპატივცემულოდ მიმართა მაშინ, როცა ის ახშამ ნამაზის ლოცვას ასრულებდა. ამ პირველმა შთაბეჭდილებამ ჩვენ გვაგრძნობინა, რომ ახალ გარემოში, ახალ სამყაროში ვიყავით. მე უნებურად გამახსენდა განაგონი ლაზების ველურობაზე, მაგრამ შემდგომში დავრწმუნდი, რომ ასეთი საძრახისი თვისება ზღვისპირა მცხოვრებლებს არ ეხებათ.

ბორჩხის გზაზე ნიადაგი სუფთა თიხაა. მთები ხვიარა მცენარეებითაა დაფარული. ფერდობები როდოდენდრონის ბუჩქებითაა მოფენილი. მათი ტოტები საჟენამდე აღწევს და იმდენად ხშირია, რომ მთების მწვერვალებს მიუვალს ხდის. მერქნიანი მცენარეებიდან აქ ბევრია წაბლი, რომელიც საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად

---

* Kochზემოთ მოტანილ თხზულებაში; Rosen. Ueber. die sprache der lasen.

** ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია.

*** ინჯიჯიანი და ბჟიშკიანი. ციტირებულ თხზულებებში.

გამოიყენება, მურყანი, მუხის ბუჩქნარი და წყავი. საერთოდ ფლორა იგივეა, რაც გურიის მხარეს, აჭარის მთისწინეთში. იგივეა საცხოვრებელიც. როდოდენდრონსა და ტყეს შორის არის პატარა ველები, რომლებზეც სიმინდი და ლობიოა დათესილი; საერთოდ ნათესები ცოტაა, რაც არის, ისიც გზების გასწვრივ პატარა ზოლებადაა გაჭიმული. მდელოები თითქმის არაა, ბუნებრივია, მესაქონლეობაც არ უნდა იყოს. გზაც საძაგელი და თავისებურია. აქ არ არის დიდი აღმართ-დაღმართები, სამაგიეროდ ყველგან თიხაა, რომელიც ხში-

*p-2Y



ლაზი ასკერები

რი წვიმების შედეგად ცომად გადაქცეულა. ტალახის თავიდან ასაცილებლად მცხოვრებლებს დაუწყიათ გზების მოკირწყვლა, რისთვისაც დაუყრიათ რიყის კენჭები და დაუგიათ თიხოვანი ქვიშაქვის ფილები. ამის გამო მთელ გზაზე უნდა იარო უსასრულო ქვის კიბეზე, რომელსაც ვერ აუქცევ, თუ გინდა არ ჩავარდე მწებავ ტალახში. კოხმა ამ გზით მაშინ იმოგზაურა, როცა რომელიღაც მართლმორწმუნემ, თავისი მამის სულის საოხად, შეაგროვა მუშები და დაიწყო ამ ბიბლიური კიბის მშენებლობა. ღირს შევნიშნოთ, რომ მთელი ეს გზა, ისევე როგორც გზაზე შეხვედრილი მრავალი აუზი, ქველმოქმედთა აშენებულია. მუსულმანებს მიაჩნიათ, რომ ღმერთის წინაშე ყველაზე სამადლო საქმეა გზების აშენება და მწყურვალ მოგზაურთათვის წყაროს გამოყვანა. ყველა წყაროსთან გაკეთებულია ღარი,

დევს ხის ჩამჩა. ეს წესი განსაკუთრებულ წახალისებას იმსახურებს ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება გზებს არავითარ ყურადღებას არ უთმობს.

ყანებში მხოლოდ ქალები ჩანან. ამ ქვეყანაში თითქოს კაცები არ არსებობენ. როგორც ჩანს ქალი აქ სამუშაო ძალაა. იგი ამუშავებს მიწას, მოაქვს შეშა და საოჯახო საქმიანობას ეწევა. შავშეთში, განსაკუთრებით აჭარაში, როგორც შევნიშნეთ, ქალების მდგომარეობა უკეთესია.

ჩათალან ულელტეხილამდე პონტოს ქედის განშტოების გავლას ჩვენ ორსაათნახევარი მოვანდომეთ. გზაზე გვხვდება დიდი სოფლის



თურქი ტიპები

დუზ-ქოის გარეუბნები, რომლებიც ჩათას ქვემოთ გვერდით ხეობაში არის განლაგებული. აქ იაილები არაა, რადგანაც არაა მდელოები და მესაქონლეობა.

უღელტეხილთან ქედი კარგავს მწვერვალებს. აქ არის ცალკეული მთების მთელი მასა, რომლებიც ყოველი მხრიდან უკავშირდებიან ერთმანეთს. თუმცა ანეროიდის მეშვეობით თუ გულდასმით დავაკვირდებით, შეიძლებოდა გაგვენსაზღვრა რაღაც უღელტეხილის მსგავსი, რომელიც შავი ზღვის დონიდან 2389 ფუტზე მდებარეობს. წყლები აქ სხვადასხვა მხრიდან მოედინებიან, ზოგჯერ საერთო მიმართულების საწინააღმდეგოდაც. ყველგან ამოშვერილია ცალკეული კონუსები, რომელთა შორის გზიდან მარცხნივ ამაღლებულან ქოჩორა მწვერვალები. ერთს, ასვეტილს, შედარებით მაღალსა და შორეულს, მეგზურმა პოტიჩური უწოდა. ეს მთა მთავარ ქედზე დევს. მისი ნაპრალებიდან მოედინება ოთხი მდინარე, რომელთაგან მურღული და ჩხალა ჭოროხში, ხოლო ხოფა და არხავე შავ ზღვაში ჩაედინება.

ქედის უღელტეხილიდან სოფელ ხოფამდე სამი საათის გზაა, ე. ი. 15 ვერსამდე. გზა ქვემოთ, ჩხალის ხეობის მსგავს ტალღოვან ადგილას გადის. ხოფადან 10 ვერსზე კარგად მოჩანს ამავე დასახელების ხეობა. ამ ხეობაში, რომელიც ერთი ვერსი სიფართისაა, ქვიან ფსკერზე მოედინება მდინარე ხოფა, რომელსაც წლის ყოველ დროში აქვს ფონები. მდინარის შესართავთან, მის მარჯვენა ნაპირზე, თვით სოფელი ხოფა მდებარეობს.

აღწერილ ხეობაში ექვსი სოფელია განლაგებული, რომელთაგან ხუთი ეგრეთწოდებულ პატარა ხემშინს შეადგენს. აქ მდინარე ფორტუნის სათავეებთან მდებარე დიდი ხემშინის ოლქიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ. ხემშილებმა იციან თავიანთი სომხური წარმომავლობის შესახებ, მაგრამ არ იციან წინაპართა ენა და სარწმუნოება.

ზღვის ნაპირზე მდებარე პატარა ადგილი ხოფა განლაგებულია საკმაოდ ამაღლებულ ადგილას, ორ კონცხს შორის. თვით სოფელში 6 დუქანია, ერთი ყავახანა და სამი-ოთხი სახლი. აქ არის კაიმაკამის რეზიდენცია, რომელსაც ემორჩილებიან გონიოს და არხავეს სამუდიროები. ხოფას ორივე მხარეს ზღვის სანაპიროს გაყოლებით გადაჭიმულია ბაღები, მათ შორის სამი სოფელი, უფრო სწორად სახლების სამი ჯგუფია, რომლებიც ერმანეთთან არიან დაკავშირებული, მაგრამ ყველა სოფელს თავისი სახელი აქვს. ჩრდილოეთით მდებარე ერთი სოფელი, ორთახოფა დუქნებიდან ერთ ვერსზე მდებარეობს. ეს არის გარეუბნების ყველაზე საუკეთესო კუთხე თავისი კლიმატითა და ფორთოხლისა და ლიმონის მდიდარი ბაღებით. ხოფაში ჩვენ ვესტუმრეთ ერთ იქაურ ჩინოვნიკს, რომელმაც თურქული წესების საწინააღმდეგოდ თავისი ქართული გვარი ბ...ძე დაგვისახელა. ეს

არის ხანში შესული კაცი, ნამყოფია თურქეთის ყველა კუთხეში და იემენშიც კი. იგი ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებია, კარგად ლაპარაკობს ქართულს და ჩვენ ისე გვექცევა, როგორც პატრიოტი. მისი დახმარებით ჩვენ დაწვრილებით გავეცანით ლაზეთის ადმინისტრაციულ დაყოფას, ხოფას საკაიმაკამოს მოსახლეობას, ლაზების ხასიათსა და საქმიანობას, სამხედრო ბეგარის მოხდის წესებს.

ადმინისტრაციულად ლაზეთი ხუთ სამუდიროდ იყოფა:ხოფა, გონიო,* არხავე,ათინა და ხემშინი.აქედან პირველი სამი ხოფას კაიმაკამს, ხოლო დანარჩენი ორი ათინას კაიმაკამს ემორჩილება.

ლაზეთმა თავისი სახელი მისცა მთელ სანჯაყს (გუბერნიას), რომელსაც ბათუმის მუთესარიფი მართავს და ტრაპიზონის ვილაეთში შედის. ხოფის სამუდირო მოიცავს ზღვის სანაპიროს,სოფელ მაკრიალიდან პირონიტის კონცხამდე და სამკუთხოვან სივრცეს, რომელიც ამ ნაპირსა და ბორჩხას მიდამოებს შორის არის მოქცეული. ამ ფართობზე გაფანტულია 21 სოფელი, 1500 კომლი, რაც საერთო რაოდენობით ორივე სქესის 9-დან 10-ათასამდე მცხოვრებს შეადგენს.

მთელი მოსახლეობა პატარა ჯგუფებადაა გაფანტული, ძირითადად ზღვის სანაპიროზე და მდინარეების ხოფისა და ჩხალას ხეობაში. ყველა მცხოვრები სუფთა სისხლის ლაზია, გარდა მდინარე ხოფას შენაკადებთან განლაგებული ხუთი სოფლისა, რომლებზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ ეს მოსახლეობა ხემშინიდან არიან და სომხურ რასას მიეკუთვნება. გარეგანი განმასხვავებელი ნიშნების გარდა,ხემშილებმა არ იციან ლაზური ენა და მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ. ხოფელი ლაზების ენა თითქმის არ განსხვავდება მეგრულისაგან,მათი ჩაცმულობა იგივეა, რაც გურულებისა და აჭარლებისა.სარწმუნოებაა მხოლოდ მაჰმადიანური.

ხოფის შემოგარენის საერთო სურათი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზღვის ხედი და გიგანტური კაკლის,წაბლის,აგრეთვე ფორთოხლებისა და ლიმონების სიმწვანეში ჩაფლული სანაპიროს შესანიშნავი ბუნება, საიდანაც კეკლუცად იცქირებიან კოხტა სახლები, მკვეთრ კონტრასტს ქმნის ლივანისა და იმერხევის პირქუშ ბუნებასთან. ჩხალის გზის ქვიან კიბეებზე ცხენით აუტანელი მოგზაურობის შემდეგ, ხოფა და ორთახოფა, შესანიშნავ დასასვენებელ ადგილად მოგეჩვენება. თავად მოსახლეობაც, რომელიც გარს გვერტყა, განსხ-

* მუდირი სოფელ მარადიდში ცხოვრობს.

ვავდება ლამაზი ტიპებით და საოცრად კოხტა ჩაცმულობით. სანაპიროს ლაზების ტანადობა პირველი ნაბიჯებიდანვე თვალში გეცემა. გონებრივმა განვითარებამ და გარეგნულმა ელვარებამ განგვაცვიფრა, განსაკუთრებით პირველმა შთაბეჭდილებამ, რომლებიც აჭარიდან და შავშეთიდან ჩამოვიტანეთ. უნებურად თავს ვეკითხებოდით: სადღა არიან ის კაციჭამიები, რომლებსაც ევროპა ლაზების შესახებ მოგვითხრობს. ჩვენ შევეცადეთ ხოფას მცხოვრებთაგან მიღებული შთაბეჭდილებები შემდგომში შეგვემოწმებინა და მტკიცედ დავრწმუნდით, რომ ზღვისპირა ლაზეთის მცხოვრებლები, — ეს კი თითქმის მთელი მხარეა-თურქეთის საქართველოს მთელ მოსახლეობას გონებრივად და ზნეობრივად სჯობიან. მომდევნო მონათხრობში ჩვენ არაერთჯერ შევეხებით ამ საკითხს, ახლა კი შევუდგეთ ჩვენი დაკვირვების ანალიზს.

პონტოს ქედი ჩხალის ულელტეხილის სამხრეთით მაღალ კედლად აღმართულა. იგი ყოველ ნაბიჯზე კიდევ უფრო მაღლდება და მიუვალი ხდება. ართვინის პარალელზე მთები თითქმის 10 ათას ფუტამდე მაღლდება.აქედან ზღვის სანაპირომდე 25 ვერსია.ცხადი ხდება,როგორ მკვეთრად ეშვება პონტოს ქედი ლაზეთში. თუ ამას დავუმატებთ, რომ მთების მწვერვალი ორივე მხრიდან შეუვალი კლდეებითა და ვარდნილებითაა წარმოდგენილი, დავინახავთ, რომ პონტოს ქედი ჩინურ კედლადაა აღმართული ლაზეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის. უფრო მეტიც: რიცხობრივად და მიმართულებებით უსასრულო გოდლედები, რომლებიც პონტოს ქედიდან ეშვება მდინარეთა სათავეებთან, იმდენად ვიწრო და დამრეც ხეობებს ქმნიან, რომ ადამიანის საცხოვრებლად ადგილს აღარ ტოვებენ. აქ არ არსებობს არა თუ ალპური მდელოები, არამედ მცირეოდენი საძოვარი და სათესი მიწა. ნაპირთან მიახლოებისას გოდლედები ოდნავ ფართოვდება და მცირეოდენი საცხოვრებელი სივრცეც გამოჩნდება.აქ ადამიანს შეუძლია საშინლად ხშირ მცენარეულს სახნავად გამოსტაცოს მიწის მცირე ნაჭერი. ლაზეთის ბუნების ამ თავისებურებამ მთელი მოსახლეობა ჩამორეკა ზღვის სანაპიროზე,მიწის ძალზე ვიწრო და მჭიდრო ზოლში, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს თუ გამოკვებავს. მაგრამ ლაზებმა, ძველი ფინიკიელების მსგავსად, თავისი მცირე მიწიანობიდან გამონახეს გამოსავალი: ისინი ზღვას დაუმეგობრდნენ და თავიანთი ბედიც მას მიანდვეს. ამის მეოხეობით ლაზეთის მთელი ცხოვრება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი მხოლოდ ზღვის ტალღებს მიაქვს-მოაქვს.

ხოფის თითქმის მთელი მოსახლეობა სხვა მხარეებში ვაჭრობს. ცხოვრების ასეთმა წესმა ღრმა კვალი დატოვა. მან ხალხში განავი-

თარა არა მარტო წინდახედულობა და გარკვეული მატერიალური კეთილდღეობა, არამედ შეუქმნა თავისებური კომფორტი. მიწათმოქმედებას აქ ძალზე ცოტა მისდევს. პურის ძირითადი ულუფა,უპირატესად სიმინდის სახით შემოაქვთ ბათუმიდან და ფოთიდან.მესაქონლეობა და განსაკუთრებით, მეცხენეობა საერთოდ არ არის მთელს ხოფასა და მის შემოგარენში, სადაც 120 კომლამდე ითვლიან, ჩვენი ცხენებისათვის საკვების შეძენაც ვერ შევძელით, ხოლო რვა ცხენის დასაქირავებლად მოგვიხდა ჩხალის ხეობაში კაცის გაგზავნა. ზღვის სიახლოვე აქაურებს სახმელეთო კავშირების აუცილებლობისაგან და ამ მიზნით საჭირო საშუალებების შეძენისაგან ათავისუფლებს. ეს უკანასკნელი შეცვლილია მშვენიერი ნავებით და ფელუკებით,რომელთა რიცხვი ხოფაში 40-ს აღწევს.დიდი გემების ღუზის ჩასაშვები აქ არ არის, რის გამო დიდი ფელუკებიც (სანდალები) კი ნაპირზე გამოაქვთ. სამგზავრო ხომალდები* ნაპირს უახლოვდებიან 1 1/2მილის მანძილზე.

ხოფის ოლქში გადასახადები 150000 პიასტრამდე, ე.ი.სულ 10 ათას მანეთამდე აღწევს. ამ ციფრის სიმცირე აიხსნება მხარის მცირე მიწიანობით და საგარეო ვაჭრობით, რომელსაც სულთანის ხაზინისათვის შემოსავალი არ შეაქვს.

ცხენების ლოდინში ხოფაში ორი დღე დავრჩით,მესამე დღეს მოსაწყენი ლოდინით დაღლილებმა გადავწყვიტეთ ნავებით ჩავსულიყავით პირონიტში, ერთი ჩვენი თანამგზავრი ამხანაგის სახლში.

ხოფიდან ერთი საათის სავალზე ზღვას პატარა მდინარე ერთვის, სადაც სოფელი კისე მდებარეობს. ამ დასახლებულ ადგილზე ხმელეთს ზღვა უფრო მეტად უდგება, ვიდრე ხოფას. ეს სოფელი,რომელშიც 12 კომლი ცხოვრობს, ხოფასავით გაფანტულია.კისედან სამხრეთით უნდა შეუხვიოთ პირონიტისკონცხისაკენ, რომლის ჩრდილოეთ კუთხესთან ზღვაში ჩაედინება მდინარე პირონიტი. კონცხის თანამოსახელე ამ სოფელში 40 კომლი ცხოვრობს. კისე და პირონიტი ნაპირიდან არ ჩანს. ისინი შეყუჟულან პატარა ხეობებში, რომლებიც ზღვისაკენ ვიწრო კარებით იხსნებიან. ყველა სახლი ისეა

---

* უკანასკნელი ორი წელია ლაზეთის სანაპიროზე მოდის თურქეთის საზოგადოება„აზიზიეს" სწრაფი გემები. ტრაპიზონიდან ბათუმამდე და უკან მომავალი გემები კვირაში ორჯერ შემოდიან ხოფაში, არხავესა და ათინაში.

მწვანეში ჩაფლული, რომ ერთი შენობიდან მეორეს ვერც კი დაინახავ. სახლიდან სახლამდე, ძირითადად მდინარეთა გასწვრივ,ვიწრო ბილიკები მიიკლაკნება.ყოველ სახლს აქვს თავისი კარმიდამო, რომელიც შედგება ბაღისა და მცირე სახნავი მიწისაგან; აქ ჩვეულებრივ სიმინდია დათესილი. სახლების დიდი ნაწილი წაბლის ფიცრებითაა აგებული. მცენარეული ისეთივეა,როგორც ხოფაში. ნიადაგი – სუფთა თიხა, ზოგან ყვითელი, ზოგან ლურჯი. გვხდება ცარცისა და კირის მთელი შრეები. ამის შედეგად ყველგანაა ჩვენთვის ცნობილი გზა – კიბე, რომელზეც ცხენი ძლივს დადის.პირონიტში ჩვენ ლამე გავათიეთ ლაზ სოვადგართან,რომელიც დიდხანს ვაჭრობდა გურიაში. ცხენების მოლოდინში ჩვენ დავათვალიერეთ გარეუბნები, სოფლები, პირონიტისა და კისეს გამყოფ კლდოვან კონცხზე აშენებული ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია არაა დიდი, იგი დაფარულია სუროს სქელი ფენით. წარწერები არა აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პირონიტის ეკლესია, ძველი შენობები ძალზე ღარიბ ლაზეთში, ქრისტიანობის საუკეთესო ძეგლია.

პირონიტში მოგვიყვანეს დიდი ხნისნალოდინევი ცხენები, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით. ამის გამო ჩვენი ქარავანი ორ ნაწილად გაიყო: მე ჩემი ორი გამცილებლით ცხენით წაველი, დანარჩენები ნავით გამოემგზავრნენ. ჩვენ არხავესაკენ გავემართეთ.

ერთადერთი გზა,რომლითაც შეიძლებოდა ცხენით სიარული, ზღვის სანაპიროზე, ტელეგრაფის ბოძების ხაზზე გადის.მას სახაზინო გზა ჰქვია.სატელეგრაფო ხაზების გაყვანასთან ერთად ხუთი წლის წინ მთავრობამ ძველ ბილიკზე ააშენა ეს გზა, რომლისაგანაც ახალი გზა ოდნავ სიფართით განსხვავდება. გზაზე ცხენის კვალი არ გვინახავს. ეს კი ამ მხარეში გადაადგილების საშუალებებზე მიუთითებს. პირონიტიდან გასვლის შემდეგ ერთ საათში ჩვენ ავედით ქედის განშტოების გადასასვლელზე, რომელიც პირონიტის კონცხს ქმნის და არხავესაკენ დავეშვით. თვით კონცხი 200 ფუტის სიმაღლიდან შვეულ კედლად ეშვება ზღვაში და სანაპიროზე მოძრაობას შეუძლებელს ხდის. არხავეში ჩვენ შევედით სოფელ პირონიტიდან გასვლის შემდეგ,ორ საათში.

ლეიტენანტ პავლოვსკის "შავი ზღვის ლოციაში" * პირონიტის კონცხი და სოფელი კისე სწორადაა აღწერილი. მხოლოდ ჩვენ ვერ

---

* გამოიცა ნიკოლაევში 1867 წელს.

სიტყვა ლოცია ჰოლანდიურად გემის ტარებას ნიშნავს. ეს არის ნაოსნობის სახელმძღვანელო, რომელშიც აღწერილია ზღვები, ოკეანეები, სანაპიროები.

ვნახეთ ამ წიგნში მითითებული ტეპეფულის მთები. აქაურ მცხოვრებთათვის თვით მთის დასახელებაც კი უცნობია. ლოციაში ტეპეფულის სახელით მოხსენიებულ მწვერვალს აქ აფიონბაბას უწოდებენ. ზღვის დონიდან მისი სიმაღლე 1500 ფუტია. მას აქვს კონუსისებური, ამასთან ერთად ქოჩორა ფორმა, რის გამო ამ მიდამოებიდან ძალზე კარგად მოჩანს.* პირონიტის სიმაღლიდან ჩვენს წინ არხავეს



წმინდა ილიას მონასტერი პირონიტში
ფოტო ს. ა. სოლოვკინის არქივიდან)

დიდი შენობა გადაიშალა. იგი მხარის სიღრმეში მიდის. შორს ალაგალაგ თოვლით დაფარული კლდოვანი მწვერვალები მოსჩანდა, ეს იყო პონტოს მთავარი ქედი. პირონიტის კონცხის სამხრეთით გადაჭიმულია დაახლოებით სამი ვერსი სიფართის ვაკე, ესაა ბარი მდინარე არხავეს შესართავთან. მდინარის ორივე მხარეს განლაგებულია ჩვენთვის ცნობილი აგებულების სახლების პატარა ჯგუფები, ესაა არხავე და მასთან მიმდებარე სამი სოფელი.

* კავკასიის ოლქის ტოპოგრაფიულ განყოფილებასთან გამოცემულ ხუთვერსიან რუკაზე პირონიტის კონცხი შეცდომით არხავეს სამხრეთითაა აღნიშნული.

არხავეში 200 კომლი ცხოვრობს. აქ არის მუდირის რეზიდენცია, რომლის ოლქში 40 სოფელი და 3890 კომლი — 20-დან 24 ათასამდე მცხოვრები ითვლება. გადასახადიდან ხაზინის შემოსავალი 1000 ქესას, ე.ი. 2500 მანეთს აღწევს. ამ რიცხვიდან ერთ თახშირზე 12000 მანეთი მოდის, რაც იმით აიხსნება, რომ მეცხვარეობის და მესაქონლეობის უარსებლობის გამო ამ დარგებზე გადასახადები არ არის, სამაგიეროდ მოსახლეობა მინდვრის მოსავლიდან მეათედის ნაცვლად მერვედ ნაწილს იხდის.

არხავეს მიდამოების დასახლებას რომ უცქერი, ძალაუნებურად იბადება კითხვა: კაიმაკამი რატომაა ხოფაში, სადაც 1500 კომლია, ხოლო აქ, სადაც მცხოვრებთა რიცხვი სამჯერ მეტია, მხოლოდ მუდირი ზის. ერთი გავლენიანი ადგილობრივი მცხოვრების თქმით წინათ აქ კაიმაკამი იჯდა, მაგრამ ერთჯერ, ხუთი წლის წინ, ტრაპიზონის ვალმა მე და აქაურ მდიდარ ბეგს 150 ლირა მოგვთხოვა. ჩვენ ეს ქრთამი არ მივეცით და იმით დაგვსაჯა, რომ არხავემ დაკარგა კაიმაკამი და სატელეგრაფო სადგური, რომელიც აქედან ხოფაში გადაიტანეს. ესეც ლაზეთის ადმინისტრაციის პრაქტიკის ნიშნები.

არხავეს უბნის (ნაჰიეს) მოსახლეობის მთავარი ნაწილი თავმოყრილია მდინარეების — არხავესა და ვიწეს ხეობებში.

არხავედან ვიწესაკენ გზა ზღვის სანაპიროთი არ მიდის. ამ ადგილებს შორის მთები ქმნიან ზღვის პარალელურ ქედს, რომელიც სანაპიროს გასწვრივ მაღალ კედლად არის აღმართული. განივი ხეობით გზა ამ წინაღობას გვერდს უვლის. არხავედან ჩვენ ამავე სახელწოდების მდინარის მარცხენა ნაპირზე, სახლებს, ბაღებსა და ნათესებს შორის ავედით. ესაა ხეობა, რომელიც ზღვიდან ხუთი ვერსის დაშორებით, სოფელ იაკობიტთან, უცებ ვიწროვდება და სამ ნაწილად იყოფა. ამათგან ყველაზე ჩრდილოეთით მდინარე არხავეს მთავარი ხეობა მდებარეობს. იაკობიტთან მდინარის ფონი გადავჭერით და მარცხენა სანაპიროზე, არხავეს* პატარა შენაკადის გაყოლებით სამხრეთისაკენ გავწიეთ. ეს პატარა ნაკადული, რომელსაც გარმონია ჰქვია, ზღვის პარალელურად მიედინება, რეცხავს ქედის აღმოსავლეთ ფერდობს, რომელმაც ზღვის სანაპიროზე მოგზაურობაში ხელი შეგვიშალა. ამ ქედს, ისევე როგორც პატარა ხუთკომლიან

---

* აქ და ყველგან უნდა იყოს არჰევი .

მიმოკლაკნილ სოფელს, ნაკადულის სახელი აქვს. სოფელი გარმონია სამი წლის წინ 200 კომლი ჩერქეზით იყო დასახლებული. მათი დიდი ნაწილი ერზრუმში წავიდა.

გარმონიის ქედი ლაზეთის მთების მთავარ მასას უერთდება პატარა ყელით, რომლის სიმაღლე 650 ფუტია. ამ ყელის გადაღმა იწყება მდინარე სუმლის ხეობა, რომელიც სანაპირო ქედს სამხრეთიდან შემოუვლის და სოფელ სუმლისთან ზღვაზე გადის.

იაკობიტიდან გარმონიის გასასვლელამდე გზა ვიწროა და ტყეში, წაბლის მორებით* მოფენილ თიხოვან ნიადაგზე გადის. ულელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე სულ ორი სოფელია (მდინარის მარჯვენა ნაპირზე ლომა, მარცხენაზე — გარმონია), რომლებიც გზიდან ძლივს ჩანს. გადასასვლელს იქეთ ადგილმდებარეობა უფრო გაშლილია. პირველად მოგზაური შედის დიდ სოფელ დერბენტში, რომელშიც 35 კომლია, შემდეგ სუმლის საკმაოდ ფართო ხეობით ზღვისაკენ ეშვება. აქ სანაპიროზე გადაშლილია პატარა სოფელი სუმლი.

არხავიდან ჩვენ პარასკევს გავემგზავრეთ. ამ დღეს, რომელიც მართლმორწმუნეების ქრისტიანულ კვირას ცვლის, ჩვეულებისამებრ, ზღვიდან დაშორებული მცხოვრებლები სანაპიროზე გაშლილ დუქნებსა და ყავახანებში საყიდლებზე ჩამოდიან. ამის გამო, არხაველან სუმლამდე მთელ გზაზე ვხედავდით ხალხის ჯგუფებს, ზოგი ბაზარზე მიდიოდა, ზოგიც შინ ბრუნდებოდა. მათი დიდი ნაწილი ჭრელ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები იყვნენ. ამჯერადაც დავრწმუნდით, რომ ლაზეთში ქალი სამუშაო ძალაა, კაცი კი მისი მფარველია. ქალებს ხელში ეჭირათ ათასგვარი ნივთებით დატენილი კალათები, ხოლო მამაკაცები რაღაცნაირი მედიდურობით და ცარიელი ხელებით მისდევდნენ მათ. თავზე მოხვეული მსუბუქი საჩრდილობელის ქვეშ, უმეტესი ნაწილის ცნობისმოყვარე თვალები ფარულად ჩვენსკენ იცქირებოდნენ. ზოგჯერ უნებურად მთელი სახე იხსნებოდა და ადვილად ვამჩნევდით, რომ ქალები აქ ძალზე ლამაზები და მოხდენილი არიან, ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი სახე აქვთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლაზი ქალები გამოირჩევიან არაჩვეულებრივი ენერგიით, სიმამაცითა და ხასიათის სიმტკიცით. აქაური

---

* გვეთხრეს, რომ ამ გზაზე ხეები სამოცდაათი წლის წინ დაფინეს, ასეთი გამძლეა წაბლის ხე.

ქალების ეს თვისებები ძველთაგანვე შეამჩნიეს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ თქმულებით შექმნა ევროპამ ლეგენდა კავკასიელ ამაზონკებზე.

სუმლიდან ვიწემდე გზა ზღვის სანაპიროზე გადის. თუ მკაცრად ვიტყვით, ეს გზა არაა: ჩვენი ცხენები სულ ტალღებით გამორიყულ მსხვილ ქვიშაზე მიდიოდნენ. სუმლიდან ერთი საათის სავალზე ჩვენ პატარა კონცხს შემოვუარეთ და მდინარე აბუს შესართავთან მივედით. მის მარჯვენა ნაპირზე ორი-სამი შენობა იდგა, — ეს იყო სოფელ აბუს დუქნები. იქეთ კი, მდინარისაგან ორი ვერსის დაშორებით, ზღვის სანაპიროზე, გამოჩნდა სოფელი ვიწე, რომლის შემდეგ შორს ჰორიზონტზე წამოზრდილია ქემერის კონცხი — ლაზეთის საზღვარი. სულ არხავიდან ვიწემდე ჩვენ 5 1/2 საათი ვიარეთ, ამათგან ერთი საათი არხავედან იაკობიტამდე, საათნახევარი გარმონიის ხეობაში სოფელ დერბენტამდე, ერთი საათი სუმლიმდე და 2 საათი სუმლიდან ვიწემდე. ამგვარად, ჩვენს მიერ გავლილი გზის სიგრძე 25 ვერსამდეა.

ვიწეში ჩვენ ემინ-ბეის სახლში გავჩერდით. იგი ძველ, გავლენიან ბეგურ გვარს ხოჯა-შაინოღლის მიეკუთვნება. ემინ-ბეიმ სიხარულით მიგვიღო და შემდგომ ძნელ მოგზაურობაში პონტოს მთავარ ქედზე დიდი დახმარება გაგვიწია. წინდახედული მასპინძლის სახლში ჩვენ გავიგეთ ლაზეთის წარსულის ზოგი წვრილმანი და ბეგური გვარის საინტერესო ისტორია.

260 წლის წინ ლაზეთი სრულიად თავისუფალი იყო. მცხოვრებლები მაჰმადიანები იყვნენ და თემებად დაყოფილ ქვეყანას მამასახლისები მართავდნენ. მათ შორის ყველაზე ძლიერი ვიწეში მცხოვრები თოფჩიოღლი ყოფილა. მას ჰქონდა გემები, მაგრამ თურქეთის ვასალად ითვლებოდა. ერთჯერ იგი სტამბოლში ჩავიდა და საბერძნეთიდან ემიგრირებულ მუსულმან ბერძენს შაინს შეხვდა. თოფჩამ იგი ლაზეთში წამოიყვანა და თავისი ქალიშვილი ცოლად შერთო. ეს შაინი, გადმოცემით, ძალზე ჭკვიანი და სასტიკი კაცი ყოფილა. როგორც კი გამაგრდა ამ ქვეყანაში, თოფჩას სიკვდილის შემდეგ, თავისი ყველა ცოლის ძმა დახოცა და სიმამრის მთელ ქონებას თავად დაეუფლა. შემდგომში შაინი მექაში წავიდა, ხოჯა გახდა, რის შემდეგ მისი ყველა შვილი ხოჯა-ოღლიდ იწოდა. ამ გვარის მამამთავარი 225 წლის წინ გარდაიცვალა.

შაინის შვილები ძალზე გავლენიანი იყვნენ და ერთი მათგანი ტრაპიზონის ფაშა გახდა. მთელი შავი ზღვის სანაპირო სოხუმამდე ამ პატივმოყვარე კაცს ემორჩილებოდა. მას მიაწერენ ფოთის, გონიოს და სოხუმის ციხეების აშენებას. ამ მმართველის შემდეგ ტრაპიზონში ხოჯა შაინოღლის გვარიდან კიდევ ორი ფაშა იყო. ერთერთი

მათგანის დროს რუსეთის ჯარმა ფოთი აიღო. მალე ამ მოვლენის შემდეგ ვიწეს ბეგებს ღალატი დააბრალეს, რასაც სულთანის მხრიდან დევნა მოჰყვა. ამის მიუხედავად შაინოღლების გვარი ძალზე ძლიერი იყო და თურქები, რომლებიც ლაზეთში შემოსვლას ვერ ბედავდნენ, ვერ შეძლეს ძლიერი ბეგური გვარის ძლევამოსილების გატეხვა. თუმცა, როგორც თურქეთის ვასალები, ლაზეთის ყველა ბეგი ვალდებული იყო თურქეთის მხარეზე ეომა და სულთანისათვის ბეგარა გადაეხადა. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავის ბატონად ხოჯა შაინოღლის გვარს თვლიდა. შემდგომში, როგორც ეს ხდება მსგავს შემთხვევებში, ლაზეთის სხვადასხვა კუთხეში აღზევდა ახალი გვარები (ხოფაში შახბენდერი, არხავეში — ჟორდანოღლი, კაპისტრაში — ქიბარ აღა, ხოლო ათინაში — ბაცაოღლი); ყველა მათგანმა დაიწყო თავისი ძალაუფლების გაძლიერება; ამას მალე მათ შორის მოჰყვა ბრძოლები, რამაც მთელი ლაზეთი შინაომის ასპარეზად გადააქცია. ტრაპიზონის ოსმან ფაშამ ისარგებლა ამ ხელსაყრელი შემთხვევით და ლაზეთში სულთანის ძალაუფლების განსამტკიცებლად ჩაიფიქრა ლაზების თვითნებობის აღკვეთა. მაგრამ ამ ბრძოლისათვის სულთანის ჯარი საიმედო არ იყო, ამიტომ ოსმან ფაშამ დახმარებისათვის მიმართა აჭარელ ახმედ ბეგს, რომელსაც გასამრჯელოდ მთელი ლაზეთი დაუთმო. მომავალმა ფაშამ — ახმედ ბეგმა აჭარლები შეკრიბა და ბორჩხის, ჩხალის და ხოფას ხეობებით ლაზეთში შევიდა. ამავე დროს ოსმან ფაშა ტრაპიზონის მხრიდან უნდა დაძრულიყო და ახმედ ფაშა ფურაჟითა და ღენთით მოემარაგებინა. აჭარის ბეგმა გულმოდგინედ შეასრულა დანაპირები. იგი სანაპიროს გაყოლებით წამოვიდა, მთელი მოსახლეობა ცეცხლსა და მახვილს მისცა. დაქსაქსულმა ლაზებმა ვერ გაუწიეს სერიოზული წინააღმდეგობა, მაგრამ არც იოლად დათმეს თავისი მიწა-წყალი. განსაკუთრებით მამაცურად იბრძოდნენ კაპისტრის მცხოვრებლები და ლაზი ქალები. იმ დროის გმირებისა და გმირი ქალების სახელებს ლაზეთში ახლაც იხსენიებენ.

აჭარლები ლაზეთში 6 თვეს დარჩნენ. ისინი ამ მხარის საზღვრებსაც გასცდნენ. ჩავიდნენ რიზეში და გაანადგურეს თავისი სიდიადით განთქმული ტუტჩიოღლის სახლი. ვიწეს ბეგის უზარმაზარ სახლსაც იგივე ბედი ეწია. ერთი სიტყვით, აჭარლებმა გატეხეს ლაზების თავისუფლება და თურქეთის ხელისუფლებას საშუალება მისცეს დაემკვიდრებინა თავისი წესები, კერძოდ რეკრუტთა გაწვევა, ე. ი. საოცარი ბედისტრიალით აჭარლებმა ლაზისტანში ჩაიდინეს ის, რასაც საკუთარ მხარეში თავად არასოდეს დაუშვებდნენ.

ახმედ ფაშის ლაშქრობა 55 წლის წინ იყო და მას შემდეგ თურქებმა თანდათანობით ლაზეთში შემოიტანეს თავისი კანონები. ახლა ეს მხარე უფრო მეტად მორჩილია სულთანისა, ვიდრე აჭარა და ჩურუქ-სუ. ევროპას მიაჩნია, რომ მთელს თურქეთში ყველაზე დაუდგრომელი და მძარცველი ხალხი ლაზები არიან, მაგრამ ეს სულაც არაა მართალი, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროს მიმართ. აქ მოგზაური უფრო მეტ კეთილმოსურნეს ნახავს, ვიდრე მთელს დანარჩენ თურქეთის საქართველოში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქ ქურდობა და ყაჩაღობა ნაკლებია, ვიდრე კავკასიის სხვა მხარეებში.

ლაზეთის ბეგებზე თურქეთის ძლევამოსილებას საფუძვლად დაედო თითქმის ბატონყმური დამოკიდებულებისაგან მოსახლეობის გათავისუფლება. „ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება არაფრის წინაშე უკან არ იხევდა, გვითხრა ერთმა ბეგმა: მან ხალხს აშკარად გამოუცხადა, რომ ჩვენზე აღარ დაეჯერებინათ". ეს ნათქვამი დაადასტურა ერთმა აქაურმა მდაბიომ. ახლანდელ ბეგებს, გარდა იმისა, რომ უფლება არა აქვთ იყოლიონ შეიარაღებული მსახურები, მათზე ვრცელდება გადასახადები ბათუმში სახელმწიფო სამუშაოზე და არტაანის გზაზე. ამგვარად ლაზეთში იურიდიულად აღარ არსებობს წოდება და ხოჯა შაინოღლის ძველი გაძლევნისაგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა. აქედან სულაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ სულთანის ხელისუფლებას, თავისი ჰარემის ცხოვრებით შეუძლია დევიზად აირჩიოს: „გავათავისუფლოთ ხალხი ბატონყმობისაგან". სწორი იქნება თუ პორტას გარეგანი ლიბერალიზმით არ მოვიხიბლებით და ამაში დავინახავთ პოლიტიკური აქტის quasi, ერთ ფისკალურ საზომს, რომელიც დანიშნულია ხაზინის შემოსავლების გაზრდის მიზნით. მფლობელის უფლების დაკარგვით ვიწეს ბეგმა ყველაფერი დაკარგა. აჭარისა და შავშეთის ხიმშიაშვილების მსგავსად მას არა აქვს დიდი მამული, ხოლო მისი შემოსავლები ღატაკი ცხოვრებისათვისაც კი საკმარისი არაა. აქედან გასაგებია ყველა ლაზის მაგალითზე ემინ ბეი რატომ მისდევს ვაჭრობას. საფრანგეთ-პრუსიის ომამდე ბეგი მარსელს ყურყუმელებით ამარაგებდა, რომლის ტყავი რამდენიმე წლის წინ ევროპისათვის სიკოხტავის ტუალეტების მშვენებას წარმოადგენდა. ყურყუმელების დასაჭერად ბეი 200-დან 300-მდე ნავს ქირაობდა. მენავეები ზღვის ნაპირთან დაცურავდნენ და დიდი რაოდენობით ანადგურებდნენ ამ ფრინველს. ბეგმა გვითხრა, რომ ყოველწლიურად მარსელში აგზავნიდა 100 ათას ცალ ტყავს და ყიდდა საკმაოდ მაღალ ფასებში. ამ გზით ხოჯა შაინოღლის გვარის ახლანდელმა წარმომადგენელმა მშვენიერი მდგომარეობა შეიქმნა,

ახლა მას ხუთი ნავი აქვს და მნიშვნელოვან ვაჭრობას ეწევა ბათუმთან, ტრაპიზონთან და კონსტანტინეპოლთან. მასპინძლის გაფრთხილების მიუხედავად ჩვენ არ შეგვეძლო ვიწეში ორ დღეზე მეტ ხანს დავრჩენილიყავით. მცირე აზიის გეოგრაფიისათვის გამოუცნობი ადგილი პარხალი თავისკენ გვიზიდავდა. ყველა მონათხრობის მიხედვით ჩვენ გველოდა გრძელი და მძიმე მოგზაურობა ისეთ ადგილებში, რომლებსაც ლაზებიც ნაკლებად იცნობდნენ. ვიწელი მასპინძელი ჩვენს უშიშროებაზეც საკმაოდ შეწუხებული იყო. სტუმართმოყვარე მასპინძელმა რამდენიმეჯერ გვირჩია გადაგვეფიქრა ეს მძიმე მოგზაურობა, მაგრამ გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ბეგი ბოლოს დათანხმდა, გავეშვეით, მაგრამ თავისი ხალხის დაცვის ქვეშ, რომელთაც უბრძანა ეზრუნათ ჩვენს კეთილდღეობაზე. 7 ივლისს დავყარეთ ყველა ზედმეტი ტვირთი და ვიწედან გავედით.

პარხალისაკენ მიმავალი გზა მდინარე აბუს კლდოვან ხეობაში ზემოთ იწევს. ამ ხეობას მის ქვემო ნაწილში შეიძლება ბარი ვუწოდოთ. იგი საკმაოდ ფართოა და მისი ზღვისაკენ დახრილობა მცირეა. გზა, ისევე, როგორც მთელი ბარი, მდინარის ხრეშითაა დაფარული, რაც ამ მდინარის საზარელ ხასიათზე მეტყველებს. ვიწედან ნახევარი საათის მოგზაურობის შემდეგ შევედით სოფელ აბუში, მაგრამ ეს ის სოფელი არ იყო, რომელიც ჩვენ ზღვის პირას ვნახეთ, იმას აბუ-სუფლია ჰქვია (ქვემო), ეს კი აბუ ულხეა (ზემო). სოფელში 140 კომლი ცხოვრობს და ცალკეული აგარაკების სახით იგი ხუთი ვერსის სიგრძეზეა გაჭიმული. სახლების დიდი ნაწილი ქვისაა და ზოგჯერ განცხრომის პრეტენზია აქვს. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გარეგნულად მდიდარმა ორმა სახლმა, რომლებიც შეძლებულ ვაჭრებს ეკუთვნით. ისინი წარსულში ალებ-მიცემობას ეწეოდნენ სამეგრელოში. ვიწედან ორი საათის მოგზაურობის შემდეგ მკვეთრ აღმართებს მივადექით. შორს ჩვენს თვალწინ გადაიშალა ფლატეებიანი პონტოს ქედი, რომელზეც ალაგ-ალაგ თოვლი იდო. აქ გზა უკვე კუშტი ხასიათისაა, მაგრამ მალე ჩავიძირეთ აბუ-მდინარის ვიწრო ხეობაში და გზის ნაცვლად დავინახეთ თხის გზაბაწარი: ყოველ ორ ნაბიჯზე ცხენიდან უნდა ჩამოხვიდე. ხანგამოშვებით ბილიკი თითქმის შვეულ კიბედ ადის, ან უეცრად რამდენიმე საჟენით ქვემოთ ეშვება. ცხენმა თხასავით უნდა იხტუნოს საფეხურიდან საფეხურზე. ირგვლივ ტროპიკული ტყეა. ვისაც იგი არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს მისი მცენარეულის მრავალფეროვნებას. ნიადაგი ძალზე უცნაურია: სამი გოჯის სიღრმეზე ერთიანად თიხისაა. თიხის ქვეშ კირქვის ფენაა. ზოგჯერ ეს სურათი მეწამული ფერის ვულკანური ქანებით ან მოწითალო მახვილკუთხიანი ბაზალტით იცვ-

ლება.ამ ატეხილ კონტურებზე საოცარ სარკისებრ ჩანჩქერებად ეცემა წყაროები, რომლებიც სადღაც ქვემოთ თეთრ ქაფისებურ მასად იქცევა. სამ-ოთხ ადგილას გზა ნაპრალებზე გადადის, რომელზედაც ორი-სამი მორია გადებული. ამ კლასიკურ ხიდზე ფეხით გადასვლაც ძნელდება. ჩვენ კი საპალნიანი პირუტყვი უნდა გადავიყვანოთ. ტოტების იქეთ ორ ნაბიჯს გადახვალ და ნახავ, საუკუნოვანი ხეების ფესვები როგორაა გადაკიდული გზაზე. აქ ცულით უნდა ჰკაფო, რომ ცხენები გადაიყვანო. ასეთ გზებს თავგადასავლების გარეშე ვერ გაივლი და ჩვენი ცხენებიც დალუპვისაგან ბეწვზე გადარჩნენ. ერთ ადგილას ჩემი თანამგზავრის ცხენი ნაპრალში ჩავარდა და საცოდავი საქონელი ექვსმა კაცმა გზაზე ძლივს ამოათრია. საერთოდ, მოგზაურობა, როგორც ირკვევა, სასიამოვნო არაა, მაგრამ როგორც კი წამიერად გზა უკეთეს ბილიკზე გადადის, მოგზაური გავლილს ივიწყებს, იმდენად ორიგინალური და მიმზიდველია ბუნება. ახლოდან დააკვირდით ამ მწვანე ხალიჩას, რომელიც უფსკრულს გადაფარებია და თქვენ ნახავთ ათასობით ხვიარა მცენარის ღეროების, ტოტების და ფესვების მთელ ბადეს. — ესაა უფსკრულზე გადაჭიმული ნატურალური ხიდი, საერთო ხედი პონტოს როდენდრონს უკავია. მაგრამ ეს არაა ის მცირე ღეროები, რომლითაც ღორჯომსა და ჩირუხს შორის მოფენილია არსიანის ქედი, — ესაა მთელი ტყე 1500 ფუტის სიმაღლეზე როდოდენდრონი თეთრი და ვარდის ფერების მშვენიერ თაიგულებადაა მიმობნეული. თავისი თვალწარმტაცი ნაზი კოლორიტით განსაკუთრებით საინტერესოა ვარდისფერი ყვავილი. როდოდენდრონის ასეთი ფერი ჩვენ სხვაგან არ შეგვხვედრია.

მერქნიანი ჯიშები ყველგან არ გვხვდება. აბუს გვერდით მდებარე სოფელ ჩიქულითში უპირატესად ხეხილის ზოლებია. მის შემდეგ მურყანი გვხვდება, რომელშიც ბეწნა და წყავია გარეული, და ბოლოს, 2000 ფუტ სიმაღლეზე მურყანისა და წიფლის ტყეები იწყება. საკვირველია აქაური აღმოცენების ძალა. ჩვენ აქ ვნახეთ საუკუნის ტოლი მურყანი, რომელიც ერთ ქვაზეა აღმოცენებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს ფენომენი მხოლოდ გეოგრაფიული განედის მოქმედებით შეიძლება აიხსნას.

ლაზეთის დასახლებული ზოლი სოფელ ჩიქულითით თავდება. ამის ზემოთ ბუნება ადამიანების გარეშე რჩება. ადამიანის ერთადერთი საცხოვრისი, თანაც მხოლოდ ზაფხულობით, ესაა იაილა ჩამლუკი, რომელიც მთავარ ქედზე, ზედ ულელტეხილზე მდებარეობს. ვიწედან გასვლის დღეს ჩვენ ამ იაილამდე ვერ მივედით. ღამისთევა მოგვიხდა ველზე, რომელსაც დუზ-გურჯი (ქართველთა ვაკე) ჰქვია. ესაა ერთადერთი პუნქტი, სადაც შეიძლება ცხენების საბალახო მოიძიო.

დუზ-გურჯის გასაჩერებელზე ჩვენმა ქარავანმა სასიამოვნო ღამე გაატარა. აბასთუმანის შემდეგ პირველად ვიგრძენით, რომ სტუმარი არა ვართ, ჩვენი მუდმივი თანამგზავრი, ტულის სამოვარი შინაურულად გაგვიმასპინძლდა მოსკოვის ჩაით, რომლის შემდეგ ჩვენ გიგანტური წიფლების ქვეშ დავიძინეთ. მომდევნო მოგზაურობის სახსოვრად ამ ხეებზე რამდენიმე რუსული და ქართული ასო ამოვკვეთეთ. მეორე დღეს გზა გავაგრძელეთ. მკითხველს რომ გადავცეთ პონტოს ქედზე მოგზაურის მიერ მიღებული შთაბეჭდილებები, თავს ნებას მივცემ მოვიტანო პონტოს უმაღლეს ქედზე ჩვენს მიერ დღიურში შეტანილი შეულამაზებელი ჩანაწერები.

„ჩამლუქის იაილა. სოფ. აბუ-ულიე. სამშაბათი. 9 ივლისი".

„გზა დუზ-გურჯიდან ჩამლუქ-იაილამდე მესამე დღეს გავლილ გზასთან შედარებით ცუდია. გუშინ ყველა ფეხით დავდიოდით. რამდენიმე ადგილას ცხენები მიჰყავდა ორ კაცს, ერთი წინ მიდიოდა, მეორეს ცხენი კუდით ეჭირა. ამის გარეშე ოთხფეხა სულდგმულს ვერ შეაკავებ კაპანზე, სადაც მხოლოდ ერთი ფეხი პოულობს საყრდენს. ერთგან ჩვენი ბილიკი სულ გაჰქრა. მის გარდიგარდმო იდო კლდე, აქ გაუყვანიათ ერთი წვრილი ნახვრეტი, რომელშიც უნდა გაგვევლო ჩვენი საპალნეებით. მე ჩემს ამხანაგებზე წინ ვიყავი და თავზარდაცემულმა გადავწყვიტე იქ მიგვეტოვებინა ჩვენი ცხენები. საბედნიეროდ შევცდი: ცხენებს უნაგირები მოხსნეს და თითოეული ცალკ-ცალკე გაიყვანეს ამ ჭკვიანურად გაკეთებულ გვირაბში. ეს წინაღობა რომ წარმოიდგინო, უნდა გახსოვდეს, რომ გვირაბს სამკუთხა ფორმა აქვს. მის ძირზე მოპრიალებული გრანიტია მოფენილი, სიგრძით ორი საჟენია და ჰორიზონტისაკენ 40 გრადუსითაა დახრილი. ამ ხვრელის ჭერიც ასეთივე აგებულებისაა. სამკუთხედის სიმაღლე სამი ადლი და ერთი გრჯა. ამგვარად მკითხველს ყველა მონაცემი აქვს იმ ამოცანის ამოსახსნელად, თუ პონტოს ხვრელში როგორ გავძვერით. მაგრამ ეს არაა ყველაფერი. ამის შემდეგ სამ ადგილას ჩვენ გზა გავთხარეთ თოვლში, რომელიც მეზობელი ნაპრალებიდან ჩამოქცეულიყო. და, ბოლოს, 9 საათის შემდეგ მოვედით, თუმცა გზის სიგრძე 10—12 ვერსს არ აღემატება. ღამის გასათევ ადგილამდე ამოვილალეთ წვიმისა და ძლიერი ბურუსის ქვეშ".

„დუზ-გურჯიდან ჩამლუქ-იაილამდე ყველაფერი საძაგელია: ტყე არაა, ეული დაბალტანიანი მურყანი სულ უფრო იშვიათად გამოერევა ხშირ შქერნალში, რომელიც აქ დაბალ ბუჩქებადაა წარმოდგენილი და ყვავილებიც ისეთი თვალწარმტაცი ფერის არაა, როგორც ეს იყო ჩიქულითში. იშვიათად ჰადრებიც გამოერევა, რომელთა სიმაღლე 20—25 ფუტს აღწევს. მის წვერებზე ფუტკრის სკაა ჩამოკიდებული.

თიხიანი ნიადაგი თანდათანობით ქვიშობში გადადის. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო ხშირად გვხვდება ქვიანი ადგილები, და, ბოლოს, 5000 ფუტის სიმაღლეზე ტყის უკანასკნელი ნიშნებიც ქრება. კორდები არაა, მაგრამ ქვებს შორის მოსჩანს პატარა კუნძულები, რომელზეც შეიძლება საქონელმა იბალახოს. ესაა აქაური ალპური მდელო — მჭლე, ღარიბი, მცირე. ოდნავ ზემოთ გვხვდება აქაურობაში ქებული საძოვრები, მაგრამ ისეთებია, რომ შავშელები და აჭარლები ამ ადგილებს თავიანთი ჯოგისათვის ვარგისად არც კი ჩათვლიან".

„ყოველივე ეს ნათელს ხდის ლაზეთის მესაქონლეობის რიცხობრივ მაჩვენებელს. რაც შეეხება ხარისხს, უნდა ითქვას, რომ აქაური ძროხა პატარა ხბოს სიმაღლისაა. ამასთან ერთად მას ცოტა რძე აქვს და ტანითაც გამხდარია. ჯორები არაა. აქაური საუკეთესო ბუღა აჭარის ძროხაზე პატარაა. ლაზეთში ცხვარიც ცოტაა. მცხოვრებლებს ურჩევნიათ თხები იყოლიონ. შენობები აქაურ იაილებში მესაქონლეობას შეესაბამება. ისინი ცოტაა, თანაც ვიწროა, აშენებულია ქვით, გადახურულია შორიდან მოტანილი ნაცარტუტით. ფარეხი რამდენიმე კაცს აქვს. მაგრამ ეს ფარეხები უკეთესია, ვიდრე შენობის მეორე ნახევარი, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. წყაროების სიმრავლის წყალობით, ფარეხები მარაგდება გამდინარე წყლით, რომლითაც მუდმივად ირეცხება შენობა. ფარეხის იატაკი ჩვეულებრივ ხისაა, მაშინ, როდესაც ოთახში სადაც ადამიანები ცხოვრობენ, იატაკი ქვისაა, უფრო ხშირად არც ესაა. აქ ძალაუნებურად გვახსენდება კოხის აღწერა, სადაც მოთხრობილია ლაზეთის იაილების საშინელებებზე"...

„ჩამლუკის იაილა მთა მარსისის ფერდობზე დევს. ეს ადგილი შეიძლება ჩავთვალოთ მდინარე აბუს სათავედ, რომელიც ათზე მეტი ნაკადულისაგან შედგება. ისინი იაილის გარეუბნებიდან მოედინება"...

„უკვე მეორე დღეს ბურუსი გამოჩნდა, წერილი შემოდგომის წვიმაც წამოვიდა. ირგვლივ არაფერი ჩანს. მეორე დღეს ჩვენ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით: ბურუსი მოგზაურს თვალებს უბრმავებს იმ დროს, როცა დიდი ჯაფის შემდეგ მან ქედის მწვერვალს იმისათვის მიაღწია, რომ აქედან თვალი მოევლო მიდამოებისათვის. ნუთუ ჩვენ პონტოს ქედიდან ისე დავეშვებით, რომ მის ხასიათზე ნათელი წარმოდგენა არ გვექნება? ნუთუ ბედი ისეთი შეუბრალებელი იქნება, რომ ჩვენ არ დაგვანახებს იმაზე მეტს, რასაც ახლა ვხედავთ?

„მცხოვრებლები ამბობენ, რომ აქ ბურუსი მუდმივია და მხოლოდ იშვიათად, თანაც ადრე დილით, იმდენად გამონათდება, რომ მთელი ლაზეთი გამოჩნდება. ამის საფუძველზე, ჩვენ დილით ადრე 4 საათზე ავდექით, მაგრამ ცა მოწმენდილი იყო მხოლოდ რამდენიმე წუთს და

ჩვენ ვერაფრის დანახვა ვერ შევძელით. მხოლოდ იმის დანახვა შეიძლებოდა, რომ პონტოს ქედი კლდოვანი და ვიწროა. იგი წარმოსდგება დამრეცი ფიქალის ქარაფებისაგან, რომლის ნაპრალებში, როგორც ჩანს, თოვლი მთელი წელი დევს, თუმცა საკუთრივ თოვლის ხაზი აქ არ არის. მცირე აზიის არსიანის, იალანუსის, ანტიტაერის და სხვა ქედების ხასიათი, რომლებიც აღწერილი აქვს ტეილორს, მოლტკეს და სხვებს, აქ არ შეინიშნება"...

„იაილა ჩამლუქი. ოთხშაბათი, 10 ივლისი. დღეს მეოთხე დღეა, ვზივართ პონტოს ქედის თითქმის მწვერვალზე და პირდაპირ ზღვაზე ამინდს ველოდებით, საშინელმა ბურუსმა და წვიმამ მოგვიცვა და ძვალსა და რბილში გვატანს. ყველა ჩვენთაგანი ვზივართ და ფეხები მიცხუნებული გვაქვს ცეცხლზე, რომლის კვამლი უკვე მესამე დღეა თვალებს გვწვავს. გარდა ამისა ყველა ჩვენთაგანს, რიგრიგობით კუჭის აშლილობა გვაწუხებდა. და, ყველაფერ ამას მხოლოდ იმისათვის ვიტანდით, რომ დაგვენახა ლაზეთის საერთო ხედი. მართლაც ამ ადგილებიდან სამშობლოში როგორ უნდა წავიდეთ ისე, რომ ვერ შევძლოთ საუბარი ამ ქედის ხასიათზე. მცირე აზიის გეოგრაფიას ჩვენმა მოგზაურობამ რაღაც უნდა მისცეს და თუ ჩვენ ისე წავალთ, რომ ჩვენივე მიზეზით ვერაფერს ჩავუტანთ ი.ი. ს-ს, ეს დიდი დანაშაული იქნება. უნდა მოვიცადოთ იმიტომ, რომ ჩვენს დანახულსა და მოსმენილს აგრეთვე ჩვენს რუქასა და კოხის ნაამბობს შორის ისე დიდი განსხვავებაა, რომ მათი ერთმანეთთან შეჯერება შეუძლებელია. მაგალითად მდინარე ფურტუნის (კოხის მიხედვით ვარსამბერის) შენაკადებსა და პარხალს (ჩვენს რუკაზე ბოლხარს) შორის იგულისხმება რაღაც მთელი მარადისობა, სინამდვილეში, როგორც ჩანს ჩვენ ვიმყოფებით კოხის ვარსამბერდალის ძირას და პარხალამდე მხოლოდ 8 საათის სავალია. გარდა ამისა ჩვენ გვიამბეს, რომ მარსისის მთა ჩვენგან ერთი ვერსის მანძილზე მდებარეობს და პონტოს ქედზე იგი ყველაზე მაღალია. კოხი კი ამბობს, რომ პონტოს ქედზე ყველაზე მაღალ მთას ვარსამბერი ეწოდება. სახელწოდება ვარსამბერი რაღაა, აქ არავინ უწყის... ჩვენ მოგვითხრობენ, რომ ჩვენგან ნახევარ ვერსზე არის ალპური ტბები, რომელთაგან ერთის სიგრძე თოფის გასროლის მანძილს უტოლდება. სხვათა შორის ადგილისა და ქედის ხასიათის მიხედვით მე არ შემიძლია ვირწმუნო ასეთი ტბის არსებობა. საწყენია, რომ ყველა ეს კითხვა კითხვებად დარჩება, თუ ეს ცუდი ამინდი რამდენიმე დღეს გაგრძელდება. მაშინ ჩვენ, ალბათ, ველარ გავუძლებთ ამ სიმარტოვეს და ხარჯებს, რომლებიც გვთრგუნავს და, ვინ იცის, ამ ადგილებში სხვა მკვლევარი როდისღა ამოვა"...

11 ივლისს ჩვენი ტანჯვა დასრულდა: სრულიად მოულოდნელად ცა მოიწმინდა და ჩვენც გზას გავუყევით, რათა ქედის სიმაღლიდან გადაგვეხედა ლაზეთზე. ამასთან ერთად მე განვიზრახე მენახა ალპური ტბები.

ტბები მდებარეობს მარსისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, შავი ზღვის დონიდან დაახლოებით 8000 ფუტის სიმაღლეზე. სამი ტბიდან ყველაზე დიდი წრიული ფორმისაა, მისი დიამეტრი 100 ნაბიჯს არ აღემატება და მდებარეობს ღრმა ტაფობში, რომელზეც დაყუდებულია მარსისის კლდოვანი ტოტები. ტბების ახლოს, ხავსიან ადგილებს შორის, 8770 ფუტ სიმაღლეზე არის წყალუხვი წყარო, რომელსაც აბუ-ზულული ჰქვია. მისი ტემპერატურა რეომიურის 2°-ს აღწევს. მარსისის უმაღლესი მწვერვალი მიუვალია, მაგრამ მისი სიმაღლე ზღვის დონიდან შეიძლება 11000 ფუტს აღწევდეს.

ჩამლუქის ალპურ ტბას ირგვლივ გარს აკრავს მწვერვალები. ერთერთი მათგანიდან ჩვენ გადავხედეთ ლაზეთის ვრცელ პანორამას. ქედის განშტოებები მხოლოდ ალაგ-ალაგ გამოჩნდა. საერთოდ ჩვენს ქვემოთ მდებარე მთელი სივრცე ერთ მთლიან შავ მასას წარმოადგენს, რომელზეც განსაკუთრებით გამოიყოფოდა კლდოვანი კონუსები და შავი ხვეული ბზარები. ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა მთავარი ქედის აგებულება თავისი ვიწრო და კლდოვანი თხემით, რომელზეც გვერდიგვერდ ქარაფოვანი პიკები დევს. ისინი სრულიად შიშველი და შავი ფიქალის ფლატეების სახითაა წარმოდგენილი. ალაგ-ალაგ ფერდობი მაგარი კრისტალური ფენებისა და კირიანი ფიქალისაგან შედგება. პირველი ხშირია დასავლეთ (ლაზეთის), ხოლო მეორე აღმოსავლეთ (ჭოროხის) ფერდობზე. გეოლოგიური შედგენილობის ეს განსხვავება უფრო საგრძნობია იმ მასალებით, რომლითაც აგებულია ჩამლუქისა და კობაკის იაილები. ჩამლუქის ეს სახლები აგებულია მხოლოდდამხოლოდ ფიქალისა და სიენიტის ლოდებით, მაშინ, როცა კობაკის სახლები აგებულია კირის დოლომიტითა და რუხი და აგურისფერი კირის ფიქალის ფილებით. ქედის მწვერვალის ახლოს დაჯგუფებულია მდელოების პატარა ფართობები თავისი ძალზე ღარიბი ალპური მცენარეულით. აღმოსავლეთ ფერდობზე მდელოები უფრო მდიდარია, ვიდრე დასავლეთ, ე.ი. ლაზეთის ფერდობზე, სადაც მდელოები ქვიანია და თითქმის მთლიანად ბალახის გარეშეა. პონტოს ქედის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფერდობების საბოლოო შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ დასავლეთ (ლაზეთის) ფერდობზე კლიმატი მკაცრია, ვიდრე აღმოსავლეთზე; მაშინ, როცა ჩამლუქ-იაილაში ჩვენი ვიყინებოდით (დღის საშ. ტემ-

პერატურა 8—10°) ან ვსველდებოდით, აღმოსავლეთ ფერდობზე საკმაოდ ძლიერი ჰვალვა იყო. ზღვის სიახლოვე სხვა მხრივაც საგრძნობია: მაშინ, როცა დასავლეთ ფერდობის ნაპრალებში ღრმა თოვლი დევს, აღმოსავლეთით მისი კვალიც კი არ დარჩენილა.

მთავარი ქედიდან ყოველ მხარეს გადაჭიმულია მაღალი და დამრეცი განშტოებები. ისინი მთელ ლაზეთს ავსებენ და აქვთ ერთი საერთო ხასიათი. მარსისის მახლობლად, ჩამლუქ-იაილაზე, ზღვის დონიდან 9351 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს უღელტეხილი, რომლის სიფართე რაღაც 15 ნაბიჯია. იქვე, უღელტეხილთან სათავეს იღებს ნაკადული კობაკი, რომელიც ჭოროხის ბასეინს მიეკუთვნება. ამ გადასასვლელს გადავცდით თუ არა, ჩვენ კვლავ ლივანის ტერიტორიაზე მოვხვდით და ამჯერად ვეწვიეთ ამ პროვინციის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებს — პარხალისა და კობაკის ხეობებს, ე.ი. იმ ადგილებს, რომელთა მახლობლად 1844 წელს თავისი მოგზაურობის დროს შეჩერდა ბ. პროსკურიაკოვი.

იმის გამო, რომ პარხალის ხეობა არაა შეტანილი არცერთ ჩვენთვის ცნობილ რუკაზე, ჩვენ აქ გაგაცნობთ მხარის ზერელე ნარკვევს,მიუხედავად იმისა, რომ იგი ლაზეთს არ მიეკუთვნება.

პონტოს ქედის აღმოსავლეთი შტო ჭოროხში ძალზე შვეულად ეცემა. გოდლედის მასაში, რომელიც უწესრიგოდ ეშვება მდინარეში, რჩება ღრმა ნაპრალი, რომლიდანაც ჭოროხის მკვებავი წყლები მოედინება. ამ მდინარეთა კალაპოტები ჭოროხის ნაპირების მსგავსი ხასიათისაა; ეს ჩვენ მე-3 თავში აღვწერეთ, იმ განსხვავებით, რომ აქ ბუნება უფრო მკაცრია და გზები უარესია, ვიდრე იქ. მოსახლეობა შეჯგუფებულია ხეობებში, რომლებსაც ცალკ-ცალკე თავისი კარჩაკეტილი სამყარო აქვთ და მეზობლებისაგან მიუვალი კლდეებითაა გამოყოფილი. ასეთივე ხასიათისაა, სხვათაშორის, პარხალის ხეობაც. მდინარე პარხალი სათავეს იღებს მთა ალთი-პარმაღთან,* აღმოსავლეთით მიედინება და ზემო წელში (სოფელ პარხალის ქვემოთ) იერთებს შენაკადებს, რომლებითაც არმენხევი და კობაკი ირწყვება. ჩვენ კობაკის ხეობით დავეშვით ამ მდინარის შესართავამდე და ავედით ზემოთ მდინარე პარხალის დონეზე. მის სათავეებთან კვლავ ლაზეთში გადავედით.

---

* პონტოს ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალი.

ჰარხალის ხეობა და მისი შემოგარენი ზოგჯერ ვაკუფად იწოდება, რადგანაც ბოლო წლებამდე ამ მხარის შემოსავლები ერზრუმის მეჩეთს ეძლეოდა. ამჟამად არმენ-ხევისა და კობაკის ხეობების მთელი მოსახლეობა ძალზე შერყვნილ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, თუმცა მათს გვერდით, სოფელ ჰარხალში ქართული ყველამ არ იცის. განსაკუთრებული კილოთი და ჩქარი მეტყველებით ვაკუფის მცხოვრებთა ენა თავისებურია. იგი რუსეთის საქართველოს არცერთი კუთხის მეტყველებას არ ჰგავს. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ, რომ ხალხი გონებრივად ნაკლებ განვითარებულია და პირველყოფილი პერიოდის თვისებებს ატარებს. მკაცრმა ბუნებამ და სრულმა კარჩაკეტილობამ განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მოახდინა კობაკის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებზე. აქ ყველაზე კარგად, ვიდრე სადმე სხვაგან, შეიძლება დაინახოთ იმის ბრწყინვალე დადასტურება, რომ საზოგადოების ყველა საყოფაცხოვრებო დასაყრდენი დამოკიდებულია არა მარტო გეოგრაფიულ და გეოლოგიურ შემადგენლობაზე.* კობაკის გვერდით ჰარხალის ხეობაში მოგზაური სულ სხვა სურათის მოწმე ხდება. აქ ხალხი უფრო განვითარებულია, რადგანაც ჭოროხის ნაპირების მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის ბუნების ხელშემშლელი პირობები ნაკლებია. კობაკის ხეობის სიგრძე 20 ვერსს არ აღემატება, ცხოვრობს 200 კომლი, რომლის დიდი ნაწილი ცალკე ჯგუფებადაა განლაგებული. საცხოვრებელი სახლები, ციკლოპების მსგავსად, მთლიანი ქვებით უცემენტოდაა აგებული და კლდე-ქარაფებზე არწივის ბუდესავითაა მიკრული. ყველა სახლს აქვს თავისი პატარა ჯეჯილი, რომლებიც ზოგჯერ სამი-ოთხი ნაბიჯის სიფართისაა. ისინი მთის ფერდობს ქამარივით ერტყმის და გამაგრებულია ხელოვნურად აშენებული კედლებით. გასაგებია, რომ როგორც ჩანს, იშვიათი დასახლებული მხარეა, სადაც ჯერ კიდევ არ იცნობენ ამ პირველყოფილ მანქანას. მარცვლოვანთაგან აქ თესავენ სიმინდს, უფრო ხშირად ბარდას, რომლისგანაც ძალზე ცუდი პური ცხვება. ხილის ხეები სოფელ კობაკის ქვემოთ გვხვდება, ხოლო ამავე სახელწოდების მდინარის შესართავთან ყურძნის ბაღებიც არის. ამ ადგილების ტოპოგრაფიული თვისებების შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საკმარისია ვთქვათ, რომ ულელტეხილიდან ქედის და მარსისის მთის გავლით მდინარე კობაკის შესართავამდე, ე.ი. არა უმეტეს 20 ვერსის მანძილზე ჩვენ ჩავივაკეთ 5300 ფუტით.

* Комма. Геология настоящего (874 г. с. еТб.) гл. XV

კობაკიდან პარხალამდე გზას მე არ აღვწერ, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ეს იყო ყველაზე საძაგელი გზა, რომელიც გავიარეთ ამ მოგზაურობის დროს. სოფელი პარხალი ამავე სახელწოდების მდინარის ორივე ნაპირზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 4675 ფუტზე. სოფელში 200-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. სახლები ერთ ხაზზე, ვიწრო ხეობაში ოთხი ვერსის სიგრძეზეა განლაგებული. აქ არის ცნობილი ეკლესიის ნანგრევები. იგი ამ ადგილის მთელი სიმდიდრე და ჩვენი ექსკურსიის desiderata-ა (სურვილია. რ.ს.).

მოგზაურობის დაწყებიდან ჩვენ ყოველდღიურად გვესმოდა პარხალის ეკლესიაზე. სომხეთის გეოგრაფიაში ინჯიჯიანი ამბობს, რომ პარხალი არის მარმარილოს სვეტებიანი ეკლესია, რომლის ქვეშ ინახება განძი და აქვს ქართული წარწერები. კოხი პარხალში არ ყოფილა, მაგრამ გაგონილის მიხედვით ასახელებს აქაურ ეკლესიას. ძველი საქართველოს გეოგრაფი ვახუშტი პარხალზე არაფერს ამბობს. ეს დაუდევრობა უცნაურია, რადგანაც ქართველი გეოგრაფი ისეთ წვრილმანებს იხსენებს, რომელთა გამოტოვებით საქმეს არაფერი დაუშავდებოდა. ამასთან ერთად პარხალის ეკლესია სრული შესწავლისა და ყურადღების ღირსია. იგი თურქეთის საქართველოში ჩვენს მიერ ნანახ ეკლესიებზე ვრცელია, არქიტექტურულად არ ჩამორჩება ტბეთის ეკლესიას. პარხალის ეკლესიის შენობა საერთოდ თურქეთში ნანახ მართლმადიდებლურ ეკლესიათაგან არცერთს არ ჰგავს.* ტაძრის გარეგანი სახე უფრო მეტად უახლოეს თეატრს მოგვაგონებს. მთავარი შენობის სიგრძე 45 ნაბიჯია, სიგანე 32. კამარები და სვეტები არქიტექტურის ყველა ელემენტს მოიცავს. ტაძრის საკურთხევლის ნაწილს ყველა ძველი ეკლესიისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. მისი სფერული ჭერი ნახევრად კოშკის მოყვანილობისაა და რამდენიმე ფანჯრითა და ნიშით ნათდება. ყველაზე უფრო გამოჩენილ ადგილას შემონახულია მაცხოვრის გამოსახულება, რომელიც გარშემორტყმულია წმინდანთა კრებულით. მათი სახე ალაგალაგ შემორჩენილია, მაგრამ უფრო უკეთესად, ვიდრე ტბეთში. სალებავი დღესაც ახალია. საკურთხევლის იატაკზე ასფალტია დაგებული და ეკლესიის სხვა ნაწილებთან შედარებით ოდნავ ამაღლებულია. აქ არის როგორც ძველი, ისე შედარებით ახალი წარწერები.

---

* პარხალის ეკლესიის არქიტექტურა თბილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ურბნისის ძველ ეკლესიას გვაგონებს (Грузия в древнейших памятниках христианства. Акты Кавк. Арх.ком. т.V.

როგორც ჩანს, აქ მომსვლელები ხშირად არიან. წარწერების (ახალი) დიდი ნაწილი სომხურია, მაგრამ არის ერთი ძალზე გრძელი ქართული, რომელიც იმდენად წაშლილია, რომ მე ვერ გავარჩიე. ერთი ძველი წარწერა მე ალბომში ჩავიწერე.

ეკლესიის შუა ნაწილი შემოსასვლელისაგან და საკურთხევლისაგან თაღებითაა გამოყოფილი და თავის მხრივაც ლამაზი სვეტით



პარხალი

სამ ნაწილად იყოფა. ჭერი შეკრულია მაღალი კამარებით, რომლებიც 8 მასიურ სვეტს ეყრდნობა. კედლებში ჩინებული ფანჯრები და ნიშებია დატანებული. გუმბათი არა აქვს. ჩრდილო და სამხრეთ მხრიდან აქვს შესასვლელები, რომლებიც ასევე ფესტონებით შემკული თაღებითაა გამოყვანილი.

შესასვლელი ეკლესიის შუა ნაწილიდან გამოყოფილია უფრო მცირე ზომის სვეტებით, ვიდრე ზემოთ ნათქვამი. ამ სვეტებს შორისაა ამაღლებული ადგილი მგალობელთათვის, რომელიც ტბეთის მსგავსია, მაგრამ ამ უკანასკნელს აქვს გამყოფი ბადე, რომელიც ამშვენებს მას. გარე აღმოსავლეთი კედელი დიდებული შესახედაობისაა. მას აქვს რვა ნახევარსვეტი, რომელთაგან ორი შუა 75 ფუტის სიმაღლისაა. ყველა სვეტი შეკრულია ნახევარწრიული კამარებით ისევე, როგორც ეს ტბეთშია. დასავლეთი კედელიც ასეთი ფორმისაა, მაგრამ

ეკლესიის კედელი სხვებზე კარგადაა შენახული, მხოლოდ ერთ ადგილას, შუაში კედლიდან გამოღებულია ორი ქვა, რომელზეც, როგორც ჩანს წარწერები იყო. ცნობებით გაირკვა, რომ ეს ქვები სამი წლის წინ გამოუღია ადგილობრივ მცხოვრებს; იგი აქ ეძებდა განძს, რომელიც გადმოცემით პარხალის ეკლესიის კედელში იყო ჩატანებული. სად წავიდა ეს ქვები არავინ იცის. დასავლეთ მხარეს შემორჩენილია წარწერიანი ქვა, რომელიც ჩვენს არქეოლოგთან არავის ამოუკითხავს.

სამხრეთიდან, ისევე როგორც ჩრდილოეთიდან, პარხალის ეკლესიას ორსართულიანი შენობის სახე აქვს. ქვემო სართული გარეთაა გამოწეული და აქვს ცხრა ნახევარსვეტი, რომლის თაღებს ქვეშ დატანებულია ნიშები და ფანჯრები, რიცხვით თორმეტი. ასეთივე ნიშა ჩატანებულია ზემო სართულის ორმაგ სვეტებს შორის. ზემო სართულის სახურავი და ქვედა სართულთან მისი შემაერთებელი ნაწილი დახურულია ქვის სწორი ფილებით. ჩრდილოეთის კედელი ზუსტად ისეთივეა, როგორც სამხრეთისა. განსხვავება ისაა, რომ ჩრდილოეთის კარებს არა აქვს ისეთი მინაშენი, სამხრეთის ფასადს რომ ამახინჯებს.

მთელი ეკლესია აშენებულია გემოვნებით დაგეგმარებულ მოედანზე. აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთის მხრიდან შემონახულია ქვის გალავნის ნიშნები. ყველა გარე კედელი გულდასმით გათლილი რუხი დოლომიტითაა შემოსილი. შენობა უგუმბათოა. ქვის თლა და წყობა ჩინებულია. ამჟამად ეკლესიაში ჯამეა მოთავსებული და, ალბათ, ამას უნდა ვუმადლოდეთ, სხვა სიძველეებზე უკეთესად რომ არის შენახული.

ეკლესიის აღწერიდან მისი წარსულის განმარტებაზე გადასვლისას, პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ ადგილზე არ შეიძლებოდა შეგვეგროვებინა რაიმე ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის და ვინ ააშენა ეკლესია, რა როლს ასრულებდა ამ მხარის წარსულ ბედში და რომელი წმინდანის სახელზეა აშენებული. ჩვენს ყველა კითხვაზე პირველ რიგში პასუხს ველოდით მართლმადიდებელი მღვდელისაგან, ქართველისაგან, გვარად ღებრაძისგან, რომელიც პარხალის მახლობლად არმენ-ხევის ხეობაში ცხოვრობდა. მაგრამ ამ ბრმა მოხუცისაგან ჩვენ ისიც კი ვერ გავიგეთ, რომელი წმინდანის სახელზე აშენდა ტაძარი. მეორე პიროვნებამ, ბერძენმა, რომელიც ჩვენ გვიან გავიცანით სოფელ ვიჟაში, აგვიხსნა, რომ შვიდი წლის წინ ის იყო პარხალში იერუსალიმიდან ჩამოსულ ერთ ქართველ ბერთან ერთად. ამ ბერს იოანე ერქვა. იგი ძალზე განსწავლული კაცი იყო, გვითხრა ბერძენმა, მან წაიკითხა ეკლე-

სიის კარებზე,* რომ იგი აშენებულია 931 წლის წინ ქართველი მეფის ალექსანდრეს და მისი მეუღლის ფეოდოსიას მიერ ჩოანე ნათლისმცემლის სახელზე.

ეკლესია იოანე ნათლისმცემელზე რომ არის მიძღვნილი შეიძლება ვივარაუდოთ საკურთხევლის მახლობელი სვეტის ნიშაზე გაკეთებული წარწერითაც. მაგრამ იოანე ბერის დასკვნა ეკლესიის აშენების თარიღის შესახებ გადამოწმებას საჭიროებს. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ავხსნათ პარხალის ეკლესიის დაფუძნების თარიღი, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ X საუკუნეში, ის ადგილი, სადაც მდებარეობს პარხალი, ეკუთვნოდა ქართველ ბაგრატიდებს,** რომლებსაც ბერძენი იმპერატორები მფარველობდნენ. იმ დროის ისტორიაში არაა ნახსენები მეფე ალექსანდრე, მაგრამ ბატ. ბაქრაძე აჭარასა და გურიაში მოგზაურობის თავის არქეოლოგიურ ანგარიშში იხსენიებს ძალზე ძველ საბუთს,*** რომლიდანაც ჩანს, რომ ოდესღაც პარხალი კაკასიძეთა გვარის სამფლობელო იყო და იშხანის ეპისკოპოსის სამწყსოს მიეკუთვნებოდა. შემორჩენილია კაკასიძეთა სახელი წარწერილი ძველ ხატებზე, რომლებიც ზარზმის მონასტრიდან სოფელ შემოქმედის (გურიაში) ეკლესიაში გადაასვენეს. ბატ. ბროსეს მიერ ახსნილი ერთი ასეთი წარწერა გვაუწყებს პეტრიკ კაკასიძეზე „დიდი ბერძენი მეფის ქალიშვილთან მარიასთან" ერთად. იგი ბაგრატ IV**** დედა იყო. მაშასადამე, ლაპარაკია X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისზე. ყოველივე ამისაგან შეიძლება გაკეთდეს ერთი დასკვნა, რომ პარხალი X საუკუნეში ეკუთვნოდა ცნობილ ქართულ გვარს კაკასიძეს და, ალბათ, მცირე როლს არ თამაშობდა ამ მხარის ცხოვრებაში.

ამჟამად პარხალის მიდამოები მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ, საყოველთაო მაჰმადიანობის პირობებში, შემორჩა მართლმადიდებლური აღმსარებლობის რამდენიმე ქართული ოჯახი. ეს ფაქტი სრულ ყურადღებას იმსახურებს. ქრისტიანული აღმსარებლო-

---

* ალბათ ამჟამად დაზიანებულ სამხრეთ მინაშენზე, რომელზეც ახლაც არის რაღაც წარწერის კვალი.

** იგულისხმება ქართველ ბაგრატიონთა დინასტია.

*** ამ საბუთს ბატ. ბაქრაძე უწოდებს: „სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს სიგელს".

**** წინ დასახელებულ აქტზე ბატ. ბაქრაძის შენიშვნა. იგულისხმება ქართველ ბაგრატიონთა დინასტია.

ბის ოჯახთა რიცხვი ხუთს უდრის, მაგრამ, ამბობენ, რომ აქ კიდევ არის 80-მდე ფარული ქრისტიანი, აქაურ ქრისტიანულ თემს ჰყავს თავისი მღვდელი, რომლის ხარისხი ლებრაძეთა გვარის სამემკვიდრო საკუთრებად დარჩა. ამ გვარის ახლანდელმა წარმომადგენელმა, 60 წლის მღვდელმა თავისი სამწყსო უკვე გადასცა თავის შვილს, რომელიც ხელდასმულია ახალციხეში. სამწუხაროდ მამა-შვილი მცირე მცოდნენი არიან, ამიტომ ვერ შეძლეს ჩვენთვის რაიმე საინტერესო ეცნობებინათ.

პარხალიდან ჩვენ გავედით 14 ივლისს, დილით ადრე, ჩვენი ცხენების პატრონების გარდა გვაცილებდა 12 მუშა. ეს ხალხი იმ მიზნით წავიყვანეთ, რომ გაეწმინდათ ჩვენს მიერ გასავლელი გზა, რომელიც, ჩვენი პარხალელი მასპინძლის თქმით, დიდთოვლობის გამო გაუვალი იყო, საბედნიეროდ საქმე უფრო მარტივი აღმოჩნდა. გზა უკეთესი იყო, ვიდრე ჩვენ ველოდით და ჩვენი უსარგებლო გამცილებლები ზედმეტ ხარჯად დაგვიჯდა.

გზა პარხალიდან ლაზეთამდე გადაივლის მთის შუა ადგილას, რომელსაც კაჩკარი ეწოდება. გადასასვლელამდე აღმართი ძალზე ციცაბოა, მაგრამ ნაკლებად საშიში. მწვერვალის მახლობელ ნაპრალებში თოვლი იდო. ჩვენ საკმაოდ ადვილად მოვექეცით ქედის თხემზე და თოვლის გავლით დავეშვით ლაზეთში იმავე წესით, როგორც, ჰალლეს ისტორიის მიხედვით მოიქცნენ იტალიის დაპყრობის დროს, ე.ი. დაცურდნენ ნაბდებით. პონტოს ქედის თხემი მარსისის სამხრეთით ძალზე ვიწროა და ნაკლები სიმაღლისაა. მთები აქ სასწაულებრივად შავ ფესტონებსავითაა აყუდებული და შედგება შიშველი ფიქალის კლდეებისაგან, რის გამო ხალხმა მას პარმაღი (თითები) უწოდა. ეს სახელი საუკეთესოდ გამოხატავს აქაურ მწვერვალებს, განსაკუთრებით მთას, რომელიც მდინარე პარხალის სათავესთან დევს. იგი აყუდებულია ექვსი თითის მსგავსად და ალთი-პარმაღი (ექვსი თითი) ჰქვია. გადასასვლელი, რომელზეც გადიოდა ჩვენი გზა, მთა კაჩკარის, პონტოს ქედის ყველაზე მაღალი ადგილის ორ ვიწრო და მიუვალ მწვერვალს შორის მდებარეობს. უღელტეხილის სიმაღლე შავი ზღვის დონიდან 10800 ფუტია, მწვერვალის სიმაღლე კი 12000-მდე აღწევს.

პონტოს ქედის ჩრდილო-დასავლეთ განშტოებაზე იღებს სათავეს ლაზეთის ყველაზე დიდი მდინარის ფურტუნის სამი სათავე. ეს სათავეები (კერძოდ ფურტუნა, კაჩკარ-სუ და ბეიუქ-სუ) დიდი ხემშინის ტერიტორიას რწყავენ. ამ მხარეში ცხოვრობს სომხური წარმოშობის, მაგრამ მხოლოდ თურქულად მოლაპარაკე ხალხი. ხემშინი განსაკუთრებული სამუდიროა, რომელიც ათინას კაიმა-

კამს ემორჩილება, ბუნებრივია, შედის ბათუმის სამუთესარიფოში. ჰემშინის დასავლეთი საზღვარი ეშვება ფურტუნის ყველა სამ შენაკადთან მთავარი ქედის პარალელურ მეორეხარისხოვან ქედზე და მდინარეებს ათინას და ბულებს სათავეს აძლევს. ხემშინი არაა თემა იმ საუბრისა, რომელსაც ჩვენ ვუძღვნით მხოლოდ ლაზებით დასახლებულ მხარეს.* ამიტომ შემოვიფარგლებით ჩვენს მიერ გავლილი გზის აღწერით.

კაჩკარის მთის ძირას, 7661 ფუტის სიმაღლეზე დიდი სოფლების ჩინგითისა და მარმანადის იაილა დევს. ამ იაილას მიდამოები მდიდარია ბალახით, ვიდრე ჩამლუქის მდელოები. კაჩკარ-სუ აქ გამოდის მთიდან დაგორებულ ლოდებს შორის.

იაილადან კაჩკარ-სუსაკენ ქვემოთ მიმავალი გზა უკეთესია, ვიდრე ჩვენ უკანასკნელი 6 დღის განსმავლობაში მივეჩვიეთ: იგი ძნელად, მაგრამ ცხენისათვის მაინც სავალია, მცირე საპალნითაც კი. გზა დაახლოებით ალმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება. ერთი საათის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ ამავე დასახელების მეორე იაილაში გადავედით. აქ, 6740 ფუტის სიმაღლეზე გამოჩნდა ფიჭვი, რომლის რიცხვი თანდათანობით იზრდება და მალე გადადის ხშირ შერეულ ტყეში. დასაწყისში ფიჭვი სჭარბობს, ოდნავ ქვემოთ წიფელი და მურყანი, რომლებიც პონტოს როდოდენდრონთან, გვიმრასთან და წყავთანაა შერეული. ხილის ხეები და ბზა გვხვდება მხოლოდ ხემშინის ბოლო სოფელ ხალაში, რომელიც მდინარის ორივე მხარეს გადის. მდინარე ფურტუნის კალაპოტი აქ მთების ტოტებით ისეა შევი-

* ხემშინზე საუკეთესო და თანამედროვე (შედარებით) ცნობები შეიძლება ნახოთ ზემოთ ნახსენები ბოტანიკოს კოხის თხზულებებში (Resie im pontischen Bebirge. თავი 1 და 3). პირველი მოგზაურობის დროს კოხმა რიზედან ასფეროსის ხეობით რიუსპა გაიარა და ჩავიდა სოფელ ჯემილში, შემდეგ შაითან-დერეს გაელით ისპირში. პონტოზე მცირე მოგზაურობა კოხმა განახორციელა ალთი პარმალთან (რომელსაც იგი ამ სახელს არ უწოდებს) და ფურტუნის მარჯვენა შენაკადთან ჩავიდა სოფ. ხალაში. კაჩკარის მთას კოხი ვარსამბერ-დაღს უწოდებს. გულდასმითი გამოკითხვების მიუხედავად ეს სახელი არამარტო აქაურ მცხოვრებთათვის, არამედ მთელი ლაზეთისათვის უცნობი აღმოჩნდა. საკმაოდ დაწვრილებითი, მაგრამ მოძველებული ცნობები ხემშინზე, შეიძლება ნახოთ ინჯიჯიანის „სომხეთის ახალ გეოგრაფიაში“ (ვენეცია, 1822) და მინას ბჟიშკიანის „პონტოს ისტორიაში“ (ვენეცია, 1819). ორი უკანასკნელი სომხურ ენაზეა დაწერილი. ოსმან ბეი რომელიც ჩვენ ზემოთ. 119-ე გვერდზე ვახსენეთ, პონტოს ქედზე შაითან-დერეს დასაწყისთან და ჯემილის მთასთან გადავიდა. ეს მოგზაური კაჩკარის ხსენებისას არსად არ უწოდებს მას ვარსამბერ-დაღს

წროებული, რომ გეჩვენება, თითქოს თავად ტალღებიც ვერ ეტევიან ამ სივიწროვეს: ხმაურობენ, ქაფდებიან, დიდ ლოდებზე ხტიან და ვერცხლისფრად მტვერდებიან. წყლის ხმაური ყველაფერს აყრუებს.

ხალადან გამოსვლის ერთი საათის შემდეგ ჩვენ მივედით იმ ადგილას, სადაც ფურტუნაში ჩაედინება სიდიდით მისი ტოლი მდინარე; იგი ეგრეთწოდებულ ბეიუქ-დერედან მოედინება. ამ მდინარის წყალი სიდიდითა და ხასიათით ფურტუნას ჰგავს. მისი სათავე მთის მასაში, კაჩკარის სამხრეთ-დასავლეთით დევს. ამ მდინარით ირწყვება ხემშინის დიდი ნაწილი. ბეიუქ-დერე-სუ ფურტუნაში ბლაგვი კუთხით ეშვება — ეს იშვიათი მოვლენაა, — ასე, რომ ორივე მდინარის წყალი ერთმანეთს ეხლება, შემდეგ ერთდებიან და ერთი მიმართულებით , ორმაგი ძალით და ხმაურით მიექანებიან. ბეიუქ-დერესუზე, ზედ მის შესართავთან მდინარეზე გადებულია ერთთაღიანი დიდი ხიდი. ეს არის სწორი ნახევარწრე. ხიდი ერთი საჟენის სიფართეზე დაფარულია ფილებით. ხიდის შუა ნაწილი აწეულია და მდინარის მქუხარე ტალღებიდან ძალზე მაღლა მდებარეობს. ირგვლივ ციცაბო მთებია, რომლებიც დაფარულია როდოდენდრონით და პალმებით. ხიდის მეორე მხარეს, 400 ფუტის სიგრძეზე გზა მდინარის თავზე ლავგარდანებზე გადის. ეს ერთობ ორიგინალური და შთამაგონებელი სურათია. ჩვენი ქარავანი დაწალიკებით მიიწევს. ირგვლივ, მდინარის ნაპირზე მოჩანს თითქმის ეულად მდგომი ხემშინელთა სახლები. დასახლებული ადგილები აქ არ ქმნიან ცალკე სოფლებს, არამედ წარმოდგენილი არიან სახლების პატარა ჯგუფებად, რომლებიც კლდეებზეა მიკრული.

ბეიუქ-დერე-სუს ხიდზე გადასასვლელიდან ნახევარი საათის შემდეგ, ხშირ ტყეში ჩვენ მივედით ფარდულთან, სადაც დაწყობილი იყო ათინაში წასაღები პალმის ხეები. ამის შემდეგ, საღამოხანს მივაღწიეთ სამ სახლს, რომლებიც ბერძენ მჭედლებს უკავიათ. აქედან გზა ორკაპდება: ერთი ტოტი მიდის ფურტუნის ნაპირის გაყოლებით სოფელ არტაშენში, მეორე სოფელ კიჟას და ჩინგითის გავლით, ლანგრეში და ათინაში. კაჩკარის იაილადან თითქმის რვასაათიანი მოგზაურობით დაღლილებმა ვისარგებლეთ აქაური ბერძნების სტუმართმოყვარეობით და ღამის გასათევად სამჭედლოში გავჩერდით. სოფელი კიჟა ჩინგითის გზაზე ჩვენგან ნახევარი საათის სავალზე დარჩა.

ფურტუნის მარცხენა ნაპირზე განლაგებული სიმაღლეები, სოფელ კიჟასთან წარმოგვიდგება მეორეხარისხოვან ქედად, რომელიც მთავარი ქედის პარალელურად მდებარეობს. ამ მთიანი მასის ზედაპირს აქვს თიხოვანი გრუნტი და კარგი ტყეებითა და მდელოებითაა

დაფარული. მთის კალთებზე მოედინება წყლები, რომლებიც ქმნიან მდინარეებს: ათინას და ბულებს. ამ მდინარეების წყალგამყოფი წარმოდგენილია ვიწრო თხემის სახით, რომელიც ვიჟადან ზღვისკენაა მიმართული. ამ სოფლის გზა შავი ზღვის დონიდან 2771 ფუტზე მდებარეობს. სოფლიდან მდინარეების ათინას, ბულების და ფურტუნის ნაპირების მშვენიერი ხედი იშლება. პონტოს ქედის მკაცრი ხასიათი აქ შედარებით რბილდება და ცხოვრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. სწორედ ამიტომ აქ თავი მოიყარა დასახლებებმა, რომლებიც თითქმის უწყვეტადაა გადაჭიმული ვიჟედან ზღვამდე. ქვემოთ, მარჯვნივ, ტაფობში, საიდანაც ლებულობს სათავეს ბულებსუ, ძევს მარმანადი, ხოლო ათინას და ბულების წყალგამყოფ თხემზე — სოფელი ჩინგითი. აქაა ხემშინის საზღვარი. შემდეგ ზღვის სანაპირო ზოლზე განლაგებულია ლაზური სოფლები, რომლებიც, როგორც ჩანს, არხავესა და ხოფას ხეობებში განლაგებულ დასახლებებთან შედარებით, მდიდარია სახნავი მიწებით.

ჩინგითიდან ათინასაკენ მიმავალი გზა წყალგამყოფის სამხრეთ ფერდობზე არსებულ სოფლებზე ლანგრესა და კუზიკზე გადის. ამ უკანასკნელ სოფელთან გზა მდინარე ათინა-სუმდე ეშვება. მის ნაპირზე ზღვამდე სოფელი ათინა მდებარეობს.

კლასიკური სახელწოდების მიუხედავად ათინა საძაგელი სოფელია; ყოველ შემთხვევაში წლის ამ დროს მას კუშტი შეხედულება აქვს: სიცარიელე, ბაყაყების ყიყინი, ზღვის გუგუნი ათინას ერთადერთი და მოუშორებელი თვისებაა. მიუხედავად ამისა ჩვენ ძალზე გვიხაროდა, რომ ამ ადგილამდე მოვაღწიეთ, რადგანაც ეს ჩვენი მძიმე მოგზაურობიდან მობრუნება იყო: ჩვენ გავწამდით, დავიღალეთ და საშინლად მოგვენატრა მშობლიური კერა. სოფელი ათინა ამჟამად განთქმულია თავისი ბაზრით, რომელიც 30—40 ხის დუქნისაგან შედგება. ისინი ზაფხულობით სრულიად ცარიელია, ზამთარში კი გამოცოცხლდება. აქაური კლიმატი იმდენად ცუდია, რომ ზაფხულობით თითქმის მთელი მოსახლეობა, კაიმაკამის ჩათვლით, მეზობელ სოფლებში მიდის, რათა თავი გადაირჩინონ ადგილობრივი ცხელებისაგან. მცხოვრებთა ასეთი ჩვეულება ჩვენ არ მოგვეწონა, რადგანაც ვერ გავიგეთ აქაური ახალი ამბები და „ხაბარები". თუმცა გამოკითხვით გამოირკვა, რომ ათინას ოლქში (კაზა) 18-დან 20 ათასამდე მცხოვრები ყველა ლაზია.

ლაზეთის, მასთან ერთად ათინას საზღვარი აღწევს კონცხამდე, რომელიც ათინას ბაზრიდან ოთხი საათის სავალზეა. ჩვენ სანაპიროს გაყოლებით ნავით წავედით, რათა შორიდან მაინც შეგვეხედა საქართველოს უძველეს საზღვარზე. ჩვენს რუკებზე საზღვაო საზღვარი სწო-

